

ა(ა)იპ ჯიპა – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

პოლიტიკის მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა

**რუსეთის ფედერაციის როლი და გავლენა საქართველოს  
ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის პროცესზე  
1999-2008 წლებში**

ავტორი: თამარ კახაძე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი თორნიკე შარაშენიძე

თბილისი, 2022

## სარჩევი

აბსტრაქტი.....	4
Abstract.....	5
შესავალი .....	1
თეორია და მეთოდოლოგია .....	3
გაზომვა.....	5
თავი 1. თეორიული ჩარჩო: ნატოს გაფართოება რაციონალიზმის ჭრილში	7
1.1. რაციონალიზმზე დაფუძნებული თეორიები .....	7
1.1.1. ნეორეალიზმი .....	7
1.1.2. ლიბერალური ინსტიტუციონალიზმი.....	15
1.2. ნატოს გაფართოება და რუსეთის საგარეო პოლიტიკა.....	20
გეოპოლიტიკის ჭრილში.....	20
თავი 2. საქართველო-ნატოს დაახლოების დინამიკა.....	25
2.1. საქართველო-ნატოსთან დაახლოების ქრონოლოგია .....	25
2.2. ნატო-საქართველოს პარტნიორობის მექანიზმები .....	29
2.3. ნატოს პროგრამები .....	31
თავი 3. ნატოს გაფართოების პოლიტიკა .....	34
3.1. 1999 წლიდან „მაპის“ პროგრამის შემოღებიდან ნატოს გაფართოების პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტები, მიზნები.....	34
3.2. ნატოს 1999 წლის გაფართოება და სამიტი .....	36
3.3. 2004 წლის გაფართოება და სამიტი.....	44
3.4. ნატოს 2008 წლის სამიტი .....	54
3.4.1. რა მოხდა ბუქარესტის სამიტზე?.....	55
3.5. ნატო-მონტენეგრო .....	58
3.6. ნატოს ახალი წევრების კონტრიბუცია ალიანსში .....	64
თავი 4. პოსტსაბჭოთა პერიოდში ნატო-რუსეთის, აშშ-რუსეთის, აშშ- ევროპის ურთიერთობები .....	68
4.1. ქრონოლოგია.....	68

4.2. ნატო-რუსეთის საბჭოს არსებობის არსი, მნიშვნელობა .....	72
4.3. 2009 წლის აშშ-რუსეთის ე. წ. „გადატვირთვის“ პოლიტიკა .....	73
4.4. რატომ ეწინააღმდეგება რუსეთი ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებას .....	75
4.5. აღმოსავლეთით გაფართოებით დაარღვია თუ არა ნატომ რუსეთთან დადებული შეთანხმება? .....	78
4.6. ერაცის ომის გავლენა აშშ-ევროპის ურთიერთობებზე ნატოს ჭრილში .....	82
თავი 5. საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესზე რუსეთის გავლენა.....	92
5.1. რუსეთის მოქმედებები საქართველოს ნატოში გაწევრიანების წინააღმდეგ .....	92
5.2. რუსი ანალიტიკოსები საქართველო-ნატო-რუსეთის ურთიერთობებზე.....	97
5.3. რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიები და ნატო	110
თავი 6. იურიდიული და პოლიტიკური ბარიერები, რომლებიც შესაძლოა აფერხებდეს ნატოში საქართველოს ინტეგრაციის პროცესს.....	113
6.1. იურიდიული ბარიერები .....	113
6.2. პოლიტიკური პრობლემები, რომლებიც, შესაძლოა, ხელს უშლის საქართველოს ალიანსში ინტეგრაციის პროცესს .....	116
თავი 7. პრობლემის კვლევა და კვლევის შედეგების შეჯამება .....	120
თავი 8. ჰიპოთეზების გაზომვა .....	132
გაზომვა (მაკდონალდ-პარენტის მაგალითზე).....	135
ემპირიული შედეგები .....	138
მესამე ჰიპოთეზა.....	147
მეოთხე ჰიპოთეზა .....	155
დასკვნა .....	161
გამოყენებული ლიტერატურა.....	167

## მადლიერების გვერდი

მინდა მადლობა გადავუხადო იმ ადამიანებს, რომელთა ძალისხმევითა და გვერდში დგომის გარეშე ძალიან გამიჭირდებოდა სადოქტორო ნაშრომზე მუშაობა. პირველ რიგში დავასახელებ ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, პროფესორ თორნიკე შარაშენიძეს, პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელებს, პროფესორ ბაკურ კვაშილავას, პროფესორ ნათია ჭიღვარიას და ჩემი ოჯახის წევრებს, რომელთა თანადგომა ძალიან მნიშვნელოვანი იყო მუშაობის პროცესში

## აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომის მიზანი არის იმის განსაზღვრა, თუ რა გავლენა აქვს საქართველოსათვის ნატოს წევრობის სამოქმედო გეგმის მინიჭებაზე უარის თქმის მიზეზი და რა როლი აქვს საკითხის ამგვარად გადაწყვეტაში რუსეთის ფედერაციას. ქვემოთ მოცემულ ჰიპოთეზებში წარმოდგენილია როგორც „ცივი ომის“ შესახებ მწიფობად წოდებული ქვეყნების – აშშ-სა და რუსეთის – დასუსტება-გამლიერებასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე საქართველოს შედარებითი დახასიათება-ანალიზი იმ ქვეყნებთან, რომლებიც უკვე გახდნენ ალიანსის წევრები; ამას გარდა, მოცემულია საქართველოს მდებარეობა მეზობელი ქვეყნის მიერ მოსალოდნელი საფრთხის აღქმის კრიტერიუმებთან მიმართებაში. ნაშრომის ძირითად ნაწილში საქართველო-ნატოსა და ნატო-რუსეთის ურთიერთობების გარდა, წარმოდგენილია კონკრეტული სამიტების, გაფართოებების შემთხვევები, მოყვანილია ახლადგაწვევრიანებული ქვეყნის მაგალითი და დეტალურად არის აღწერილი რუსეთის აღქმა და ნარატივი მისი მეზობელი, საბჭოთა კავშირის ყოფილი წევრი ქვეყნების, „მტრულ“ ალიანსში გაწვევრიანებასთან დაკავშირებით. ნაშრომში, თვისობრივ მეთოდებთან ერთად, გამოყენებულია კვლევის რაოდენობრივი მეთოდები. კვლევის საგნიდან გამომდინარე საბაზისო მეთოდოლოგიურ მიდგომად არჩეულია შემთხვევის შესწავლის (ქეის სთადი) მეთოდი. რაც შეეხება მონაცემთა შეგროვების პროცესს – მეორადი წყაროების ანალიზთან ერთად, გამოყენებულია პირველადი წყაროებიც, კერძოდ – დოკუმენტები, სადაც ასახულია სხვადასხვა შეხვედრები თუ სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთა სამიტები, სტრატეგიული კონცეფციები. ემპირიული კვლევისას გამოყენებულია ონლაინწყაროები.

## **Abstract**

The purpose of this paper is to determine what actually became the reason for the refusal to grant Georgia a NATO Membership Action Plan at the North Atlantic Alliance Summit in 2008 and what role the Russian Federation has in resolving the issue in this way. The following hypotheses present issues related to the weakening and strengthening of the so-called Cold War Superpowers – the United States and Russia – as well as comparative analysis of Georgia with the countries that have already become members of the Alliance; In addition, the location of Georgia in relation to the criteria of perceived threat by a neighboring country is given. The main part of the paper, in addition to Georgia-NATO and NATO-Russia relations, presents cases of enlargement of specific summits, cites the example of a newly joined country, and describes in details Russia's perceptions and narratives of its neighboring, former Soviet Union member states joining in a "hostile" alliance. Quantitative research methods are used in the paper along with qualitative methods. Based on the subject of the research, the case study method is chosen as the basic methodological approach. As for the data collection process – in addition to the analysis of secondary sources, primary sources are also used, in particular – documents, which reflect the various meetings or summits of heads of state and government, strategic concepts. Online sources are used in empirical research.

## შესავალი

აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება ყოველთვის იწვევდა და იწვევს რუსეთის განსაკუთრებულ დაინტერესებასა და გაღიზიანებას. წლების განმავლობაში რუსეთის ფედერაცია ღიად აცხადებს, რომ ალიანსის მის საზღვრებთან მიახლოება ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას დიდ საშიშროებას უქმნის. 2015 წლის რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში (კრემლი, 2015) ჩრდილოატლანტიკური ალიანსი აშშ-თან ერთად, ოფიციალურად დასახელდა ქვეყნის ერთ-ერთ ძირითად საფრთხედ. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომსა და 2014 წლის ყირიმის ანექსიას ანალიტიკოსების ნაწილი სწორედ ამ საფრთხის „თავიდან არიდებას“ უკავშირებს.

საქართველო, ერთი შეხედვით, მონდომებით ასრულებს მასზე დაკისრებულ ყველა დავალებას. ალიანსიც, თავის მხრივ, ცდილობს დაეხმაროს და მხარი დაუჭიროს ნატოს ასპირანტი ქვეყნის სწრაფვას, გახდეს ალიანსის სრულუფლებიანი წევრი, 2014 წელს დამტკიცებული ნატო-საქართველოს არსებით ღონისძიებათა პაკეტის თუ სხვა აქტივობების სახით. თუმცა, როგორც ზოგიერთი ანალიტიკოსი და ნატოელი მაღალჩინოსანი აღნიშნავს (საკმაოდ რეალისტურადაც), უახლოესი წლების განმავლობაში საქართველო ალიანსისაგან გაწევრიანებასთან დაკავშირებით ხელშესახებ წინადადებას არ უნდა ელოდეს.

*უმთავრეს დაბრკოლებად საქართველოს ნატოში ინტეგრაციის გზაზე, სხვა საშინაო, თუ საგარეო ფაქტორებთან ერთად, სწორედ რუსეთი მოიაზრება. ეს ქვეყანა, ფაქტობრივად, არ მალავს სიტყვით თუ მოქმედებით, რომ არ ეგუება საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესს და პირდაპირ თუ ირიბად ცდილობს, ხელი შეუშალოს მისი ყოფილი გავლენის სფეროს ალიანსთან დაახლოებას. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება 2008 წლის აგვისტოში საქართველოსთან რუსულენოვანი უმცირესობების დაცვის*

*საბაბით დაწყებული ომი, რომელიც საეჭვოდ დაემთხვა ნატო-საქართველოს განსაკუთრებულად დაახლოების პერიოდს. თუმცა, მოვლენები ალბათ სხვაგვარად განვითარდებოდა, 2008 წლის გაზაფხულის ნატოს სამიტი საქართველოსათვის სასურველი შედეგით რომ დასრულებულიყო.*

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანების გზაზე რუსეთის როლი 21-ე საუკუნის დასაწყისიდან სათანადოდ შესწავლილი არ არის. მოცემული ნაშრომის მიზანია, წარმოადგინოს 1999 წლიდან 2009 წლამდე რუსეთის მიერ განხორციელებული ქმედებების ანალიზი, რომლებიც საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას უკავშირდება. აღნიშნული საკითხი აქტუალურია, როგორც საქართველოს ნატოსთან ინტეგრაციის გასააზრებლად, ისე „ახალ ცივ ომად“ წოდებული უახლოესი ეპოქის ანალიზისათვის. რუსეთის მხრიდან არცთუ უმნიშვნელო დაბრკოლებების შესწავლა და არგუმენტირებული რეკომენდაციების ჩამოყალიბება მოკრძალებულ წვლილს შეიტანს იმ პროცესში, რასაც საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესი ჰქვია. ამასთან, კონკრეტული ქვეყნის, ამ შემთხვევაში საქართველოს მაგალითის შესწავლა საინტერესო იქნება ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნების ნატოში ინტეგრაციის პროცესის ანალიზისთვისაც.

შეკითხვა:

რა გახდა 2008 წლის ნატოს ბუქარესტის სამიტზე საქართველოსათვის წევრობის სამოქმედო გეგმის (მაპი) მიღებაზე უარის თქმის (მთავარი) მიზეზი? (იყო თუ არა რუსეთი 2008 წლის ნატოს ბუქარესტის სამიტზე საქართველოსათვის წევრობის სამოქმედო გეგმის (მაპი) მიღებაზე უარის თქმის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი.)

ჰიპოთეზები:

1. საქართველოსთან დაკავშირებით ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების მიზეზი იყო რუსეთის გამპლიერება.



2. საქართველოსთან დაკავშირებით ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების მიზეზი გახდა აშშ-ს სიძლიერის (გავლენის) შესუსტება.
3. საქართველოსთან დაკავშირებით ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების მიზეზი იყო რუსეთის მიერ საქართველოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება, ამ ქვეყნის საფრთხედ აღქმა.
4. საქართველოსთან დაკავშირებით ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების მიზეზი გახდა სხვა ფაქტორები, მაგალითად ისეთი, როგორც არის ნატოს ქვეყნებს შორის აზრთა სხვადასხვაობა; საქართველოში არსებული არასახარბიელო პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოკრატიული ვითარება.

### **თეორია და მეთოდოლოგია**

აღნიშნული კვლევის თეორიული ინტერესი მდებარეობს საერთაშორისო სისტემის აქტორებთან დაკავშირებულ გამოწვევებთან. დასკვნების გამოტანის მიზნით კვლევაში გამოყენებული იქნება რამდენიმე თეორიული მიდგომა. თეორიების არჩევისას ცხადია, გათვალისწინებული იქნა ის ფაქტი, რომ კვლევის ინტერესს ნათლად წარმოადგენს პოლიტიკური მეცნიერების გამოკვეთილად მაკროდონე (საერთაშორისო ორგანიზაციები, ზესახელმწიფოები, ძალთა განაწილება) და აქედან გამომდინარე რელევანტურია მაკროდონის თეორიების გამოყენება.

კლასიკური საერთაშორისო ურთიერთობების ლიტერატურის (რეალიზმის, ნეორალიზმის თეორიების) თანახმად, ძალთა სტრუქტურები, ძლიერებისათვის ბრძოლა წარმოადგენს საერთაშორისო სისტემების მთავარი აქტორების – სახელმწიფოთა შორის ინტერაქციის უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს. აღნიშნული ზედმიწევნით მიესადაგება რუსეთს, ყოფილ ზესახელმწიფოს. მართალია, ნატო არ წარმოადგენს სახელმწიფოს, თუმცა აღნიშნული ორგანიზაციის ინტერესი, სახელმწიფოს მსგავსად, ასევე წარმოადგენს ძლიერების მაქსიმალურად გაზრდას, რაც რეალისტების უმთავრეს არგუმენტს წარმოადგენს და ყველაზე გამოჩენილი

რეალისტები თუ ნეორეალისტები (კენეტ უოლცი, სტეფან უოლტი) საერთაშორისო ურთიერთობებში სწორედ ძლიერებაზე აკეთებენ აქცენტს. მართალია, რეალისტებმა ვერ იწინასწარმეტყველეს ვერც ცივი ომის დასასრული და არც მათი პროგნოზი გამართლდა, რომ ნატო დაიშლებოდა საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე, თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მათ გარკვეული ცვლილებები შეიტანეს საკუთარ მოსაზრებებში, რომელიც შემდეგნაირად ჩამოაყალიბეს – ალიანსი სიცოცხლისუნარიანი იქნება მანამ, სანამ ამის სურვილი დომინანტ სახელმწიფოს ექნება და სანამ ზესახელმწიფოსათვის (ამ კონკრეტულ შემთხვევაში აშშ-სთვის) ამ ალიანსისაგან მიღებული სარგებელი გადააჭარბებს დანახარჯს.

გარდა *ნეორეალიზმისა*, კვლევაში გამოყენებული იქნება *ლიბერალური ინსტიტუციონალიზმის* მიდგომა, რომელიც, შეიძლება ითქვას, ავსებს ნეორეალისტების მოსაზრებებს და უფრო უკეთ ხსნის ამ დრომდე ნატოს, როგორც ინსტიტუტის წარმატებულ არსებობას, მისი გაფართოების პოლიტიკას, რომელსაც ასე დაჟინებით ეწინააღმდეგება რუსეთი და რომლის მოქმედებების უკეთ გასაგებად, რაშიც იგულისხმება კონკრეტული ქვეყნის საქართველოს ალიანსში გაწევრიანების წინააღმდეგობა, კვლევაში ასევე გამოყენებული იქნება გეოპოლიტიკური მიდგომა.

არსებული სამი ძირითადი მეთოდიდან (თვისობრივი, რაოდენობრივი, შერეული) აღნიშნული კვლევა უფრო მეტად მიესადაგება თვისობრივ მეთოდს და საბაზისო მეთოდოლოგიურ მიდგომად გამოყენებული იქნება შემთხვევის შესწავლის (ქეის სთადი) მეთოდი. აღნიშნული მეთოდის ყველაზე დიდი უპირატესობა არის ის, რომ ერთ შემთხვევაზე ფოკუსირებით შესაძლებელი ხდება საკითხის ზედმიწევნით კარგად და სიღრმისეულად გამოკვლევა, თუნდაც შეზღუდული რესურსების პირობებში.

მონაცემთა შეგროვების პროცესში კი მეორადი წყაროების ანალიზთან ერთად, გამოყენებული იქნება პირველადი წყაროები, კერძოდ დოკუმენტები, სადაც ასახულია სხვადასხვა შეხვედრები თუ სახელმწიფოსა და

მთავრობის მეთაურთა სამიტები, სტრატეგიული კონცეფციები. ემპირიული კვლევისას ასევე გამოყენებული იქნება ონლაინწყაროები, მაგალითად, როგორც არის ნატოს დოკუმენტების არქივი. ასევე, დამატებით წყაროებად იქნება გამოყენებული საგაზეთო სტატიები, ონლაინ „ნიუს“ წყაროები.

კვლევა ძირითადად ეყრდნობა 1999-2009 წლებში განვითარებულ მოვლენებს, კონკრეტულად განსაკუთრებული ყურადღება იქნება გამახვილებული 1999, 2004 და 2008 წლის ნატოს სამიტებზე/გაფართოებებზე. 1999 წელს ცივი ომის შემდეგ ნატოს პირველი გაფართოებისას ალიანსის რიგებს შეუერთდა სამი ქვეყანა: უნგრეთი, პოლონეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა, რომლებიც ვარშავის ხელშეკრულების ყოფილი ქვეყნებიდან იყვნენ პირველები, რომლებიც სამხედრო ალიანსის სრულუფლებიანი წევრები გახდნენ. 2004 წლის გაფართოებამ, რომელიც „დიდი გაფართოების“ სახელწოდებითაც არის ცნობილი, ალიანსის რიგები შვიდი ქვეყნით გაზარდა – ბულგარეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, რუმინეთი. და ბოლოს – 2008 წლის ბუქარესტის სამიტი, რომელზეც ალბანეთსა და ხორვატიას ნატომ მოწვევა გაუგზავნა და ეს ორივე ქვეყანა ერთ წელიწადში ალიანსის სრულუფლებიანი წევრები გახდნენ. საქართველომ და უკრაინამ კი (გადაჭარბებული თუ გადაუჭარბებელი მოლოდინების მიუხედავად) წევრობის სამოქმედო გეგმავერ მიიღეს, მხოლოდ მიიღეს დაპირება, რომ ეს ქვეყნები მომავალში ალიანსის წევრები გახდებოდნენ.

### **გაზომვა**

ჩამოყალიბებული ჰიპოთეზების დასაბუთებისათვის გაზომილი და შედარებული იქნება ამერიკისა და რუსეთის სამხედრო ხარჯები.

ამასთან, პირველ და მეორე ჰიპოთეზებთან მიმართებაში, სადაც საუბარია ცივი ომისდროინდელი ზესახელმწიფოების სისუსტესა და სიმლიერეზე და ამ ყველაფრის გავლენაზე კონკრეტული ქვეყნის ინტეგრაციის პროცესზე სამხედრო ალიანსში, გამოყენებული იქნება

მაკდონალდის და პარენტის (2011) მეთოდი, სადაც წარმოდგენილია და რომელიც ზომავს დიდი სახელმწიფოების მიერ უკანსვლის პერიოდებს და ამ (1 ან 5-წლიან პერიოდებში) მიღებულ გადაწყვეტილებებს, თუ როგორ იმოქმედონ საშინაო თუ საგარეო ასპარეზზე.

მესამე ჰიპოთეზაში საუბარია რუსეთისათვის საქართველოს განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე, რომ რუსეთი განსაკუთრებით არ ეგუება საქართველოს გაწევრიანებას ალიანსში და ამას აღიქვამს საფრთხედ თავისი ქვეყნის ეროვნული ინტერესებისათვის, რასაც აფიქსირებს არაერთ ოფიციალურ დოკტრინაში. საფრთხის აღქმის გასაზომად კი სტეფან უოლტმა (1990) ოთხ უმთავრეს კრიტერიუმზე გაამახვილა ყურადღება, ესენია: ძალთა გაერთიანება (თავმოყრა), გეოგრაფიული სიახლოვე, თავდამსხმელი ძალა, აგრესიული განზრახვები. (გვ. 22) ამ კონკრეტული შემთხვევისათვის გამოყენებული იქნება ერთ-ერთი ფაქტორი გეოგრაფიული სიახლოვე, რომელიც თავის მხრივ, არ არის იოლი გასაზომი და მოიცავს სხვა ბევრ ფაქტორს, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ ფაქტორის მიერ მთლიანად საფრთხის მდგომარეობაზე განხორციელებულ ზემოქმედებაზე. გეოგრაფიული სიახლოვის უფრო დაწვრილებითი, ამომწურავი ანალიზისათვის, შემდეგი ასპექტები უნდა გაიზომოს: საზღვრების სიგრძე, სასაზღვრო რეგიონებში ტერიტორიის დაბრკოლება (სირთულე); საზღვრიდან მნიშვნელოვანი ობიექტების მდებარეობის მანძილი (სამხედრო ნაგებობები, კრიტიკული ინფრასტრუქტურა).

მეოთხე ჰიპოთეზის გასაზომად გამოიყენება სზაინას მოდელი (სზაინა, 2001), რომელიც ნატოს წევრობის მომლოდინე ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას იკვლევს და უკვე გაწევრიანებული ქვეყნები შედარებული იქნება საქართველოსთან. სჯობდნენ თუ არა ეს ქვეყნები გაწევრიანებამდე (თუ მას შემდეგ) ზემოთ თქმული ფაქტორების გათვალისწინებით საქართველოს.

## თავი 1. თეორიული ჩარჩო: ნატოს გაფართოება რაციონალიზმის ჭრილში

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, კვლევის თეორიული საფუძვლებია საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო დისციპლინაში ძირითადად დამკვიდრებული რაციონალიზმის პლატფორმები, კერძოდ ნეორეალიზმი, ლიბერალური ინსტიტუციონალიზმი, რომლებიც მნიშვნელოვანწილად ხსნის ნატოს გაფართოების პროცესს; ასევე, გეოპოლიტიკური მიდგომა, რომელიც გარკვეულწილად ხსნის რუსეთის მოქმედებებს და მის წინააღმდეგობას ნატოს გაფართოების პოლიტიკასთან მიმართებაში, კონკრეტულად კი ალიანსის რიგებში საქართველოს გაწევრიანების წინააღმდეგობას.

### 1.1. რაციონალიზმზე დაფუძნებული თეორიები

#### 1.1.1. ნეორეალიზმი

„ცივი ომის“ დასრულებამდე რეალისტები ვარაუდობდნენ, რომ ნატო საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე შეწყვეტდა არსებობას<sup>1</sup>, თუმცა ეს ვარაუდი არ გამართლდა. შედეგად, რეალისტებმა თეორიის მოდიფიცირება მოახდინეს, რომელიც შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: საფრთხის გაქრობის შემდეგ ალიანსები, შეიძლება მთლად არ დაიშალოს, ისინი ხდებიან „უფრო მყიფე, ნაკლებად შეთანხმებული, დროთა განმავლობაში კი ასეთი ალიანსები, უფრო სავარაუდოა, რომ დაიშალოს ან გახდეს შეუსაბამო.“ (ვოლტი, 2000).

(ავტორიტეტულ) ნეორეალისტ კენეტ უოლცის (1993) მოსაზრებით კი, რომელიც საკუთარ შრომებში ხშირად აღნიშნავს, რომ ინსტიტუტები ემსახურებიან ეროვნულ და არა საერთაშორისო ინტერესებს, „ცივი ომის“ შემდგომ ალიანსი ფართოვდება მხოლოდ იმიტომ, რომ ასე სურს აშშ-ს.

---

<sup>1</sup> 1949 წელს სამხედრო კავშირის შექმნის მიზანს წვერი ქვეყნების სწორედ საბჭოთა კავშირისაგან დაცვა წარმოადგენდა.

როგორც უოლცი აღნიშნავს, ნატოს დღეები არა, მაგრამ, მისი წლები კი დათვლილია. შესაძლოა ითქვას, რომ მსგავს მოსაზრებას ავითარებს ჯონ მირშიმერიც (1990), რომლის აზრითაც, „ცივი ომის“ შემდგომ ალიანსი შესაძლოა, ფორმალურად არ დაიშალოს, “თუმცა იარსებებს მხოლოდ ფურცელზე და ის როგორც ალიანსი მოქმედებას შეწყვეტს.“ (გვ. 5-56).

ნეორეალისტთა უმრავლესობა იზიარებს შემდეგ მოსაზრებებს: რომ ქვეყნები (პირველ რიგში კი ზესახელმწიფოები) მსოფლიო პოლიტიკის ძირითადი აქტორები არიან; ისინი რაციონალურ მიზანზე ორიენტირებულ აქტორებს წარმოადგენენ; ქვეყნები არსებობენ ანარქიის პირობებში, სადაც არ არსებობს ცენტრალური მთავრობა და რომლის გარემოც წარმოშობს უნდობლობას, შეჯიბრს, რაც ქვეყნებს უბიძგებს, უპირველესად მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენაზე იზრუნონ.

ნეორეალისტებს შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა სახელმწიფოს სტრატეგიის ტიპებთან დაკავშირებით, რაც, თავის მხრივ, გამომდინარეობს სახელმწიფოს მიერ წარმოებული საქმეებიდან. (აქედან მომდინარეობს განსხვავება თავდაცვით და თავდასხმით რეალიზმს შორის.) თუმცა, ამასთან ყველა მათგანი თანხმდება, რომ თანამშრომლობა რეალურად რთული მისაღწევია. აღსანიშნავია, რომ ნეორეალისტები არ გამორიცხავენ თანამშრომლობას, რასაც ისინი ალიანსების მიერ მიზნის მიღწევის მთავარ საშუალებადაც ასახელებენ. ალიანსების ნეორეალისტური ვიწრო განმარტება კი შემდეგნაირია: “ისინი წარმოადგენენ სამხედრო ძალის გამოყენების (ან არგამოყენების) ფორმალურ გაერთიანებებს და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ინსტრუმენტებს.“ (სნაიდერი, 1997, გვ. 4-5). მათი წარმოშობა უკავშირდება საერთო საფრთხის არსებობას და ეს საგარეო ფაქტორი გადაწონის სხვა საშინაო ფაქტორებს. თუმცა, საფრთხის გაქრობა ალიანსების ავტომატურ დაშლას არ ნიშნავს. როდესაც ალიანსების შექმნის განმაპირობებელი საფრთხე აღარ არსებობს, ალიანსი ეძებს თანამშრომლობის ალტერნატიულ პროექტებს, თუმცა ეს ამოცანა შესაძლოა გადაულახავი აღმოჩნდეს.

ამასთან, ნეორეალისტები ერთმანეთისაგან განასხვავებენ ალიანსების ორ ტიპს: ალიანსებს, რომლებიც შეიქმნენ ძალაზე საპასუხოდ და ალიანსებს, რომლებიც საფრთხეზე პასუხად ჩამოყალიბდნენ. ვებერს (2009) მაგალითად მოჰყავს ცივი ომის პერიოდი, როდესაც კანადა, თურქეთი, დასავლეთ ევროპის ქვეყნები ძალის დაბალანსების სანაცვლოდ (იგულისხმება აშშ, რომლის შესაძლებლობები ამ ყველა ქვეყნის შესაძლებლობას ერთად აღებულს აღემატებოდა) ცდილობენ ნატოს მეშვეობით საბჭოთა კავშირის (საფრთხის) დაბალანსებას. ვოლტი (1997, გვ. 5) ამას შემდეგ ახსნას უძებნის: “მიუხედავად იმისა, რომ ძალის განაწილება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, საფრთხის დონეზე ასევე დიდ გავლენას ახდენს გეოგრაფიული სიახლოვე, თავდასხმის შესაძლებლობები და განზრახვების აღქმა.“ ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით კი საბჭოთა კავშირი ზემოთ ნახსენები ქვეყნებისათვის ამერიკაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენდა.

სნაიდერი (გვ. 16) მიიჩნევს, რომ „ალიანსების აღქმა საერთაშორისო სისტემის კონტექსტიდან განცალკევებულად შეუძლებელია.“ ალიანსების ბუნება გამომდინარეობს საერთაშორისო სისტემის მახასიათებლებიდან. უოლცის (1979 გვ. 88-101) თანახმად, საერთაშორისო სისტემის სამ უმთავრეს მახასიათებელს წარმოადგენს: ანარქიულობა, სახელმწიფოებს შორის ფუნქციური განმასხვავებლების არარსებობა (მათ რაც აინტერესებთ, ეს არის გადარჩენა და უსაფრთხოება) და სახელმწიფოებს შორის შესაძლებლობების (ძალის, ძლიერების) გადანაწილება. ვინაიდან, პირველი და მეორე მახასიათებელი არის უცვლელი, გამოდის რომ საერთაშორისო სისტემაში ცვლილება შეეხება მესამე დონეს. გამომდინარე იქიდან, რომ, როდესაც საუბარია შესაძლებლობებზე, უმთავრესად იგულისხმება ზესახელმწიფოების შესაძლებლობები, საერთაშორისო სისტემის ცვლილება ასახავს ზესახელმწიფოების დაცემასა და აღზევებას. ამასთან, ნეორეალიზმის შემთხვევაში საქმე ეხება პოლარულობას, როდესაც საერთაშორისო სისტემაში დომინანტია ან ერთი ძალა (უნიპოლარული

სისტემა), ან ორი ძალა (ბიპოლარული სისტემა) ან კიდევ სამი ან რამდენიმე ზესახელმწიფო (მრავალპოლარული სისტემა).

უოლცის მიერ ამ სქემიდან მიღებულ შედეგებს ყველა ნეორეალისტი არ იზიარებს, კერძოდ კი იმ მოსაზრებას, რომ სახელმწიფოებისათვის არსებობს სტრუქტურული იმპერატივი, რათა მოახდინონ გაერთიანება მტრის ძალის დასაბალანსებლად. (უოლცი, გვ. 125-127) თუმცა, ნეორეალისტები მხარს უჭერენ მოსაზრებას, რომ პოლარულობა მნიშვნელოვანწილად ხსნის, როგორ ერთიანდებიან ქვეყნები განსხვავებული მოცემულობის დროს. ამასთან დაკავშირებით ნეორეალისტები არაერთ დაკვირვებას აწარმოებენ. პირველი არის ის, რომ ალიანსები განსაკუთრებით სტაბილურები არიან ბიპოლარული სისტემის დროს. სნაიდერი(1990) ამას ხნის იმ ფაქტით, რომ ამ ტიპის სისტემის სტრუქტურა მცირე შესაძლებლობას ან საბაბს ტოვებს „დეზერტირობისათვის.“ ორ ზესახელმწიფოს ვერ ეყოლება იმდენად ძლიერი საერთო მეტოქე, რომ მათ ამ მტრის წინააღმდეგ გაერთიანების მოტივი ჰქონდეთ. ამასთან, არც ზესახელმწიფოების მოკავშირეებს აქვთ საკმარისი საბაბი, რომ მეტოქე მხარეს შეეკრან და თუ ეს საბაბი მაინც იარსებებს, მაშინ ის საკუთარი „მფარველისაგან“ იქნება აღკვეთილი. აღსანიშნავია, რომ ბიპოლარულ სისტემას საერთაშორისო სისტემაში სიცხადე შეაქვს; მეორე მხარე ნათლად არის დანახული და შესაფერისად უსაფრთხოების გათვლებიც ამკარაა: კონკრეტული ქვეყანა კავშირში შედის იმ სახელმწიფოებთან, რომელთან უსაფრთხოების მსგავსი აღქმა აქვთ, რათა მოახდინონ საერთო საფრთხის დაბალანსება.

რაც შეეხება მრავალპოლარულ სისტემას, აქ ეს სიცხადე არ არსებობს – ამ ტიპის სისტემის დასახასიათებლად, სნაიდერი (1990, გვ. 19) აღნიშნავს, „მრავალპოლარული სისტემის შემთხვევაში თითქმის ყოველთვის არსებობს გაურკვეველობა იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ არის მოკავშირე და ვინ მოწინააღმდეგე. ალიანსებს შორის არსებული შეთანხმება ამ გაურკვეველობას, მართალია ამცირებს, თუმცა ბოლომდე მაინც ვერ



აღმოფხვრის.“ მისივე აზრით, ვინაიდან არ არსებობს ერთი კონკრეტული საფრთხე, რომელზეც უნდა მოხდეს კონცენტრირება, ალიანსის კოლაფსი უფრო არის მოსალოდნელი. (სნაიდერი, 1990, გვ. 121) ეს კი ძირითადად უკავშირდება ორი ტიპის შიშს: შიში იმისა, რომ ქვეყანა მიტოვებული იქნება მოკავშირის მიერ და ჩათრევის შიშს, რომ ქვეყანა ჩართული იქნება ისეთ კონფლიქტში, რომელიც ერთი კონკრეტული მოკავშირის ინტერესში შედის და სხვა მას არ იზიარებს. (სნაიდერი, 1984, გვ. 466-467).

უნიპოლარული სისტემის არსებობის შემთხვევაში მიტოვებისა და ჩათრევის შიში კვლავ არსებობს, თუმცა განსხვავებულ კონტექსტში ვლინდება. ყოვლისმომცველი ძალისა თუ ჰეგემონის არსებობა სხვა ქვეყნებს ორ შესაძლო ვარიანტს უტოვებს – ან მოხდეს ჰეგემონის წინააღმდეგ ბალანსი ან მასთან მიტმასნება. დაბალანსების შემთხვევაში საქმე ეხება როგორც „ხისტ“ ასევე „რბილ“ ფორმებს. მიტმასნების შემთხვევაში კი შესაძლოა, ეს იქცეს გადარჩენის სტრატეგიად – შეუერთდა საფრთხის მხარეს, სხვა სიტყვებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული დამორჩილება. ასევე, აღნიშნული მიტმასნების მიზანი და შედეგი შესაძლოა იყოს სრულიად განსხვავებული – „მიტმასნება მოგებისათვის“- ჰეგემონთან შეკვრა მოგების მიღების მიზნით. აქ საუბარია მცირე ან საშუალო ზომის ქვეყნების დახმარება ან დაცვა ძლიერის მიერ. (შველლერი, 1994, გვ. 79). თუმცა ვისგან ხდება დაცვა? უნიპოლარული კონფიგურაციის დროს არ არსებობს კონკრეტული მტრული ქვეყანა ან ალიანსი. ამ შემთხვევაში საფრთხის აღქმა მთლიანად ვერ იქნება ამოგდებული სისტემის სტრუქტურიდან და უფრო მეტად ვიდრე ბიპოლარული სისტემის დროს, მასზე გავლენას ახდენს შემდეგი ცვლადები – გეოგრაფიული ვარიაციები, განზრახვათა სხვადასხვაგვარი აღქმა, სხვადასხვა საშინაო ფაქტორები და იდეოლოგია. (პრეს-ბარნათანი, 2006, გვ. 273).

შეჯამებისათვის, ალიანსები თუ მათი გაგება ხდება საგარეო საფრთხეზე პასუხის გაცემის კუთხით, უფრო მყარია ბიპოლარული სისტემის არსებობისას. უნიპოლარული ან მრავალპოლარული სისტემის

შემთხვევაში კი საფრთხის აღქმასთან დაკავშირებული გაურკვევლობა იწვევს გახლეჩას ალიანსის შიგნით და ერთიანობას საფრთხეს უქმნის.

*რას ნიშნავს ეს ყველაფერი ნატოს (გაფართოების) შემთხვევაში?*

არაერთი ნეორეალისტი მიიჩნევს, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ საერთაშორისო სისტემა უნიპოლარულია (ვოლფორტი, 1999; ფეტვეისი 2004), რადგან „ცივი ომისდროინდელი“ ბიპოლარული სისტემა აღარ არსებობს საბჭოთა კავშირთან ერთად, თავდაპირველად ნეორეალისტები აღნიშნავდნენ, რომ ასევე აღარ იარსებებდა ჩრდილოატლანტიკური ალიანსიც. ალიანსის გამძლეობამ კი ნეორეალისტები აიძულა, გადაეხედათ საკუთარი პოზიციებისათვის. როგორც უოლცი აღნიშნავდა, ნატო „ცივი ომის“ დასრულების შემდგომ მნიშვნელოვნად შეიცვალა, ამასთან უოლცი (2000, გვ. 19-20) იმასაც აღიარებდა, რომ გაქრა ნატოს დაარსების ძველი მიზანი და არა – თავად ნატო. რა ფუნქციას ასრულებს ნატო „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ? ნეორეალისტებმა ყურადღება გაამახვილეს ნატოს უმთავრეს მახასიათებელზე, რაც გულისხმობს, რომ ეს არის სახელმწიფოებისაგან შემდგარი გაერთიანება. როგორც გლეიზერი (2003, გვ. 409) აღნიშნავს, „თუ სახელმწიფოსათვის ალიანსი წარმოადგენს საკუთარი მიზნების მიღწევის საშუალებას, მაშინ ნეორეალიზმის პროგნოზი არის ის, რომ ქვეყნები განაგრძობენ მის გამოყენებასა და გაფართოებას.“ აღნიშნულმა სათავე დაუდო ქვეყნის ორი ტიპის (ნიმუშის) ჩამოყალიბებას: პირველი ეხება ლიდერობას, უნიპოლარული სისტემის პირობებში წამყვან სახელმწიფოს მნიშვნელოვანი თავისუფლება აქვს საკუთარი საგარეო პოლიტიკის წარმართვის საქმეში. ამრიგად, ნეორეალისტების მტკიცებით, ნატო აქამდე მოვიდა, რადგან ის ემსახურება ამერიკის ინტერესებს. ნეორეალისტები აქვე დასძენენ, რომ უნიპოლარული სისტემის დროს წამყვან ძალას უფრო ნაკლები სტიმული აქვს ალიანსის შენარჩუნების, ვიდრე ბიპოლარული სისტემის არსებობის პირობებში, როდესაც თითოეული შესაძლო მოკავშირე ძალიან ფასეულია. (მოული და საკო, 2007, გვ. 604).

მეორე გათვლა შეეხება ნატოს შედარებით ნაკლებად ძლიერ ქვეყნებს – მათი ინტერესები სხვადასხვა მოტივებს ეფუძნება. ეს ნაწილობრივ გულისხმობს მათ მიერ საფრთხის აღქმას (დაზღვევა რუსეთის ან გერმანიისაგან მომდინარე საფრთხისაგან) (არტი, 2004), უფრო მეტად კი აქ მოიაზრება განსხვავებული გათვლები, კერძოდ, ზოგიერთისათვის ნატო წარმოადგენს ადგილს, სადაც მათ ზესახელმწიფოს წინაშე შეეძლება საკუთარი შეშფოთების გახმოვანება; ზოგიერთისათვის შესაძლოა ეს იყოს საშუალება ზესახელმწიფოს შეკავებისა და ზოგისათვის კი ნატო შესაძლოა წარმოადგენდეს წამყვანი ძალისათვის საკუთარი სამსახურის შეთავაზების საშუალებას, რის მეოხებითაც ისინი იძენენ მათთვის საჭირო გარიგებების განხორციელების ბერკეტებს (პრეს-ბარნათანი, 2003, გვ. 45).

სახელმწიფოთა ამ ტიპის ქცევების გაანალიზება მიანიშნებს, რომ წევრი ქვეყნები დაინტერესებულნი არიან ნატოში დარჩენით, თუმცა წევრობა უფრო და უფრო განპირობებულია შერჩეული მიზნებიდან გამომდინარე. გარედან მომდინარე გამაერთიანებლის, საერთო საფრთხის არარსებობის პირობებში, როგორც ნეორეალისტები ამტკიცებენ, ნატოს წევრები უფრო და უფრო შეეცდებიან მხოლოდ საკუთარი ინტერესების გატარებას, საერთო პროექტებში მონაწილეობისაგან თავის შეკავებას, ასევე მზადყოფნას, დაარღვიონ ნატოს დისციპლინა და განახორციელონ უნიტარული საგარეო პოლიტიკის ინიციატივები. (ჰელმანი და ვოლფი, 1993, გვ. 18).

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ნატოსთან დაკავშირებით შესაძლებელია ორი ვარაუდის (ვებერი 2009) ჩამოყალიბება:

პირველი შეეხება გაერთიანების მოდელებს: შეფარდებითი ძალის სტრუქტურაში მიმდინარე გადანაცვლებები გამოიწვევს ცვლილებებს ეროვნულ ინტერესთა გათვლებშიც, ისევე როგორც გაერთიანებების მოდელებში. საერთო საფრთხის არარსებობის პირობებში, ნატო აღარ მიჰყვება დაბალანსების ლოგიკას, რაც ალიანსების ფორმაციასა და

შენარჩუნებას უწყობს ხელს. ნატომ არსებობა შესაძლოა განაგრძოს, თუმცა მისი ეფექტიანობა და ურთიერთდაკავშირებულობა ნელ-ნელა გაქრება.

მეორე ვარაუდი ეხება სახელმწიფოებსა და ლიდერობას: ამერიკის მხრიდან ნატოს მხარდაჭერა დამოკიდებულია ხელმძღვანელობის დანახარჯებზე. თუ სარგებელი გადააჭარბებს დანახარჯს, ამერიკა განაგრძობს ალიანსის მხარდაჭერას, თუ სარგებელი იმავე დონეზე დარჩება ან შემცირებას იწყებს, ასეთ შემთხვევაში მხარდაჭერა ნაკლებად არის მოსალოდნელი. სხვა ქვეყნები ნატოში საკუთარ ინტერესებს გათვლიან შერჩევითი ინტერესებისა და ამერიკის ხელმძღვანელის სტატუსის მიხედვით. შესაბამისად, თუ წევრობის დანახარჯები გაიზრდება, მაშინ ისინი ეცდებიან, შეზღუდონ მათი როლი და კონტრიბუცია ალიანსში; თუმცა თუ წევრობა გახდება უფრო და უფრო მომგებიანი, მაშინ შენარჩუნდება ან გაიზრდება მათი კონტრიბუციაც.

ნეორეალიზმი არ ადგენს ზუსტ განმსაზღვრელს, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება ნატოს განვითარების განსჯა. არსებობს ბევრი რამ, რის განსაზღვრაც საკმაოდ რთულია. თუ განვიხილავთ მაგალითად ნატოს უკანსვლის ვარაუდს, ეს მოითხოვს მტკიცებულებების არსებობას რომ ნატოს სამხედრო უპირატესობა აღარ არის მიმართული საერთო მტრის წინააღმდეგ (სხვა სიტყვებით, ის აღარაფერს ახალანსებს). თუ ავიღებთ მეორე ვარაუდს, სახელმწიფოებისა და ხელმძღვანელის პოზიციის შესახებ, მაშინ აუცილებელი იქნება იმის ჩვენება, რომ ეროვნულმა ინტერესებმა გადაუხვიეს ნატოს ინტერესებიდან და კონკრეტულად ამერიკა ნატოსაგან სარგებელს ვეღარ იღებს. თუმცა, ეს ვარაუდი არ არის საკმარისი იმის დასამტკიცებლად, რომ ნატო დასასრულის, დაშლის პირას დგას, მაგრამ ეს ყველაფერი შესუსტების მიმართულებას აშკარად განსაზღვრავს. ამის საპირისპიროდ კი, თუ იარსებებს მტკიცებულებები, რომ გრძელდება ნატოს წევრების აქტიური ჩართულობა და ამერიკის ეფექტიანი ხელმძღვანელობა, მაშინ ეს ყველაფერი ნატოს მომავლის შესახებ უფრო მეტად პოზიტიურად განაწყობს მკვლევრებს.

### 1.1.2. ლიბერალური ინსტიტუციონალიზმი

რაც შეეხება ლიბერალურ ინსტიტუციონალისტებს, ისინი ეთანხმებიან ნეორეალისტებს იმაში, რომ საერთაშორისო სისტემაში მთავარი აქტორები სახელმწიფოები არიან, თუმცა მათგან განსხვავებით ამტკიცებენ, რომ ინსტიტუტები არ ემსახურებიან მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოთა ინტერესებს. სელესტე ვოლანდერი და სხვები ხაზგასმით აღნიშნავენ „ცივი ომის“ შემდგომ ახალი გამოწვევების გასამკლავებლად ალიანსის მიერ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯებს, მათ შორის ახალი ინსტრუმენტების შექმნას, რომელიც თანამედროვე საფრთხეებს უნდა გაუმკლავდეს (ვოლანდერი, 2000, გვ. 705-706). ესეც საინტერესოა კვლევის საგანთან მიმართებაში, ვინაიდან საქართველო, „ცივი ომის“ შემდგომ შექმნილ ამ ინსტრუმენტებთან<sup>2</sup> აქტიურად არის დაკავშირებული. ამასთან, საინტერესოა იმის განხილვა, როგორ ეხმარებიან ნატოს „ცივი ომის“ შემდგომ შექმნილი ინსტრუმენტები საქართველოს, გახდეს ალიანსის სრულყოფილი წევრი და რამდენად დიდია მათი გავლენა გაწევრიანების პროცესზე და შეუძლიათ თუ არა მათ, დაძლიონ სხვა დაბრკოლებები.

ლიბერალური ინსტიტუციონალიზმი (როგორც ზოგი მოიხსენებს, რაციონალური, ან ფუნქციონალური ინსტიტუციონალიზმი) ინსტიტუტების სარგებლიანობას სამი განსხვავებული გზით წარმოადგენს: პირველი, ის ეხმარება ქვეყნებს, დაძლიონ თანამშრომლობისათვის ისეთი ხელისშემშლელი პირობები, როგორც არის უნდობლობა, გაურკვეველი განზრახვები და მაღალი დანახარჯები. მეორე, ინსტიტუტები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს, რათა დაძლეული იქნას კოლექტიური მოქმედების ისეთი დილემები, როგორებიც არის უბილეთო მგზავრის პრობლემა, დეზერტირობა და მესამე, ინსტიტუტების მეშვეობით ხდება კოორდინირებული პოლიტიკის

---

<sup>2</sup> პარტნიორობა მშვიდობისათვის; ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭო და ა. შ.

პრაქტიკული საშუალებების მაქსიმალურად გამოყენება (მათ შორის ინფორმაციის გაცვლა) (ჰოლი და ტეილორი, 1996; კიოჰენი და მარტინი, 1995). როგორც ინსტიტუციონალისტები ამტკიცებენ, ყველაზე „ეგოისტი“ ქვეყნებიც კი დაინტერესებულნი არიან თანამშრომლობით, გამომდინარე იქიდან, რომ თანამშრომლობით არის შესაძლებელი სხვა შემთხვევაში მიუღწეველი მიზნების განხორციელება. (კიოჰენი, 2005).

ვოლანდერის (1999, გვ. 5) მოსაზრებით, „ინსტიტუტები იძლევა საშუალებას, გაკონტროლებული იქნას სხვების მოქმედებები და მოხდეს ყველასათვის მისაღები გადაწყვეტილების მიღება. ასევე, უსაფრთხოების რეალური ინტერესები და განზრახვები გახდეს უფრო მეტად გამჭვირვალე.“ რეალურად, უსაფრთხოების სფეროში ინსტიტუციონალიზებულ თანამშრომლობას შედეგად მოსდევს არა მტრულად განწყობილი ურთიერთობები. ნატოს შემთხვევაში, ათწლეულების განმავლობაში თანამშრომლობა ეფუძნება საერთო ინტერესებს. „ცივი ომის“ შემდგომ კი ნატომ წევრების ფუნქციები შეავსო ისეთი ინსტიტუტების (ინსტრუმენტების) შემუშავებით, რომელიც ხელს უწყობს წევრებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის განვითარებას. ახლადშექმნილი პროგრამები მიმართულია ინდივიდუალური ქვეყნების თავდაცვისა და უსაფრთხოების გაძლიერებაზე. (ვოლანდერი, 2000, გვ. 713-717).

ალიანსის წევრებს შორის ნატო მიჩნეული იყო როგორც მომგებიანი (სარგებლიანი) ორგანიზაცია და ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ცივი ომის შემდგომ მოხდა მისი შენარჩუნება არის, რომ აღნიშნული ალიანსის შენახვა უფრო იაფი დაჯდებოდა, ვიდრე სრულიად ახალი ინსტიტუციური შეთანხმებების ჩამოყალიბება. (მაკკალა, 1996, გვ. 462-463). გარდა ამისა, „ცივი ომის“ პერიოდში ნატო წევრი ქვეყნებისათვის უფრო მეტი იყო, ვიდრე – ალიანსი, ის გათანაბრებელი იყო „უსაფრთხოების მენეჯმენტის ინსტიტუტთან“ და ამის გამოც იყო ის, რომ „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, როდესაც აღარ არსებობდა საერთო საფრთხე (იგულისხმება საბჭოთა კავშირი), ალიანსი მაინც რელევანტური აღმოჩნდა ახალი

გარემოსათვის და „პოსტ-ცივი ომის“ ეპოქაშიც მომგებიანია წვერი ქვეყნებისათვის სხვადასხვა რისკებისა თუ საფრთხეების გასამკლავებლად. (ვოლანდერი და კოპენი, 1999).

ამ შემთხვევაში, როდესაც საუბარია ნატოზე, მთავარ ცვლადად მოიაზრება ინსტიტუციონალიზაცია. ლიბერალური ინსტიტუციონალიზაციისთვის აღნიშნული მოიცავს, როგორც ფორმალური ორგანიზაციების არსებობას, რომელსაც აქვს სპეციალური დანიშნულება, ასევე ფორმალური და არაფორმალური წესების ჩამოყალიბებას, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა იქნას გადაწყვეტილება მიღებული, როგორ უნდა იქნას განაწილებული ვალდებულებები და რა ფუნქციები უნდა შეასრულოს თითოეულმა წევრმა. (ვოლტი, 1997, გვ. 166; ვოლანდერი და კოპენი, გვ. 24). გამომდინარე აქედან, შესაძლოა საუბარი იმაზე, რომ არსებობს პირდაპირი კავშირი ნატოს განვითარებასა და ინსტიტუციონალიზაციის დონესა და ტიპებს შორის.

ამ დაკვირვებიდან გამომდინარე, გათვალისწინებული უნდა იქნას ასევე ორი ფაქტორი: პირველი, ალიანსის ინსტიტუციონალიზაცია არის ცვლადი და ის იცვლება. ზოგიერთი ფუნქციონალური სფერო (მაგალითად, ისეთი როგორც არის ერთიანი სამხედრო დაგეგმვა) უკავშირდება კარგად ჩამოყალიბებულ პროცედურებსა და სტრუქტურებს, ზოგიერთ მათგანზე (მაგალითად, საპარტნიორო ინიციატივები) კი შედარებით ნაკლები ძალისხმევაა გაწეული. მეორე შეეხება მიზეზობრიობას, ნატოს შიგნით უბრალოდ ინსტიტუტების არსებობა არ არის საკმარისი ნატოს განვითარების ახსნისათვის. ინსტიტუტებს შესაძლოა, არ ჰქონდეს ფუნქციონალური ღირებულება, არამედ – მხოლოდ სიმბოლური დატვირთვა, მას შეიძლება ჰქონდეს ძალიან მცირე გავლენა, ან საერთოდ არ ჰქონდეს იგი. ამის საპირისპიროდ ფუნქციონალური ღირებულების მქონე ინსტიტუტები გამოირჩევიან გავლენითა და შესაბამისად ეფექტიანობით. აქედან გამომდინარე, ინსტიტუციონალიზაცია განხილული უნდა იქნას ეფექტიანობასთან ერთად. ამ შემთხვევაში იანგი (1992) გამოყოფს სამ ძირითად

განმსაზღვრელს: იმპლემენტაციას, თანხმობას (compliance) და გამძლეობას. ინსტიტუტი ითვლება ეფექტიანად, თუ მას ძალუძს სხვადასხვა პრობლემებს აღუდგეს წინ და განახორციელოს რელევანტური პოლიტიკა; უზრუნველყოს თანხმობა შესაფერის წევრებს შორის ინსტიტუტის უმთავრეს დადგენილებებთან და წესებთან მიმართებით და ასევე, უზრუნველყოს ცვალებად გარემოში ინსტიტუტის გადარჩენა.

ნატოს კონტექსტში compliance-ის განსაკუთრებული ფენომენი მოითხოვს უფრო ვრცელ ახსნას – ამ შემთხვევაში compliance-ის პროცესს ორი გამორჩეული მახასიათებელი მოეპოვება, ეს არ უნდა იყოს ძალდატანებითი, compliance არ უნდა მოქმედებდეს დასჯის შიშითან გამომდინარე და ის არ უნდა გულისხმობდეს სანქციების დაწესებას; ნატოს წევრ ქვეყნებს შეუძლიათ შეეწინააღმდეგონ და არ დაეთანხმონ გარკვეულ პოლიტიკას.

რაციონალური პირადი ინტერესისა და ვოლუნტარიზმის კომბინაციიდან გამომდინარე, შესაძლოა ვინმემ ივარაუდოს, რომ compliance-ის ნატოს შემთხვევაში არასაკმარისი იქნება. ჰერდის (1999, გვ. 387) თანახმად, ამ შემთხვევაში compliance გადამდებია, გამომდინარე იქიდან, რომ ინსტიტუციური ლოიალობა უფრო მეტად უწყობს ხელს სარგებლის (მოგების) გაზრდას და შესაძლოა, წევრი ქვეყნები დიდად არ არიან დაინტერესებული თავად ურთიერთობით, თუმცა ისინი ნამდვილად არიან დაინტერესებულნი ამ კავშირიდან მიღებული სარგებელით. როგორც ვებერი აღნიშნავს, compliance რეალურად არის მოსალოდნელი გრძელვადიან პერიოდში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ვითარება (non-compliance შეუთანხმებლობა) საზიანო იქნება თავად იმ ინსტიტუტის სანდოობისათვის, რეპუტაციისათვის, საიდანაც ქვეყნები სარგებელს იღებენ და თუ რამდენჯერმე მოხდა ეს (non-compliance) შემთხვევა, შესაძლოა, ამან გამოიწვიოს მთელი ციკლი, რაც საბოლოოდ მხოლოდ საზიანო თუ აღმოჩნდება მათთვის. (კიოჰენი, 2005, გვ 98-106). ამასთან, ამ ტიპის ინსტიტუციური ეფექტების შესუსტება შესაძლოა, მოხდეს დროთა განმავლობაში იმ შემთხვევაში, თუ წევრი ქვეყნები აღმოაჩენენ, რომ მათ



მიერ მიღებული სარგებელი უფრო და უფრო მცირდება, როდესაც სახელმწიფოთა ქცევა აღარ ემთხვევა ერთმანეთისას და როდესაც კონკრეტული ინსტიტუტის გარეთ ალტერნატიული მოქმედების წარმოება ხდება შესაძლებელი და განხორციელებადი.

ამასთან, compliance-ის ფუნქციონირება დაკავშირებულია რიცხვებთან (რაოდენობასთან) (ინსტიტუტის შიგნით, რაც უფრო მეტი ქვეყანაა ჩართული და რაც მეტია განსახილველ საკითხთა რაოდენობა non-compliance-ის რისკი იზრდება) და სიცხადესთან (რაც უფრო ნაკლებ პროგნოზირებადია ინსტიტუტის შიგნით განსახილველი საკითხები, მით უფრო გაურკვეველი ხდება ის სარგებელი, რომელიც მოაქვს თანამშრომლობას) (კორემენოსი, ლიპსონი და სნიდალი, 2004, გვ. 21-39). ამ პრობლემების გამკლავება შესაძლებელია ინსტიტუციური ინოვაციების კუთხით (მაგალითად, გადაწყვეტილების მიღების უფრო მოქნილი პროცედურების შემოღება, მოქმედებების დაგეგმვა უფრო ერთიანი გზებით და ა. შ.) და ამ შემთხვევაშიც კვლავ ხდება ინსტიტუციონალიზაციის საკითხთან მიბრუნება.

ამრიგად, ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შესაძლოა ორ ვარაუდზე საუბარი:

ეფექტიანობა – არაერთ და ახალ უსაფრთხოების გამოწვევებზე – ნატოს შეხვედრების შესაძლებლობა ზრდის ნატოს, როგორც ეფექტიანი აქტორის შენარჩუნების შესაძლებლობას და ასევე ზრდის ინსტიტუციურ ადაპტაციას, ისევე როგორც იზრდება უფრო იოლად ცვლადი ინსტიტუციური საშუალებების განვითარების შესაძლებლობა.

Compliance – ინსტიტუციური ადაპტაცია ამცირებს non-compliance-ის შესაძლებლობას, რომელიც არის შედეგი ნატოს უფრო და უფრო კომპლექსური დღის წესრიგისა და ალიანსის წევრების რაოდენობის ზრდისა.

რეალურ პირობებში ამ პროცესებმა შესაძლოა ერთმანეთი დააბალანსონ – ეფექტური ინსტიტუციონალიზაცია მაგალითად ხელს უწყობს non-

compliance-ის (შეუთანხმებლობის) თავიდან აცილებას, ასევე აძლიერებს ალიანსის ეფექტიანობასაც. და საპირისპიროდ, under-institutionalized (არაეფექტიანი ინსტიტუციონალიზაციის მქონე) ნატო ვერ გაუმკლავდება non-compliance-ის გამოწვევას, რაც გამოიწვევს ალიანსის ეფექტიანობის განადგურებას.

ეს ორივე ვარაუდი კი უფრო ფართოდ წამოადგენს ნატოს განვითარების მსაზღვრელს. პირველ მათგანის ჭრილში თუ განვიხილავთ ნატოს, სადაც ინსტიტუციები არ არის სათანადოდ განვითარებული და ალიანსი ვერ უმკლავდება მაგალითად, უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევებს, მაშინ ნატოს უკუსვლა იქნება მოსალოდნელი. ამის საპირისპიროდ კი, თუ ალიანსში ხდება ინსტიტუციური ადაპტაცია, მოქნილობის ზრდა, მაშინ გრძელვადიან პერიოდში მოსალოდნელია ალიანსის შენარჩუნება და მისი უკეთ ფუნქციონირება.

რაც შეეხება მეორე ვარაუდს, თუ ნატო ვერ უმკლავდება compliance-ის პრობლემას და ხდება მისი უფრო და უფრო გაუარესება და განსაკუთრებით, თუ ამ ინციდენტებში მონაწილეობენ წამყვანი ქვეყნები, მაშინ ალიანსის დასუსტების ნიშნები აშკარა იქნება. ალიანსის უნარი კი, წინ აღუდგეს non-compliance-ის გამოწვევას და მინიმუმამდე დაიყვანოს ნეგატიური შედეგები, ნატოს მდგრადობასა და სიმყარეზე მიანიშნებს; non-compliance-ის მცირე მაჩვენებელი, ბუნებრივია, ალიანსის შიგნით სიჯანსაღის მანიშნებელია.

## 1.2. ნატოს გაფართოება და რუსეთის საგარეო პოლიტიკა

### გეოპოლიტიკის ჭრილში

მკვლევართა გარკვეული ნაწილი რუსეთის საგარეო პოლიტიკის დასახასიათებლად და ასახსნელად ყველა მიდგომას შორის უპირატესობას გეოპოლიტიკის პარადიგმას ანიჭებს. მათი აზრით, (მარკლუნდი, 2014)

საჭიროა იმის აღიარება, რომ „გეოპოლიტიკა კვლავ აქტუალურია“, განსაკუთრებით როდესაც საჭიროა პოსტ-საბჭოთა სივრცის ანალიზი და საქმე ეხება რუსეთთან დაკავშირებულ მოქმედებებს, სადაც ათწლეულების განმავლობაში ოფიციალური უარყოფის შემდეგ, კვლავ აღიარებენ რომ „გეოპოლიტიკა დაბრუნდა, თან დიდი დოზით.“ (ციგანკოვი, 2003, გვ. 101-127).

*რა არის გეოპოლიტიკა* – გეოპოლიტიკის არაერთი განსაზღვრება არსებობს. როდესაც საუბარია საგარეო პოლიტიკის ანალიზზე, კლასიკური გეოპოლიტიკის განმარტება გულისხმობს გეოგრაფიული მახასიათებლების გავლენას ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე. აღნიშნული მახასიათებლები საკმაოდ ბევრია და შესაძლოა გულისხმობდეს ქვეყნის ზომას, სივრცეს, რელიეფს, მდებარეობასა და კლიმატს, რუკაზე განლაგებას სხვა ქვეყნებთან მიმართებაში, სტრატეგიული მნიშვნელობის არეალსა და ბუნებრივ რესურსებზე წვდომას, დემოგრაფიასა და ყველა იმ ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს საგარეო პოლიტიკაზე და წარმოადგენს კონფლიქტისა და თანამშრომლობის წყაროს.

რეალიზმის მსგავსად, კლასიკურ გეოპოლიტიკას მოეპოვება ძლიერი სივრცობრივი მახასიათებელი. რეალისტები (როგორც თავდაცვითი, ასევე თავდასხმითი) სასურველ ძალთა ბალანსისა და უსაფრთხოების გარანტიების მისაღებად ძირითადად საუბრობენ ძალის მანიპულაციისა და თავმოყრის საკითხზე. გეოპოლიტიკური ანალიზი, თავის მხრივ, განიხილავს ძალთა ბალანსის კონფიგურაციას, ცენტრისა და პერიფერიის სივრცით და ადგილობრივ ელემენტს, სტრატეგიულ რეგიონალურ განლაგებას, პან რეგიონებს, წამყვან ქვეყნებს, ბუფერულ ზონებს, პრიორიტეტულ ინტერესთა ზონებს.

რაც შეეხება კრიტიკულ გეოპოლიტიკას – მისი ძირითადი მახასიათებელია ის, რომ არ განიხილავს არც სივრცესა და არც ლოკაციას მუდმივ მდგომარეობაში და ამ მიდგომის თანახმად, პირიქით, ორივე მათგანი წარმოადგენს პროდუქტს (შედეგს) დროისა და ადამიანების სუბიექტური

ინტერპრეტაციებისა. როგორც თოლი და აგნიუ (1992) აღნიშნავენ, „გეოპოლიტიკა წარმოადგენს დისკურსიულ პრაქტიკას, რითაც სახელმწიფო მოღვაწეები ახდენენ საერთაშორისო პოლიტიკის „განზოგადებას“ და წარმოადგენენ მას როგორც “მსოფლიოს, რომელიც ხასიათდება განსხვავებული ტიპის ადგილებით, ხალხითა და დრამებით.“ აღნიშნული მიდგომის თანახმად, ტერიტორიასა და საზღვრებს მეტად დიდი გავლენა აქვს საერთაშორისო ურთიერთობებზე (მეცნიერებისათვის, ხალხისა თუ სახელმწიფო მოხელეთათვის მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე).

მორიგენი და ვიველი (2012) აღნიშნავენ, რომ რუსეთი, განსაკუთრებით 2007 წლიდან, ცდილობს წინ აღუდგეს კავკასიაში ამერიკის პოლიტიკური პროექტის განხორციელებას, რაც წარმოადგენს საქართველოს ნატოში ინტეგრაციას. ავტორები გულისხმობენ 2008 წლის ომს და მის შედეგებს. რუსეთის მცდელობა კი საკუთარი გავლენის სფეროების აღდგენისა, როგორც თავად უწოდებს „ახლო აღმოსავლეთში“, წარმოადგენს რუსეთის დაუოკებელ სურვილს, მოხდეს რუსეთთან დაკავშირებული გეოპოლიტიკური საზღვრების რეკონსტრუქცია და დასავლეთის საზღვრების უკან დახევა, რაც წარმოადგენს რუსეთის საგარეო პოლიტიკის წარმმართველ ძალას.

როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, კონტინენტური ქვეყნებისათვის, განსაკუთრებით კი რუსეთისათვის, გეოგრაფიული სივრცე და გეოპოლიტიკური სინამდვილე პოლიტიკის განხორციელების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მოიაზრება და გადაფარავს კიდევ სხვა ფაქტორებს.

კოროლიოვი (2015) მიიჩნევს, რომ რუსეთის, არცთუ ისე რთული გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, მისი უნარი საკუთარი ძალების მობილიზებისა მეზობელი ქვეყნების ტერიტორიებთან იმაზე დიდია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს და მას მაგალითად მოჰყავს ყირიმის ანექსიისა და საქართველოსთან ომის შემთხვევები. რუსეთის კონტინენტური მდებარეობის სტრუქტურა და რესურსები აძლევს ამ ქვეყანას

შესაძლებლობას, იოლად ჩაერიოს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების პოლიტიკურ გეგმებში და, თუ საჭირო გახდა, ძალაც გამოიყენოს მისი მეზობლების საზღვრების შესაცვლელად. ამ ყველაფრისათვის წინააღმდეგობის გაწევა კი იოლი რომ არ არის, აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტიც აღნიშნავდა. რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ ჰააგაში ბირთვული უსაფრთხოების სამიტის ფარგლებში გამართულ პრესკონფერენციის ფარგლებში გაკეთებულ განცხადებაში ბარაკ ობამა აღნიშნავდა, რომ უმთავრესად საერთაშორისო საზოგადოება, მართალია, არ აღიარებს ყირიმის ანექსიას „თუმცა, იმის მტკიცება, რომ ყირიმში განვითარებულ მოვლენების მოგვარება იოლი საქმე იქნება, სიცრუეა.“ (2014) როგორც კოროლიოვი მიიჩნევს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ჩატარებული ოპერაციების მსგავსად, რითაც შეიძლება ითქვას, რომ რუსეთმა საქართველოს ნატოს წევრობის პერსპექტივა დღის წესრიგიდან ამოშალა, ყირიმში განვითარებულმა მოვლენებმა უკრაინის ნატოში გაწევრიანება გაურკვეველი ვადით გადაწია. პოსტ-საბჭოთა სივრცეში კი არაერთი „გაყინული კონფლიქტი“ არსებობს, რომლის გამოყენებაც რუსეთს წარმატებით შეუძლია.

კოროლიოვის (2015) მოსაზრებით, დასავლელი პოლიტიკოსების მიერ აღმოსავლეთით, რუსეთის ყოფილი იმპერიასთან დაკავშირებით მათ დღის წესრიგში გეოპოლიტიკის რეალობის უარყოფა, შესაძლოა, მათ ძვირი დაუჯდეთ და შედეგად რუსეთმა ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე რუკა შეცვალოს. ამასთან, ავტორი მიიჩნევს, რომ რუსეთისათვის ყოფილი პოსტ-საბჭოთა სივრცე ხასიათდება მთელ რიგ სოციალურ, კულტურულ, ისტორიულ და იდენტურ კავშირებთან, რომლებიც ასევე უნდა იქნას გათვალისწინებული. მისივე აზრით, გეოპოლიტიკის ეს განზომილებები მოკლევადიან პერიოდში შესაძლოა, ნაკლებად წარმოჩნდეს, თუმცა გრძელვადიან პერიოდში შესაძლებელია მათი უფრო და უფრო გაძლიერება.

კარგად არის ცნობილი, რომ ბოლო პერიოდში ნატოს გაფართოება რუსეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის უთანხმოების საგანს წარმოადგენს. გეოპოლიტიკის ჭრილში ეს გეოპოლიტიკური ფენომენი უკავშირდება

რუსეთის ეკონომიკურ აღორძინებას, რამაც კრემლს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების სტრატეგიულად განხილვის საშუალება მისცა. ავტორის აზრით, რუსეთ-საქართველოს ომი წამოადგენს კარგ მაგალითს იმისას, თუ როგორი გავლენა აქვს გეოპოლიტიკას ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციაზე. ამ კონფლიქტის მთავარი მიზეზი საქართველოსა და ნატოს ურთიერთობაში (დაახლოებაში) ძვეს.

როგორც უოლკერი (2015) აღნიშნავს, 2008 წლის ბუქარესტის სამიტის შემდეგ კრემლის მაღალჩინოსნებმა აქტიურად დაიწყეს იმის მტკიცება, რომ საქართველო და უკრაინა ნატოს წევრები მალე გახდებოდნენ. აგვისტოს ომამდე რუსეთის ეკონომიკა უკვე რვაწლიან ზრდას ითვლიდა, რამაც სერიოზული საფუძველი შეუქმნა პოლიტიკურ ისტებლიშმენტს, რათა თანამედროვე გეოპოლიტიკურ შეჯიბრში ძლიერად დაბრუნების შესახებ გააკეთებინა განაცხადი. ამასთან, რუსეთის ოფიციალურმა პირებმა უკვე ღიად დაიწყეს განცხადებების გაკეთება სამეზობლოში მათ სტრატეგიულ გეოპოლიტიკურ ინტერესებთან დაკავშირებით.

ჰილენი და ნუნანი (1998) მიიჩნევენ, რომ ნატომ ნებისმიერი გაფართოების დროს უნდა გაითვალისწინოს გეოპოლიტიკური საფუძვლები, რათა ალიანსის ეფექტიანობა იქნეს შენარჩუნებული. მათი აზრით, რეალურად, ნებისმიერი ევროატლანტიკური ინტეგრაცია კავშირშია გეოპოლიტიკასთან და აღნიშნულის უგულვებელყოფა გადაწყვეტილების მიმღებთა მხრიდან შეუძლებელია. როგორც რუსეთისა და ნატოს ურთიერთობის კონტექსტში ამერიკის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ხელმძღვანელმა (კიმბალა, 2013) აღნიშნა, „ნატოს გაფართოების გეოპოლიტიკური მიდგომა რუსეთთან კონსტრუქციულ ურთიერთობას გააიოლებს,“ ვინაიდან ძლიერი ნატო შეძლებს, ხელი შეუშალოს რუსეთს დესტრუქციული ქმედებების გზით სვლაში. ამასთან, უდავოა ისიც, რომ გეოპოლიტიკა ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის ცენტრშია მოთავსებულია და განსაზღვრავს მას არაერთი მიმართულებით.

## თავი 2. საქართველო-ნატოს დაახლოების დინამიკა

### 2.1. საქართველო-ნატოსთან დაახლოების ქრონოლოგია

საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან დაახლოების პროცესი სათავეს იღებს ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე – 90-იანი წლების დასაწყისშივე საქართველო გახდა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს წევრი. საწყის ეტაპზე ქვეყანას სამხედრო ალიანსთან დაახლოების გზაზე სერიოზული და გადაულახავი დაბრკოლებები არ შექმნია, თუმცა ეს ვითარება ნელ-ნელა იცვლება 90-იანი წლების ბოლოდან. საქართველო-ნატოს დაახლოების ქრონოლოგია შემდეგნაირად გამოიყურება<sup>3</sup>:

- 1992 წელს საქართველო გახდა ჩრდილო-ატლანტიკური საბჭოს წევრი (NACC – North Atlantic Cooperation Council);
- 1994 წელს საქართველო შეუერთდა ნატოს პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ (PfP-Partnership for Peace);
- 1995 წელს საქართველო შეუერთდა შეთანხმებას „ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების წევრ ქვეყნებს და „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში მონაწილე ქვეყნებს შორის მათი შეიარაღებული ძალების სტატუსის შესახებ“ – (SOFA-Status of Forces Agreement);
- 1996 წელს საქართველომ შეიმუშავა და წარადგინა ნატოში პირველი ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამა (IPP-Individual Partnership Programme”);
- 1997 წელს საქართველო გახდა ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს (EAPC-Euro-Atlantic Partnership Council) ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრი.

---

<sup>3</sup> იხ. ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ვებგვერდი. <http://www.eu-nato.gov.ge/ge/nato/relations/summits> უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 03.05.2017.

- 1998 წელს გაიხსნა საქართველოს დიპლომატიური მისია ნატოსთან;
- 1999 წელს საქართველომ პირველად მიიღო მონაწილეობა კოსოვოში ნატოს სამშვიდობო ოპერაციაში.
- 2001 წელს საქართველოში (ფოთში) ჩატარდა ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების ერთობლივი ფართომასშტაბიანი მრავალეროვნული სამხედრო წვრთნები „კოოპერატივ პარტნერ-2001“ (CO-OPERATIVE PARTNER-2001);
- 2002 წელს ქ. პრაღაში გამართულ ნატოს სამიტზე საქართველოს პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება ნატოში გაწევრიანებისკენ სწრაფვის შესახებ და სურვილი გამოთქვა ახალ პროგრამაში – „ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმაში“ – მონაწილეობის მიღების თაობაზე.
- 2002 წლის ბოლოს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭომ დაამტკიცა „საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამა.“
- 2003 წელს საქართველოს პრეზიდენტის #235 ბრძანებულების შესაბამისად შეიქმნა ევროატლანტიკური ინტეგრაციის ეროვნული საკოორდინაციო საბჭო, რომელსაც თავმჯდომარეობდა პრეზიდენტი.
- 2004 წელს საქართველო გახდა პირველი პარტნიორი ქვეყანა, რომელთანაც ნატომ ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP-Individual Partnership Action Plan) ფორმატში თანამშრომლობა დაიწყო;
- 2004 წლიდან საქართველო ჩაერთო ავღანეთში ნატოს საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების ოპერაციაში (ISAF-International Security Assistance Force);
- 2005 წლიდან საქართველოში მოვლენილი იქნა ნატოს მეკავშირე ოფიცერი სამხრეთ კავკასიაში.



- 2006 წელს ნიუ იორკში გაიმართა ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრთა არაფორმალური შეხვედრა, სადაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება სხვადასხვა თემატურ საკითხებზე საქართველოსთან ინტენსიური დიალოგის (ID – Intensified Dialogue on Membership Issues) დაწყების შესახებ;
- 2007 წელს საქართველოში გაიმართა NATO/PfP საჰაერო წვრთნები „Cooperative Archer 2007“;
- **2008 წლის ბუქარესტის სამიტზე ალიანსმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც საქართველო ნატოს წევრი ქვეყანა გახდება;**
- 2008 წლის 19 აგვისტოს ნატოს შტაბ-ბინაში გაიმართა ალიანსის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების სპეციალური სხდომა საქართველოში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით;
- 2008 წლის სექტემბერში საქართველოს პირველად ეწვია ჩრდილო-ატლანტიკური საბჭო ნატოს გენერალური მდივნის ხელმძღვანელობით;
- 2008 წლის სექტემბერში ნატომ და საქართველომ დააფუძნეს ნატო-საქართველოს კომისია.
- 2008 წლის დეკემბერში ალიანსის წევრი საგარეო საქმეთა მინისტრები შეთანხმდნენ, რომ საქართველო შეიმუშავებს წლიურ ეროვნულ პროგრამას (ANP);
- 2009 წლის ნოემბერში ავღანეთში ნატოს სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად ფრანგული სარდლობის დაქვემდებარებაში გაიგზავნა ერთი სახმელეთო ასეული;
- 2010 წლის 1 ოქტომბერს საქართველოში ნატოს სამოკავშირეო ოფისი გაიხსნა;
- 2010 წელს ლისაბონში გამართულ სამიტზე მიღებულ დეკლარაციაში განმეორდა და განმტკიცდა ნატოს ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი.

- 2011 წლის დეკემბერში ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრიალის ფარგლებში ალიანსის წევრების მიერ შემუშავებულ იქნა კომუნიკე, რომელშიც საქართველო იუგოსლავიის ყოფილ რესპუბლიკასთან, მაკედონიასთან, მონტენეგროსა და ბოსნია-ჰერცეგოვინასთან ერთად არის მოხსენიებული, როგორც ნატოს პარტნიორი ასპირანტი ქვეყანა<sup>4</sup>;
- 2012 წლის ოქტომბერში საქართველოს წვლილი ISAF-ის მისიაში გაორმაგდა, რის შემდეგაც საქართველო გახდა ერთ-ერთი უდიდესი კონტრიბუტორი ნატოს არაწევრ ქვეყნებს შორის;
- 2013 წლიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტრო შეუერთდა ნატოს შეკავშირებული ძალების ინიციატივას (CFI-Connected Forces Initiative) ნატოსთან თავსებადობის ამალღების მიზნით;
- 2014 წლის ნატოს უელსის სამიტის ფარგლებში საქართველომ მიიღო ნატო-საქართველოს არსებით ღონისძიებათა პაკეტი და გაწევრიანდა გაძლიერებული შესაძლებლობების პარტნიორების ჯგუფში; ასევე საქართველო ჩაერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების შესაძლებლობების ზრდის ინიციატივაში;
- 2015 წლიდან საქართველო განაგრძობს ნატოს ავღანეთის ოპერაციაში „გადამწყვეტი მხარდაჭერის“ მისიაში მონაწილეობას და ასევე, მიმდინარე წლიდან ჩართულია ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში;
- 2015 წლის დეკემბერში ბრიუსელში ნატოს შტაბ-ბინაში გამართული საგარეო საქმეთა მინისტრიალის შედეგად მიღებულ დოკუმენტში ალიანსის წევრების მიერ პირველად მოხდა იმის დადასტურება, რომ საქართველოს მოეპოვება ყველა პრაქტიკული მექანიზმი ნატოს წევრობისათვის მოსამზადებლად;

---

<sup>4</sup> აღსანიშნავია, რომ ამ ოთხი ასპირანტი ქვეყნიდან – მონტენეგრო და ჩრდილოეთ მაკედონია – რამდენიმე წელიწადში უკვე შეუერთდნენ ალიანსის რიგებს.

- 2016 წელს ვარშავაში ნატოს სამიტის ფარგლებში პირველად ჩატარდა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე და მიღებული იქნა კომისიის ერთობლივი გადაწყვეტილება, რომელშიც მოკავშირეებმა კვლავ დაადასტურეს ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი ქვეყანა. აღნიშნულ სამიტზე გაძლიერდა „არსებითი პაკეტი“ და მიღებულ იქნა ახალი ინიციატივები;
- 2016 წლის სექტემბერში საქართველოში ნატოს გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის ხელმძღვანელობით ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მეოთხე ვიზიტი გაიმართა. საბჭომ კვლავ დაადასტურა, რომ ქვეყანას აქვს ყველა პრაქტიკული მექანიზმი ალიანსში გაწევრიანებისათვის მოსამზადებლად.

## 2.2. ნატო-საქართველოს პარტნიორობის მექანიზმები

„ცივი ომის“ დასრულებისთანავე ჩრდილოატლანტიკური ალიანსი არაწევრ სახელმწიფოებს (თავდაპირველად აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებს, მოგვიანებით კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებიც მიუერთდნენ) მეგობრობის ხელს უწვდის. სწორედ ამ მიზნით 1991 წელს ალიანსი მის ახალ პარტნიორებთან უსაფრთხოების დიალოგის გაძლიერებისათვის აყალიბებს ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს (NACC), რომელიც 1997 წელს ჩაანაცვლა ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭომ (EAPC).

ევროატლანტიკური პარტნიორობა ორ უმთავრეს მექანიზმზეა დაფუძნებული<sup>5</sup>: პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ (PFP) და

---

<sup>5</sup> იხ. ნატოს ოფიციალური ვებგვერდი: [http://www.nato.int/cps/en/natohq/topics\\_67979.htm?selectedLocale=en](http://www.nato.int/cps/en/natohq/topics_67979.htm?selectedLocale=en) უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 7.02.2017.

ევროატლანტიკური პატრიორობის საბჭო, რომელიც ამ ეტაპზე აერთიანებს სულ 50 წევრ და არაწევრ ქვეყანას. (28 ალიანსის წევრი, 22 პარტნიორი).

ამასთან, აღსანიშნავია ის სამი ძირითადი პრიორიტეტი, რომელიც ალიანსი ხელმძღვანელობს პარტნიორებთან ურთიერთობისას: დიალოგი და კონსულტაციები; შესაძლებლობების მშენებლობა და თავსებადობის გაძლიერება; რეფორმების მხარდაჭერა. ნატო ყოველ მორიგ სამიტზე სხვადასხვა ზომებს იღებს ალიანსის მოკავშირეებსა და პარტნიორებს შორის თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებისათვის, რომელიც თანამედროვე გამოწვევებს უნდა გაუმკლავდეს,

ცხადია, ნატოს პარტნიორობა უშუალოდ არ გულისხმობს და არ წარმოადგენს ალიანსში გაწევრიანების გარანტს, თუმცა აღსანიშნავია რომ 1999 წელს ნატოს წევრი გახდა სამი პარტნიორი ქვეყანა: ჩეხეთი, უნგრეთი და პოლონეთი; 2004 წელს კი ალიანსის რიგებს კიდევ შვიდი პარტნიორი ქვეყანა უერთდება: ბულგარეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა, რუმინეთი, სლოვენია და სლოვაკეთი.

ნატო-საქართველოს ურთიერთობები ინტენსიური ხასიათს სწორედ 1994 წელს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში გაწევრიანების შემდგომ იძენს<sup>6</sup>. ორი წლის შემდეგ ქვეყანა უკვე მონაწილეობას იღებს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სწავლებებსა და წვრთნებში. საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარების მიზნით 1999 წლიდან საქართველო მონაწილეობს პარტნიორობა მშვიდობისათვის დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესში (PARP). 2008 წელს კი საქართველოსთან ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების მიზნით, 2004 წელს შექმნილი ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა

---

<sup>6</sup> იხ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი. <https://www.mod.gov.ge/p/NATO-Georgia-partnership> ოფიციალურად იქნა გადამოწმებული – 10.02.2017.

(IPAP) ჩაანაცვლა ყოველწლიურმა ეროვნულმა პროგრამამ (ANP). აღნიშნული მექანიზმი ხელს უწყობს საქართველოს ნატოსთან თავსებადობის ზრდას. ორ წელიწადში კი ალიანსი საქართველოსთან თანამშრომლობის ახალ ინსტრუმენტს იღებს – ნატო-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის სამუშაო გეგმა (MC+GEO Work Plan).

2014 წელს ნატოს უელსის სამიტზე საქართველო ასპირანტ ქვეყნებს შორის ყველაზე თავსებად პარტნიორად იქნა მოხსენიებული. ამავე სამიტზე მიღებული ნატო-საქართველოს არსებით ღონისძიებათა პაკეტი კი წარმოადგენს ღონისძიებათა იმ მექანიზმს, რომლის მიხედვითაც, ნატო კიდევ უფრო მეტად იქნება წარმოდგენილი ქვეყანაში, საქართველო კი უფრო მიუახლოვდება ნატოში გაწევრიანების მიზანს. აღნიშნული პაკეტი<sup>7</sup> ითვალისწინებს ისეთი უმნიშვნელოვანესი პროექტების განხორციელებას, როგორებიც არის: ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი (JTEC); თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა (DIB); ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარება; სტრატეგიული და ოპერატიული დაგეგმვა; სტრატეგიული კომუნიკაციები.

### 2.3. ნატოს პროგრამები

პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ გარდა, საქართველო ნატოსთან რამდენიმე მნიშვნელოვანი პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობს, ესენია: თავდაცვის განათლების განვითარების პროგრამა (DEEP), ნატოს გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების ინიციატივა (Building Integrity (BI) Initiative), პროფესიული განვითარების პროგრამა (PDP). საქართველო ასევე თანამშრომლობს ნატოს უზრუნველყოფის სააგენტოსთან (NSPA) და მონაწილეობს ნატოს პროგრამა „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის“ (SPS).

---

<sup>7</sup> იხ. ნატოს ოფიციალური ვებგვერდი [http://nato.int/nato\\_static\\_fl2014/assets/pdf/pdf\\_2016\\_06/20160614\\_1606-georgia-sngp-factsheet-ge.pdf](http://nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_2016_06/20160614_1606-georgia-sngp-factsheet-ge.pdf) უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 11.02.2017.

თავდაცვის განათლების განვითარების პროგრამის (DEEP)<sup>8</sup> უმთავრესი მიზანია ქვეყნის თავდაცვის სფეროს სხვადასხვა მიმართულებით განვითარება. სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა სწავლება, კურსი, მობილური საწვრთნელი ჯგუფების ვიზიტები და სემინარები. თავდაცვის განათლების განვითარების პროგრამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის განვითარება. 2010 წელს კი საჩხერის სამთო მომზადების სკოლას მიენიჭა „ნატო/პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის სამთო მომზადებისა და განათლების ცენტრის სტატუსი, რომელიც ალიანსის წევრ და სხვა პარტნიორ ქვეყნებს სთავაზობს სასწავლო კურსებსა და წვრთნას.

ნატოს გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების ინიციატივაში (Building Integrity (BI) Initiative) საქართველო აქტიურად მონაწილეობს და ჩართულია სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებასა და საწვრთნელ პროგრამაში, ამასთან საკუთარ გამოცდილებას სხვა ქვეყნებსაც უზიარებს.

2013 წელს ქვეყნა ერთვება BI პროგრამაში, რომლის მიზანიც არის თავდაცვის სექტორში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ამაღლება და კორუფციის რისკების შეფასება. აღსანიშნავია, რომ ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამის თვითშეფასების ექსპერტთა საბჭოს ანგარიშზე დაყრდნობით, თავდაცვის სამინისტრომ ასევე შეიმუშავა და დაამტკიცა „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კეთილსინდისიერების ამაღლების სამოქმედო გეგმა 2014-2015.“

საქართველო ნატოს უზრუნველყოფის სააგენტოსთან (NSPA) 2002 წლიდან თანამშრომლობს. სწორედ ამ სააგენტოსთან თანამშრომლობის

---

<sup>8</sup> იხ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი <https://www.mod.gov.ge/p/NATO-Georgia-partnership> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 10.02.2017.

ფარგლებში განხორციელდა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ნდობის ფონდის რამდენიმე პროექტი. აღნიშნული ნდობის ფონდის პროექტებმა ხელი შეუწევს დასაწყობებული ჭარბი და მოძველებული იარაღითა, თუ საბრძოლო მასალებით წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებას და მათ უსაფრთხო განადგურებას. მაგალითად, ნდობის ფონდის პროექტი „საქართველო IV“, რომელსაც ჩეხეთის რესპუბლიკა და ლიეტუვა უძღვებიან, მიზნად ისახავდა სოფელ სკრაში მდებარე საბრძოლო მასალების საწყობის აუფეთქებელი ნაღმებისა და საბრძოლო მასალისაგან გასუფთავებას.

2012 წელს კი საქართველო მიუერთდა ნატოს „გონივრული თავდაცვის“ ინიციატივას, რომლის ფარგლებშიც ქვეყანა რამდენიმე საერთაშორისო პროექტში იღებს მონაწილეობას.

ნატოს პროგრამა „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის“ (SPS), რომელშიც საქართველო 1994 წლიდან ერთვება, წამოადგენს დიალოგისა და თანამშრომლობის მექანიზმს ნატოსა და მის პარტნიორ ქვეყნებს შორის, რომლის მიზანიც არის ნატოს სტრატეგიული ამოცანების შესაბამისად სამოქალაქო მეცნიერებისა და ინოვაციების კუთხით თანამშრომლობა.

### თავი 3. ნატოს გაფართოების პოლიტიკა

#### 3.1. 1999 წლიდან „მაპის“<sup>9</sup> პროგრამის შემოღებიდან ნატოს გაფართოების პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტები, მიზნები

მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი შეიქმნა საბჭოთა კავშირის „შესაკავებლად“, „ცივი ომის“ დასრულებისთანავე ნათელი იყო, რომ ალიანსი, არათუ შეწყვეტდა არსებობას, არამედ იზრუნებდა გაფართოებაზე. 1994 წლის ბრიუსელის სამიტზე წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ ისინი მიესალმებოდნენ ალიანსის გაფართოებას. ამას მალევე მოჰყვა აშშ-ს პრეზიდენტ ბილ კლინტონის განცხადება, რომ მომავალში ალიანსი აუცილებლად განაგრძობდა მისი რიგების შევსებას და ახლა მთავარი საკითხი იყო „თუ როდის“ მოხდებოდა ეს. 1997 წლის მადრიდის სამიტზე კი, გარდა იმისა რომ ჩეხეთის რესპუბლიკა, უნგრეთი და პოლონეთი მიიწვია ალიანსმა, ნატომ „პირობა დადო,“ რომ გაფართოების საკითხებზე მომდევნო სამიტზეც იმსჯელებდნენ. როგორც კროფტი (2002) აღნიშნავს, მიუხედავად გაფართოების საწინააღმდეგო მთელი რიგი არგუმენტებისა, უდავო არის ის ფაქტი, რომ ალიანსის მიერ ახალი წევრების მიღება პოსტ „ცივი ომის“ შემდგომ ნატოს პოლიტიკის ძირითად საყრდენს წარმოადგენს.

*რა არის მაპი?* – ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პროგრამა მაპს – გაწევრიანების სამოქმედო გეგმას – საფუძველი ჩაეყარა 1999 წლის ვაშინგტონის სამიტზე. აღსანიშნავია, რომ 1999 წელს ზოგიერთი ანალიტიკოსი ნატოსათვის გარდამტეხ მომენტადაც მიიჩნევს. (როლანდ დანნროიტერი 1999-2000).

აღნიშნული პროგრამის მეშვეობით, ალიანსი რჩევებითა და პრაქტიკული მხარდაჭერით ეხმარება იმ ინდივიდუალურ ქვეყნებს,

---

<sup>9</sup> წევრობის სამოქმედო გეგმა.



რომელთა სურვილსაც ალიანსში გაწევრიანება წარმოადგენს. არ არის ზუსტად განსაზღვრული, მაპის მიღებიდან რამდენ წელში შეიძლება გახდეს ქვეყანა ალიანსის სრულუფლებიანი წევრი. მაგალითად, მონტენეგრო რომელიც მაპის პროგრამაში 2009 წელს ჩაერთო, მიწვევა ალიანსისაგან ექვს წელიწადში მიიღო და 2017 წელს ალიანსის სრულ-უფლებიანი 29-ე წევრი გახდა. რაც შეეხება ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიას (ახლანდელი ჩრდილოეთ მაკედონია), რომელიც მაპის პროგრამაში მონაწილეობდა 1999 წლიდან მოყოლებული, ალიანსის წევრი მხოლოდ 2020 წლის მარტში გახდა.

ამასთან, როგორც ნატოს ოფიციალურ ვებგვერდზეა აღნიშნული<sup>10</sup>, ამ კონკრეტულ მექანიზმს არ შეუძლია გადამწყვეტი გავლენის მოხდენა ალიანსის მომდევნო წევრების მიღებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაზე.

მაპი მონაწილე ქვეყნებს წარუდგენს ყოველწლიურ ეროვნულ პროგრამებს, რაც მოიცავს პოლიტიკურ, სამართლებრივ, ეკონომიკურ, თავდაცვით და უსაფრთხოების ასპექტებს.

როგორც კლაიბერი (1999, გვ. 23-25) აღნიშნავს, ნატოს ვაშინგტონის სამიტზე მაპის პროგრამის წარმოდგენით, წევრმა ქვეყნებმა დაადასტურეს, რომ ნატოს კარი ღიაა ახალი წევრებისათვის. მართალია, მაპი არ არის ალიანსის გაწევრიანების „ავტომატური ბილეთი“, თუმცა ეს პროგრამა ეხმარება ასპირანტ ქვეყნებს, მოემზადონ წევრობისათვის. როგორც კლაიბერი წერს, “ნატო წარმოადგენს ღია საზოგადოებას და არა დახურულ მაღაზიას.“ მისივე თქმით, ალიანსის წევრობა არ გულისხმობს მხოლოდ უფლებებსა და მოვალეობებს, არამედ ეს ასევე მოითხოვს კონკრეტულ სამხედრო შესაძლებლობებსა და სახსრებს და სწორედ ამის გამო ნატოს

---

<sup>10</sup> იხ. ნატოს ოფიციალური ვებგვერდი [http://www.nato.int/cps/en/natolive/topics\\_37356.htm](http://www.nato.int/cps/en/natolive/topics_37356.htm) უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 12.02.2017.

მომავალმა წევრებმა უნდა გაიარონ ე. წ. „სწავლების ვადა“, რათა მათი ძალები დაუახლოვდნენ ნატოს სტანდარტებს.

ამასთან, კლაიბერი (1999) აღნიშნავს, რომ მაპი არ ჩაანაცვლებდა პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ (PfP). მისი თქმით, აღნიშნული პროგრამა (PfP) კვლავ დარჩებოდა უმნიშვნელოვანეს პროგრამად ასპირანტი ქვეყნებისათვის, ვინაიდან სწორედ მისი მეშვეობით არის შესაძლებელი ალიანსის ძალებთან შესატყვისობაში მოსაყვანად კარგად ჩამოყალიბებული გზის გავლა. როგორც კლაიბერი წერს, მაპი ასპირანტ ქვეყნებს წარუდგენს სხვადასხვა ვარიანტებს, საიდანაც ყველაზე შესაფერისს ირჩევენ მონაწილე ქვეყნები, რომელთაც აქვთ შესაძლებლობა, მათი ეროვნული პრიორიტეტებიდან და არსებული ვითარებიდან გამომდინარე, თავად აირჩიონ იმპლემენტაციის ზომები და ვადები.

საიმონი (2001) კი აღნიშნავს, რომ მაპის შემოღებამ დადებითი გავლენა იქონია მაპის წევრი ქვეყნების სამინისტროებს შორის არსებულ ურთიერთობებზე და ხელი შეუწყო ამ ქვეყნებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობასაც. როგორც საიმონი აღწერს, აღნიშნული პროგრამის დახმარებით, წევრ მთავრობებს უფრო და უფრო უიოლდებათ როგორც სახალხო, ასევე საპარლამენტო მხარდაჭერის მოპოვება, ვინაიდან მაპი ისახავს ავტორიტეტულ, ერთობლივად შეთანხმებულ მიზნებს; მიზნებს, რომლებიც ასპირანტ ქვეყნებს ეხმარება, მოახდინონ საშინაო მხარდაჭერის მობილიზება მტკივნეული და ძვირი თავდაცვითი რეფორმების განსახორციელებლად, რაც ნატოს წევრობისათვის არის აუცილებელი.

### **3.2. ნატოს 1999 წლის გაფართოება და სამიტი**

1999 წელს, „ცივი ომის“ შემდეგ ნატოს პირველი გაფართოებისას ალიანსის რიგებს შეუერთდა სამი ქვეყანა: უნგრეთი, პოლონეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა, რომლებიც ვარშავის ხელშეკრულების ყოფილი ქვეყნებიდან იყვნენ პირველები, ვინც სამხედრო ალიანსის სრულყოფილი ბიანი წევრები გახდნენ. სამივე ქვეყანამ ალიანსისაგან მიწვევა 1997 წლის

მადრიდის სამიტზე მიიღო, რის საფუძვლადაც მოიაზრება 1995 წლის „კვლევა ნატოს გაფართოების შესახებ“.

რუსეთის დამოკიდებულება ამ გაფართოებისადმი არ ყოფილა ლოიალური, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს პრეზიდენტი ბილ კლინტონი 1994 წლიდან მოყოლებული ხშირად აცხადებდა, რომ ნატოს გაფართოება აღმოსავლეთით „ცივი ომის“ დროინდელ გათიშულობის აღმოფხვრას შეუწყობდა ხელს, ამასთან თავის წვლილს შეიტანდა გაერთიანებული ევროპის დემოკრატიულობაში, წინსვლასა და სტაბილურობაში. მაშინვე ცხადი იყო, რომ აშშ-ისათვის ნატოს გაფართოების ალტერნატივა, რომელსაც მოსკოვი უჭერდა მხარს, მიუღებელი იყო. მოსკოვისათვის კი მისაღები იყო შემდეგი მიდგომა – ყოფილი ვარშავის პაქტის ქვეყნები ნატოსა და რუსეთს შორის მიუმხრობელ ბუფერულ სახელმწიფოებად დარჩენილიყვნენ, რაც სრულიად არ შეესაბამებოდა ამერიკის ერთიანი ევროპის ხედვას.

ამასთან, ვაშინგტონი რეალურად ცდილობდა რუსეთის დარწმუნებას, რომ ნატოს გაფართოება მიმართული არ იყო არც რუსეთის დასაშინებლად და არც მის იზოლაციაში მოსაქცევად. ორმხრივი ნდობის აღსადგენად ამერიკა შეეცადა უსაფრთხოების საერთო პრობლემების გასამკლავებლად რუსეთთან თანამშრომლობის ახალ ეტაპზე გადაყვანას. 1990-იანი წლების დასაწყისში ალიანსი ყოფილ ოპონენტებთან დიალოგისა და თანამშრომლობისათვის პროგრამას პარტნიორობა მშვიდობისათვის ქმნის. 1997 წელს ნატო და რუსეთი თანამშრომლობის და უსაფრთხოების ორმხრივი ურთიერთობების შესახებ დამფუძნებელ აქტს (ნატო-რუსეთის დამფუძნებელი აქტი) აწერენ ხელს. ამერიკის პრეზიდენტი ბილ კლინტონი აღნიშნული აქტის შესახებ აცხადებდა<sup>11</sup>: “აღნიშნული ტიპის პარტნიორობა ჩამოვყალიბეთ გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი მიზანია ისეთი მომავლის

---

<sup>11</sup> იხ. <http://globalinterests.org/2017/05/25/idealism-or-betrayal-what-clinton-yeltsin-rhetoric-about-nato-expansion-tells-us-about-todays-u-s-russia-crisis/> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.03.2018.

შექმნა, რომელშიც ევროპის უსაფრთხოება არ იქნება ნულოვან ჯამიანი თამაში, სადაც ნატოს მოგება უდრის რუსეთის წაგებას და რუსეთის გაძლიერება კი – ალიანსის სისუსტეს. ამგვარად აზროვნებდნენ წარსულში, ამჟამად ახალი დროა.“

ამასთან, რუსი და ნატოელი ჯარისკაცები ერთობლივ სამშვიდობო მისიებში იღებენ მონაწილეობას, 1996-1997 წლებში კი ბოსნიაში ჰუმანიტარულ საკითხებშიც ცდილობენ თანამშრომლობას. 1999 წლის გაფართოება ემთხვევა სერბეთში ნატოს მიერ წარმოებულ კამპანიას ამ პერიოდიდან ნატო-რუსეთის ურთიერთობები კვლავ უმცირეს ნიშნულს უახლოვდება, თუმცა, მანამდე 1990-იანი წლების დასაწყისსა და შუა პერიოდში, როგორც კლერი (2017) აღნიშნავს, „რუსეთი დასავლეთის ახალგაზრდა პარტნიორად თვლიდა თავს.“ თუმცა, საბოლოოდ დასავლეთის განზრახვამ, ორ მხარეს შორის არსებული განსხვავებები დაექლიათ, საბოლოო შედეგი მაინც ვერ გამოიღო. თუ 1990-იანი წლების დასაწყისში არსებობდა გარკვეული მცირე შესაძლებლობა მაინც ნატო-რუსეთის თანამშრომლობისა, 1999 წელს ეს მცირე შანსიც გაქრა, რამაც ხელი შეუწყო ალიანსის მიერ სერბეთის დაბომბვის დაწყებას, რაც წარმოადგენდა პასუხს სერბული ძალების მიერ ეთნიკური ალბანელების დევნაზე. რუსეთი კი თავის ხისტ დამოკიდებულებას შემდეგნაირად ხსნიდა – ნატოს მიერ ძალის გამოყენება მისი არაწევრი ქვეყნის დასაცავად ქმნიდა საფრთხეს, რომ ნატო სამხედრო ოპერაციას განახორცილებდა ნებისმიერი ქვეყნისათვის, რომელიც არ წარმოადგენდა მის წევრს. ცხადია, ამაზე აშშ-ს განსხვავებული პოზიცია ჰქონდა – 1999 წლის ნატოს გაფართოების აღსანიშნავ ცერემონიაზე ამერიკის სახელმწიფო მდივანმა მადლენ ოლბრაითმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კოსოვოს საკითხის მოგვარების ერთადერთი გზა სწორად ნატოელი ჯარისკაცების ჩართულობა იყო.

1999 წლის ნატოს გაფართოების ოფიციალური ცერემონია სიმბოლურად გაიმართა ტრუმენის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკაში. (სწორედ პრეზიდენტ ჰარი ტრუმენის დროს იქმნება ნატო). აღნიშნულ გაფართოებას

კლინტონის ადმინისტრაციის ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად მიიჩნევენ, რომელსაც კიდევ უფრო უნდა გაეძლიერებინა და გაემყარებინა დემოკრატიული წინსვლა ყოფილი ვარშავის პაქტის ქვეყნებში საბჭოთა კავშირის დაშლიდან ცხრა წლის შემდეგ. მაღლენ ოლბრაითმა, რომელიც პრელაში იყო დაბადებული, ცერემონიის მონაწილეებს შემდეგი სიტყვით მიმართა<sup>12</sup>: “ალიანსი ევროპის აღმოსავლეთსაც დაეხმარება იმაში, რაშიც ის უკვე დაეხმარა დასავლეთ ევროპას – ჩვენ სტაბილურად და სისტემატურად გავაგრძელებთ სტალინის სისხლიანი ჩექით ევროპაში გავლებული ხაზების წაშლას.”

ცერემონიაზე სამი ქვეყნის მთავარმა დიპლომატებმა კი, ფაქტობრივად, ერთხმად აღნიშნეს, რომ მათი ქვეყნების ალიანსში გაწევრიანება სახლში დაბრუნებას ნიშნავდა. გაწევრებული ქვეყნების ლიდერებისაგან რადიკალურად განსხვავებული რეაქცია ჰქონდათ რუს მაღალჩინოსნებს. რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, ანატოლი კვანინი, რომელიც ღიად აცხადებდა, რომ ნატოს გაფართოება ხდებოდა რუსეთის ხარჯზე და ევროპის უსაფრთხოება წარმოადგენდა ნულოვან ჯამიან თამაშს, 1999 წლის ნატოს გაფართოებაზე აცხადებდა (კარაბეშკინი და სფექლერი, 2007): “აღმოსავლეთით გაფართოების კუთხით გადადგმული ნატოს ნებისმიერი პრაქტიკული ნაბიჯი და აღმოსავლეთ და ცენტრალური ქვეყნების ალიანსში გაწევრიანება აღქმული იქნება, როგორც გამოწვევა ჩვენი ეროვნული უსაფრთხოებისათვის. ალიანსში აღმოსავლეთ ევროპის სამი ქვეყნის გაწევრიანებამ რადიკალურად შეცვალა კონტინენტზე თანაფარდობა და ალიანსის სასარგებლოდ ღრმა დისბალანსი მოგვცა შედეგად.”

---

<sup>12</sup> იხ. ჯეინ პერლუზის სტატია. <https://www.nytimes.com/1999/03/13/world/expanding-alliance-the-overview-poland-hungary-and-the-czechs-join-nato.html> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 23.03.2017.

როგორც კარი და ფლენლი (1999) აღნიშნავენ, ზოგადად ნატოს გაფართოებისადმი რუსეთის წინააღმდეგობას შემდეგი შიშები განაპირობებდა: „ნატოს მიერ რუსეთის სისუსტის ექსპლუატაცია, ნატოსთან მიმართებაში სტრატეგიული პოზიციის დაკარგვა და ევროპიდან გამორიცხვა.“ როგორც კარი და ფლენლი (1999) წერდნენ, რუსეთმა ევროპის უსაფრთხოებისადმი საკუთარი ხედვის აქტიური წარმოდგენა დაიწყო 1993 წლიდან და უკვე მაშინ მოსკოვი ღიად აცხადებდა კატეგორიულ უარყოფით დამოკიდებულებას ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების იდეასთან დაკავშირებით. 1993 წლის სექტემბერს ამერიკის, დიდი ბრიტანეთს, გერმანიისა და საფრანგეთის და ხელმძღვანელობისადმი გაგზავნილ წერილში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ბორის ელცინი წერდა, რომ ის პირადად ეწინააღმდეგებოდა ნატოს გაფართოებას.

თუმცა, მანამდე 1992 წლის მაისში ვიშეგრადის ჯგუფის („ვიშეგრადის ოთხეული“) ქვეყნების პრემიერები შეიკრიბნენ და გამოთქვეს სურვილი ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, ასევე აშშ-სა და ალიანსის სხვა წევრებთან კოლექტიური და ორმხრივი კავშირების გაფართოებაზე. საწყის ეტაპზე რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ბორის ელცინს არ გამოუხატავს კატეგორიული წინააღმდეგობა ალიანსის გაფართოების იდეასთან დაკავშირებით – 1993 წელს პოლონეთის პრეზიდენტ ლეხ ვალენსასთან გამართული შეხვედრის დროს ელცინმა განაცხადა, რომ მოსკოვი არ ეწინააღმდეგებოდა პოლონეთის ალიანსში გაწევრიანებას. ორი ქვეყნის ლიდერის შეხვედრის კომუნიკეში ეწერა: “გრძელვადიან პერსპექტივაში, პოლონეთის მიერ მიღებული ეს გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება რომელიმე ქვეყნის ინტერესს, მათ შორის არც რუსეთისას.“<sup>13</sup>

---

<sup>13</sup> იხ. სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის სტატია <https://medium.com/center-for-strategic-and-international-studies/nato-enlargement-a-case-study380545dd38d> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 23.09.2017.

ეს განაცხადება მოულოდნელი და მიუღებელი აღმოჩნდა თავად ელცინის კაბინეტისთვისაც, ორ დღეში გაკეთებულ განცხადებაში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი კოზირევი აცხადებდა, რომ კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ალიანსში ყოფილი ვარშავის პაქტის წევრი ქვეყნების მიღებას.

რუსეთი მომდევნო წელსაც განაგრძობს ალიანსის გაფართოებისადმი წინააღმდეგობაზე ხმამაღლა საუბარს, 1994 წლის დეკემბერში ბორის ელცინი „ცივი მშვიდობის“ შესახებ აფრთხილებს მსოფლიოს, რასაც ამერიკის პრეზიდენტი ბილ კლინტონის პასუხი მოჰყვა, რომ ის მხარს უჭერდა ნატოს გაფართოებას და არცერთ არაწევრ ქვეყანას არ გააჩნდა ვეტო ალიანსზე. პარალელურად აშშ აგრძელებდა იმის მტკიცებას, რომ ნატო არავის წინააღმდეგ მიმართული ალიანსი არ იყო და ახალი წევრების მიღებით ამ ქვეყნებში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ღირებულებებს კიდევ უფრო განმტკიცება უნდა მომხდარიყო.

მართალია, 1999 წლის გაფართოების დროს რუსეთს თითქმის არ ჰქონდა ძალაუფლება და გავლენა, სერიოზული წინააღმდეგობა გაეწია ამ პროცესისათვის, თუმცა, ფაქტია ისიც, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ნატოს გაფართოების პირველი ტალღის წინ, რუსეთს არ გადაუდგამს რაიმე კონკრეტული ნაბიჯი, რითაც დაემუქრებოდა ნატოს ასპირანტ ქვეყნებს, რომ ალიანსში გაწევრიანება მათ მძიმე შედეგებს მოუტანდა.

აქვე აღსანიშნავია პრეზიდენტ ბორის ელცინის ფიგურაც, რომლის განცხადებები ალიანსის გაფართოებასთან დაკავშირებით არ იყო ერთგვაროვანი და პრეზიდენტი ქვეყნის შიგნით ამ საკითხთან დაკავშირებით განიცდიდა სერიოზულ ზეწოლას (უმთავრესად რუსეთის საკანონმდებლო ორგანოსაგან). მთელ რიგ შემთხვევებში ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით ელცინის დაქვემდებარებულ პირებს ბევრად მკაცრი პოზიცია ეკავათ, ვიდრე – თავად პრეზიდენტს და სწორედ ისინი ახდენენ

ზეწოლას პრეზიდენტზე, საჯაროდ გაკეთებული განცხადებები წაელო უკან. ელცინის სურვილი კი იყო, რუსეთი დასავლეთთან ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების ახალ ეპოქაში გადაეყვანა და განეხორციელებინა დაუყოფელი ევროპის იდეა, სადაც რუსეთს წამყვანი როლი უნდა ჰქონოდა. ამ ტრანზიციის შემადგენელ ნაწილად მოიაზრებოდა ამერიკასთან ახლო ურთიერთობების ჩამოყალიბებაც, რაც ელცინის აზრით, ორმხრივ სარგებელზე იქნებოდა დაფუძნებული. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ამ იდეას მხარს არ უჭერდა რუსული ელიტა, თავად ელცინის გარემოცვაც კი.

უნგრეთის, ჩეხეთის რესპუბლიკისა და პოლონეთის ოფიციალურად მიღება ალიანსში 1999 წლის ვაშინგტონის სამიტზე მოხდა, სადაც ამ სამმა ქვეყანამ, როგორც ნატოს სრულუფლებიანმა წევრმა, პირველად მიიღო მონაწილეობა ნატოს სამიტში. ამასთან, ალიანსი აცხადებდა, რომ უნგრეთის, ჩეხეთის რესპუბლიკისა და პოლონეთის ალიანსში ინტეგრაცია ამ დღეს არ სრულდებოდა და თითოეულ ახალ სახელმწიფოს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ სრული ინტეგრაცია მოითხოვდა ძალისხმევის გაღებას კიდევ საკმაოდ გრძელი პერიოდის განმავლობაში.

ნატოს საიუბილეო 50-ე სამიტი მნიშვნელოვანი გახდა იმიტაც, რომ ამ სამიტზე იქნა წარმოდგენილი ალიანსის ახალი სტრატეგიული კონცეფცია. ეს კონცეფცია, რომელიც მეტწილად ჰგავდა 1991 წლის კონცეფციას (როდესაც საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ არსებობდა), ოფიციალურად აძლევდა ნატოს სანქციას, მის ფარგლებს გარეთაც ემოქმედა. მაგალითად, იუგოსლავიის კამპანია, რომელიც ერთი თვით ადრე დაიწყო. ვაშინგტონის სამიტზე ალიანსმა ასევე დაადასტურა, რომ ღია კარის პოლიტიკას კვლავაც განაგრძობდა, თუმცა ამ სამიტზე ახალი წევრების კონკრეტულად დასახელება არ მომხდარა. სამიტის შედეგები დაგმო რუსეთმა.<sup>14</sup>

<sup>14</sup> იხ. [https://www.armscontrol.org/act/1999\\_04-05/natam99](https://www.armscontrol.org/act/1999_04-05/natam99)



24 აპრილს გამოქვეყნებული კონცეფცია განსაზღვრავდა, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს, მართალია, ჰქონდა მთავარი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე, ამასთან ალიანსის მოქმედებებს და უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებს ერთმანეთს არ აბამდა. კონცეფციაში ასევე მითითებული იყო, რომ ალიანსის 19 წევრს „უნდა დაეცვა საერთო უსაფრთხოების ინტერესები“ და მზად უნდა ყოფილიყო, ემოქმედა კრიზისზე საპასუხო ოპერაციებში, მათ შორის ალიანსის საზღვრებს მიღმაც.

ვაშინგტონის სამიტზე, მართალია, ალიანსის რიგებში არ მიუწვევიათ ცხრა ასპირანტი ქვეყნიდან (ალბანეთი, ბულგარეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა, მაკედონია, სლოვაკეთი, სლოვენია და რუმინეთი) არცერთი, თუმცა დაფიქსირებული იქნა, რომ 1999 წლის გაფართოება ბოლო არ იქნებოდა და ასევე გაესვა ხაზი, რომ არცერთ დემოკრატიულ ევროპულ ქვეყანას არ ეკრძალებოდა ალიანსში გაწევრიანების მისწრაფება. „ნატოს კარი ღია რჩება სხვა ევროპული ქვეყნებისათვის, რომლებიც მზად არიან აიღონ პასუხისმგებლობა, რომელსაც ითვალისწინებს ნატოს წევრობა და წვლილი შეიტანონ ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაში. ნატოში ახალი დემოკრატიული ქვეყნების გაწევრიანება წარმოადგენს თავად ნაწილს უფრო ფართო ინტეგრაციისა ევროპაში, სადაც სხვა ევროპული ინსტიტუტებიც მოიაზრება.“<sup>15</sup>

ცხადია, ამ კონკრეტულმა განცხადებებმა რუსეთის განრისხება გამოიწვია, რუსეთს იმ პერიოდში განსაკუთრებულად აღშფოთებდა ბალტიის ქვეყნების ალიანსში გაწევრიანებისაკენ სწრაფვა. სამიტიდან ოთხ დღეში რუსეთის დიპლომატიური უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში საუბარი იყო, რომ ნატოს ვაშინგტონის სამიტი წარმოადგენდა

---

<sup>15</sup> იხ. ნატოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული დოკუმენტი. <https://www.nato.int/docu/comm/1999/9904-wsh/pres-eng/03acce.pdf> უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 25.06.2017.

ალიანსის განაცხადს ევროპისა და მსოფლიო პოლიტიკაზე ბატონობისა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ნატოს სამიტზე გაცხადებულ კონცეფციაში საუბარი იყო რომ ალიანსი არ მიიჩნევდა თავს რომელიმე ქვეყნის მეტოქედ და რომ ნატო-რუსეთის ძლიერი ურთიერთობები ევროპის სტაბილურობისათვის უმნიშვნელოვანესი იყო. ამასთან, აშკარა იყო, რომ ნატოსა და რუსეთს შორის იმ პერიოდისათვის უკვე დაძაბული ურთიერთობა იყო ჩამოყალიბებული, რაზეც იმოქმედა ნატოს 1999 წლის გაფართოებამ, ასევე, რუსეთის ეკონომიკურმა სირთულეებმა, თუმცა კავშირების საბოლოო გაყინვა ნატოს მიერ იუგოსლავიის ომში ჩართვის შემდეგ მოხდა, რუსეთი წყვეტს მონაწილეობას პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ (სამხედრო თანამშრომლობის პროგრამა ნატოსა და არაწევრ 25 ქვეყანას შორის), ასევე მუდმივ ერთობლივ საბჭოშიც, რომელიც იმ პერიოდისათვის წარმოადგენდა ნატო-რუსეთის საკონსულტაციო ორგანოს.

### 3.3. 2004 წლის გაფართოება და სამიტი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ნატოს გაფართოების მეორე ტალღის დროს, 2004 წელს ალიანსის რიგებს შეუერთდნენ: ბულგარეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი და რუმინეთი. შვიდივე სახელმწიფომ ალიანსისაგან მიწვევა 2002 წლის პრალის სამიტზე მიიღო და ასევე ნატოში გაწევრიანებამდე თითოეული მონაწილეობდა მაპის პროგრამაში. ნატოს შვიდი ახალი წევრიდან, სლოვენიის გარდა, ყველა იყო ვარშავის ხელშეკრულების წევრი.

ბრიუსელში შვიდი ყოფილი კომუნისტური ქვეყნის ალიანსში მიღების აღსანიშნავ ცერემონიაზე ალიანსის გენერალურმა მდივანმა იაკ დე ჰოოპ სხეფერმა<sup>16</sup> ხაზგასმით აღნიშნა, რომ სწორედ გაფართოება გამოხატავდა საუკეთესოდ ტრანსატლანტიკური ალიანსის კავშირების მტკიცე

---

<sup>16</sup> იხ. გამოცემა გარდიანის სტატია <https://www.theguardian.com/world/2004/apr/02/nato> უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 27.07.2017.

ღირებულებებს. გენმდივნის თქმით, მართალია, 55 წლის წინ ალიანსის რიგებში მხოლოდ 12 ქვეყანა იყო გაწევრიანებული, თუმცა წარმატებული გაფართოება მოწმობდა, რომ ქვეყნები ერთიანდებიან, როდესაც ამის შესაძლებლობა მიეცემათ. გენმდივანმა ასევე აღნიშნა, რომ 2004 წლის გაფართოება იყო იმის ნათელი დადასტურება, რომ გეოგრაფია მომავალში ვეღარ განსაზღვრავდა სახელმწიფოთა ბედ-იღბალს. ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა (ჯიდადჰაბლი, 2004) კი „ცივი ომის“ შემდგომ ნატოს გაფართოების მეორე ტალღა ამგვარად შეაფასა: “ამ შვიდი ქვეყნის ხალხი ადრე იმპერიის ტყვე იყო. მათ უმძიმეს ტირანიას გაუძლეს. ისინი იბრძოდნენ დამოუკიდებლობისათვის და ახლა დგანან ჩვენ გვერდით სრულყოფილ და თანასწორ პარტნიორებად ამ შესანიშნავი ალიანსისა.”

პრეზიდენტმა ბუშმა ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნატო კვლავ ერთგული რჩებოდა და განაგრძობდა გაფართოების პოლიტიკას და მიანიშნა სამ ქვეყანაზე (ალბანეთი, ხორვატია და მაკედონია), რომლებიც ახლო მომავალში მოიაზრებოდნენ ალიანსის წევრებად.

შვიდი ქვეყნის ალიანსის რიგებში ოფიციალურად მიღება 2004 წლის ივნისის სტამბოლის სამიტზე მოხდა. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნების დიდი ნაწილი მანამდეც იღებდა მონაწილეობას ალიანსის საერთო ოპერაციებში, მათ შორის ISAF-ისა (საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალები) და ბალკანეთის კამპანიებში. სამიტზე ალიანსის წევრებმა კიდევ ერთხელ განაცხადეს, რომ ორგანიზაციის კარი კვლავ ღია რჩებოდა მომავალი წევრებისათვის და კანდიდატებად საჯაროდ დასახელდნენ: ხორვატია, ალბანეთი და მაკედონია. სერბეთმა, მონტენეგრომ და ბოსნია-ჰერცეგოვინამ გამოთქვეს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში მონაწილეობის სურვილი, თუმცა მოკავშირეებმა გადაწყვიტეს, რომ აქამდე ჯერ ბევრი დაბრკოლება ჰქონდათ ამ ქვეყნებს გადასალახი, მათ შორის მოიაზრებოდა ჰააგის ტრიბუნალისათვის სამხედრო დანაშაულში ეჭვმიტანილთა გადაცემა. სტამბოლის სამიტზე ასევე წევრები ერთხმად შეთანხმდნენ კავკასიასა და ცენტრალურ აზიასთან პარტნიორობის

გადლიერებაზე. სამიტზე იმსჯელეს ამ ქვეყნებისათვის უფრო ენერგიულ თავდაცვითი რეფორმების თაობაზეც, რომელიც შედიოდა პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისათვის“. (გალისი, 2004).

ალიანსის გაფართოებისა და პარტნიორობთან ურთიერთობების გარდა, სამიტზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ისეთ საკითხებს, როგორც იყო: ერაყი, ავღანეთი, ბალკანეთში ნატოს როლი, ალიანსის ახალი შესაძლებლობები. სამიტზე კამათი გამოწვია 2003 წლის ამერიკის ერაყში შეჭრამ და შემდგომში ამ ქვეყანაში სტაბილურობის დამყარების მცდელობებმა. გერმანია, საფრანგეთი და ბელგია შეეცადნენ, დაებლოკათ ამერიკის ინიციატივა თურქეთისათვის თავდაცვითი დახმარების აღმოჩენის შესახებ, რაც, ამ სამი სახელმწიფოს აზრით, იქნებოდა იმის დადასტურება, რომ ეს ომი იყო საჭირო და გარდაუვალი.

ნატოს ჩარევა ერაყში იყო მინიმალური (გალისი, 2004). ალიანსი ლოგისტიკურ და საკომუნიკაციო მხარდაჭერით უზრუნველყოფდა პოლონეთს. ალიანსის 26 წევრიდან 16 წევრი იღებდა მონაწილეობას ამერიკის ხელმძღვანელობით შექმნილ მრავალეროვნულ ძალებში, თუმცა, გარდა დიდი ბრიტანეთის, იტალიისა და პოლონეთისა, ამ ქვეყნების წილი იყო ძალიან მცირე.

სამიტზე ასევე იმსჯელეს ერაყის ძალების გაწვრთნის შესახებაც, აქაც აშშ-ს საკმაო წინააღმდეგობა შეხვდა. ამასთან, ალიანსის წევრ ქვეყნებში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევები მოწმობდა, რომ ქვეყნების დიდ ნაწილში ერაყში ეროვნული ძალების მონაწილეობის წინააღმდეგ გამოდიოდნენ (გალისი, 2004). ალიანსის წევრების მთავრობების ნაწილს მიაჩნდა, რომ ბუშის მოქმედება ერაყში იყო ნაჩქარევი, რომელიც არ დაელოდა გაეროს ინსპექტორების დასკვნას. ასევე, მათი აზრით, ერაყში შეჭრა საერთაშორისო უსაფრთხოებას კიდევ უფრო გააუარესებდა. ზოგიერთი ევროპული მთავრობა და ამ ქვეყნების პრესის წარმომადგენელი განსაკუთრებით მკაცრად აკრიტიკებდა ამერიკის ძალებს ერაყში აბუ

დრაიბის ციხეში პატიმრებთან მოპყრობის გამო, რაც აშკარად არღვევდა საერთაშორისო კონვენციებს. კრიტიკას იწვევდა გუანტანამოს ციხეში გავრცელებული დაკითხვის მეთოდებიც. როგორც ზოგიერთი ევროპელი მაღალჩინოსანი აცხადებდა, მათ არ სურდათ, საკუთარი ქვეყნის მთავრობებს გადაედგათ ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლოა, პრეზიდენტ ბუშს ხელმეორედ გაპრეზიდენტებაში დახმარებოდა.

ნატოს სტამბოლის სამიტზე ალიანსის გენმდივანმა ავღანეთში ვითარების დალაგება ნატოს ერთ-ერთ უმთავრეს მისიად დაასახელა. ნატოს ISAF-ის ძალები ოპერირებდნენ ქაბულსა და კუნდუზის პროვინციაში და მასში 31 ქვეყნიდან 6500 ჯარისკაცი იღებდა მონაწილეობას. სამიტზე იმსჯელეს ბალკანეთზე არსებულ ვითარებაზეც – ბოსნიაში ნატოს სამშვიდობოები 1995 წლიდან იმყოფებოდნენ, IFOR-ის (იმპლემენტაციის ძალები) რიცხოვნება 60 000-ს ითვლიდა. ბოსნიაში ვითარების დასტაბილურების შემდეგ ნატომ რაოდენობა შეამცირა 7000 ჯარისკაცამდე და 2004 წლის სამიტზე გაცხადდა რომ ნატოს SFOR-ის (სტაბილიზაციის ძალები, IFOR-ის მემკვიდრე) მისიას დაასრულებდა 2004 წლის ბოლოსათვის.

ნატოს 2004 წლის გაფართოებისას რუსეთი განსაკუთრებით უკმაყოფილო იყო ლატვიას, ლიეტუვასა და ესტონეთის ალიანსში გაწევრიანების გამო. მოსკოვი შიშობდა, რომ ნატოს ლიდერი სახელმწიფო, აშშ, მომავალში თავისუფლად მოქმედებას დაიწყებდა რუსეთის საზღვრებთან ძალიან ახლოს. წინა გაფართოების მსგავსად, ნატო 2004 წლის გაფართოების შემთხვევაში საჯაროდ არწმუნებდა რუსეთს, რომ ალიანსის გაფართოება არ იყო რუსეთის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი, თუმცა ეს გაფართოება კრიტიკულად შეაფასა რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ მიხეილ მარგელოვმა (ჯიდადჰაბლი, 2004), რომლის აზრითაც, ნატოს „ექსპანსია“ ხორციელდებოდა იმ „გეოპოლიტიკური რუკის“ გეგმის მიხედვით, რომელიც მოიაზრებდა რუსეთის უკან დახევას ევრაზიის შუაგულისკენ კონტინენტის ჩრდილო-

აღმოსავლეთისკენ, რითაც უნდა მომხდარიყო რუსეთის დასუსტება. როგორც მარგელოვი აღნიშნავდა, ამას ემატებოდა ნატოს წინსვლა საქართველოსა და აზერბაიჯანში, ასევე „განსაკუთრებული ურთიერთობა“ უკრაინასთან. ამასთან, ნატოში ბალტიის ქვეყნების გაწევრება კიდევ უფრო გააძლიერებდა ალიანსის „ანტირუსულ განწყობებს“.

ბალტიის ქვეყნებში ნატოს თვითმფრინავების გამოჩენას გამოეხმაურა რუსეთის დიპლომატიური უწყების წარმომადგენელი ალექსანდრ იაკოვენკოც, რომელმაც აღნიშნა, რომ ნატოს ეს გადაწყვეტილება რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების საფრთხედ აღიქმებოდა. ასევე, მისი თქმით, ეს გაფართოება პირდაპირ ეხებოდა რუსეთის პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიკურ ინტერესებს. ბალტიის ქვეყნებში ნატოს თვითმფრინავების გამოჩენისთანავე რუსეთში გაკეთდა განცხადებები, რომ რუსეთი გეგმავდა ბელორუსში (სრულიად უფასოდ) საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის განლაგებას. ამ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ, ზემოთ ნახსენებ საკითხთან დაკავშირებით, რუსულ წრეებში აზრთა გარკვეული სხვადასხვაობა გამოიკვეთა, მაგალითად, განსხვავებით რუსეთის საგარეო სამინისტროს განცხადებისაგან, ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა განაცხადა, რომ ბალტიის ქვეყნებში ნატოს საბრძოლო თვითმფრინავების გამოჩენა „ამ მომენტისათვის რუსეთისათვის საფრთხეს არ წარმოადგენს.“ (ჯიდადჰაბლი, 2004).

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს მიერ მიღებულ რეზოლუციაში<sup>17</sup>, სადაც დაგმოვილ იქნა 2004 წლის გაფართოება, საუბარი იყო, რომ რუსეთს მოუწევდა საკუთარი თავდაცვითი სტრატეგიის გადახედვა, თუ ნატო განაგრძობდა რუსეთის ინტერესების იგნორირებას. რეზოლუცია ასევე მოუ-

---

<sup>17</sup> იხ. ბიბისი-ს ვებგვერდი <http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/3587717.stm> უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 28.08.2018.

წოდებდა ნატოს წევრებს, მოეხდინათ შეიარაღების შესახებ ხელშეკრულების რატიფიცირება, რათა რუსეთის საზღვრებთან შეიარაღების განლაგება შეზღუდულიყო. დუმას მიერ მიღებულ ამ რეზოლუციას მხარი დაუჭირა 305 დეპუტატმა, 41-მა კი წინააღმდეგ მისცა ხმა (მხოლოდ ორმა დეპუტატმა შეიკავა თავი). დოკუმენტში ასევე საუბარი იყო, რომ აღმოსავლეთით გაფართოება ეწინააღმდეგებოდა ალიანსის დანაპირებს, ეთანამშრომლა რუსეთთან ისეთ საკითხებში, როგორცაა კონტრ-ტერორიზმი, სამშვიდობო ოპერაციები და სხვა, რომელიც 2002 წლის შეთანხმებით იყო განსაზღვრული. და რაც, ასევე ყველაზე სერიოზული იყო, თუ ნატო შეეცდებოდა მთლიან რეგიონში სამხედრო-პოლიტიკური ბალანსის შეცვლას, მაშინ რუსეთს შესაძლოა, გადაეხედა დანაპირებისათვის, რომელიც კალინინგრადის ანკლავსა და ჩრდილო-დასავლეთ ფსკოვის რეგიონში (ესტონეთთან ახლოს) ჯარისკაცების რაოდენობის შეზღუდვას შეეხებოდა. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული რეზოლუციის მიღების წინ სათათბიროს აბსოლუტურად ყველა წევრი არ ყოფილა მკაცრად განწყობილი ნატოს გაფართოების მიმართა და ზოგიერთმა წევრმა ისიც აღნიშნა, რომ პრეზიდენტ ბუშის განცხადება, რომ რუსეთი არ იყო ამერიკის მტერი, მიანიშნებდა იმას, რომ ნატო არ იქნებოდა მიმართული რუსეთის წინააღმდეგ.

რუსი ექსპერტი სერგეი ოზნობიშჩევი (სტრატეგიულ შეფასებათა ინსტიტუტის დირექტორი) კი მიიჩნევდა, რომ 2004 წლის გაფართოება წარმოადგენდა მოსკოვის დიპლომატიურ მარცხს, მისი აზრით, ბალტიის ქვეყნების ნატოში ინტეგრაცია აღქმული უნდა ყოფილიყო, როგორც „გენეტიკური შიში საბჭოთა კავშირისა და რუსეთის მიმართ. ამასთან, გონივრული გზებით ამ შიშის წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთმა მარცხი განიცადა.“ (ჯიდადჰაბლი, 2004).

2004 წლის ნატოს სტამბოლის სამიტზე ალიანსის რიგებში ლატვიას, ლიეტუვას და ესტონეთის მიღება განსაკუთრებით უსიამოვნო იყო რუსეთისათვის, გამომდინარე ამ ქვეყნებთან მშფოთვარე წარსულისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ კი მათთან დამაბული ურთიერთობების გამო.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ეს იყო ის სამი ქვეყანა, რომლებმაც ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ყველაზე სწრაფად და ეფექტიანად დაიწყეს დასავლეთის ინსტიტუტებთან ინტეგრაცია. (ჰიქსი და სხვ., 2017)

როგორც უკვე აღინიშნა, საჯარო განცხადებებში (რეზოლუციებით) რუსეთმა ნატოს 2004 წლის გაფართოება დაგმო, თუმცა რაიმე კონკრეტული ნაბიჯი წინა გაფართოების ტალღის მსგავსად არც ამ შემთხვევაში გადაუდგამს, რასაც ნაწილობრივ მიაწერენ (ჰიქსი და სხვ., 2017) ქვეყნის შიგნით არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობას, ასევე ეკონომიკურ ფაქტორებსაც. დამატებით ფაქტორად, თუ რატომ შეიკავა თავი ამ დროის რუსეთმა უფრო უხეში ნაბიჯებისაგან, ასევე მოიაზრება დასავლეთთან შედარებით გაუმჯობესებული ურთიერთობები, ასევე 2002 წელს შექმნილი ნატო-რუსეთის საბჭოც, რომლის ფარგლებშიც ნატომ და რუსეთმა მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს გამოწვევებთან დაკავშირებით წამოიწყეს დიალოგი და თანამშრომლობა.

კარაბეშკინი და სფექლერი (2007) კი აღნიშნავენ, რომ 2004 წლის ალიანსის გაფართოება და განსაკუთრებით კი მასში ბალტიის ქვეყნების გაწევრიანება რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობებში „წითელ ხაზად“ მიიჩნეოდა, რომლის შესახებაც რუსეთი მკაცრად აფრთხილებდა ნატოს. ავტორებს მიაჩნდათ, რომ დასაბამიდან რუსეთი ბალტიის ქვეყნების ნატოში გაწევრიანებას აღიქვამდა ქვეყნის სამხედრო უსაფრთხოებისადმი საფრთხის შემქმნელად. როგორც არბატოვა (2001) აღნიშნავდა: „ესტონეთის, ლატვიისა და ლიეტუვას გეოსტრატეგიული მდებარეობა, რომელიც ნატოში ინტეგრაციის შემთხვევაში ატლანტიკურ ალიანსთან მხოლოდ ვიწრო დერეფნით იქნება დაკავშირებული, დასაბამიდანვე წარმოადგენდა ბალტიის ქვეყნებთან მიმართებაში ნატოს უსაფრთხოების გარანტიების სანდოობის გამოწვევას, ისევე როგორც ბრიუსელის გარანტია, რომ ნატოს ჯარისკაცები მუდმივად არ იქნებოდნენ წარმოდგენილი ახლადგაწევრიანებულ ქვეყნებში.“



ეს შიშები კი უფრო გამძაფრდა მას შემდეგ, რაც ნატომ გამოაცხადა, რომ ალიანსს შესაძლოა, გამოეყენებინა ის სამხედრო ინფრასტრუქტურა, რომელიც 1993-1994 წლებში საბჭოთა-რუსმა ჯარისკაცებმა დატოვეს. რუსეთი დაჟინებით ითხოვდა, რომ ბალტიის ქვეყნებს ხელი მოეწერათ ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულებისათვის (CFE). ეს იქცა ვაჭრობის საგნად, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დასავლეთმა რუსეთს მოსთხოვა 1999 წლის ეუთოს სამიტზე დადებული დანაპირების შესრულება და საქართველოდან და მოლდოვადან ჯარების გაყვანა.

როგორც კარაბეშკინი და სფექლერი (2007) წერდნენ, როდესაც რუსეთი ფაქტის წინაშე აღმოჩნდა და ბალტიის ქვეყნებმა მიიღეს ალიანსისაგან მიწვევა, სრულიად ნათელი გახდა, რომ რუსეთი ამ პროცესთან დაკავშირებულ სამხედრო საფრთხეებს სერიოზულად აზვიადებდა. აღნიშნულს ამტკიცებს ის ფაქტი, რომ რუსეთს დაუყოვნებლივ არ გაუუქმებია ადრე მიღებული გადაწყვეტილება ჩრდილო-დასავლეთით სამხედრო ყოფნის 40%-ით შემცირების შესახებ. ამასთან, კალინინგრადის ოლქში გრძელდებოდა განიარაღების პროცესიც. ამ რაიონში რჩებოდა 18 000 სამხედრო პერსონალი, მაშინ როდესაც 1990-იან წლების დასაწყისში ეს რაოდენობა 50-60 000 ჯარისკაცის ტოლი იყო.

2004 წლის გაფართოების შემდეგ რუსეთს გაუჩნდა ეჭვები, რომ ნატო ევროპაში კოლექტიური უსაფრთხოების უმთავრესი ორგანიზაცია იქნებოდა, სადაც რუსეთის ადგილი არ იქნებოდა. ზოგიერთი რუსი ექსპერტი სწორედ ამ ფაქტს მიიჩნევდა ნატოს გაფართოების უმთავრეს საფრთხედ. 1980-იანი წლების ბოლოდან რუსეთი ცდილობდა პან-ევროპული უსაფრთხოების ორგანიზაციად ეუთო გადაექცია, 2004 წლის გაფართოების შემდეგ კი რუსეთის ეს მისწრაფება უკვე განუხორციელებელი ჩანდა და რუსეთში (სამეცნიერო წრეებში) გაბატონდა მოსაზრება, რომ სწორედ ნატოს გაფართოებამ მოუღო ბოლო იმ რუსების იმედებს, რომლებიც გორბაჩოვის პერიოდში ფიქრობდნენ და გეგმავდნენ ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე უსაფრთხოების სისტემის შექმნას.

კარაბეშკინს და სფექლერს (2007) მიაჩნდათ, რომ ამ დარტყმის შესამსუბუქებლად ნატო შეეცადა რუსეთთან აქტიური თანამშრომლობის წამოწყებას. ნატო-რუსეთის საბჭომ, რომელიც 2002 წლის მაისში შეიქმნა, ცხრა განსხვავებულ სფეროში ჩამოაყალიბა ნატო-რუსეთის თანამშრომლობა, აქედან ძირითადი ნაწილი რეალურად შედიოდა რუსეთის ინტერესებში და ბალტიის ქვეყნების ალიანსში მიღებას არ უმოქმედია ამ საკითხებთან დაკავშირებით ერთობლივ მუშაობაზე. ბალტიის ქვეყნების გაწევრიანებას ამ თანამშრომლობის გახლეჩა და, გამყოფი ხაზების შექმნა არ გამოუწვევია. და ცხადი იყო, რომ შესაძლოა, ვერ განხორციელდა მოსკოვის „ცივი ომის“ დასრულების დროინდელი ხედვა, თუმცა ბალტიის ქვეყნების სამხედრო ალიანსში ინტეგრაციას არ მოუტანია რუსეთის იზოლაცია დასავლეთისაგან.

ცხადია, ბალტიის ქვეყნების ნატოში ინტეგრაციისადმი რუსეთის შემფოთება სხვა ფაქტორებთან ერთად უკავშირდებოდა კალინინგრადის ოლქს. რუსეთი შიშობდა, რომ სამხედრო სატრანსპორტო გზას ლიეტუვას ტერიტორიის გავლით ბოლო მოეღებოდა. მაღალი მოწყვლადობიდან გამომდინარე, იმ პერიოდში რუსი ანალიტიკოსები განიხილავდნენ კალინინგრადის ოლქში ტაქტიკური ბირთვული იარაღების განლაგებას. თუმცა, როგორც კარაბეშკინი და სფექლერი (2007) აღნიშნავდნენ, ალიანსის რიგებში ლიეტუვას მიღებას არ უმოქმედია რუსეთის სამხედრო ტრანზიტის ლეგალურ სტატუსზე.

კარი და ფლენლი (1999) ასევე მიიჩნევდნენ, რომ შეიძლება, უნგრეთის, პოლონეთისა და ჩეხეთის რესპუბლიკის ალიანსში გაწევრიანება რუსეთს დიდ პრობლემად არ მიეჩნია, თუმცა, როდესაც საქმე ეხებოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს, ამას რუსეთში სერიოზული სამხედრო, პოლიტიკური თუ ფსიქოლოგიური გამოძახილი მოჰყვებოდა. რუსეთის განსაკუთრებულ შემფოთებას კი იწვევდა ბალტიის ქვეყნებისა და უკრაინის ალიანსში გაწევრიანება. რუსი სამხედროები მიიჩნევდნენ, რომ ამ ქვეყნების ალიანსში გაწევრიანებას მომავალში რუსეთის უსაფრთხოებაზე

სერიოზული გავლენა ექნებოდა. ავტორები ამ შემთხვევაშიც შემფოთების ერთ-ერთ მთავარ საკითხად „კალინინგრადის ანკლავს“ ასახელებდნენ. პირველი გაფართოების შემდეგ, რუსეთში შიშობდნენ, რომ თუ ლიეტუვა მიბაძავდა პოლონეთის მაგალითს, კალინინგრადში რუსული ძალები დანარჩენი რუსეთისაგან ნატოს ძალების მიერ იქნებოდნენ მოწყვეტილი. რაც შეეხება უკრაინას, აქ შემფოთების მთავარ საკითხად შავი ზღვის ფლოტი მოიაზრებოდა.

ამასთან, ავტორები აღნიშნავდნენ, რომ ნატოს გაფართოებისადმი დამაბულ დამოკიდებულებას გარკვეულწილად აქვს კავშირი პოსტ-საბჭოთა პერიოდში რუსეთის იდენტობის აღქმასთანაც და 1991 წლიდან მოყოლებული, ეს შეეხება არაერთ საკითხს, მათ შორის: ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრი ქვეყნების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამ შიდა ადმინისტრაციული დანაყოფები გადააქცია საერთაშორისო საზღვრებად. თუმცა, რუსებისათვის ახალი საზღვრები ყოველთვის არ ემთხვევა ფსიქოლოგიურ აღქმას, თუ სად ძვეს რუსეთი და მისი ინტერესები ისტორიულად. რუსეთის ისტორიის დიდ ნაწილი არ მიჯნავს ნათლად ფიზიკურ განსხვავებას რუსეთსა და რუსეთის იმპერიას შორის. აგრეთვე, საბჭოთა კავშირის პერიოდშიც მთლიანი საბჭოთა კავშირი იყო აღქმული „სამშობლოდ.“ და რთული აღმოჩნდა ყოფილი რესპუბლიკების აღქმა ისეთ უცხო ქვეყნად, მაგალითად, როგორც არის საფრანგეთი. ამ პრობლემას ისიც ართულებს, რომ რუსების დიდი ნაწილი ასევე ცხოვრობს ამ ახლად დამოუკიდებლობამოპოვებულ ქვეყნებში. ნაციონალისტი რუსი პოლიტიკოსებისათვის კი ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნები დღემდე წარმოადგენენ რუსეთს. რუსეთის მთავრობა ოფიციალურად აღიარებს ახალი ქვეყნების დამოუკიდებლობას, თუმცა რუსების დიდი ნაწილისათვის ნატოს „ექსპანსია“ ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე სხვა საკითხია.

მეორე საკითხია ის, თუ რა გავლენას ახდენს ნატოს გაფართოება რუსეთის როლსა და გავლენაზე მსოფლიოს მასშტაბით. ზესახელმწიფოს სტატუსის დაკარგვამ რუსეთს ახალი როლის პოვნის სურვილი გაუჩინა.

1992-93 წლებში რუსეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი იყო, დასავლეთის კლუბში რუსეთის რაც შეიძლება სწრაფად ინტეგრაცია და ახალი სტრატეგიული პარტნიორობის ჩამოყალიბება. თუმცა, ამან 1993 წელს რუსეთისათვის მცირე სარგებელი თუ მოიტანა და გრძელვადიან პერსპექტივაში ჩანდა, რომ რუსეთს პატარა ღარიბ პარტნიორზე სულ მცირედით მეტ როლი და გავლენა თუ ექნებოდა იმ მსოფლიო წესრიგში, რომელშიც აშშ და ნატო დომინირებდნენ. ნატოს გაფართოება კი ამ ხედვას ამყარებდა, რასაც ემატებოდა გავრცელებული ნარატივი, რომ ცივი ომის დასრულებისას დასავლეთმა რუსეთი გააცურა (თითქოს დასავლეთი დაჰპირდა რუსეთს, რომ ვარშავის პაქტის დაშლა და გერმანიის გაერთიანება გზას არ გაუხსნიდა ნატოს ექსპანსიას).

### 3.4. ნატოს 2008 წლის სამიტი

2008 წლის ნატოს ბუქარესტის სამიტი გაფართოების ჭრილში შემდეგი შედეგით დასრულდა: ალიანსი მომავალში კვლავ განაგრძობდა გაფართოებას, რის დასტურადაც გამოდგებოდა შეხვედრაზე ალბანეთისა და ხორვატიისათვის მოწვევის გაგზავნა, ამასთან სამიტზე ალიანსის წევრები შეთანხმდნენ, რომ უკრაინა და საქართველო გახდებოდნენ ალიანსის წევრები მომავალში. ნატოს ბუქარესტის სამიტის კომუნიკეში წერია:

*ნატო მიესალმება უკრაინისა და საქართველოს ალიანსში გაწევრიანების სწრაფვას. დღეს ჩვენ შევთანხმდით, რომ ეს ქვეყნები გახდებიან ნატოს წევრები. ალიანსის ოპერაციებში ორივე ქვეყანის წვლილი არის მნიშვნელოვანი. ჩვენ მივესალმებით უკრაინასა და საქართველოში განხორციელებულ დემოკრატიულ რეფორმებს და ველით მათში საქართველოში თავისუფალი და სამართლიანი საპარლამენტო არჩევნების გამართვას. მაპი წარმოადგენს ამ ქვეყნებისათვის ნატოში გაწევრიანების გზაზე გადადგმულ მომდევნო ნაბიჯს. დღეს ჩვენ ნათლად აღვნიშნავთ, რომ მხარს ვუჭერთ ამ ქვეყნების განაცხადს მაპის მიღებასთან დაკავშირებით და ახლა ვიწყებთ*

*ინტენსიურ ურთიერთობას ორივე ქვეყანასთან უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე ამ მიმართულებით. ჩვენ ვთხოვეთ საგარეო საქმეთა მინისტრებს, პროგრესის კუთხით შეფასება მოახდინონ 2008 წლის დეკემბრის შეხვედრაზე. საგარეო საქმეთა მინისტრებს აქვთ უფლებამოსილება, მიიღონ გადაწყვეტილება საქართველოსა და უკრაინის მაპის განაცხადის შესახებ.*

### **3.4.1. რა მოხდა ბუქარესტის სამიტზე?**

როგორც დევიდ კრამერი წიგნში (2017) წერს, (იმავეს აღნიშნავენ სხვა ანალიტიკოსებიც), რომელიც ჩახედული იყო ბუქარესტის სამიტის კულუარებში არსებულ ვითარებაში, ეს სამიტი, დამსწრე პირების შეფასებით, ნატოს ერთ-ერთ ყველაზე დამაბულ სამიტად იქნა მიჩნეული, საქართველოსა და უკრაინისათვის გაწევრიანების სამოქმედო გეგმის მინიჭებასთან დაკავშირებული უთანხმოების გამო. როგორც მოგვიანებით ზოგიერთი ანალიტიკოსი აღნიშნავდა, ამ სამიტზე განვითარებულმა მოვლენებმა წააქეზა რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის განხორციელებაში, ასევე ზოგიერთის შეფასებით, ალიანსის წევრების დანაპირები, რომ საქართველო ერთ დღეს აუცილებლად გახდება ალიანსის წევრი, უფრო გამაღიზიანებელი აღმოჩნდა რუსეთისათვის, ვიდრე – თავად მაპის მინიჭება აღმოჩნდებოდა.

კრამერი (2017) სრულიად ეთანხმება ჯორჯ ბუმ უმცროსისა და რონალდ ასმუსის შეფასებას, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ბუქარესტის სამიტზე უკრაინისა და საქართველოსათვის მაპის მინიჭებაზე უარის თქმამ დააჩქარა რუსეთის მიერ აგვისტოში განხორციელებული ინტერვენცია, რომ ამ გადაწყვეტილებამ, ფაქტობრივად, მწვანე შუქი აუნთო რუსეთს და გაზარდა სამხედრო აგრესიის შესაძლებლობა.

როგორც კრამერი (2017) წერდა, გერმანია და საფრანგეთი შიშობდნენ, რომ ამ ორი ქვეყნისათვის მაპის მინიჭება უფრო დამაბავდა რუსეთთან ურთიერთობას. როგორც ავტორი აღნიშნავს, ამ ფაქტს თავისებური ახსნა მოუძებნა რუსეთმა, რომელმაც ამ ქვეყნებისათვის უარის თქმა მიიჩნია,

როგორც ევროპის მიერ უკრაინისა და საქართველოს მისამართით ინტერესის დაკარგვად: „უკრაინისა და საქართველოს გაწევრიანების სამოქმედო გეგმის გარეშე დატოვება რუსეთის ოფიციალურმა იმდენად მნიშვნელოვან გამარჯვებად ჩათვალა, რომ ბუქარესტის სამიტის კომუნიკეს მკაცრი ტონისა და ალიანსში გაწევრიანების დაპირებისათვის მათ დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებიათ.“ (გვ. 63).

ამრიგად, გერმანიის კანცლერის პოზიცია, რომელიც საქართველოსა და უკრაინისათვის მაპის მინიჭებაზე უარის თქმის აუცილებლობას უკავშირებდა იმ ფაქტს, რომ აღნიშნული გამოიწვევდა რუსეთის პროვოცირებას, განეხორციელებინა აგრესიული პასუხი, აღმოჩნდა სრულიად საპირისპირო – როდესაც სულ რამდენიმე თვეში ზუსტად ის ფაქტი, რომ ამ ორი ქვეყანას მაპი არ მიანიჭეს, აღმოჩნდა რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო აგრესიის მასტიმულირებელი – ვინაიდან რუსეთმა დათმობა აღიქვა, როგორც სისუსტე და არა – როგორც კეთილი ნების გამოვლინება.

კრამერის (2017) აზრით, სამიტზე განვითარებული მოვლენების გამო, რუსებმა ჩათვალეს, რომ სამხედრო ინტერვენცია მათ ნეგატიურ შედეგებს არ მოუტანდა და მართალიც აღმოჩნდნენ. ოდნავ განსხვავებულ ინტერპრეტაციას იძლევა ასმუსი (2010) აგვისტოს ომისა და მისი წინა პერიოდის შესახებ გამოქვეყნებულ წიგნში, სადაც ავტორი, კრამერის მსგავსად, აღნიშნავს, რომ ნატოელი მოკავშირეების ქცევა, თუნდაც ბუქარესტის სამიტზე, რუსეთმა, მართალია, მიიჩნია ნატოს მიერ საქართველოსადმი ინტერესის დაკარგვად, თუმცა მთავარი, კრამერისგან განსხვავებით, ასმუსის აზრით, იყო არა მაპის მინიჭება-არ-მინიჭების საკითხი, არამედ ის ფაქტი, რომ ალიანსის შიგნით არ არსებობდა თანხმობა და ერთიანობა.

ასმუსის (2010) აზრით, ბუქარესტის სამიტზე ნატომ სათანადოდ ვერ შეაფასა ის ფაქტი, თუ რამდენად იყო რუსეთი დაინტერესებული, საქართველოსა და უკრაინის ალიანსში გაწევრიანება არ დაეშვა და მზად იყო,

ამისათვის ყველაფერი ელონა. მისი აზრით, ერთადერთი, რაც რუსეთს განზრახვაზე აალებინებდა ხელს, იყო ის, რომ ნატოს მტკიცედ დაედასტურებინა, რომ გაფართოება გარდაუვალი პროცესი იყო და მისი შეჩერების მცდელობას „ქმედითი საპასუხო ზომები მოჰყვება“. ავტორის აზრით, სამიტზე მაპის მიცემაც კი ამგვარი განაცხადის ფუნქციას ვერ შეასრულებდა და უმთავრესი პრობლემა მაინც ის იყო, რომ ალიანსის შიგნით ძალიან დიდი იყო წინააღმდეგობა და ამ ყველაფერმა ნათლად აჩვენა, რომ ალიანსი სრულიად არ იყო მზად ამგვარი თანადგომისათვის.

როგორც ასმუსი წერს, „ბუქარესტში მთავარ პრობლემას ნატოში არსებული უთანხმოება წარმოადგენდა. ნატომ ვერ შეძლო, აეღო საქართველოსათვის ისეთი ვალდებულება, რომელიც რუსეთის შემდგომ ნაბიჯებს შეაკავებდა.“

ძალიან დამაბული იყო სამიტის ფარგლებში არსებული მდგომარეობა საქართველოსა და უკრაინისათვის მაპის მინიჭების თაობაზე. ტრადიციულად მოწინააღმდეგე ქვეყნები იყვნენ: გერმანია, საფრანგეთი, (იტალია, ბენილუქსის ქვეყნები, საბერძნეთი, ესპანეთი და თურქეთი „მეორჭოფეთა“ რიგებს მიეკუთვნებოდნენ). მაპის მინიჭების აქტიური მხარდამჭერები უმთავრესად იყვნენ: ბალტიისა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები. გერმანიის კანცლერი, ანგელა მერკელი, საკუთარ წინააღმდეგობას ხსნიდა საქართველოში დემოკრატიის დაბალი ხარისხიდან გამომდინარე, (კანონის უზენაესობა და სასამართლო რეფორმა). სამიტზე უმთავრესად ერთმანეთს დაუპირისპირდნენ გერმანული და ამერიკული მხარის პოზიციები. გერმანია, როგორც უკვე აღინიშნა, არ იყო თანახმა საქართველოსა და უკრაინას არც ამ სამიტზე და არც უახლოეს მინისტერიალზე მაპი მიეღოთ, თუმცა ამ ორი ქვეყნის მეგობარმა ქვეყნებმა გერმანია, ფაქტობრივად, აიძულეს, საჯაროდ გაეცხადებინა, რომ ეს ორი ქვეყანა აუცილებლად გახდებოდა ალიანსის წევრი. ასეთი რამ, კი, ფაქტობრივად, არასოდეს მომხდარა – საქართველომ და უკრაინამ მიიღეს ურყევი დაპირება ალიანსში გაწევრიანების თაობაზე.

გერმანული მხარე აფიქსირებდა, რომ ამ ეტაპზე საქართველო და უკრაინა ვერ მიიღებენ მაჰს, თუმცა ეს ქვეყნები „ერთ მშვენიერ დღეს“ გახდებოდნენ ალიანსის წევრები. თუმცა, საქართველოს მეგობარი ქვეყნების ჯგუფმა (რუმინეთის ლიდერის ხელმძღვანელობით) მოახერხა ტექსტიდან ამ ფრაზის ამოღება და მისი ჩანაცვლება ფრაზით, რომ „საქართველო და უკრაინა ალიანსის წევრები აუცილებლად გახდებოდნენ“. როგორც ბესესკუ (რუმინეთის მაშინდელი პრეზიდენტი) მერკელს უხსნიდა, „ერთ მშვენიერ დღეს იმ სამყაროში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, არაფერს ნიშნავს....ეს იგივეა, რაც არასოდეს“, საბოლოოდ დაპირისპირებული ლიდერები იმაზე მაინც შეთანხმდნენ, რომ ეს ორი ქვეყანა მომავალში ალიანსის წევრობას იმსახურებდა და უთანხმოების საგანს მხოლოდ და მხოლოდ ვადები წარმოადგენდა.

ამ ორი ქვეყნისათვის მაჰსის მინიჭების საკითხის განხილვა და მათი მიღწევების შეფასება ნატოს დეკემბრის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრისთვის გადაიდო. სამიტის ფარგლებში ასევე უთანხმოების საგანი იყო ფრაზა, სადაც საუბარი იყო, რომ საქართველო და უკრაინა ალიანსის წევრები გახდებოდნენ „მათი სურვილის შემთხვევაში“. თუმცა, უკრაინის მეგობარი ქვეყნების ჯგუფმა ასევე გააპროტესტა ეს ფრაზა და საბოლოო ტექსტიდან ამოღებულ იქნა, გამომდინარე იქიდან, რომ ეს ფრაზა უკრაინის წინააღმდეგ შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული, ვინაიდან ნატოს იდეა ამ ქვეყანაში დიდი საზოგადოებრივი მხარდაჭერით არ სარგებლობდა.

### 3.5. ნატო-მონტენეგრო

მიუხედავად მთელი რიგი გამოწვევებისა (განსაკუთრებით საშინაო მიმართულებით), დასავლეთ ბალკანეთის პატარა ქვეყანა მონტენეგრო ნატოს წევრობის სამოქმედო გეგმის მიღებიდან რვა წელში, 2017 წლის ივნისში, ალიანსის სრულუფლებიანი წევრი გახდა. აღსანიშნავია, რომ 2009 წელს ალიანსის რიგებში ხორვატიისა და ალბანეთის მიღების შემდეგ, ეს ნატოს პირველი გაფართოება იყო.



როგორც 2015 წელს თავად მონტენეგროელი მაღალჩინოსანი ალექსანდრე პეჯოვიკი<sup>18</sup> აღნიშნავდა, „ათი წლის წინ ჩვენ ქვეყანაც კი არ ვიყავით, დღეს კი მოწვევა მივიღეთ ნატოსაგან“. აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე ნატოში (ისევე, როგორც ევროკავშირში) გაწევრიანება ქვეყნის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს და აღნიშნული დაფიქსირებულია არაერთ სტრატეგიულ დოკუმენტშიც, მათ შორის ქვეყნის კონსტიტუციაში, მონტენეგროს დამოუკიდებლობის დეკლარაციაში; ამასთან, ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტები, როგორიც არის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, თავდაცვის სტრატეგია, სამხედრო სტრატეგია მიღებული იქნა ქვეყნის მთავრობის მიერ, რათა დაფიქსირებულიყო ქვეყნის ძალისხმევა და მონდომება ალიანსში ინტეგრაციის პროცესთან მიმართებაში. (ვუჩკოვიჩი, ვუჩინიჩი და ჯორჯევიჩი, 2016).

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამ ყველაფრის მიუხედავად, საბოლოო წევრობის მიღებამდე ორი წლით ადრეც ქვეყანას სჭირდებოდა სერიოზული ძალისხმევის გაწევა, რათა გაეუმჯობესებინა ვითარება შემდეგი ოთხი ძირითადი მიმართულებით: უსაფრთხოების სექტორის რეფორმა, კანონის უზენაესობის გაძლიერება, ნატოში გასაწევრიანებლად ხალხის მხარდაჭერის გაზრდა და თავდაცვის სექტორის რეფორმის გაგრძელება.

კანონის უზენაესობის გაძლიერებაში იგულისხმებოდა ქვეყნისათვის ისეთი პრობლემური საკითხები, როგორებიც არის: კორუფცია, ორგანიზებული დანაშაული, ტრეფიკინგი, ფულის გათეთრება. Freedom House-ის 2016<sup>19</sup> წლის ანგარიშში მონტენეგრო „ნახევრად თავისუფალ“ ქვეყნად არის მოხსენიებული, განსხვავებით წინა წლებისაგან, როდესაც ბალკანეთის ქვეყანას „თავისუფალი“ ქვეყნის სტატუსი ჰქონდა მინიჭებული, აღნიშნულს კი

---

<sup>18</sup> იხ. <http://blogs.lse.ac.uk/europpblog/2015/12/03/montenegro-chief-eu-negotiator-we-made-it-clear-to-russia-we-are-joining-nato-and-thiswill-not-affect-our-relations/>

<sup>19</sup> იხ. Freedom House-ის ანგარიში. <https://freedomhouse.org/report/freedom-world/2016/montenegro> უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 02.05.2018.

გავლენიანი ორგანიზაცია ხსნის ხალხისათვის მშვიდობიანი შეკრების უფლების შეზღუდვით, ასევე ლგბტ თემის მიმართ ქვეყანაში არსებული დისკრიმინაციით. ანგარიშში კონკრეტულად მოყვანილია 2015 წლის შემოდგომის მოვლენები, როდესაც პოლიცია შეეცადა შეეზღუდა ანტი-სამთავრობო გამოსვლები, მაშინ საპროტესტო გამოსვლები 14 ქალაქში აიკრძალა. ამასთან, ლგბტ ჯგუფების წარმომადგენლების განცხადებით, მთავრობამ მათ ერთი წლის განმავლობაში სამჯერ უთხრა უარი „აღლუმის“ მოწყობაზე. ანგარიშში ასევე ნახსენები ევროპის კომისიის მიერ გამოთქმული შეშფოთება სასამართლო სისტემისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.

ამასთან, ანგარიშში მითითებულია მედიის თავისუფლების კუთხით ქვეყანაში არსებული არცთუ ისე სახარბიელო ვითარება, სადაც არსებობს ირიბი ცენზურა; ხდება თავდასხმები, განსაკუთრებით იმ ჟურნალისტებზე, რომლებიც კრიტიკულ მასალებს აქვეყნებენ ადგილობრივი მთავრობის მისამართით.

თუმცა, აღსანიშნავია რომ ზემოთ ჩამოთვლილს ხელი არ შეუშლია ალიანსისათვის 2015 წელს მონტენეგროსათვის ალიანსში მისაღებად მოწვევა გაეგზავნა. ამასთან, აქვე უნდა აღინიშნოს ნატოში საბოლოო გაწევრიანებამდე მონტენეგროს მოსახლეობის განწყობა. ჩატარებული გამოკითხვების თანახმად, სამხედრო ალიანსში გაწევრიანებას მოსახლეობის ნახევარზე მეტი ეწინააღმდეგებოდა. მაშინ რა მიზანი ამოძრავებდა ალიანსს, საკუთარ რიგებში გაწევრიანება შეეთავაზებინა ქვეყნისათვის, რომელიც ამ კონკრეტული ორგანიზაციისათვის გასაწევრიანებლად აუცილებელ უმთავრეს კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებდა და თუ ავიღებთ საქართველოს მაგალითს, ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნად უსწრებდა და უსწრებს მონტენეგროს ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილებაში?

მონტენეგროს ნატოში გაწევრიანების განხილვისას გასათვალისწინებელია ასევე რუსეთის ფაქტორი, რომელსაც 2006 წლიდან, მონტენეგროს

მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მოყოლებული, ქვეყანაში არცთუ ისე მცირე ინვესტიციები ჰქონდა განხორციელებული და ნატოს მიერ მონტენეგროსათვის მიწვევის გაგზავნას საკმაოდ აგრესიული განცხადებებით უპასუხა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ნატოს რიგებში 29-ე ქვეყნად მონტენეგროს მიღებას „შეცდომა“, „პროვოკაცია“, ასევე „უპასუხისმგებლო პოლიტიკა“ უწოდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დღეისათვის რუსეთი აღარ მოიაზრება მონტენეგროს უმთავრეს ინვესტორად, თუმცა ათეულში კვლავ შედის.

ნატოს ალტრუსტულ, თუ იდეოლოგიურ მიზნებთან ერთად, ალიანსში მონტენეგროს მიღების ანალიზისათვის საჭიროა ალიანსის კონკრეტული გეოპოლიტიკური მიზნების განხილვაც. როგორც ზოგიერთი ანალიტიკოსი და დასავლელი დიპლომატები მიუთითებენ, მონტენეგროს ალიანსში გაწევრიანებით ნათელი შეტყობინება იქნა გაგზავნილი რუსეთის მისამართით, რომ ის გავლენას ვერ მოახდენს ალიანსის აქტივობებზე, რომლებიც შეეხება გაფართოებას, მისიებს და ა. შ. მათი აზრით, მონტენეგროს მიღებით, კრემლმა მიიღო ნათელი გზავნილი, რომ ვერ დაბლოკავს, შეაფერხებს ან რაიმე ტიპის გავლენას მოახდენს ალიანსის გაფართოებაზე. ეს ყველაფერი ასევე ემსახურება ალიანსის განცხადებების განმტკიცებას, რომ არცერთ მესამე მხარეს, ამ შემთხვევაში რუსეთს, არ შეუძლია ნატოს შიდა საქმეებში ჩარევა და გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა.

ნატოს მიერ მონტენეგროსათვის წევრობის შეთავაზებას, ასევე, უკავშირებენ კონკრეტულ გეოგრაფიულ მდებარეობას, კონკრეტულად კი მის გასასვლელს ადრიატიკის ზღვაზე, რაც ხმელთაშუა ზღვის კონტროლისა და მონიტორინგის საშუალებას იძლევა. (ნიჩი, 2015) მონტენეგროს წევრად მიღებით, ალიანსი საკუთარი ქოლგის ქვეშ აქცევს მთელ ადრიატიკის სანაპიროს და საკუთარ თავს იცავს ადრიატიკის ზღვაზე რუსეთისაგან მომდინარე ნებისმიერი საფრთხისაგან. როგორც თავად ნატოელი მაღალჩინოსნები აღნიშნავენ, მონტენეგროს საკუთარ რიგებში

გაწევრიანებით ნატო აღკვეთავს „ხმელთაშუა ზღვაში ახალი კალინინ-გრადის შექმნას.“ (ფარკაში, 2015).

გარდა ამისა, მონტენეგროსათვის წევრობის გაგზავნით, ნატოს „ღია კარის პოლიტიკის“ მდგრადობის ხაზგასმაც ხდება. როგორც აღნიშნავდნენ, მონტენეგროს არმიწვევა საკუთარ რიგებში იქნებოდა ალიანსის გაფართოების პოლიტიკაზე რუსეთის სერიოზული ზეგავლენის მანიშნებელი და დამადასტურებელი, (ოულკერი, 2015). ნატოს „ღია კარის პოლიტიკის“ გაგრძელება კი სამხედრო ალიანსის ეფექტიანობისა და წინსვლის ინდიკატორს წარმოადგენს.

ამასთან, მონტენეგროს მიღება სტიმული იქნებოდა ფორმალურად აღიარებული ასპირანტი ქვეყნების საქართველოს, მაკედონიის<sup>20</sup> და ბოსნია-ჰერცეგოვინისათვის, რომ „ღია კარის პოლიტიკა“ კვლავ მოქმედებს, რაც ამ ქვეყნებს წაახალისებდა, გაეგრძელებინათ იმ რეფორმების განხორციელება, რაც საჭიროა ალიანსთან დასაახლოებლად. (ფარკაში, 2015). მონტენეგროს შემთხვევა სანიშნო მაგალითი იქნებოდა დასავლეთ ბალკანეთის ორი ქვეყნის: მაკედონიისა და ბოსნია-ჰერცეგოვინისათვის, რომლებსაც ფუნდამენტური და მტკივნეული რეფორმების გატარება უწევდათ. საქართველოსათვის (და უკრაინისთვისაც) კი მონტენეგროს ნატოს წევრად მიღება ნიშნავს, რომ ალიანსის „ღია კარის პოლიტიკა“ კვლავ ფუნქციონირებს, გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ განსაკუთრებით რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდგომ აღნიშნული პოლიტიკასთან დაკავშირებით, გაჩნდა სერიოზული ეჭვები (გრემერი, 2015).

როგორც ფარკაში აღნიშნავს, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ მონტენეგროს მიღებით ნატო გაზრდის სტაბილურობას ბალკანეთის

---

<sup>20</sup> მაკედონია მონტენეგროს გაწევრებიდან სამ წელიწადში შეუერთდა ალიანსის რიგებს.

რეგიონში, რომელიც ამ დრომდე ტრავმირებულია 1990-იანი წლების სამოქალაქო ომის გამო. მონტენეგრო ყოფილი იუგოსლავიის მესამე ქვეყანაა (სლოვენისა და ხორვატიის შემდეგ), რომელიც ალიანსში გაწევრიანდა.

რაც შეეხება რუსეთის წინააღმდეგობას, აღნიშნულის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზეზს წარმოადგენს მონტენეგროს გეოგრაფიული მდებარეობა. ალიანსში გაწევრიანებით რუსეთმა საბოლოოდ დაკარგა შესაძლებლობა ადრიატიკის ზღვის გავლით გასასვლელი ჰქონოდა ხმელთაშუა ზღვაზე (ჰულალუ, 2015). 2013 წელს რუსეთმა საკუთარი საზღვაო ფლოტის ლოგისტიკური მხარდაჭერისათვის მონტენეგროს ადრიატიკის ზღვის პორტის ბარის გამოსაყენებლად ნებართვა სთხოვა, რაზეც მონტენეგროს მთავრობისაგან უარი მიიღო. მონტენეგროსათვის ნატოს მიერ მიწვევის გაგზავნის შემდეგ კი ოფიციალური რუსეთისაგან მტრულმა განცხადებებმაც არ დააყოვნა და ნატოში გაწევრიანების შემთხვევაში მონტენეგრო რუსეთის ბირთვული იარაღის ლეგიტიმურ სამიზნედაც იქნა დასახელებული. რუსეთის, ოფიციალურ პირებს არც იმის შეხსენება დავიწყებიათ მონტენეგროსათვის, რომ სამხედრო ალიანსის წევრობა უარყოფითად აისახებოდა ტურიზმზე, ინვესტიციებზე და რუსეთსა და მონტენეგროს შორის არსებულ ეკონომიკურ თანამშრომლობაზე. მონტენეგროს ალიანსში გაწევრიანებამდე, რუსეთმა სხვა ქვეყნებში არაერთგზის ნაცად ხერხსაც მიმართა და აქტიურად უჭერდა მხარს ოპოზიციურ პარტიებს, რომლებიც ქვეყნის ნატოში ინტეგრაციას ეწინააღმდეგებოდნენ და რომლებიც სამთავრობო შენობების წინ საპროტესტო გამოსვლებსაც აწყობდნენ ალიანსში გაწევრიანების წინააღმდეგ.

ქვეყნის პროკურატურის<sup>21</sup> მტკიცებით, რუსეთის მოქალაქეები იღებდნენ მონაწილეობას 2016 წელს ქვეყანაში გადატრიალების მცდელობაში.

---

<sup>21</sup> იხ. რუსული ონლაინ გამოცემის სტატია <http://www.newsru.com/world/20feb2017/montekatni4.html> უკანასკნელად გადამოწმებული იქნა – 20.02.2018.

როგორც ცნობილია, 2016 წლის ქვეყნის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ ქვეყნის სამართალდამცავმა სტრუქტურებმა დაახლოებით 50 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი გამოავლინეს, რომლებიც პროკურატურის მტკიცებით, არჩევნების შემდგომ გეგმავდნენ ქვეყნის პრემიერის მილო ჯუკანოვიჩის ლიკვიდაციას და პარლამენტში შეჭრას. მონტენეგროს ხელისუფლებამ მაშინ განაცხადა, რომ დაჯგუფებას „რუსი ნაციონალისტები“ ედგნენ სათავეში. დასახელდა რუსეთის მოქალაქეების ვინაობაც: ვლადიმერ პოპოვი და ედუარდ შიროკოვი, რომლებზეც საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა. ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა<sup>22</sup> მომხდართან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს გადატრიალების მცდელობა არის იმის მანიშნებელი, თუ რა მნიშვნელობა აქვს ბალკანეთის ქვეყნის ალიანსში გაწევრიანებას. მისივე თქმით, მონტენეგროში გადატრიალების მოწყობის მცდელობა რეალურად „წარმოადგენს არგუმენტს მონტენეგროს ალიანსში გაწევრიანების სასარგებლოდ.“

### 3.6. ნატოს ახალი წევრების კონტრიბუცია ალიანსში

*გავრცელებული მოსაზრება, რომ ნატოს ახალ წევრ ქვეყნებს არ შეაქვთ სათანადო წვლილი ალიანსის საქმიანობაში და წარმოადგენენ ე. წ. „ფრი რაიდერებს“ ნაკლებად შეესაბამება სიმართლეს და არაერთ ახლად გაწევრებულ ქვეყანას მნიშვნელოვანი კონტრიბუცია შეუტანია ალიანსის მიერ უმნიშვნელოვანესი ფუნქციების განხორციელებაში.*

კროფტი (2002, გვ. 97-114) აღნიშნავდა, რომ მას შემდეგ, რაც ალიანსმა ახალი წევრების მიღების გადაწყვეტილება მიიღო, საკითხავი იყო ამ ახალი წევრების ორგანიზებული კონტრიბუცია ალიანსში და ასევე, ხომ არ გაგრძელდებოდა და კიდევ უფრო გაძლიერდებოდა „უბილეთო მგზავრების“ დიდი ხნის ტენდენცია, როდესაც „დიდ“ ქვეყნებზე ხდებოდა

<sup>22</sup> იხ. რუსული ონლაინ გამოცემის სტატია <http://www.newsru.com/world/13mar2017/chernogoriya.html> უკანასკნელად გადამოწმებული იქნა – 20.02.2018.

დაყრდნობა. კროფტს მოჰყავს უნგრეთისა და პოლონეთის მაგალითები. უნგრეთმა მიღებისას პირობა დადო, რომ 2001 წლისათვის თავდაცვით ხარჯებს მშპ-ის 1.8 პროცენტამდე გაზრდიდა, თუმცა რეალურად მან 1.7 (ნატოს მიხედვით) თუ 1.3 პროცენტამდე (SIPRI-ის მონაცემებით) მოახერხა ზრდა. ასევე, როგორც კროფტი (2001) წერდა, ამ მხრივ კრიტიკას 2001 წელს ვერც პოლონეთი გადაურჩა.

მოგვიანებით კი, კროფტისაგან განსხვავებით, ჰილისონი (2009) აღნიშნავს, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ახალ წევრებს სერიოზული კონტრიბუცია შეაქვთ ალიანსის საქმიანობაში და გაწევრიანების შემდგომ მათი სამხედრო დანახარჯები აღემატება კიდევ ძველი წევრების ხარჯებს. ჰილისონი აღნიშნულს ნაწილობრივ ხსნის იმ ფაქტით, რომ გაწევრიანების შემდეგ ახალ წევრებს სჭირდებათ საკუთარი არმიის მოდერნიზება, ასევე, მათი სურვილია, რაც შეიძლება მეტად დაუახლოვდნენ ნატოს სტანდარტებს.

ჰილისონი (2009) ნატოს სამი ახალს წევრს (უნგრეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა და პოლონეთი) ადარებს სამ ძველ წევრს (ბელგია, პორტუგალია და ესპანეთი) და გარე და შიდა ფაქტორების ანალიზით ასკვნის, რომ ახალი წევრები სამართლიანად ინაწილებენ ალიანსის წევრობის ტვირთს, რითაც, ფაქტობრივად, ალიანსის ნდობას იხვეჭენ. ამასთან, იმავეს თქმა არ შეიძლება ნატოს აბსოლუტურად ყველა წევრზე და არიან ისეთი ქვეყნებიც, რომლებსაც „უბილეთო მგზავრებად“ ყოფნა არ აწუხებთ.

ჰილისონი (2009) ურჩევს ნატოს დამაარსებელ ქვეყნებს, მხარი დაუჭირონ ახალი წევრების მონდომებას, გახდნენ ალიანსის ღირსეული წევრები და საკუთარი წვლილი შეიტანონ ორგანიზაციის საქმიანობაში. ეს შეიძლება მოხდეს ისეთი ღონისძიებები დახმარებით, როგორებიცაა: სამხედრო დახმარება, საჯარო აღიარება და უწყვეტი თანამშრომლობა.

ჰილისონის მსგავსად, ასმუსიც (2002, გვ. 278-279) მხარს უჭერს ნატოს გაფართოების პოლიტიკას და აღნიშნავს, რომ ახალ წევრებს (კონკრეტულად კი პატარა სახელმწიფოებს) ძალუბთ, არცთუ ისე მცირე წვლილი შეიტანონ ზოგადად ალიანსის უსაფრთხოებასა და კონკრეტული რეგიონის სტაბილურობაში. ასმუსს მაგალითად მოჰყავს ბოსნიის კონფლიქტი, სადაც ნატოს ხელმძღვანელობით შექმნილმა ე. წ. „იმპლემენტაციის ძალებმა“ (IFOR) ნათლად აჩვენა პატარა ქვეყნების პოტენციური ნატოს ხელმძღვანელობით წარმოებულ ოპერაციებში. 1996 წელში განლაგებული 60 000 ჯარისკაციდან 1/6-ს შეადგენდნენ სამხედროები ნატოს არაწევრი ქვეყნიდან, რომელთა უმრავლესობა მონაწილეობდა პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისათვის.“ ასმუსი ასახელებს უნგრეთს, რომელიც ამ კონფლიქტის დროს წარმოადგენდა კონტრიბუტორს მისი სტრატეგიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე და რომელიც შესანიშნავ ბაზას უქმნიდა ალიანსს, განეხორციელებინა შესაფერისი ოპერაციები. ასმუსის აზრით, აღნიშნული კონფლიქტის შემდეგ მომხდარმა ნატოს გაფართოებამ, დემოკრატიის გავრცელების საშუალებით, რეგიონის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ასმუსის აზრით, ამ პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა კარგად აჩვენა გაფართოების ღირებულება, ეს განსაკუთრებით შეეხება ალიანსის რიგებში პატარა ქვეყნების ჩართვას.

ვებერი, ჰალამსი და სმიტი (2014) კი აღნიშნავენ, რომ თავდაცვითი ხარჯების ზრდას მომავალშიც, სავარაუდოდ, გააგრძელებენ ისეთი ქვეყნები, როგორც არიან: ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, პოლონეთი და ნორვეგია, თუმცა მოკლევადიან პერიოდში მაინც მსგავსი მოლოდინი საზოგადოებას ვერ ექნება ალიანსის წევრი ევროპის სხვა ქვეყნებისაგან (მათ შორის მოიაზრებიან უმსხვილესი მხარჯველები: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და გერმანია), რომლებიც, შესაძლოა, პირიქით, თავდაცვითი სახსრების შემცირების გზასაც კი დაადგნენ. ვებერის, ჰალამსისა და სმიტის აზრით, ევროპის მასშტაბით საბიუჯეტო პრიორიტეტების შეცვლაზე



გავლენას, სავარაუდოდ, ვერ მოახდენს ვერც რუსეთისაგან მომდინარე მზარდი საფრთხე და მომავალში თავდაცვითი ხარჯების ზრდის ბედი საკმაოდ ბუნდოვანია. ევროკავშირის უსაფრთხოების კვლევების ინსტიტუტის მიერ მომზადებულ კვლევაში კი საუბარია, რომ თავდაცვითი ხარჯების მორიგი შემცირება გარდაუვალია სხვადასხვა მიზეზებიდან გამომდინარე, იქნება ეს დემოგრაფიული ზეწოლა, თუ საბიუჯეტო პირველადი საჭიროებები. როგორც კვლევაშია აღნიშნული, „სოციალური უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის ხარჯების ზრდის ფონზე, შეიარაღებული ძალების ხარჯების შეკვეცა რეალურად არის მოსალოდნელი.“

## თავი 4. პოსტსაბჭოთა პერიოდში ნატო-რუსეთის, აშშ-რუსეთის, აშშ-ევროპის ურთიერთობები

### 4.1. ქრონოლოგია

„ცივი ომის“ შემდგომ ნატო-რუსეთის ურთიერთობა არაერთ-გვაროვნად ვითარდებოდა და ამ ურთიერთობის წინააღმდეგობრივი ხასიათის მიუხედავად ანალიტიკოსები გამოყოფენ შედარებით დათბობის პერიოდს, რომელსაც ზოგიერთი „რომანტიკულ“ ან „თაფლობის თვის პერიოდადაც“ ახასიათებს. აღნიშნული პერიოდი 90-იანი წლების დასაწყისს მოიცავს, როცა რეალურად შეინიშნებოდა ნატო-რუსეთის პარტნიორული ურთიერთობის მიმართულებით გარკვეული დადებითი ძვრები, რა მდგომარეობაც უკვე აღარ იყო საქართველო-რუსეთის ომისა და, განსაკუთრებით, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდგომ; მას შემდეგ, რაც რუსეთი ღიად ასახელებს ნატოს თავისი უსაფრთხოების ნომერ პირველ მტრად; და როგორც ნატოს მაშინდელი გენერალური მდივნის მოადგილე ალექსანდრე ვერშოუ (2014) აღნიშნავს, რუსეთისაგან მომდინარე ქმედებებიდან და განცხადებებიდან გამომდინარე, ნატო იძულებულია, რუსეთის აღიქვას არა პარტნიორად, არამედ – მოწინააღმდეგედ.

თუმცა, 2002 წელს, რომ ჯერ კიდევ არსებობდა ნატოსა და რუსეთს შორის ნორმალური, ყოვლისმომცველი ურთიერთობების განვითარების გარკვეული შანსი, რასაც ამერიკის ყოფილი სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერის (2002) სტატიაც ადასტურებს, სადაც იგი აღნიშნავს, რომ არ გამორიცხავდა ალიანსში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან ერთად, „დემოკრატიული რუსეთის“ გაწევრიანებასაც. ბეიკერი თავადვე აღნიშნავს, რომ 9/11-ის ტერორისტულმა თავდასხმამ უფრო გაზარდა რუსეთისა და ნატოს დაახლოების შანსები, ამასთან, იგი ჩამოთვლის იმ ძირითად კრიტერიუმებს, რომლის დაკმაყოფილებაც რუსეთს მოუწევდა, თუ მას ალიანსში გაწევრიანება რეალურად სურდა, თუმცა იმასაც აღნიშნავდა რომ ამ კრიტერიუმების შესრულება იოლი საქმე

არ იყო რუსეთისათვის. ბეიკერს მიაჩნდა, რომ ალიანსში გაწევრიანება შეასუსტებდა რუსეთის ექსპანსიონიზმის რისკებს. მისი მტკიცებით, პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ და ნატო-რუსეთის მუდმივი ერთობლივი საბჭო ნაწილობრივ იმისათვის ჩამოყალიბდა, რომ რუსეთს ნატოსთან დაკავშირებით შემფოთების მიზეზი აღარ ჰქონოდა და ამასთან ნატოს სრული წევრობისათვისაც მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაედგა წინ.

ცივი ომის შემდგომ ნატოსა და რუსეთს შორის ურთიერთობები ასე ვითარდებოდა<sup>23</sup>:

1994 წელი – პარტნიორობა მშვიდობისათვის: 1994 წლის ივნისში რუსეთი გახდა პირველი ქვეყანა რომელიც შეუერთდა ნატოს პროგრამას პარტნიორობა მშვიდობისათვის. ეს არის პრაქტიკული ორმხრივი თანამშრომლობის პროგრამა ალიანსსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის.

1997 წელი – ნატო-რუსეთის დამფუძნებელი აქტი: 1997 წლის 27 მაისს ნატოს ლიდერებმა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ბორის ელცინმა ხელი მოაწერეს ნატო-რუსეთის დამფუძნებელ აქტს და გამოთქვეს მზადყოფნა „ევროატლანტიკურ არეალში მტკიცე მშვიდობის შენების თაობაზე, რომელიც დამყარებული იქნება დემოკრატიის პრინციპებსა და ერთობლივ უსაფრთხოებაზე.“

ამ შეთანხმების თანახმად, განისაზღვრა ის არეალი, რომელშიც მხარეებს უნდა ეთანამშრომლათ: მშვიდობის უზრუნველყოფა, შეიარაღების კონტროლი, კონტრ-ტერორიზმი, ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლა და სარაკეტო თავდაცვის არეალი. დამფუძნებელ აქტში ნატო და რუსეთი შეთანხმდნენ რომ მათი თანამშრომლობა დაფუძნებული იქნებოდა ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლების დაცვის პრინციპებზე,

---

<sup>23</sup> იხ. ნატოს ოფიციალური ვებგვერდი [https://www.nato.int/nato\\_static\\_fl2014/assets/pdf/pdf\\_2017\\_11/20171107\\_1711-NATO-Russia\\_en.pdf](https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_2017_11/20171107_1711-NATO-Russia_en.pdf) უკანასკნელად გადამოწმებული იქნა – 20.03.2018.

თავს შეიკავებდნენ მუქარისაგან და ერთმანეთის ან სხვა ქვეყნის წინააღმდეგ ძალის გამოყენებისაგან. ყირიმის უკანონო ანექსიით (ისევე როგორც საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციით), რომელიც სუვერენული ქვეყნის ტერიტორიაა, მოხდა რუსეთის მიერ დამფუძნებელი აქტის პირობების დაარღვევა.

2002-2008 წლები – თანამშრომლობა ნატო-რუსეთის საბჭოს ფარგლებში: 2002 წლის 28 მაისს რომში ნატოს ლიდერებმა და პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას, სახელწოდებით „ნატო-რუსეთის ურთიერთობები: ახალი ხარისხი.“ დეკლარაციამ საფუძველი ჩაუყარა თანასწორ წევრებს შორის კონსენსუსზე დაფუძნებული ორგანოს ნატო-რუსეთის საბჭოს შექმნას. რუსეთი წარმოადგენდა ნატოს ერთადერთ პარტნიორს, რომელსაც მსგავსი პრივილეგირებული პარტნიორობა ხვდა წილად. აღნიშნული საბჭო ითვალისწინებდა თანამშრომლობას შემდეგი მიმართულებებით: კონტრ-ტერორიზმი, კრიზისის მენეჯმენტი, შეიარაღების კონტროლი და სარაკეტო თავდაცვა. ნატო და რუსეთი თანამშრომლობდნენ ავღანეთის საკითხშიც, რუსეთი ISAF-ის ძალებს სატრანზიტო გზებით უზრუნველყოფდა, ასევე ეხმარებოდა ნატოს, გაეწვრთნა ოფიცრები ავღანეთიდან, პაკისტანიდან და ცენტრალური აზიიდან ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

2008 წლის საქართველოს კრიზისი: 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო მოქმედებებმა გამოიწვია ნატო-რუსეთის საბჭოს ფორმალური შეხვედრებისა და ზოგიერთ სფეროში თანამშრომლობის შეჩერება. ნატოს წევრები მოუწოდებენ რუსეთს, უკან წაიღოს საქართველოს რეგიონების აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარება. 2009 წელს სტრასბურგში გამართულ სამიტზე ნატოს წევრმა ქვეყნებმა აღიარეს საქართველოს საკითხთან დაკავშირებით რუსეთთან არსებული უთანხმოება, თუმცა გადაწყვიტეს პოლიტიკური და პრაქტიკული თანამშრომლობის განახლება.

2010-2014 წლები – თანამშრომლობის ახალი ეტაპის ძიება: 2010 წლის ლისაბონის სამიტზე ნატოს წევრი ქვეყნები და პრეზიდენტი დმიტრი მედვედევი “რეალური სტრატეგიული პარტნიორობისათვის თანამშრომლობის ახალი ეტაპის დაწყებაზე“ შეთანხმდნენ, რომელიც დაფუძნებული უნდა ყოფილიყო ნატო-რუსეთის დამფუძნებელ აქტსა და რომის დეკლარაციაზე. ამ მიმართულებით ნატომ შეასრულა თავისი ვალდებულებები. ალიანსმა მიიწვია რუსეთი სარაკეტო თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის გაძლიერებისათვის პოტენციალის გამოსავლენად, ასევე, ორივე შეთანხმდა, შემდგომში კიდევ უფრო გაეძლიერებინათ თანამშრომლობა ტერორიზმისა და მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

2014-2017 წლები – პასუხი უკრაინის კრიზისზე: 2014 წლის მარტში რუსეთი უკრაინის სუვერენული ტერიტორიის ნაწილის ყირიმის ანექსიას ახდენს. ამის პასუხად 2014 წლის აპრილში ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრები შეთანხმდნენ რუსეთთან ყველა პრაქტიკული თანამშრომლობის შეჩერების თაობაზე. ამის შემდეგ რუსეთი კვლავ განაგრძობს აგრესიულ მოქმედებებს უკრაინის წინააღმდეგ, მათ შორის აღმოსავლეთ უკრაინაში. ნატო ამ ყველაფერს, შექმნილ საშიშ უსაფრთხოების გარემოს, შეხვდა თავდაცვისა და შეკავების გაძლიერებით, თუმცა კვლავ ღია რჩება რუსეთთან პოლიტიკური დიალოგისათვის. 2016 წლის ვარშავის სამიტზე ნატოს ლიდერებმა განაცხადეს ნათლად, რომ ალიანსისა და რუსეთის ურთიერთობის გაუმჯობესება დამოკიდებული იქნება რუსეთის მიერ მოქმედებების ნათელ და კონსტრუქციულ ცვლილებაზე, რომ ის მზად არის, იმოქმედოს საერთაშორისო სამართლისა და მისი საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად. მანამდე კი რუსეთი და ნატო უწინდელ ურთიერთობას ვერ გააგრძელებენ. მიუხედავად ყველაფრისა, კომუნიკაციის არხები რჩება ღია. არ შეჩერებულა ნატო-რუსეთის საბჭო, როგორც დიალოგის მნიშვნელოვანი პლატფორმა. გარკვეული პროგრესი იქნა მიღწეული წვრთნებისა და ძალის მდგომარეობის საკითხებში. ასევე, ღია რჩება ნატოსა და რუსეთს შორის სამხედრო კომუნიკაციის არხებიც, რაც ხელს უწყობს სამხედრო აქტივობების გამჭვირვალობასა და განჭვრეტადობას.

## 4.2. ნატო-რუსეთის საბჭოს არსებობის არსი, მნიშვნელობა

ნატო-რუსეთის საბჭოს ჩამოყალიბება აშშ-ში 9/11-ის ტერორისტული აქტის შემდგომ ხდება, როდესაც რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა თავის ამერიკელ კოლეგას, ჯორჯ ბუშს ღიად აღუთქვა თანადგომა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. აღნიშნული საბჭო 2002 წლის 28 მაისის ნატო-რუსეთის სამიტზე შეიქმნა, რომელსაც უნდა ჩაენაცვლებინა მანამდე მოქმედი “მუდმივი ერთობლივი საბჭო” (PJC). ეს საბჭო წარმოადგენდა ნატო-რუსეთს შორის კონსულტაციების, კონსენსუსის, ერთობლივი გადაწყვეტილებებისა და ერთობლივი მოქმედებების განხორციელების ერთგვარ მექანიზმს. ნატო-რუსეთის საბჭოს ფარგლებში რუსეთი და ნატოს წევრი ყველა ქვეყანა უსაფრთხოების სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტაში თანასწორ პარტნიორებს წარმოადგენდნენ.<sup>24</sup>

როგორც ფორსბერგი და ჰერდი (2015) აღნიშნავენ, ამ საბჭოს შექმნით როგორც იქნა დაკმაყოფილდა რუსეთის სურვილი, რომ მისი როგორც „ხესახელმწიფოს“ სტატუსი აღიარებული ყოფილიყო და მომავალში ნატოსთან ურთიერთობა დაფუძნებული უნდა ყოფილიყო „თანასწორობაზე“, „ურთიერთმოქმედებებსა“ და „პარიტეტზე“. ფორსბერგს და ჰერდს მოჰყავთ, ამ საბჭოს შექმნიდან რამდენიმე წელიწადში, პრეზიდენტ პუტინის შეფასება, რომ სწორედ აღნიშნულმა საბჭომ რუსეთსა და მთლიანად დასავლეთის საზოგადოებას შორის ურთიერთობა ახალ ხარისხში გადაიყვანა და მათ თანამშრომლობის კონკრეტული მაგალითიც მოჰყავთ, როდესაც რუსეთი უერთდება ნატოს ანტი-ტერორისტულ ოპერაციას „Active Endeavour“ (აქტიური ძალისხმევა). თუმცა, განახლებულ ურთიერთობებზე ნელ-ნელა უარყოფით გავლენას ახდენდა, 2003 წლის ერაყის ომი, ვარდებისა და ნარინჯისფერი რევოლუციები საქართველოსა და უკრაინაში. ასევე, რუსეთის წინააღმდეგობა ბალტიის ქვეყნების

---

<sup>24</sup> იხ. ნატოს ოფიციალური ვებგვერდი [http://www.nato.int/cps/en/natohq/topics\\_50091.htm](http://www.nato.int/cps/en/natohq/topics_50091.htm) უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 24.03.2018.

ალიანსში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. ამასთან, ალიანსი უფრო და უფრო ხშირად აკრიტიკებდა რუსეთს, რომელსაც არ სურდა საქართველოსა და მოლდოვადან საკუთარი ჯარების გაყვანა.

ზემოთ მოხსენიებული ავტორებისაგან განსხვავებით, კულჰანეკი (2008) მიიჩნევს, რომ ნატო-რუსეთის საბჭო შექმნიდანვე იყო განწირული მარცხისათვის. როგორც კულჰანეკი აღნიშნავს, ამ საბჭოს შექმნისთანავე ნატომ ნათელი შეტყობინება გაუგზავნა რუსეთს, რომ ის იტოვებდა შესაძლებლობას, ემოქმედა დამოუკიდებლად საბჭოს გარეთ, ამასთან, საბჭოს წევრები საბჭოს დღის წესრიგისათვის თავის არიდების უფლებასაც იტოვებდნენ. რუსეთს იმედი არ უნდა ჰქონოდა, რომ აღნიშნული საბჭოს მეშვეობით შეძლებდა ნატოს თავისუფალი მოქმედებების შეჩერებას.

როგორც კულჰანეკი (2008) აღნიშნავს, ამ საბჭოს შექმნით პუტინი გარკვეულწილად იმედოვნებდა დასავლეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას. თუმცა, იგი მიიჩნევს, რომ 9/11-ის შემდგომ ნატოსა და ბრიუსელის მხრიდან წამოსული გარკვეული დადებითი გზავნილების მიუხედავად, ნატო-რუსეთს შორის არსებული ურთიერთობა რეალური პროგრესისაგან მაინც შორს იყო. კულჰანეკი 1999-2002 წლების პერიოდს და განსაკუთრებით 9/11-ის შემდგომ პერიოდს ნატოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების დალაგების უსაფუძვლო ოპტიმიზმის მაგალითად ახასიათებს. მიუხედავად ორივე მხრიდან გაკეთებული დადებითი შეფასებებისა, ნატო-რუსეთს საბჭოს შექმნას ალიანსსა და რუსეთს შორის პარტნიორობის გაუმჯობესება არ მოჰყოლია და ის არც პუტინის საგარეო პოლიტიკის წარმატებად მოიაზრება. პირიქით, ნატო-რუსეთის საბჭომ დაასრულა ნატო-რუსეთის ურთიერთობების ხანმოკლე თაფლობის თვე.

#### **4.3. 2009 წლის აშშ-რუსეთის ე. წ. „გადატვირთვის“ პოლიტიკა**

როგორც ფორსბერგი და ჰერდი (2015) წერენ, განსაკუთრებით რუსეთ-საქართველოსთან ომის შემდგომ, რუსეთსა და ალიანსს შორის გაუარესებული მდგომარეობის გამოსწორების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი

მცდელობა იყო 2009 წელს აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის მიერ წამოწყებული ე. წ. „გადატვირთვის“ პოლიტიკა. როგორც აღნიშნავდნენ, 2010 წლის ლისაბონის სამიტზე ნატო-რუსეთის საბჭოს შეხვედრის წინ ნატოსა და რუსეთს შორის ნდობა ძალიან დაბალი იყო, თუმცა საბჭოს შეხვედრას მაინც მოჰყვა გარკვეული დადებითი შედეგები, რომლებიც უკავშირდებოდა ავღანეთის ოპერაციასა და სარაკეტო თავდაცვას. 2011 წლის ივნისში კი რუსეთმა და ნატომ ერთობლივი საჰაერო წვრთნებიც კი მოაწყვეს, რაც „გადატვირთვის“ პოლიტიკის გარკვეულ წარმატებად იქნა აღქმული. თუმცა, როგორც ფორსბერგი და ჰერდი აღნიშნავენ, გარკვეული მცდელობების მიუხედავად, ნატოსა და რუსეთს შორის არსებული ძირითადი უთანხმოებები კვლავ უცვლელი რჩებოდა, მათ შორის საქართველოსა და ნატოს შორის ურთიერთობა. ფორსბერგი და ჰერდი აღნიშნავენ, რომ „გადატვირთვის“ მარცხი (არაეფექტურობა) უკვე ნათლად გამოჩნდა 2012 წელს, როდესაც ახლადარჩეული პრეზიდენტი პუტინი არ ჩქარობს ნატოში ახალი ელჩის დასახელებას და იგი არც 2012 წლის ნატოს ჩიკაგოს სამიტში იღებს მონაწილეობას.

რეგვოლდის (2011) მოსაზრებით, 2009 წელს დასავლეთსა და მოსკოვს შორის დაწყებული ე. წ. „გადატვირთვის“ პოლიტიკა სერიოზული ხარვეზებით ხასიათდებოდა. ჭეშმარიტ „გადატვირთვამდე“ რუსეთის პოლიტიკური და სტრატეგიული პრიორიტეტების „გადატვირთვა“ იყო აუცილებელი. 2009 წელს დაწყებულ ე. წ. „გადატვირთვას“ მხოლოდ ტაქტიკური მნიშვნელობა ჰქონდა და ორმხრივ ურთიერთობებში რეალური „გადატვირთვა“ რუსეთის პოლიტიკური და სტრატეგიული პრიორიტეტების გადატვირთვას მოითხოვდა; ამასთან, თუ არ მოხდებოდა პუტინის ავტორიტარიზმისა და იმპერიული ნოსტალგიისაგან რუსეთის ძირფესვიანად ჩამოშორება, ეს ყველაფერი მხოლოდ რუსეთის „ექსპანსიონისტური“ საგარეო პოლიტიკის მორიგი რაუნდის დასაწყისი იქნებოდა.

1992-2002 წწ. რუსეთი ნატოსთან სხვადასხვა ფორმატით თანამშრომლობას აგრძელებდა, მათ შორის მოიაზრება ტერორიზმის წინააღმდეგ



ბრძოლა. ამ თანამშრომლობას რეჩვოლდი, (2011) არა ჭეშმარიტი ურთიერთობის ჩამოყალიბების მოტივაციით, არამედ დროის მოგების სურვილით ხსნის და რუსეთის სახელმწიფოებრივ სისუსტეს უკავშირებს. მოსკოვის ნატოსთან დაპირისპირებას განაპირობებს ის ფაქტი, რომ მოსკოვისთვის ნატო არ წარმოადგენს არც სამშვიდობო და არც მასტაბილიზებელ საერთაშორისო ძალას, არამედ ეს არის მილიტარისტული კოალიცია, რომელიც საკუთარ გავლენას ზრდის რუსეთის გავლენის ხარჯზე. მოსკოვს ექსპანსიონისტურ საგარეო პოლიტიკას, კი რეჩვოლდის აზრით, განაპირობებს ის ფაქტი, რომ თანამედროვე საგარეო პრიორიტეტების განსაზღვრის ნაცვლად, რუსეთი უბრუნდება თავის ძველ ავტორიტარულ და იმპერიულ პროტოტიპებს.

#### **4.4. რატომ ეწინააღმდეგება რუსეთი ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებას**

როგორც დანნროიტერი (1999-2000) წერდა: ორი საუკუნის გასაყარზე რუსეთსა და დასავლეთს შორის ნატოსთან დაკავშირებით არსებობს ფუნდამენტური კონფლიქტი, რაც აისახება პოსტსაბჭოთა რუსეთის სტატუსისა და გლობალურ პოლიტიკაში მისი ადგილის აღქმასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან აზრთა სხვადასხვაობაში. დანნროიტერი (1999-2000) ხაზს უსვამს, რომ მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული გარემოებების გამო, იმ პერიოდში რუსეთი გამოიყურებოდა მშვიდად, მას მაინც შესწევდა ძალა ობსტრუქციული მოქმედებებისა. დანნროიტერის აზრით, რუსეთის მიერ ნატოს არმოწონების და წინააღმდეგობის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის ფაქტი, რომ ბუნდოვანი იყო ნატოს მიზნები, თუ სადამდე გეგმავდა ის გაფართოებას, და სანამ პოტენციურ წევრებად მოიაზრებოდნენ ბალტიის ქვეყნები და უკრაინა, რუსეთის წინააღმდეგობა გაგრძელდებოდა.

დანნროიტერი (1999-2000) რუსეთის შიგნით ნატოს წინააღმდეგობის ერთ-ერთ გამორჩეულ დამახასიათებელ თვისებად ასახელებდა იმ ფაქტს, რომ ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით კონსენსუსი ჰქონდათ

მიღწეული ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ ელიტის წარმომადგენლებს, და ასევე, ერთ ბანაკში ერთიანდებოდნენ ლიბერალი რეფორმისტები და მათი ოპონენტები კომუნისტები და ნაციონალისტები.

დანნროიტერი (1999-2000) საუბრობს რუსეთის მიერ ნატოს წინააღმდეგობის კონკრეტულ და ზოგად მიზეზებზე. კერძო მიზეზებზე საუბრისას ის გამოყოფს რუსეთის (მცდარ) რწმენას ნატოს მომავალი გეგმების თაობაზე, რომ ნატოს მოქმედება (გაფართოება აღმოსავლეთით) ქვეყანამ ალიანსის მტრულ მოქმედებად შეაფასა. ზოგად მიზეზად კი დანნროიტერი ასახელებს რუსეთის დამოკიდებულებას გაფართოებასთან დაკავშირებით, რომ ეს პროცესი ძირს უთხრის რუსეთის მიერ საკუთარი ეროვნული ინტერესების განხორციელებას საშინაო, რეგიონალურ თუ საერთაშორისო დონეზე.

გარდნერი (2014) კი წერს, რომ რუსეთმა შავ ზღვასა და კავკასიის რეგიონში ნატოს სამხედრო სარდლობის გაძლიერებისა და გაფართოების წინააღმდეგ თვალსაჩინო მოქმედებები და მუქარა დაიწყო 2008 წელს. ამ ყველაფერს წინ უძღოდა ამერიკის სარაკეტო თავდაცვისა და სარადრო სისტემების განლაგების გეგმები ჩეხეთში, პოლონეთსა და თურქეთში. 2008 წლის აპრილში ნატოს სამიტზე გაკეთებულმა განცხადებამ, რომ საქართველო და უკრაინა ალიანსის წევრები გახდებოდნენ ნატო-რუსეთის ურთიერთობების საბოლოო გაუარესება გამოიწვია. გარდნერს მოჰყავს ნატოში ამერიკის ელჩის, კურტ ვოლკერის (2008) ტელეგრამა (რომელიც გაავრცელა ვებგვერდმა „ვიკილიქსმა“), აი, რას წერს ვოლკერი 2008 წლის 14 აგვისტოთი დათარიღებულ ტელეგრამაში:

*რუსეთის მიერ მეზობელი ქვეყნების ტერიტორიული ერთიანობის გამოწვევები შეუთავსებადია ნატო-რუსეთის დამფუძნებელ აქტთან და რომის დეკლარაციასთან (რის შედეგადაც ნატო-რუსეთის საბჭო დაარსდა). აუცილებელია, ნატო ყურადღებით მოეკიდოს საქართველოში განვითარებულ*

მოვლენებს, პუტინის მუქარის ენას რუსეთის მეზობელი ქვეყნების ტერიტორიულ ერთიანობასთან და საქართველოს და უკრაინის მიერ მაპის მიღების სურვილთან დაკავშირებით. თუ კრემლმა მოახერხა და მიაღწია თავის ყველა მიზანს საქართველოსთან დაკავშირებით, ისე რომ, ამას მოჰყვა ძალიან მცირე შედეგი და მისი საერთაშორისო რეპუტაცია შეულახავი დარჩა – როგორც ამას გერმანია და სხვები აკეთებენ – ამან შესაძლოა, მხოლოდ წააქეზოს რუსეთი, რომ გაზარდოს დამაშინებელი მოქმედებები უკრაინის და მისი სხვა მეზობლების მისამართითაც.

როგორც ვოლკერი (2008) ტელეგრამაში აღნიშნავს, ნატოს წევრებს შორის ერთიანი პოზიცია არ არსებობდა იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოუტანა ბუქარესტის სამიტის დაპირებამ საქართველოსა და უკრაინას. გერმანიის „ბლოკი“ მიიჩნევს, რომ ბუქარესტის სამიტის განცხადებამ, რომ მომავალში საქართველო და უკრაინა გახდებიან ალიანსის წევრები, ხელი შეუწყო რუსეთის აგრესიას; მეორე ნაწილი კი (მათ შორის კანადა და ახალი წევრები) მიიჩნევს, რომ საქართველოსათვის მაპის მიღებაზე უარის თქმან იშნავდა რუსეთისათვის მწვანე შუქის ანთებას საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის განსახორციელებლად.

როგორც კრონიგი (2015) წერდა, პუტინი არასოდეს ყოფილა კმაყოფილი დასავლეთთან ურთიერთობებით, ვინაიდან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დაახლოებას დასავლეთთან აღიქვამდა რუსეთის გავლენის სფეროების შესუსტებად. მან ღიად განაცხადა კიდეც, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა „მე-20 საუკუნის უდიდეს კატასტროფას“ წარმოადგენს და მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, კვლავ აღადგინოს რუსეთის ძლიერება ყოფილი საბჭოთა კავშირის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. კრონიგის მტკიცებით, საქართველოსა და უკრაინაში განხორციელებული მოქმედებებით პუტინმა აჩვენა, რომ დასახული მიზნის მისაღწევად სამხედრო ძალის გამოყენებასაც არ ერიდება. როგორც კრონიგი მიიჩნევს, ნატოს მხრიდან არ იქნება გონივრული მიდგომა, თუ უკრაინისა და საქართველოში რუსეთის მოქმედებების მსგავს მოქმედებებს

გამორიცხავს უკვე ალიანსის რიგებში გაწევრიანებულ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, რაც, ფაქტობრივად, ქვეყნის სამხედრო სტრატეგიაში არის გაცხადებული.

#### **4.5. აღმოსავლეთით გაფართოებით დაარღვია თუ არა ნატომ რუსეთთან დადებული შეთანხმება?**

*რუსეთის დაჟინებული მტკიცება, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის-თანავე დასავლეთი შეჰპირდა რუსეთს, რომ აღარ მოხდებოდა ალიანსის გაფართოება აღმოსავლეთით, რაც უკვე არაერთხელ დაარღვია ნატომ, „დასავლეთის გატეხილი დანაპირების“ ნარატივის სახელით არის ცნობილი. როგორც ზემოთ აღინიშნა, 2014 წლის ყირიმის ანექსიის დროსაც პრეზიდენტი პუტინი სწორედ ამ ნარატივს მიუბრუნდა და აღნიშნა, თუ როგორი შეურაცხყოფილია რუსეთი დასავლეთის მიერ დაპირებების არაერთხელ გატეხვით, მათ შორის ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით.*

როგორც რიულე (2014) აღნიშნავს, ამ ნარატივს დროდადრო მიმართავს რუსეთი და იყენებს მას საკუთარი მოქმედებების გასამართლებლად, მათ შორის ბოლო პერიოდში უკრაინაში მიმდინარე აქტივობებთან დაკავშირებით. როგორც რიულე მიუთითებს, ძველი და თუნდაც ბოლო პერიოდში გამოქვეყნებული დოკუმენტური მასალის ანალიზის საფუძველზე მხოლოდ ერთი ფუნდამენტური დასკვნის გამოტანაა შესაძლებელი: არ არსებობს არავითარი პოლიტიკური თუ იურიდიული ძალის მქონე სავალდებულო დოკუმენტი, რომელიც ნატოს უკრძალავს გაერთიანებული გერმანიის საზღვრების მიღმა გაფართოებას, ისევე როგორც არ არსებობს რაიმე დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ნატოს რუსეთისათვის გაწევრიანების შესახებ კონკრეტული წინადადებით მიემართოს.

რიულეს მსგავსად, კოფფი და კოჩისიცი (2016) აღნიშნავენ, რომ დასავლეთს რუსეთისათვის არ მიუცია პირობა, რომ ყოფილი ვარშავის პაქტის ქვეყნებში მუდმივ სამხედრო ბაზებს არასოდეს განალაგებდა და

1997 წლის ნატო-რუსეთის დამფუძნებელი აქტი აღმოსავლეთ ევროპაში ბაზების განლაგებას არ კრძალავს, რის დამტკიცებასაც ცდილობს რუსეთი.

აღნიშნულ დოკუმენტში კი, რომელსაც ხშირად ახასიათებენ, როგორც ყველაზე მეტად ნახსენებ, თუმცა ყველაზე ნაკლებად წაკითხულ (გააზრებულ) დოკუმენტად, ხაზგასმულია შემდეგი:

*ნატო კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ ამ დროისათვის არსებულ უსაფრთხოების გარემოში, ნატო საკუთარ კოლექტიური თავდაცვისა და სხვა მისიებს განახორციელებს საჭირო თავსებადობის, ინტეგრაციითა და გაძლიერების (განმტკიცების) შესაძლებლობის უზრუნველყოფით, ვიდრე დამატებითი მუდმივი საბრძოლო ძალების განლაგებით. შესაბამისად, დასახული ამოცანის განხორციელებისას ალიანსი გამოიყენებს შესაფერის ინფრასტრუქტურას. აღნიშნულ კონტექსტში, შესაძლებლობების გაძლიერება შესაძლებელია მოხდეს, როდესაც საჭიროა აგრესიის საფრთხისაგან თავის დაცვა და მშვიდობის მხარდამჭერი მისიების შემთხვევებში, რაც შესაბამისობაში მოდის გაეროსა და ეუთოს უმთავრეს პრინციპებთან, ისევე როგორც შეესაბამება ევროპაში შეიარაღებული ძალების შესახებ ადაპტირებულ შეთანხმებას, 1994 წლის ვენის დოკუმენტს და ორმხრივად აღიარებულ გამჭვირვალობის ზომებს. ასევე, რუსეთიც ვალდებულია ევროპაში მისი კონვენციური ძალების განლაგებისას გაითვალისწინოს მსგავსი შეზღუდვები.*

ამ აქტის დადებიდან უკვე ოცი წელია გასული და „არსებული უსაფრთხოების გარემო“, როგორც დოკუმენტშია მითითებული, დიდი ხანია აღარ არსებობს; მოსკოვის დამოკიდებულება ევროატლანტიკური უსაფრთხოების მიმართით ამ ოცი წლის განმავლობაში დიდ წილად შეიცვალა, რის არაერთი მაგალითის მოყვანაც შეიძლება, მათ შორის:

1999 წელს რუსეთმა პირობა დადო, რომ 2002 წლისათვის გაიყვანდა ჯარებს მოლდოვიდან, თუმცა დღეისათვის დნესტრისპირეთში კვლავ განლაგებულია 2000-მდე რუსი ჯარისკაცი.

2006 წელს რუსეთმა ბუნებრივი გაზის მიწოდება შეუწყვიტა უკრაინას, ასევე შეუმცირა გაზის მიწოდება ევროპის იმ ქვეყნებს, რომლებიც ასევე ნატოს წევრებიც არიან.

2007 წელს რუსეთი იდგა ესტონეთის წინააღმდეგ განხორციელებული კიბერ-თავდასხმის უკან, რაც წარმოადგენდა სამაგიეროს ტალინში საბჭოთა პერიოდის ომის მემორიალის დემონტაჟზე.

2008 წელს რუსეთი შეიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე და რამდენიმე კილომეტრი ამოიღებდა დედაქალაქში შესვლას. დღეისათვის რუსეთს საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტი აქვს ოკუპირებული და 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებასაც ხშირად არღვევს.

2014 წელს რუსეთმა უკანონოდ მოახდინა ყირიმის ანექსია და დღემდე განაგრძობს დონბასის რეგიონში სეპარატისტების მხარდაჭერას და დახმარებას.

ეს მოვლენებიც კი საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ ევროპაში „არსებული უსაფრთხოების გარემო“ აღარ არსებობს და დრამატულად შეიცვალა 1997 წლის შემდეგ, და მხოლოდ ესეც საკმარისია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ნატოს ჯარების მუდმივი ყოფნის გასამართლებლად.

როგორც ავტორები (2016) აღნიშნავენ, აუცილებელია, ევროპაში მუდმივი ჯარების განლაგებასთან დაკავშირებული მითი ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს და ამერიკამ ღიად დააფიქსიროს, რომ 1997 წლის შეთანხმება არ კრძალავს აღმოსავლეთსა და ცენტრალურ ევროპაში ნატოს მუდმივი ჯარის განლაგებას. ასევე, ავტორები მიუთითებენ ნატოს ზოგიერთი წევრი ქვეყნის (მაგალითად, გერმანიის) მიერ ამ აქტის არასწორ ინტერპრეტაციას, რომლებიც 1997 წლის დოკუმენტს იშველიებენ, რათა გაამართლონ მათ მიერ აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში ნატოს ძალების მუდმივი განლაგებისათვის წინააღმდეგობის გაწევა.

როგორც დანნროიტერი (1999-2000) წერს, რუსეთმა ერთ-ერთი პირველი უკმაყოფილება ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით 90-იანი წლების დასაწყისშივე გამოთქვა, როდესაც 1993 წელს ქვეყნის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა თავის ამერიკელ კოლეგას, ბილ კლინტონს, წერილი მისწერა, სადაც გაფართოების არაკანონიერებაზე საუბრობს, რის დამამტკიცებლადაც მოჰყავს 1990 წელს გერმანიის გაერთიანებასთან დაკავშირებული შეთანხმება. რწმენა იმისა, რომ გერმანიის გაერთიანებით თავიდან იქნებოდა აცილებული ნატოს შემდგომი გაფართოება, ფართოდ იყო გავრცელებული რუსულ ელიტაში. მაგალითად, რუსი ანალიტიკოსი სერგეი კარაგანოვი აღნიშნულთან დაკავშირებით წერს: „1990 წელს ჩვენ საკმაოდ გარკვევით გვითხრეს, რომ გერმანიის გაერთიანებას არ მოჰყვებოდა ნატოს გაფართოება. ჩვენ არ გვითხოვია წერილობითი გარანტიები, ვინაიდან იმ პერიოდში შექმნილ ეიფორიულ მდგომარეობაში ეს მიუღებელ ქმედებად გამოჩნდებოდა.“

დანნროიტერი (1999-2000) აღნიშნავს, რუსეთის ეს მტკიცება საკმაოდ საეჭვოა, ვინაიდან საუბარია 1990 წელზე, როდესაც მოლაპარაკებების უმთავრეს საკითხს წარმოადგენდა სწორედ გერმანიის გაერთიანება და არ არსებობს რაიმე კონკრეტული მტკიცებულება იმისა, რომ დასავლელი და საბჭოთა კავშირის ლიდერები დაკავებული იყვნენ ნატოს შემდგომი გაფართოების საკითხით. დანნროიტერი მიიჩნევს, რომ რუსეთისათვის ნატოს მიმართ გულის აცრუების უმთავრეს წყაროს წარმოადგენს აღქმა, რომ თავდაპირველად ნატოელმა მოკავშირეებმა გაფართოების საკითხთან დაკავშირებით დადეს პირობა, რომელიც შემდგომში დაარღვიეს. ეს გაგება კი არის შედეგი მოსკოვში ფართოდ გავრცელებულ კონსენსუსისა იმასთან დაკავშირებით, რომ ნატოს მცდელობა რუსეთთან თანამშრომლობისა არ შეიძლება იყო სანდო, ვინაიდან ალიანსის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს რუსეთის მარგინალიზება და მისი ჩამოშორება ევროპული და საერთაშორისო საქმეებიდან.

როგორც კრონიგი (2015) წერს, შესაძლოა, ვინმე ფიქრობს, რომ ბალტიის ქვეყნებსა და პოლონეთში ნატოს ბოლოდროინდელი მოქმედებები, რაც ამ ქვეყნების თავდაცვას უკავშირდება, არღვევს ნატო-რუსეთის დამფუძნებელი აქტში ჩაწერილ დანაპირებს, თუმცა ავტორი აღნიშნავს, რომ თავად „პუტინმა შეგვიყვანა ჩვენ ახალ ეპოქაში“, რომელმაც თავის მხრივ, დასავლეთისათვის მიცემული არაერთი უმნიშვნელოვანესი დანაპირები დაარღვია, მათ შორის არის საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ მიმართული თავდასხმა – ზემოთ ნახსენებ აქტში კი მითითებულია, რომ რუსეთს თავი უნდა შეეკავებინა მუქარისაგან ან ძალის გამოყენებისაგან ნებისმიერი ქვეყნის წინააღმდეგ. ასევე, ნებისმიერი მოქმედებებისაგან, რაც დაემუქრებოდა სხვა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობასა თუ პოლიტიკური დამოუკიდებლობას.

#### 4.6. ერაყის ომის გავლენა აშშ-ევროპის ურთიერთობებზე

##### ნატოს ჭრილში

როგორც კარგად არის ცნობილი, 2001 წლის 11 სექტემბრის „ალ ქაიდას“ ტერორისტების მიერ აშშ-ზე თავდასხმაზე საპასუხოდ ამერიკის მაშინდელი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ტერორიზმის წინააღმდეგ გლობალური ომს იწყებს. აღნიშნული კამპანია ავღანეთთან ერთად, ერაყის ომსაც მოიცავს. ერაყისა (ასევე ავღანეთის) ომის წამოწყების მიზანშეწონილობა და მისი შედეგები არ წარმოადგენს აღნიშნული ნაშრომის კვლევის საგანს, თუმცა ამ თემასთან დაკავშირებით საინტერესოა ამ ომ(ებ)ის გავლენა აშშ-ისა და ევროპის ურთიერთობაზე, უფრო კონკრეტულად კი, ამერიკისა და ე. წ. „ძველ ევროპად“ მოხსენიებულ ქვეყნებს შორის (ჩრდილოატლანტიკური ალიანსის კონტექსტში).

ერაყის კამპანიასთან, მის წარმატებასთან დაკავშირებით არ არსებობდა ერთიანი პოზიცია, ფაქტობრივად, ევროპა საწყის ეტაპზევე ორად გაყოფილი აღმოჩნდა: ვინც გამოთქვა მზადყოფნა, მონაწილეობა მიეღო ამ კამპანიაში და ვინც უარი განაცხადა. მოწინააღმდეგეებს შორის



თავიდანვე იყვნენ ევროპის წამყვანი ქვეყნები ე. წ. „ძველი ევროპის“ ლიდერები (რომლებიც ასევე საქართველოსათვის მაპის მინიჭების მთავარ მოწინააღმდეგეებად მოიაზრებიან დღემდე) გერმანია-საფრანგეთი.

აშშ-ს მიერ ერაყში შეჭრამდე ორი თვით ადრე, პარიზში გამართულ ერთობლივ კონფერენციაზე, საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა და გერმანიის კანცლერმა გერჰარდ შრიოდერმა პირობა დადეს, რომ გააძლიერებდნენ მცდელობას აშშ-ის მიერ ერაყში ომის დაწყების წინააღმდეგ. სიმბოლურია, რომ განცხადება ორი ქვეყნის ლიდერმა ომის შემდგომ ფრანკო-გერმანული სამეგობრო ხელშეკრულების მე-40 წლისთავზე გააკეთეს. ლიდერების ამ განცხადების ფონზე კი აშშ და დიდი ბრიტანეთი უკვე აგზავნიდნენ სპარსეთის ყურეში ჯარისკაცებს ერაყზე შესაძლო თავდასხმის მოლოდინში. აშშ-ის პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის და თავდაცვის მინისტრის, დონალდ რამსფელდის განცხადებები ერაყელების მიერ აკრძალული იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით, ფაქტობრივად აღარ ტოვებდა ეჭვს ომის გარდაუვალობასთან დაკავშირებით. თუმცა, საფრანგეთის პრეზიდენტი დაჟინებით ითხოვდა ინსპექტორებისათვის დროის მიცემას აკრძალული იარაღის აღმოსაჩენად.

რაც შეეხება ნატოს, ომის წამოწყებიდან ორი თვით ადრე, ნატოს ელჩებმა არ დააკმაყოფილეს აშშ-ის მოთხოვნა სამხედრო დაგეგმვის მომზადებასთან დაკავშირებით, კონკრეტულად თურქეთის დასაცავად, რომელიც ნატოს წევრი ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელიც ერაყს ესაზღვრებოდა. არსებული ინფორმაციით, მაშინაც მოწინააღმდეგეებს სათავეში გერმანია და საფრანგეთი ედგნენ. ერაყის ომში მონაწილე ქვეყნების კოალიციაში იყვნენ ნატოს წევრი ქვეყნებიც, თუმცა როგორც ნატოს ოფიციალურ ვებგვერდზე წერია<sup>25</sup>: “ნატოს, როგორც ორგანიზაციას, არ გააჩნდა რაიმე როლი ამ კამპანიის წამოწყებასა და განხორციელებაში.”

---

<sup>25</sup> იხ. ნატოს ოფიციალური ვებგვერდი [https://www.nato.int/cps/em/natohq/topics\\_51977.htm](https://www.nato.int/cps/em/natohq/topics_51977.htm) უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 25.09.2018.

ამასთან, თურქეთის მოთხოვნით (რომელიც ალიანსის წევრია), ნატომ ამ ომიდან გამომდინარე, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-4 მუხლის გათვალისწინებით, გარკვეული თავდაცვითი ზომები მაინც მიიღო, მაგალითად თურქეთის ტერიტორიაზე განალაგა სარაკეტო თავდაცვითი სისტემები. თურქეთის გარდა, ნატო ასევე დაეხმარა ერაყის კამპანიაში მონაწილე კიდევ ერთ ქვეყანას, პოლონეთსაც, ამ შემთხვევაში დახმარება შემოიფარგლა კომუნიკაციებითა და ლოგისტიკით. აღსანიშნავია ისიც, რომ თურქეთის მოთხოვნამ სერიოზული დებატები გამოიწვია და თავდაპირველად ალიანსის წევრებმა ვერ მოახერხეს შეთანხმების მიღწევა. ნატოს სამი წევრი: გერმანია, საფრანგეთი და ბელგია საწყის ეტაპზე თურქეთში სარაკეტო სისტემის განლაგებას არ მიიჩნევდნენ მიზანშეწონილად, ვინაიდან, მათი მოსაზრებით, ამ ნაბიჯს შესაძლოა, გავლენა მოეხდინა გაეროს მცდელობაზე ამ კრიზისის მშვიდობიანი მოგვარების გზების მოძიებასთან დაკავშირებით. ვინაიდან, ჩრდილოატლანტიკურ საბჭოში წევრმა ქვეყნებმა კონსენსუსს ვერ მიაღწიეს, ნატოს მაშინდელმა გენმდივანმა, ლორდ რობერტსონმა საკითხის განხილვა თავდაცვის დაგეგმვის კომიტეტში გადაიტანა, სადაც ალიანსის წევრი ყველა ქვეყანა შედიოდა, გარდა საფრანგეთისა. თურქეთისათვის დახმარების აღმოჩენის გადაწყვეტილება სწორედ ამ კომიტეტზე იქნა მიღწეული.

ფაქტობრივად, ფრანკო-გერმანული ღერძის გარდა, აშშ-ს კამპანიას სადამ ჰუსეინის მთავრობის დასამხობად მაშინდელი ევროკავშირის წევრების და ევროპის სახელმწიფოების დიდმა ნაწილმა გამოუცხადა მხარდაჭერა. 2003 წლის დასაწყისში აშშ-ისათვის სამხედრო დახმარებისათვის მზადყოფნა გამოთქვა ევროკავშირის ხუთმა წევრმა (დიდ ბრიტანეთი, ესპანეთი, იტალია, პორტუგალია, დანია) და მაშინდელმა სამმა კანდიდატმა ქვეყანამ (პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა). ასევე, საჯარო განცხადებებში მხარდაჭერა დააფიქსირა აღმოსავლეთ ევროპის ათი ქვეყნის ლიდერმა, რომელთაგან შვიდი ქვეყანა ასევე ევროკავშირის წევრობის კანდიდატი იყო და ნატოში გაწევრიანებისკენაც მიისწრაფოდა

(ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა, სლოვაკეთი, სლოვენია, ხორვატია, რუმინეთი, ბულგარეთი, ალბანეთი, მაკედონია.) ამ მხარდაჭერიდან მალევე კი, გერმანიის აქტიურობით, საფრანგეთმა და რუსეთმა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია დაბლოკეს, რომელიც მოახლოებული ომის ლეგიტიმაციას ისახავდა მიზნად.

(ერაყის ომის საწყის ეტაპზე გახშირდა საუბრები, ეს ყველაფერი ევროპის განხეთქილებას დაწყებას მიანიშნებდა, რომელსაც აქტიურად უწყობდა ხელს აშშ-ის მოქმედებები.)

როგორც ფაკიოლასი და ფაკიოლასი (2006) წერდნენ, ერაყის ომის საწყის ეტაპზე ამერიკელი დიპლომატები ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ, რათა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, პოსტკომუნისტური სახელმწიფოები აშშ-ს მხარეზე გადაებირებინათ. ფაკიოლასის და ფაკიოლასის (2006) მიხედვით, ამ ყველაფრის შედეგი კი ის იყო, რომ „ახალმა“ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა საფრანგეთის, გერმანიისა და რუსეთის მცდელობა, წასულიყვნენ ერაყში აშშ-ის ომის წინააღმდეგ, შეაფასეს (მათი წარმატების შემთხვევაში), როგორც ტრანსატლანტიკური უსაფრთხოების რეჟიმისადმი საფრთხის შემქმნელი.

როგორც ზოგიერთი ანალიტიკოსი მიიჩნევს, სწორედ ზემოთ ნახსენებმა მოვლენებმა შეუწყო ხელი საფრანგეთისა და გერმანიის განსაკუთრებულ დაახლოებას. როგორც ფაკიოლასი და ფაკიოლასი (2006) წერდნენ, „საფრანგეთი და გერმანია ისე დაახლოვდნენ, როგორც არასდროს. ფრანგმა და გერმანელმა კომისრებმა: ლამიმ და ვერჰოგენმა პოლიტიკური ფედერაციის ჩამოსაყალიბებლად ნაბიჯების გადადგმის წინადადებაც წამოაყენეს; გერმანელმა ფილოსოფოსმა ჰაბერმა და მისმა ფრანგმა კოლეგამ დერიდამ კი ფრანკო-გერმანული „ევროპის გულის“ ჩამოყალიბების შესახებ მოწოდებები გააკეთეს.“

ამასთან, დეტკე (2018) აღნიშნავს, რომ კოსოვოსა და ავღანეთისაგან განსხვავებით, ერაყის ომმა აშშ-სა და გერმანიას შორის მსოფლიო

წესრიგთან დაკავშირებით განსხვავებული დამოკიდებულება (აღქმა) წამოწია წინ. შრიოდერისა და ფიშერისათვის ბუმის ადმინისტრაციის უნილატერალიზმი (ცალმხრივობა) მიუღებელი აღმოჩნდა. დეტკე მიიჩნევს, რომ ერაყის ომის წამოწყებაზე უარი გერმანიის ეროვნული ინტერესისა და თვითგამორკვევის საკითხი იყო და ეს უარი თითქოს წარმოადგენდა ქვეყნის გათავისუფლებას აშშ-ის მეურვეობისაგან. როგორც გერჰარდ შრიოდერის ბიოგრაფი გრეგორ შჰლგენი აღნიშნავდა, ერაყის ომისადმი გერმანიის წინააღმდეგობა ნამდვილად წარმოადგენდა იმ მომენტს, როდესაც ქვეყანამ ხელახლა იპოვა საკუთარი თავი. დეტკე მიიჩნევს, რომ წინამორბედებისაგან განსხვავებით შრიოდერი ნამდვილად იყო ჭეშმარიტი “რეალ-პოლიტიკის“ გამტარებელი კანცლერი. აშშ-ის მთავრობის წინააღმდეგ გაჩაღებული აქტიური მუშაობა, რომ მას არ მიეღო გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის თანხმობა ერაყის ომის დაწყების ლეგიტიმაციასთან დაკავშირებით, რეალურად წარმოადგენდა აშშ-ს დასაბალანსებლად მიმართულ მოქმედებას გაბატონებული ამერიკული უნილატერალიზმის წინააღმდეგ. დეტკე დარწმუნებულია, რომ ამ ყველაფერს მხოლოდ ერთი ახსნა მოეძებნება – გერმანიის ეროვნული ინტერესების გასატარებლად გერმანიის მიერ რეალპოლიტიკისაკენ შემობრუნება. ამასთან, დეტკე მიიჩნევს, რომ გერმანია უარს არ ამბობს მულტილატერალიზმზე და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ევრო-ინტეგრაციას ეხება, თუმცა გლობალურ დონეზე არსებობს ბილატერალიზმის მაგალითები, განსაკუთრებით კი დიდ სახელმწიფოებთან მიმართებაში.

როგორც დეტკე (2018) წერს, ერაყის შემთხვევაში გერმანიის ქმედებამ აჩვენა, რომ ის ერთსულოვნება, რაც ცივი ომის დროს აშშ-სა და გერმანიას შორის არსებობდა, წარსულს ჩაჰბარდა. თუმცა, მომავალში ორ ქვეყანას შორის სერიოზულ წინააღმდეგობებს მაინც არ პროგნოზირებს, ვინაიდან „ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დარჩენილი, რაც ამ ქვეყნებს უფრო აერთიანებს, ვიდრე თიშავს.“

(თუმცა, ერაყისაგან განსხვავებით, გერმანიამ (ასევე საფრანგეთმაც) ფაქტობრივად საწყის ეტაპზევე მხარდაჭერა გამოუცხადა აშშ-ს, რომელმაც 9/11-ის „ალ ქაიდას“ მიერ აშშ-ში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების შემდეგ, სამხედრო ოპერაცია „ენდურინგ ფრიდომ“ წამოიწყო ავღანეთში „ალ ქაიდასა“ და „თალიბანის“ ტერორისტების წინააღმდეგ.)

ამასთან, დეტკე (2018) აღნიშნავს, რომ დღეისათვის ერაყის ომის მცდარობას ისინიც კი აღიარებენ, ვინც ამ ომის დაწყებას აქტიურად უჭერდა მხარს. მას მაგალითად მოჰყავს აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუერი, რომელმაც 2003 წლის 5 თებერვლის გაეროში საკუთარ გამოსვლას ერაყში შეჭრის აუცილებლობასთან დაკავშირებით შეცდომა უწოდა.

დეტკეს მსგავსად, კაგანიც (2004) ერაყის ომთან დაკავშირებით ტრანსატლანტიკური უთანხმოების სათავეებს მსოფლიო წესრიგის განსხვავებულ აღქმაში ეძებს. ერაყის ომის დაწყებიდან ერთ წელში კაგანი წერდა: „ამე რიკელები და ევროპელები ვერ თანხმდებიან საერთაშორისო სამართალთან და საერთაშორისო ინსტიტუტებთან დაკავშირებით და ასევე ბუნდოვან, თუმცა კრიტიკულ საკითხთან დაკავშირებით, თუ რას გულისხმობს ლეგიტიმურობა საერთაშორისო მოქმედებებში.“

როგორც კაგანი (2004) წერდა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველად ხდებოდა, როდესაც ევროპელებს ეჭვი შეეპარათ აშშ-ს სიძლიერესა და გლობალურ ლიდერობაში. ცივი ომის პერიოდშიც კი დომინანტი აშშ „იძულებული“ იყო ევროპისათვის მოესმინა, თუნდაც იმიტომ, რომ იმ პერიოდში ამერიკის პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს მიზანს ევროპის დაცვა და გაძლიერება წარმოადგენდა. კაგანს მიაჩნდა, რომ ევროპამ დაკარგა მისი გავლენის დიდ ნაწილი – ის საკმაოდ სუსტი იყო იმისათვის რომ უმნიშვნელოვანეს (სასიცოცხლო) პარტნიორად ქცეულიყო, ამასთან საკმარისზე მეტად იყო დაცული, რომ პოტენციურ მსხვერპლად წარმოჩენილიყო. „ცივი ომის“ პერიოდში აშშ აუცილებლად გააკეთებდა გათვლებს, თუ რა გავლენას იქონიებდა მისი მოქმედებები ევროპის

უსაფრთხოებაზე, თუმცა „ცივი ომის“ შემდგომ, კაგანის მოსაზრებით, ამაზე ნერვიულობით ამერიკა დიდად არ იწუხებდა თავს. სწორედ ამიტომ ევროპა შეშფოთებული იყო ამერიკის უპირობო ძალით და ასევე ამ ძალის გამოყენებაზე კონტროლის ხელახლა დაუფლებით. რადგან, ადრე ნაჩვევი იყო, რომ მსოფლიოს ფორმირებაში დამხარე როლს მაინც ასრულებდა, ახლა ევროპას აღარ სურდა უკანა სკამზე გადანაცვლება, რომ იქიდან ედევნებინა თვალი აშშ-ს მართვისათვის, განსაკუთრებით კი ისეთ შემთხვევაში, როდესაც მას მიაჩნდა, რომ ეს მართვა სახიფათო იყო.

ამასთან კაგანს (2004) მიაჩნდა, რომ, მართალია, ევროპას გულზე არ ეხატებოდა აშშ-ის ჰეგემონობა, თუმცა იმასაც იაზრებდა (ევროპა), რომ მას (ამერიკას) ამავედროულად ძალიან ჩამორჩებოდა და მის ჩასანაცვლებლად ვერ გამოდგებოდა. ამასთან, ევროპას ისიც ესმოდა, რომ აშშ არ ეცდებოდა ევროპაზე გავლენის მოპოვებას, ევროპის შიში იმაში მდგომარეობდა რომ ერაყის მოქმედებებით გამოიკვეთა, რომ თავად კარგავდა კონტროლს ამერიკაზე, უფრო ფართო კონტექსტში კი, გავლენას მსოფლიო საქმეებზე. კაგანს სწამდა, რომ თუ ერაყში გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის გარეშე შეჭრით ამერიკის ლეგიტიმურობის საკითხი დგებოდა, ეს ხდებოდა იმის გამო, რომ ევროპას სურდა ვაშინგტონის მოქმედებებზე კონტროლის აღდგენა. ევროპელების დიდი ნაწილი ერაყში შეჭრას მხოლოდ იმის გამო არ ეწინააღმდეგებოდა, რომ საქმე ჰქონდათ ომთან, არამედ ამერიკის მიერ უშიშროების საბჭოს თანხმობის გარეშე – ევროპის თანხმობის გარეშე – ერაყში შეჭრა გამოწვევა იყო ევროპის მსოფლმხედველობისათვის და ასევე მისი შესაძლებლობისათვის, თუნდაც ძალიან მცირე გავლენა ჰქონოდა ახალ უნიპოლარულ სამყაროში.

განსხვავებით კაგანისაგან, გარდნერს (2003) მიაჩნდა, რომ აშშ-ის მოქმედებას ბერლინი (მიუხედავად იმისა, რომ გერმანია მხარს უჭერდა ნატოს მოქმედებებს კოსოვოში, ისევე როგორც – ავღანეთში) ეწინააღმდეგებოდა ერთი ძირითადი მიზეზის გამო – ცალმხრივი და პრევენციული

ინტერვენცია შექმნიდა საშიშ პრეცედენტს – ეს ძირს გამოუთხრიდა საერთაშორისო სამართალს და ვესტფალიიდან მოყოლებულ ეროვნულ სუვერენიტეტს, მომავალში გამოიწვევდა სახელმწიფოთა ქმედებების სიღრმისეულ ცვლილებებს, რაც ერთგვარი პანდორას ყუთის გახსნა იქნებოდა.

გარდა ამისა, გარდნერი (2003) მიიჩნევდა, რომ ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც გერმანია და საფრანგეთი ერაყის ომის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, ეკონომიკური ფაქტორიც იყო – ორივე ქვეყანა ებრძოდა დეფიციტურ ხარჯვას, რომელიც ამ ქვეყნებს მშპ-ს 3%-ს აჭარბებდა. ბონმა, მართალია, ფინანსური დახმარება გაიღო 1990-1991 წლის ერაყის ომის დროს, თუმცა 2003 წელს მთლიანად აცხადებდა უარს სახსრების გაღებაზე, რასაც გარდნერი ნაწილობრივ უკავშირებს ეკონომიკურ სტაგნაციას და დეფიციტის ზრდას.

ერაყის ომი, რომელიც სხვადასხვა მონაცემებით 1,4-დან 3 ტრილიონ დოლარზე მეტი უკვე დაჯდა, მეორე მსოფლიოს ომის გამოკლებით, უძვირეს ომად და ავღანეთთან ერთად კი უგრძელეს ომად ითვლება აშშ-ის ისტორიაში. ამასთან, ამ ომმა აშშ-ის, როგორც საერთაშორისო სამართლის გარანტორის, რეპუტაცია გარკვეულწილად დააზიანა კიდევ. როგორც გარდნერი (2013) მიიჩნევს, მომავალში ისტორიკოსები „ცივი ომის“ შემდგომ ჩამოყალიბებული უნიპოლარული სისტემის დასასრულის დასაწყისად სწორად ერაყის ომს მონიშნავენ. თუმცა, უოლტი (2011) კიდევ უფრო შორს მიდის და მიიჩნევს, რომ ისტორიკოსები, „ამერიკის იმპერიის“ უკანსვლის თარიღის აღსანიშნავად 21 წლის წინ დაწყებულ „სპარსეთის ყურის ომს“ გამოიყენებენ. როგორც უოლტი წერდა, 2003 წელს ერაყში შეჭრამ მოითხოვა ავღანეთის ომიდან რესურსების გადასროლა, რამაც ხელი შეუწყო „თალიბანის“ მოძლიერებას. ბუშის გადაწყვეტილებამ, 2003 წელს დაემხო ჰუსეინი, შედეგად მოიტანა ერთის ნაცვლად ორი წაგებული ომი. ამასთან, ორივე ომი არანორმალურად ძვირი აღმოჩნდა. როგორც უოლტი წერდა,

ბუმის მიერ გადასახადების შემცირებამ და სხვა ფისკალურმა უპასუხის-მგებლო პოლიტიკამ, ამ სტრატეგიულ არაკომპეტენტურობასთან ერთად ფედერალური დეფიციტი საშიშ ზღვარამდე გაბერა და ქვეყნის ფისკალურ ჩიხამდე მიყვანას შეუწყო ხელი, რის გამოსწორებასაც წლები სჭირდება.

უოლტის მსგავსად, უაითლიც (2015) წიგნში „ამერიკის ჰეგემონიის პოლიტიკური ეკონომია“ წერს, რომ, როდესაც აშშ მიდის ომში, ის სესხულობს ფულს დანარჩენი მსოფლიოსაგან, წარმოქმნის ბუმს (სწრაფ ზრდას), რასაც შემდეგ მოსდევს ეკონომიკური კრიზისი. „ვაშინგტონ პოსტისათვის“ (2015) მიცემულ ინტერვიუში, როგორ გახდა ერაყის ომი ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი, უაითლი ხსნის:

მე ვამტკიცებ, რომ იმ გზამ, რა გზაც აირჩია აშშ-მ ერაყისა და ავღანეთის ომებისათვის “სამხედრო ძლიერების“ (military buildup) დასაფინანსებლად, წარმოქმნა ეკონომიკური ბუმი, რომლისგანაც წარმოშვა „მშენებლობის საპნის ბუშტები“ („ჰაუსინგ ბაბლ“), მისი ჩაფუშვის შემდეგ კი, ის გახდა ფინანსური კრიზისის მიზეზი. მთავარი იდეა მდგომარეობს შემდეგში: ამერიკამ ავღანეთისა და ერაყის ომები დააფინანსა უფრო სესხით, ვიდრე – გადასახადების ზრდით. შედეგად მიღებულ საბიუჯეტო დეფიციტს ორ მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ამერიკის ეკონომიკაზე: პირველი, მან გამოიწვია მშპ-ს დაახლოებით 2 პროცენტის მტკიცე ფისკალური ბიძგი, რამაც ეკონომიკური აქტივობის ზრდა მოიტანა. შედეგად კრიზისის დასაწყისისათვის უმუშევრობა დაეცა 2002 წლის 6,25%-დან 4,5 %-მდე. მეორე – კაპიტალის მოდინებამ (რომელიც აფინანსებდა ბიუჯეტის დეფიციტს) გააძლიერა დოლარი, თუმცა შემცირდა ამერიკის წარმოების კონკურენტუნარიანობა.

ეს ყველაფერი კი გარკვეულ თავსატეხს ქმნის – თუ ეკონომიკა იზრდება, წარმოებაში დასაქმებულთა რაოდენობა კი მცირდება, სად იქმნება მაშინ ახალი სამუშაო ადგილები? ყველაზე მარტივი პასუხი ამ



კითხვაზე მდგომარეობს შემდეგში: ზრდა და ახალი სამუშაო ადგილები გაჩნდა იმ ინდუსტრიებში, რომლებიც უცხოური კონკურენციისაგან დაცული აღმოჩნდა, განსაკუთრებით კი ეს ეხებოდა ჰაუსინგს (მშენებლობას). ამრიგად, როდესაც ჩავარდა წარმოება, ამერიკის ეკონომიკამ სამუშაო ადგილების შექმნა მშენებლობასა და მსგავს აქტივობებში (სფეროებში) დაიწყო. საცხოვრებლების მშენებლობების ბუმმა ბინების ფასების ზრდა გამოიწვია, რის გამოც ინვესტორებმა, კაპიტალის გაზრდის მიზნით, მშენებლობებში კიდევ უფრო მეტი ინვესტიციის დაბანდება დაიწყეს. ამ ფართო ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით ეკონომიკური კრიზისი სამართლიანად იყო მოსალოდნელი.“

პროექტ „ომის დანახარჯების“ (2017)<sup>26</sup> მიხედვით, 9/11-ის შემდეგ აშშ-ს მიერ ომების წარმოებაზე მთლიანად დახარჯული თანხა 2018 წლის ბოლოსათვის 5,6 ტრილიონ დოლარს მიაღწევს, საშუალო ამერიკელ გადამხდელს კი, 2001 წლიდან მოყოლებული, ეს ომი 23,386 დოლარი დაუჯდა. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, 2017 წლის მონაცემებით, 2001 წლიდან ამერიკას ერაყის, ავღანეთისა თუ პაკისტანის ომების წარმოება, ასევე თავდაცვისა და საშინაო უსაფრთხოების დეპარტამენტების გაზრდილი დანახარჯები, სახელმწიფო და ვეტერანთა საქმეებზე დანახარჯი 4,3 ტრილიონ დოლარს აღემატება. რაც შეეხება 2018 ფისკალურ წელს, ზემოთ ჩამოთვლილს დაემატა ვეტერანთათვის მომავალში აღებული ვალდებულებები, რამაც ომის დანახარჯი მთლიანობაში 5,6 ტრილიონ დოლარამდე გაზარდა.

---

<sup>26</sup> იხ. ომის დანახარჯების პროექტი. <https://watson.brown.edu/costsofwar/papers/2017/USBudgetaryCostsFY2018> უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 12.07.2018.

## თავი 5. საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესზე რუსეთის გავლენა

### 5.1. რუსეთის მოქმედებები საქართველოს ნატოში გაწევრიანების წინააღმდეგ

*რუსეთს განსაკუთრებით უჭირს (არ სურს) შეეგუოს საქართველოს მისი ორბიტიდან გაქრობას; ღიად გამოხატავს უკმაყოფილებას და ძალის გამოყენებასაც არ ერიდება ამ ქვეყნის წინააღმდეგ, რომელიც სამხედრო ალიანსში გაწევრიანების სურვილს ღიად გამოთქვამს.*

როგორც რეზოლდი (2011) აღნიშნავს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთი განსაკუთრებით რთულად შეეგუა ევროპაში მისი ისეთი „საგანძურის“ დაკარგვას, როგორც არის უკრაინა და საქართველო. რუსულმა ხელმძღვანელობამ სწრაფად შეიმუშავა ახალი ნეოკოლონიური კონცეფციები იმ ქვეყნებზე გავლენის მოსაპოვებლად, რომლებსაც დამოუკიდებლობა ახალი მოპოვებული ჰქონდათ. როგორც რეზოლდი აღწერს, 2008 წელს საქართველოს რუსეთთან ომმა ღიად გამოავლინა რუსეთის მხრიდან საკუთარი საზღვრებისა და გავლენის გაფართოების სურვილი, რასაც ნატომ ხელი ვერ შეუშალა.

რეზოლდის მსგავსად, ბრაუნიც (2009) აღნიშნავს, რომ 1990-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოს სწრაფვა გახდეს ალიანსის წევრი, სულ მცირე, კრემლის ძალიან დიდ უკმაყოფილებას იწვევს და 2008 წლის აგვისტოს ომიც, სხვა დანიშნულებასთან ერთად, ალიანსისათვის „ავტორიტარული მაგალითის“ ჩვენებას ისახავდა მიზნად.

რატის (2013) მოსაზრებით, რუსეთს არ სურს ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრი ქვეყნების სამუდამოდ დაკარგვის და მათი თანასწორად აღქმის აღიარება. როგორც რატი აღნიშნავს, რუსეთმა ისარგებლა ნატოს შიდა უთანხმოებითა და ავღანეთის დამქანცველი კამპანიით და სცადა საკუთარი გავლენის აღდგენა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებზე.

2008 წლის საქართველოსთან ომით, რომელიც რუსეთმა უმცირესობების დაცვას დაუკავშირა, ნათელი შეტყობინება გაუგზავნა ალიანსს: დასავლეთთან თანამშრომლობას, მართალია, არ გაურბის, თუმცა რუსეთს შესწევს უნარი, განახორციელოს ისეთი მოქმედებები, რომლებიც, მისი თვალსაზრისით, საკუთარი ინტერესების დაცვას ემსახურება.

როგორც ვებერი, ჰალამსი და სმიტი (2014) წერენ, გაფართოება, „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, ალიანსისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად იქცა, ვინაიდან ვარშავის პაქტის გაუქმებისთანავე ალიანსმა გადაწყვიტა, გაეხსნა ორგანიზაციის კარი და ამის შემდეგ გაფართოება იქცა საშუალებად, რათა გავრცელებულიყო ნატოს დემოკრატიული უსაფრთხო საზოგადოება ყოფილი კომუნისტური აღმოსავლეთითაც. თუმცა, როგორც ვებერი, ჰალამსი და სმიტი აღნიშნავენ, გაფართოებას თავისი საფასური აქვს (იგულისხმება მოსკოვის მოქმედებები) და როგორც ჯორჯ კენანი 1997 წელს აღნიშნავდა, ეს პოლიტიკა (გაფართოება) შესაძლოა „ამერიკის ისტორიაში ყველაზე საბედისწერო შეცდომად იქცეს.“ 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე ალიანსმა გამოაცხადა, რომ საქართველო და უკრაინა გახდებიან ალიანსის წევრები, რაც რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა, 2014 წლის მარტში ყირიმის ანექსიის<sup>27</sup> ერთ-ერთ მიზეზად დაასახელა. ამის მსგავსად, რუსეთის მიერ საქართველოს დესტაბილიზაცია (რის კულმინაციაც იყო 2008 წლის ომი) წარმოადგენდა რუსეთის სურვილს, რომ საქართველო ალიანსში გასაწევრიანებლად არამიმზიდველ კანდიდატად ქცეულიყო.

როგორც სტატიის დასასრულ ვებერი, ჰალამსი და სმიტი (2014) აღნიშნავენ, რუსეთის მიზანი თითქოს მიღწეულია და ბოლო პერიოდში ნატო გარკვეულწილად თავს იკავებს, ხელი შეუწყოს საქართველოსა და

---

<sup>27</sup> იხ. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდი <http://en.kremlin.ru/events/president/news/20603> უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 03.05.2018.

უკრაინის ალიანსში გაწევრიანების პროცესს და 2008 წელს ამ ქვეყნებისათვის მიცემული დანაპირები გაწევრიანებასთან დაკავშირებით, შესაძლოა, ახლა შეცდომადაც კი ჩანდეს. ამ ყველაფრის უმნიშვნელოვანეს მიზეზად კი ისინი ასახელებენ ამ ორი ქვეყნის ალიანსში გაწევრიანების შემთხვევაში რუსეთის სერიოზულ გაღიზიანებას და ამ ქვეყანასთან ომის დაწყებას საშიშროებას, რის სურვილიც (ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე) ნატოს წევრებს არ აქვთ.

როგორც ინდანსი (2007) წერდა, საქართველოსა და რუსეთს შორის არსებულ დამაბულ ვითარებას არაერთი ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის არის ვაჭრობა, ჯაშუშობა და ენერგეტიკა. ამასთან, ყველაზე სახიფათოს წარმოდგენს დაპირისპირება საქართველოს პრორუსული რეგიონების – სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის – სტატუსის გამო. საქართველო კი, არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური რისკის ქვეშაც დგას. როგორც ინდანსი (2007) აღნიშნავდა, საქართველოს პოლიტიკა ევროკავშირისა და ნატოს მისამართით იწვევს კრემლის აშკარა განრისხებას. კრემლის ოფიციალური პირები შიშობენ, რომ კავკასიაში ძლიერი საქართველოს ჩამოყალიბება, რუსეთს გაურთულებს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული მისი საკმაოდ რთული რეგიონების მართვას (აქ უმთავრესად მოიაზრება ჩეჩნეთი.) ინდანს მოჰყავს რუსი პარლამენტარის, ანდრეი კოკოშინის, მოსაზრებები ნატოს გაფართოებასა და ალიანსში საქართველოს გაწევრიანებასთან დაკავშირებით. ანდრეი კოკოშინმა ღიად განაცხადა, რომ რუსული პოლიტიკური კლასის უმრავლესობას უარყოფითი დამოკიდებულება აქვს ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით, ისევე როგორც ნატოს ორბიტაზე საქართველოს მოხვედრასთან მიმართებაში: “ჩვენ საკმარისზე მეტი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალურ-პოლიტიკური მიზეზი გვაქვს, რათა ამ ქვეყნების ნატოში გაწევრიანებას ვეწინააღმდეგებოდეთ. იზრდება ჩვენი სამხედრო-სტრატეგიული წინააღმდეგობებიც.“

სტატიის დასასრულ კი ინდანსი (2007) აღნიშნავდა, რომ, მართალია, ნატოს წევრი ქვეყნები მხარს უჭერენ საქართველოს და მის პროდასავლურ

კურსს, თუმცა მათ უფრო და უფრო სჭირდებათ რუსეთთან თანამშრომლობა მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა შორისაც არის: ერაყი, ირანი, ჩრდილოეთ კორეა და ბალკანეთზე არსებული ვითარება. ქართველები კი შიშობენ, რომ ამ სხვა პრიორიტეტების გამო, დასავლეთმა საქართველოს გვერდში დგომა შესაძლოა შეზღუდოს.

ფორსბერგს და ჰერდს (2015) კი მოჰყავთ რუსეთის ყოფილი პრეზიდენტის, დმიტრი მედვედევის, განცხადება იმის თაობაზე, რომ საქართველოსთან ომი საჭირო იყო, რათა ნატოს ექსპანსია აეცილებინათ თავიდან. ავტორების აზრით, თუმცა ბუქარესტის სამიტის დეკლარაციაში ჩაწერილი ფრაზა, რომ უკრაინა და საქართველო მომავალში გახდებიან ალიანსის წევრები, უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა რუსეთისათვის, ვიდრე ამ ქვეყნებისათვის მაპის მიღებაზე უარის თქმა. როგორც ფორსბერგი და ჰერდი აღნიშნავენ, რუსეთს 2008 წლის შემდეგაც ნატო-საქართველოს ურთიერთობაც აღიზიანებს, მათ შორის, განსაკუთრებით ერთობლივი წვრთნები, და არც 2011 წელს ნატოს მიერ საქართველოს ასპირანტ ქვეყნად ფორმალურ დასახელებას შეხვედრია ეს ქვეყანა დიდი სიხარულით, მაშინ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა, გააკრიტიკა ალიანსი ამ ქმედების გამო, რაც რუსი დიპლომატის მოსაზრებით, პრეზიდენტ სააკაშვილს წაახალისებდა, რუსეთის წინააღმდეგ ახალი ავანტიურა წამოეწყო. ლავროვის რწმენით, 2008 წელს სააკაშვილის მიერ სამხრეთ ოსეთზე თავდასხმა წაახალისა სწორედ ბუქარესტის სამიტის დეკლარაციამ. 2012 წელსაც ლავროვმა ღიად განაცხადა, რომ ალიანსის მიერ საქართველოს ასპირანტ ქვეყნად მოხსენიება იწვევს მოსკოვის „შეცბუნებას“, „სინანულს“ და „განგაშს.“

მაღვი (2009) მიიჩნევს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი წარმოადგენდა რუსეთის მცდელობას ხელი შეეშალა ნატოსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის იმ ქვეყნების დაახლოებისათვის, რომლებიც გამოთქვამდნენ ალიანსში გაწევრიანების სურვილს. სავარაუდოდ, ამ ქვეყნების მიერ ევროპულ და ევროატლანტიკურ ინსტიტუტებთან დასახლოებლად გადადგმული

ნაბიჯები გამოიწვევს რუსეთის მკაცრ კონტროლს. მადეი სხვა ზომებთან ერთად, რუსეთის ერთ-ერთ დამსჯელ ღონისძიებად ეკონომიკურ ზეწოლას ასახელებს და ამ ყველაფრიდან გამომდინარე, მოხდება ალიანსის წევრი ქვეყნების დარწმუნება იმაში, რომ ნატოს გაფართოება აღმოსავლეთით (რუსეთის წინააღმდეგობიდან გამომდინარე) წევრ ქვეყნებს სარგებელზე მეტად ზიანს მოუტანს. როგორც მადეი აღნიშნავს, აგვისტოს მოვლენების შემდეგ ალიანსის წევრმა რამდენიმე ქვეყანამ (გერმანია, იტალია, ესპანეთი) გამოთქვა შეშფოთება, რომ საქართველოს წევრად მიღების შემთხვევაში ქვეყნის გადაუჭრელი კონფლიქტები გაზრდის რუსეთთან ომის საფრთხეს. ალიანსის წევრი ქვეყნების „სიფრთხილეს“ კი კარგად იყენებს რუსეთი მისი მეზობლების ალიანსში გაწევრიანების დასაბლოკად. მადეის აზრით, აგვისტოს ომით, ფაქტობრივად, რუსეთმა მიზანს მიაღწია, ვინაიდან ალიანსის წევრებს უფრო მეტი ეჭვი გაუჩნდათ იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად მზად იყო საქართველო ალიანსში გასაწევრიანებლად.

როგორც გერმანი (2015) წერს, საქართველოს ნატოში გაწევრიანების უმთავრეს სირთულედ მოიაზრება რუსეთის მოქმედებები, რომელიც საქართველოს ალიანსში გაწევრიანებას და ზოგადად ალიანსის გაფართოების წინააღმდეგ არის განწყობილი, რაც დაფიქსირებულაც არის ქვეყნის სამხედრო დოქტრინაში (2014). მიუხედავად იმისა, რომ საქართველო საკუთარ თავს „პოსტსაბჭოთა“ ქვეყანაზე მეტად „ევროპულ“ ქვეყნად მიიჩნევს, რუსეთი კვლავ აღიქვამს ამ ქვეყანას მის „პრივილეგირებულ ინტერესთა ზონად“. გერმანი მიიჩნევს, რომ ეს ნაწილობრივ განპირობებულია იმ ფაქტით, რომ საქართველო მდებარეობს რუსეთსა და სომხეთს შორის, რომელიც სამხრეთ კავკასიაში რუსეთის უმნიშვნელოვანესი პარტნიორია და საქართველო კი სომხეთისათვის უმნიშვნელოვანეს სატრანზიტო გზას წარმოადგენს, რომელიც მას რუსეთთან აკავშირებს.

გერმანის (2015) მოსაზრებით, რუსეთის მოქმედებები საქართველოსა და ახლა უკვე უკრაინაში უფრო ფართო აუდიტორიაზეა გათვლილი,

ვიდრე საქართველოსა და უკრაინის ხელისუფლებებია და აქ იგულისხმებიან ის პოსტსაბჭოთა ქვეყნები, რომლებიც „დასავლეთის მიმართულებით იმაზე მეტად იყურებიან, ვიდრე ეს მოსკოვს მოსწონს.“

კრონიგი (2015) კი წერდა, რომ დასავლელმა ანალიტიკოსებმა დაიწყეს იმის გაანალიზება, რომ უკრაინასა და საქართველოში რუსეთის მოქმედებების იზოლირებულ (ცალკეულ) შემთხვევად წარმოდგენა შესაძლოა, არ არის მართებული და სინამდვილეში აღნიშნული წარმოდგენს მოსკოვის დიდი ამბიციების გამოვლინების მაგალითს, რომელსაც სურს ყოფილ საბჭოთა სივრცეში რუსეთის გავლენის აღდგენა. რუსეთის ამ გეგმებმა კი მარტივად შეიძლება საფრთხე შეუქმნას რეგიონის უსაფრთხოებასა და პირდაპირ დაემუქროს ნატოს წევრ სახელმწიფოებს.

## 5.2. რუსი ანალიტიკოსები საქართველო-ნატო-რუსეთის

### ურთიერთობებზე

*2008 წლის ნატოს სამიტამდე და მის შემდეგაც რუსი ანალიტიკოსების სტატიებში ფაქტობრივად ღიად არის დაფიქსირებული, რომ რუსეთისათვის ყოვლად მიუღებელი იქნებოდა საქართველოსათვის (ასევე უკრაინისათვის) ნატოს წევრობის სამოქმედო გეგმის მიღება და ამის თავიდან ასაცილებლად რუსეთი დიპლომატიურ სვლებთან ერთად, ყველა ხერხს მიმართავდა.*

როგორც ლუკიანოვი (2007ა) რუსეთ-საქართველოს ომამდე ერთი წლით ადრე გამოქვეყნებულ სტატიაში აღნიშნავდა, რუსეთი, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, მეზობლებთან ორმხრივ ლოკალურ პრობლემებთან დაკავშირებით საკუთარი გლობალური ხედვიდან გამომდინარე, ამპარტავნულად ამბობდა უარს ეღიარებინა ის ფაქტი, რომ მცირე ქვეყნებსაც კი შეიძლება გააჩნდეთ საკუთარი ინტერესები და მისგან (რუსეთისაგან) დამოუკიდებელი პოლიტიკა.

ამასთან, ავტორი პატარა ქვეყნებს ადანაშაულებდა, რომ რუსეთისაგან საპირისპიროდ ისინი ყოფილ ზესახელმწიფოსთან (რუსეთთან)

არსებულ პრობლემებს არ განიხილავდნენ ფართო კონტექსტში და მას მაგალითად მოჰყავდა საქართველო, რომელსაც როგორც ლუკიანოვი წერდა, რუსეთთან მხოლოდ და მხოლოდ ორმხრივ დონეზე სურდა საუბარი, ისიც მხოლოდ ტერიტორიულ კონფლიქტებთან დაკავშირებით. რუსეთი კი, ლუკიანოვის მოსაზრებით, აფხაზეთისა და ცხინვალის პრობლემაში სამართლიანად ხედავდა უფრო ფართო გლობალური თამაშების გამოვლინებას. ამასთან, ლუკიანოვის აზრით, რუსეთის ზოგიერთი მეზობლისათვის (ცხადია, პირველ რიგში მოიაზრებდა საქართველოსა და უკრაინას) ნატო იქცა ნომერ პირველ ოცნებად. თუმცა, მისი აზრით, ამ ქვეყნებს არ სურდათ არაფრის გაგონება ალიანსის რეალური მდგომარეობის შესახებ, რომლის მიზანიცა და პერსპექტივაც გახდა გაურკვეველი და არც იმის შესახებ, თუ რა გავლენა ექნებოდა მათს შესაძლო წევრობას რუსეთთან ურთიერთობებზე და საერთო სტაბილურობაზე.

სექტემბერში გამოქვეყნებულ სტატიაში ლუკიანოვი (2007 ბ) წერდა, რომ პრეზიდენტ პუტინის მეორე საპრეზიდენტო ვადის დასასრულს მოსკოვსა და დასავლეთს შორის არსებული დამაბული ვითარება პიკს აღწევდა. დამაბულობის მიზეზებს შორის ავტორი გამოყოფდა კოსოვოს საკითხს. სწორედ ამ კონტექსტში, ლუკიანოვი აღნიშნავდა, რომ კოსოვოს მოსალოდნელი აღიარება შეიტანდა რეზონანსს პოსტსაბჭოთა სივრცეში, უპირველეს ყოვლისა კი, ეს შეეხებოდა საქართველოს. მისი აზრით, ბოლო პერიოდში ადგილი ჰქონდა აშკარა კანონზომიერებას: კოსოვოში მოსალოდნელი ძვრების წინ, რუსეთ-საქართველო-არაღიარებული ტერიტორიების სამკუთხედს შორის დამაბულობა მატულობდა. როგორც ლუკიანოვი წერდა, თბილისშიც კარგად ხვდებოდნენ, რომ კოსოვოს აღიარება გავლენას მოახდენდა მსგავს კონფლიქტებზე და კიდევ უფრო დაამძიმებდა ისედაც რთულ ვითარებას.

როგორც ლუკიანოვი (2008) წლის იანვრის სტატიაში წერდა, მოსკოვმა განაცხადა, რომ მიიღებდა „მთელ რიგ ზომებს კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების შემთხვევაში.“



ავტორის აზრით, თითქმის ყველა თანხმდებოდა იმაზე, რომ ანალოგიური კონფლიქტებისათვის ეს შემთხვევა უკვალოდ არ ჩაივლიდა. თავად რუსეთს კი მოქმედების ზუსტი ხაზის გავლება გაუჭირდებოდა – ბალკანეთის მოვლენების უბრალოდ იგნორირება რუსეთისათვის რთული იქნებოდა. ავტორის აზრით, რუსეთი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში და საკმაოდ ღრმად იყო გარეული აფხაზეთისა და ცხინვალის პრობლემებში, რომ ახლა ამ პრობლემებისაგან თავი შორს დაეჭირა. ვინაიდან უარის თქმა მათზე, „ვინც უკვე მოიშინაურე,“ მძიმე დარტყმა იქნებოდა რუსეთის იმიჯზე, როგორც კავკასიაში, ასევე დსთ-ს მასშტაბითაც. ამასთან, ლუკიანოვი ხაზგასმით აღნიშნავს თბილისის განცხადებებს, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის აღიარებას პატარა ქვეყანა ომის გამოცხადებად განიხილავდა. ომი კი, ავტორის აზრით, პატარა ქვეყანას ბევრი საშინაო პრობლემისაგან იხსნიდა, სწორედ ამის გამო რუსეთი მზად უნდა ყოფილიყო საქართველოსთან შესაძლო შეიარაღებული კონფლიქტისათვის.

ლუკიანოვის მტკიცებით, სოხუმისა და ცხინვალის საქართველოს იურისდიქციის ქვეშ დაბრუნება, რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო რთულდებოდა და ამას თბილისიც კარგად აცნობიერებდა. გადამწყვეტ ფაქტორად კი საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივა მიიჩნეოდა. როგორც ლუკიანოვი წერდა, ნატოში გაწევრიანებას საქართველოსათვის უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან ალიანსის წევრობა ვითარებას ცვლიდა: ოფიციალურად ნატოს სამხედრო გარანტიის ქვეშ მყოფ ქვეყანას უკვე შეიძლება იმედი ჰქონოდა ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის სამხედრო გზით მოგვარებისა.

სტატიის ბოლოს ავტორი წერდა, რომ სწორედ ზემოთ თქმულის გამო, დიდი ალბათობით, მოხდებოდა რუსეთის დიპლომატიის გააქტიურება ნატოს მიმართულებით. რომ მოსკოვი შეეცდებოდა და იღონებდა ყველაფერს, რათა თავიდან აეცილებინა საქართველოსათვის მაპის მინიჭება. თუმცა, როგორც ლუკიანოვი წერდა, თუ ეს შედეგი მაინც

დადგებოდა, მაშინ რუსეთის მხრიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ახალი სტატუსის აღიარების მიმართულებით მკვეთრი ნაბიჯების გადადგმის ალბათობა გაიზრდებოდა.

2008 წლის აპრილის სტატიაში ლუკიანოვი წერს, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ რუსეთი ისე ვეღარ მოიქცეოდა, როგორც მანამდე იქცეოდა, პირველ რიგში ეს შეეხებოდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს. მისი აზრით, რუსეთის მიერ ამ რეგიონების ფორსირებულ აღიარებაზე უარის თქმას, ყოფილი ზესახელმწიფო თავის მხრიდან სერიოზულ დათმობად აღიქვამდა. ამასთან, ლუკიანოვის მოსაზრებით, რუსეთი ემზადებოდა ე. წ. „ტაივანის“ მოდელის განხორციელებისათვის, რაც ნიშნავდა ცხინვალთან და სოხუმთან სრულმასშტაბიანი კავშირის დამყარებას, თუმცა ოფიციალური აღიარების გარეშე. რუსეთი მზად იყო, წასულიყო ამ ნაბიჯზე თბილისთან მიმართებაში, თუმცა ამ „კომპრომისს“ არ თანხმდებოდა თბილისი, რაც საშიშ ვითარებას აყალიბებდა. როგორც ლუკიანოვი წერდა, თბილისი ქვეყნის ტერიტორიის დაკარგვის რეალური პერსპექტივის წინაშე იდგა და საქართველოს სერბეთის სცენარის თავიდან ასაცილებლად დაუყოვნებლივ უნდა ემოქმედა, მას წინ ორი გზა ჰქონდა: ან უნდა მოეხდინა რუსეთზე საერთაშორისო ზეწოლის განხორციელება ან პრობლემის გადაჭრა ძალის საშუალებით ეცადა.

ამასთან, ლუკიანოვი წერდა, რომ თუ საქართველო შეძლებდა და მოახერხებდა დასავლელი პარტნიორების დარწმუნებას მოქმედების აუცილებლობაში და უსაფრთხოების გარანტიებსაც მიიღებდა, რუსეთი შესაძლოა, არასასურველ მოქმედებებზეც წასულიყო. როგორც ლუკიანოვი წერდა, პრევენციული ზომის სახით რუსეთი შესაძლოა, აღიარებაზეც კი წასულიყო. ამ შემთხვევაში კი, საქართველოსა და რუსეთს შორის შესაძლოა, ომიც კი მომხდარიყო.

როგორც ლუკიანოვი (2008 გ) წერდა, საქართველოს გათვლით, რაც უფრო ახლოს იქნებოდა ნატოს პატრონაჟი, მით უფრო ძლიერი იქნებოდა

რეგიონის უსაფრთხოება. რუსეთი კი საპირისპიროს ფიქრობდა – რაც უფრო რეალური იქნებოდა თბილისისათვის ნატოს მიერ მიცემული გარანტიები, მით უფრო აქტუალური გახდებოდა, მაგალითად, ისეთი საკითხი, როგორც იყო აფხაზეთის აღიარება.

ლუკიანოვი წერდა, რომ სიტუაციის გართულება დეკემბრის ბოლო-სათვის იყო მოსალოდნელი, როდესაც ალიანსის საგარეო საქმეთა მინისტრთა შეხვედრაზე ვაშინგტონი საქართველოსა და უკრაინისათვის წევრობის სამოქმედო გეგმის მინიჭებას ეცდებოდა.

როგორც 2008 (დ) წლის 5 აგვისტოს სტატიაში ლუკიანოვი წერს, ნატოს ბუქარესტის სამიტის შემდეგ აშშ და საქართველოს შემდეგნაირად ფიქრობდნენ: აპრილში მოკავშირეების უუნარობამ საქართველოსა და უკრაინისათვის მაპის მინიჭების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მოახდინა რუსეთის პროვოცირება, გაეზარდა ზეწოლა თბილისზე და მოეხდინა ფაქტობრივი ანექსია „სეპარატისტული ანკლავებისა.“ მოსკოვს მკვეთრად უნდა გაეცნობიერებინა, რომ შანტაჟი არ გაუვიდოდა.

ლუკიანოვის აზრით, რუსეთს განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა, კრემლის თვალთახედვით, ნატოსა და საქართველოს დაახლოებისაკენ გადადგმული ნებისმიერი მკვეთრი ნაბიჯი ტერიტორიული საკითხების მყოფე „სტატუს-კვოს“ რღვევას გამოიწვევდა. როგორც ლუკიანოვი წერდა, კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდანვე რუსეთს ღრმად სწამდა, რომ დასავლეთმა ყველა საერთაშორისო ნორმა ფეხქვეშ გათელა და რუსეთს სრული მორალური უფლება ჰქონდა სოხუმისა და ცხინვალის აღიარებისა. თუმცა, როგორც ლუკიანოვი წერდა, მოსკოვს ეს არ გაუკეთებია და მზად იყო, ოფიციალურად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ეღიარებინა. (ე. წ. „ტაივანის“ მოდელის კონტექსტში).

როგორც ლუკიანოვი წერდა, რუსეთის მაშინდელი პოლიტიკა მოიცავდა საკმაოდ დემონსტრაციულ მოქმედებებს, მაგალითად, ისეთს, როგორც იყო სამხრეთ ოსეთის თავზე სამხედრო თვითმფრინავების ფრენა.

ლუკიანოვის აზრით, პირველ რიგში, ეს მიზნად ისახავდა საქართველოს ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით სკეპტიკურად განწყობილი ევროპელებისათვის ეჩვენებინა, რომ მათი ეჭვები საფუძვლიანი იყო. რომ საქართველოს გაწევრიანების შემთხვევაში ალიანსი რეგიონალურ კონფლიქტებში ჩათრეული აღმოჩნდებოდა, სადაც შეიარაღებული დაპირისპირებაც არ გამოირიცხებოდა.

11 აგვისტოს სტატიაში ლუკიანოვი (2008 ე) წერდა, რომ რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთში საქართველოს შეჭრის შესაჩერებლად სამხედრო ძალის გამოყენებას ალტერნატივა არ გააჩნდა. რუსეთი წლების განმავლობაში ეხმარებოდა არაღიარებულ რესპუბლიკებს და კრიტიკულ მომენტში უკან დახევა უბრალოდ ამორალური იქნებოდა. ლუკიანოვის აზრით, ეს კრემლის პოლიტიკის სანდოობას გამოუთხრიდა ძირს არა მხოლოდ კავკასიაში.

ამასთან, ლუკიანოვი ერთი მხრივ, ამბობდა, რომ საქართველო კარგა ხნით ადრე ემზადებოდა ომისათვის, თუმცა მეორე მხრივ, თავად სვამდა შეკითხვას, თუ რატომ აღმოჩნდა საქართველოს სამხედრო ოპერაცია რუსული ხელმძღვანელობისათვის მოულოდნელი, ეს იმ ფონზე, როდესაც, ნატოსთან დაჩქარებული დაახლოებიდან გამომდინარე, საქართველო რუსული სადაზვერვო სამსახურების ყურადღების ცენტრში უნდა ყოფილიყო.

2010 (ა) წლის თებერვლის სტატიაში ლუკიანოვი წერდა, რომ რუსეთის ახალ სამხედრო დოქტრინაში სამხედრო საფრთხეებს შორის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის რუსეთის საზღვრებთან მიახლოებაც იყო ნახსენები. თუმცა, ავტორი აღნიშნულში ახალს ვერაფერს ხედავდა, გამომდინარე იქიდან, რომ ათი წლის წინანდელ ანალოგიურ დოკუმენტში, მართალია, კონკრეტულად დასახელებული არ არის, თუმცა გარკვევით არის დაფიქსირებული, რომ „სამხედრო ბლოკების გაფართოება ზიანის მომტანია რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოებისათვის.“

როგორც ლუკიანოვი წერდა, რუსეთ-საქართველოს ომიდან ორი წლის შემდეგ რუსეთი საერთაშორისო იზოლაციაში არ აღმოჩენილა, როგორც ამას არაერთი მიმომხილველი ვარაუდობდა. ავტორის აზრით, აღნიშნულზე ყველაზე დიდი გავლენა იქონია ფინანსურმა კრიზისმა. ლუკიანოვის აზრით, კრიზისმა ასევე იქონია გავლენა აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებზე, სადაც ჯონ მაკკეინი დამარცხდა. როგორც ლუკიანოვი წერდა, მაკკეინი რომ თეთრი სახლის ბინადარი გამხდარიყო, მსოფლიო ატმოსფერო და აშშ-ს ინტერესი საქართველოსადმი სხვაგვარი იქნებოდა.

ლუკიანოვის აზრით, პოსტსაბჭოთა სივრცეში მომხდარი ომის ერთ-ერთი მიზეზი აშშ-ს პოზიცია გახდა (არაოფიციალურად დეკლარირებული, თუმცა ცხადი), რომ რუსეთის აზრი აშშ-ს სტრატეგიული მიზნების განხორციელებაში ხელს ვერ შეუშლიდა.

ამასთან, ლუკიანოვის აზრით, მიუხედავად მთელი რიგი ნეგატიური შედეგებისა, საქართველოსთან ხუთდღიანი ომის შემდეგ მოსკოვმა უმთავრეს სტრატეგიულ გამარჯვებას მიაღწია, აიძულა სხვები, მისთვის სერიოზულად შეეხედათ. როგორც ლუკიანოვი წერდა, სწორად საქართველოსთან ომის შემდეგ მიაღწია რუსეთმა მისთვის ყველაზე სასურველ მიზანს, თუ 2008 წლის აგვისტოში პრეზიდენტ მედვედევის სიტყვამ „პრივილეგირებული ინტერესთა ზონამ“ გარკვეული გაუგებრობა გამოიწვია, სულ რაღაც ორ წელიწადში ეს სფერო უკვე აღიარებული გახდა.

როგორც ლუკიანოვი 2013 წლის 7 აგვისტოს სტატიაში წერდა, რუსეთ-საქართველოს ომიდან ხუთი წლის გასვლის შემდეგ უკვე ნათელი გახდა, რომ აგვისტოს მოვლენებმა ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებას წერტილი დაუსვა და ეს თემა უკვე აღარ განიხილება დასავლეთის პოლიტიკურ დისკუსიებში. ლუკიანოვის მოსაზრებით, მართალია, არ შეცვლილა ბუქარესტის სამიტის დაპირება, რომ უკრაინა და საქართველოს ოდესმე გახდებიან ალიანსის წევრები, თუმცა, მისი აზრით, აშშ-ში უნდა

მოხდეს ძალიან სერიოზული პოლიტიკური ცვლილება, ეს თემა ისევ პრიორიტეტული რომ გახდეს, ლუკიანოვის აზრით, იმ ეტაპზე ნატო ცდილობდა, რეალური ამოცანების შესატყვისად მოეხდინა ადაპტირება, ამ ყველაფერში კი კავკასიას ძალიან მცირე ადგილი თუ ეჭირა.

რაც შეეხება რუსეთს, ლუკიანოვის მოსაზრებით, ის ხუთი წელი რუსეთისათვის ძიების წლები იყო. ორი ათწლეული წლის განმავლობაში, გეოპოლიტიკური უკანსვლის შემდეგ, საქართველოზე გამარჯვება აღქმული იქნა ფაქტობრივად ფსიქოლოგიურ რევანშად.

ყირიმის ანექსიის შემდგომ გამოქვეყნებულ სტატიაში ლუკიანოვი (2014) დარწმუნებით წერდა, რომ მომავალში ნატოს გაფართოება აღარ იყო სარწმუნო. 1990-2000-იან წლებში გაფართოების პროცესი უპრობლემოდ მიმდინარეობდა, გამომდინარე იქიდან, რომ ახალ ქვეყნებს უსაფრთხოების გარანტიები არ სჭირდებოდათ და ახალი სახელმწიფოს მიღება შესაძლებელი იყო ისე, რომ არ არსებობდა მათ გამო რისკზე წასვლის საფრთხე. როგორც ლუკიანოვი წერდა, იმ დროისათვის უკვე სულ სხვა ვითარება იყო შექმნილი. უკრაინის, მოლდოვასა და საქართველოს გაწევრიანება ნიშნავდა, რომ ნატოს წევრ ქვეყნებს მოუწევდათ რუსეთთან შესაძლო სამხედრო დაპირისპირებაზე პასუხისმგებლობის აღება, რაც არავის სურდა.

როგორც სერგეი კარაგანოვი (2004) საქართველოში მომხდარი „ვარდების რევოლუციის“ მიმოხილვისას აღნიშნავდა, რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული დამაბულობის მოხსნაზე დადებით გავლენას იქონიებდა საქართველოს ახალი ხელისუფლების მიერ ანტირუსულ რიტორიკაზე უარის თქმა. ამასთან, დასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის პარალელურად, რუსეთთან ლოიალური პოლიტიკის წარმოება საქართველოს ინტერესებში შედიოდა. პერსპექტივაში ტერიტორიული პრობლემის მოგვარება სწორედ ჩრდილოელ მეზობელთან დაახლოებით იქნებოდა შესაძლებელი. თუმცა, ცხადია, ეს მაშინ მოხდებოდა, თუ თავად მოსკოვი მისცემდა თბილისს ამ ახალი მიდგომის განხორციელების შესაძლებლობას.

კარაგანოვი ერთი მხრივ ამტკიცებდა, რომ საქართველოს არც ისეთი გამორჩეული სატრანზიტო ფუნქცია ჰქონდა, როგორც ამას შევარდნაძე ამტკიცებდა და არც ისეთი დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე იყო მთლიანად რუსეთისათვის, მეორე მხრივ კი, აღნიშნავდა, რომ საქართველოდან რუსეთის ჯარების გასვლის შემდეგ, რუსეთი ძნელად თუ შეეგუებოდა ამ ქვეყანაში რუსული ბაზების ადგილზე სხვა უცხოური კონტინგენტის გამოჩენას.

როგორც კარაგანოვი (2004 ბ) რამდენიმე თვეში გამოცემულ სტატიაში წერდა, თუ თავიდან რუსეთისა და საქართველოს ახალი ხელისუფლების კონსტრუქციული თანამშრომლობის იმედი მაინც ჰქონდა, ახლა ეს იმედი უქრება და საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ახალი ომის წამოწყების „სურვილში“ დაადანაშაულა. ამასთან, როგორც კარაგანოვი წერდა, საქართველოს მოსალოდნელი ავანტიურიდან გამომდინარე, რუსეთი დაინტერესებული არ იყო საკუთარი სამშვიდობოების ჩანაცვლებით, მისი აზრით, ნატოელები კოსოვოში იმაზე ნაკლებად ეფექტიანები აღმოჩნდნენ, ვიდრე რუსები დნეპრისპირეთში, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში. ამასთან, კარაგანოვი დასძენდა, რომ ნატოელები არ შეიწუხებდნენ თავს რუსების ინტერესების დასაცავად.

2005 წლის სტატიაში კი კარაგანოვი წერს, რომ 30-40 პროცენტია ალბათობით, უახლოესი წლების განმავლობაში ნატო უკრაინის ალიანსში გაწევრიანებით დასავლეთი გააძლიერებდა საკუთარი გავლენის სფეროს. მისი თქმით, ამ საკითხთან დაკავშირებით აშშ-სა და ევროპას შორის უთანხმოება არ არსებობდა და სავარაუდოდ, მიღებულიც კი იყო უკვე გადაწყვეტილება. ამასთან, უკრაინას მიჰყვებოდნენ სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნები: მოლდოვა, საქართველო და შესაძლოა, ბელორუსიც კი.

როგორც კარაგანოვი წერდა, ნატოს გაფართოება რუსეთის ისტორიაში ყველაზე რთული არჩევნის წინაშე აყენებდა: “რა უნდა ვქნათ? მოვითხოვოთ ნატოში თავად რუსეთის გაწევრიანება? ეს, ცხადია, ნაკლებ სარწმუნოა.

შემოვიღოთ „რეალური საზღვრების“ რეჟიმი იმ ქვეყნებთან, რომელთანაც რუსეთი მჭიდროდ არის დაკავშირებული, პირველ რიგში ადამიანური კავშირებით? წავიდეთ კონფრონტაციაზე დასავლეთთან არასაკმარისი რესურსების არსებობის პირობებში?“.

კარაგანოვი 2007 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში სამარცხვინო ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შემდეგ ყველაზე წარუმატებელს უწოდებს 1997 წელს დადებულ რუსეთ-ნატოს მთავარ ხელშეკრულებას (ნატო-რუსეთის დამფუძნებელი აქტი). კარაგანოვის აზრით, რუსი მომლაპარაკებლები ხელოვნურად ჩამოყალიბებულ ცაიტნოტის რეჟიმში მოქმედებდნენ, რაც მაშინდელი პრეზიდენტის მიერ იყო შექმნილი. შედეგად აქტი ხელმოწერილ იქნა, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, ნატოს გაფართოების პრინციპს „დე-ფაქტოდ“ აკანონებდა. ამ ყველაფრის შემდეგ კი ბალტიის ქვეყნების, უკრაინისა და საქართველოს ალიანსში გაწევრიანება მხოლოდ დროის საქმე გახდა.

როგორც 2008 წლის ბუქარესტის სამიტის წინ გამოქვეყნებულ სტატიაში კარაგანოვი (2008 ა) წერდა, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი დგამდა კონსტრუქციულ ნაბიჯს და აპირებდა ნატოს ბუქარესტის სამიტზე წასვლას, თუმცა პუტინი მიდიოდა არა ალიანსის სესიაზე, არამედ პარალელურ რეჟიმში დაგეგმილი ნატო-რუსეთის საბჭოზე დასასწრებად. თუმცა, კარაგანოვის აზრით, ის ფაქტი, რომ პუტინი ბუქარესტში აპირებდა წასვლას, უკვე მიანიშნებდა, რომ საქართველოსა და უკრაინისათვის მაპის მინიჭების გადაწყვეტილების შესახებ საკითხი დღის წესრიგში ჯერჯერობით აღარ იქნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ვაშინგტონი ამ ორი ქვეყნისათვის მაპის მინიჭებით სერიოზულად იყო დაინტერესებული.

როგორც საქართველოსთან ომის შემდეგომ გამოქვეყნებულ სტატიაში კარაგანოვი (2008 ბ) აღნიშნავს, შეინიშნებოდა „ცივი ომის“ გარკვეული ნიშნები, თუმცა, მისი თქმით, მწვავე ფაზა არ იყო დამდგარი. კარაგანოვის აზრით, იმ პერიოდში დაპირისპირებულ მხარეთა მთავარი მიზანი იყო



პირველი კლასის კრიზისის შექმნა ნატოში უკრაინის გაწევრიანების ირგვლივ – ეს ყოვლად მიუღებელი იყო რუსეთისათვის და რუსეთი თუნდაც მოულოდნელად თანახმა ყოფილიყო აღნიშნულზე, ეს კარაგანოვის აზრით, ლოგიკურად გამოიწვევდა მხარეების კონფრონტაციას, ძალისმიერსაც კი. უკრაინის გაწევრიანება შექმნიდა „გაყოფილი ქვეყნის“ სინდრომს, რისგან თავის დაღწევასაც იმ დრომდე რუსეთი ახერხებდა.

კარაგანოვს მოჰყავს მის მიერ კოლეგისადმი ნათქვამი ფრაზა, სადაც საუბრობს, რომ შეიძლება, ითვალთმაქცოს, თუმცა რუსეთი ნატოს გაფართოებას არ შეეგუება არასოდეს. კარაგანოვი, აკრიტიკებს ნატო-რუსეთის საბჭოსაც, რომელიც მისი თქმით, 1997 წლის ნატო-რუსეთის სამარცხვინო ხელშეკრულების ბაზაზე შეიქმნა. როგორც კარაგანოვი წერდა, 1997 წლის აქტით „დე ფაქტო“ იქნა აღიარებული ნატოს გაფართოება, საბჭო კი რუსეთის დამცირების შესარბილებლად იქნა შექმნილი. მისი თქმით, საბჭოს დიდად მნიშვნელოვანი რამისთვის არ მიუღწევია, გარდა ნატოს სიცოცხლის გახანგრძლივებისა და ლეგიტიმურობისა. კარაგანოვის აზრით საბჭო „ცივი ომისდროინდელ“ რელიქტს წარმოადგენდა.

რუსეთ-საქართველოს ომიდან ორ თვეში გამოქვეყნებულ სტატიაში, კარაგანოვი (2008 გ) აღნიშნავდა, რომ რუსეთის მოწინააღმდეგეებს სჭირდებოდათ ახალი „ცივი ომის“ დაწყება მოძლიერებული რუსეთის წინააღმდეგ. კარაგანოვის აზრით, რუსეთი იმ პერიოდში კვლავ გადაიქცა მოწინააღმდეგედ, რომლისგანაც შეეცდებოდნენ მტრის შექმნას, რათა შესაძლოა, კიდევ ერთხელ ეცადათ მისი განადგურება. მისი აზრით, რუსეთის უწევდა ამ გამოწვევის მიღება: “თბილისისა და მის უკან მდგომების აგრესიის შემდეგ, მოსკოვის რეაქცია აღმოჩნდა ეფექტურიც და პროფესიონალურიც. ამან მხოლოდ გააღრმავა ოპონენტების მტკიცე გადაწყვეტილება, შეაჩერონ რუსეთი, სანამ მას არ მოუხვეჭავს უფრო მეტი გავლენა და სიძლიერე.“

ამ ყველაფრის ფონზე კარაგანოვი აღნიშნავდა, რომ რუსეთს უნდა შეენარჩუნებინა თანამშრომლობა მთელ რიგ ორგანიზაციებთან (ეუთო, ევროკავშირი, ევროპის საბჭო) და ახალ ორგანიზაციებში (მსო) გაწევრიანებაც უნდა ეცადა. ამასთან, ერთადერთი სტრუქტურა, რომლისთვისაც მას თავი უნდა დაეღწია, იყო ნატო-რუსეთის საბჭო, რომელიც „დე-ფაქტო აღიარებს მოსკოვის თანხმობას ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით.“

სტატიაში (2008 წლის ნოემბერი) „გვჭირდება თუ არა ჩვენ ნატო?“ კარაგანოვი (2008დ), რამდენიმეთვიანი შეწყვეტილი ურთიერთობების შემდეგ ალიანსის მცდელობას ნატო-რუსეთის საბჭოს ფარგლებში დიალოგის აღდგენისა, შემდეგნაირად აფასებდა: “თავდაპირველად საბჭოს მოქმედება შეაჩერეს, რის მიზეზადაც საქართველოს მისამართით რუსეთის მიერ გამოვლენილი აგრესია დაასახელეს. ახლა კი უკვე ყველაფერი ნათელია, რომ ომი დაიწყო თბილისმა, როგორც პასუხი რუსეთის „მიუღებელ მოქმედებებზე.“

როგორც კარაგანოვი წერდა, იმ დროისათვის, უკრაინისაგან განსხვავებით, მას ნაკლებად ანაღვლებდა საქართველოს ალიანსში გაწევრიანება, რომლის შანსიც კი აღარ არსებობდა. თუმცა, კარაგანოვის თქმით, უკრაინის ნატოში გაწევრიანება, რისკენაც მისიწრაფოდა ვაშინგტონი და უკრაინის მაშინდელი პრეზიდენტი, პირველი კლასის სამხედრო-პოლიტიკური კრიზისის მიზეზი შეიძლება გამხდარიყო.

კარაგანოვი რუსეთის ნატოსთან ურთიერთობებში გასათვალისწინებელ რამდენიმე გარემოებას ჩამოთვლის, მათ შორის არის ნატო-რუსეთის საბჭოს მოქმედებები, რომელსაც, კარაგანოვის აზრით, არ გააჩნდა არავითარი მნიშვნელოვანი ფუნქცია. მისი აზრით, 1997 წლის ნატო-რუსეთის დამფუძნებელი აქტი და ამ პერიოდშივე ჩამოყალიბებული საბჭო მხოლოდ ნატოს გაფართოების ლეგიტიმაციას ისახავდა მიზნად. ამასთან, კარაგანოვის აზრით, რუსეთი ნატოს 1999 წელსაც დაეხმარა, როდესაც რუსეთმა მილოშევიჩი დანებებაზე დაითანხმა.

თუმცა, სტატიის დასასრულ კარაგანოვის ასკვნიდა, რომ შეწყვეტილ ურთიერთობებს ალიანსთან ურთიერთობის ქონა მაინც სჯობს, თუნდაც იმიტომ, რომ ჰქონდეს გარკვეული შესაძლებლობა, შეაჩეროს ნატოს სვლა გაფართოებისაკენ. და თუნდაც იმის გამო, რომ დიალოგის გაგრძელებას მხარს უჭერენ ისეთი ქვეყნები, როგორც არის თუნდაც გერმანია. ამასთან, კარაგანოვის აზრით, რუსეთმა კარგად უნდა გააცნობიეროს ისიც, რომ ნატოს უფრო სჭირდება რუსეთი, ვიდრე – პირიქით.

როგორც 2008 წლის მიწურულს გამოქვეყნებულ სტატიაში კარაგანოვი (2008ე) წერდა, ნატოს მინისტერიალზე, ევროპის წამყვანი ქვეყნების წყალობით საქართველოსა და უკრაინას მაპის მიღებაზე უარი ეთქვათ. ეს კი რუსეთის არა მხოლოდ დიპლომატიური გამარჯვება იყო, არამედ, კარაგანოვის აზრით, ნაკლებ სასიხარულო როდი იყო ის ფაქტიც, რომ რუსეთმა ეს გამარჯვება ღირსეულად მიიღო და ღიად ზეიმი არ დაუწყია აღნიშნულის გამო, რაც რუსეთის პოლიტიკის სიმწიფის ნიშნად შეიძლება ჩათვლილიყო. კარაგანოვის აზრით, „საქართველოს ეპიზოდში“ რუსეთი გამარჯვებული გამოდიოდა. ამასთან, კარაგანოვი წერდა, რომ რუსეთ-საქართველოს ომმა კინაღამ დაანგრია რუსეთ-აშშ-ს ურთიერთობები და ნაწილობრივ იმოქმედა რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობებზეც.

კარაგანოვის აზრით, ეს ომი მომავალსათვის შეიძლება სასიკეთოც კი ყოფილიყო – „გამოჩნდა „ცივი ომისდროინდელი“ ევროპის უსაფრთხოების სისტემის არაადეკვატურობა, მომავალში თავს ველარავინ მოიტყუებს, რომ ამ სისტემას, რომელიც ეფუძნება ნატოს გაფართოებას, უსაფრთხოების უზრუნველყოფის უნარი აქვს. ცხადად გამოჩნდა, რომ გაფართოება იწვევს მტრობას, ეჭვს და ძირს უთხრის ევროპის სტაბილურობას.“

კარაგანოვის აზრით, თუ სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი შეაჩერებდა ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებას, მიუხედავად მსხვერპლისა, ეს კონფლიქტი პროდუქტიულადაც კი შეიძლება შეფასებულიყო.

როგორც კარაგანოვი წერდა, საქართველოსთან დაკავშირებით, მართალია, ყველაფერი ნათელი იყო და მისი ალიანსში გაწევრიანება გაურკვეველი ვადით იყო შეჩერებული, თუმცა ყველაფერი გარკვეული არ ყოფილა უკრაინის შემთხვევაში და კვლავ არსებობდა კონფრონტაციის შესაძლებლობა ამ უკანასკნელის ალიანსში გაწევრიანების შემთხვევაში.

### **5.3. რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიები და ნატო**

*საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ რუსეთის ფედერაციის მიერ მიღებულ თითქმის ყველა ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში ხაზგასმულია ის განსაკუთრებული საფრთხე, რომელსაც რუსეთისათვის ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის აღმოსავლეთით გაფართოება წარმოადგენს.*

1997 წლის რუსეთის ფედერაციის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში (1997) (რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების საფრთხეები-სადმი მიძღვნილ III თავში) საერთაშორისო დონეზე უმთავრეს საფრთხეებს შორის ჩამოთვლილია:

ზოგიერთი სახელმწიფოსა და სახელმწიფოთა გაერთიანების მისწრაფება, დააკნინონ საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის არსებული მექანიზმები, პირველ რიგში კი – გაერო და ეუთო.

მსოფლიოში რუსეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო გავლენის შემცირების საშიშროება.

სამხედრო-პოლიტიკური ბლოკებისა და კავშირების გაძლიერება, პირველ რიგში კი, ნატოს გაფართოება აღმოსავლეთით.

რუსეთის საზღვრების სიახლოვეს უცხოური სამხედრო ბაზებისა და მსხვილი სამხედრო კონტინგენტების განლაგების შესაძლებლობა.

ამასთან, ამავე დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ მთელი მსოფლიოს მასშტაბით დესტაბილიზაციის საფრთხეს წარმოადგენს, გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციების გარეშე, ნატოს მიერ სამხედრო მოქმედებების პრაქტიკაზე გადასვლა იმ არეალში, რომელიც აღნიშნული სამხედრო ბლოკის პასუხისმგებლობას არ ექვემდებარება.

2009 წლის რუსეთის ფედერაციის ეროვნული უსაფრთხოების დოქტრინაში (2009), (კერძოდ, II თავში, რომელიც თანამედროვე მსოფლიოსა და რუსეთს ეხება) საუბარია, რომ არსებული გლობალური და რეგიონალური არქიტექტურის არაადეკვატურობა, რომელიც ორიენტირებულია ძირითადად ევროატლანტიკურ რეგიონზე, მხოლოდ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსზე, ასევე არასრულყოფილი სამართლებრივი ინსტრუმენტებისა და მექანიზმების არსებობა უფრო და უფრო მეტ საფრთხეს წარმოადგენს საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის.

კონკრეტულად, ნატოსთან რუსეთის ფედერაციის ურთიერთობაზე კი დოკუმენტში წერია: “რუსეთისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ურთიერთობების განმსაზღვრელ უმთავრეს ფაქტორად რჩება რუსეთის მიერ მის საზღვრებთან ალიანსის სამხედრო ინფრასტრუქტურის გადაადგილების გეგმები და აღნიშნულისათვის გლობალური ფუნქციის მინიჭება, რაც საერთაშორისო სამართლის ნორმებთან წინააღმდეგობაში მოდის.

რუსეთი მზად არის ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან ურთიერთობების განვითარებისათვის, რაც უნდა ეფუძნებოდეს თანაბარუფლებიანობას და ევროატლანტიკურ რეგიონში ერთიანი უსაფრთხოების განმტკიცებას ისახავდეს მიზნად, რომლის სიღრმეც და შინაარსიც უნდა განისაზღვრებოდეს და ეფუძნებოდეს ალიანსის მზადყოფნას, გაითვალისწინოს რუსეთის ინტერესები სამხედრო-პოლიტიკური დაგეგმვის განხორციელებისას, საერთაშორისო ნორმების პატივისცემას, ასევე მათ შემდგომ ტრანსფორმაციას და ჰუმანიტარული მიმართულებით ახალი ამოცანებისა და ფუნქციების ძიებას.“

2015 წლის რუსეთის ფედერაციის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში (2015), რომელმაც 2009 წლის სტრატეგია ჩანაცვლა და თითქმის იმეორებს 2009 წლის სტრატეგიის ჩანაწერს ალიანსთან ურთიერთობასთან დაკავშირებით წერია: „ნატოს სამხედრო პოტენციალის გაზრდა და მისთვის გლობალური ფუნქციის მინიჭება, რომლიც საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით მიმდინარეობს, ასევე ბლოკის წევრის სახელმწიფოების სამხედრო მოქმედებების აქტივიზაცია, ალიანსის შემდგომი გაფართოება, მისი სამხედრო ინფრასტრუქტურის რუსეთის საზღვრებთან მიახლოება წარმოადგენს საფრთხეს ეროვნული უსაფრთხოებისათვის.“

რუსეთისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ურთიერთობების განმსაზღვრელ უმთავრეს ფაქტორად კვლავ რჩება რუსეთის შეურიგებლობა ალიანსის სამხედრო აქტივობების ზრდასთან და მის საზღვრებთან ალიანსის სამხედრო ინფრასტრუქტურის მოახლოებასთან დაკავშირებით, რაკეტაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემის შექმნა და სამხედრო ბლოკისათვის გლობალური ფუნქციის მინიჭების მცდელობა, რაც საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით მიმდინარეობს.

რუსეთი მზად არის ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან ურთიერთობების განვითარებისათვის, რაც უნდა ეფუძნებოდეს თანაბარუფლებიანობას და ევროატლანტიკურ რეგიონში ერთიანი უსაფრთხოების განმტკიცებას ისახავდეს მიზნად. ამ ურთიერთობების სიღრმეც და შინაარსიც უნდა განისაზღვროს ალიანსის მზადყოფნით, გაითვალისწინოს რუსეთის კანონიერი ინტერესები სამხედრო-პოლიტიკური დაგეგმვის განხორციელებისას და პატივს სცემდეს სართაშორისო ნორმებს.“

## თავი 6. იურიდიული და პოლიტიკური ბარიერები, რომლებიც შესაძლოა აფერხებდეს ნატოში საქართველოს ინტეგრაციის პროცესს

### 6.1. იურიდიული ბარიერები

საკმაოდ ფართოდ გავრცელებული მოსაზრებით, საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების უმთავრეს დაბრკოლებად მოიაზრება საქართველოსაგან გამოყოფილი ტერიტორიები – აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. როგორც რამდენიმე წლის წინ გაზეთ „24 საათთან“ ინტერვიუში ნატოში ლატვიის ელჩმა იანის ეიხმანისმა (2010) აღნიშნა, იმის მტკიცება, რომ ოკუპირებული ტერიტორიები ხელს უშლის საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესს, საკმაოდ რთულია, ვინაიდან დიპლომატის თქმით, მაგალითად, ლატვიასა და რუსეთს შორის საზღვრების შესახებ საკითხის მოგვარება და დასრულება მოხდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ლატვია ნატოს წევრი გახდა. აქვე აღსანიშნავია გერმანიის მაგალითიც, 1955 წელს ნატოს რიგებში სწორედ ორად გაყოფილი გერმანიის დასავლეთ ნაწილი შევიდა.

ნატოს უმთავრესი წესდებებისა და დოკუმენტების გათვალისწინებით, ოკუპირებული ტერიტორიების მიუხედავად, საქართველოს ნატოში გაწევრიანების შესაძლებლობა კვლავ რჩება. ამ დოკუმენტებს შორის კი პირველ რიგში მოიაზრება 1949 წლის ვაშინგტონის ხელშეკრულება და 1995 წელს ალიანსის მიერ მიღებული დოკუმენტი სახელწოდებით „კვლევა ნატოს გაფართოების შესახებ“ (Study on NATO Enlargement)<sup>28</sup>.

ნატოს ვაშინგტონის (დამფუძნებელი) ხელშეკრულების მეათე მუხლის თანახმად „მხარეებს შეუძლიათ ერთსულოვანი თანხმობით ამ

---

<sup>28</sup> იხ. ნატოს ოფიციალური ვებგვერდი [http://www.nato.int/cps/po/natohq/official\\_texts\\_24733.htm](http://www.nato.int/cps/po/natohq/official_texts_24733.htm) უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 03.05.2019.

ხელშეკრულებასთან მისაერთებლად მიიწვიონ ნებისმიერი სხვა ევროპული სახელმწიფო, რომელიც ხელს უწყობს ამ ხელშეკრულების პრინციპების განხორციელებას და წვლილი შეაქვს ჩრდილოატლანტიკური სივრცის უსაფრთხოებაში.“

აღნიშნული მუხლი მიუთითებს, რომ ალიანსში ახალი წევრის მიღება ხდება წევრი სახელმწიფოების კონსენსუსის შედეგად, ჩრდილოატლანტიკური საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად და მესამე ძალას (ნატოს არაწევრ ქვეყანას) არ აქვს უფლება, რაიმე ფორმით მოახდინოს გავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

რაც შეეხება „კვლევას ნატოს გაფართოების შესახებ“, აღნიშნულ დოკუმენტში ჩამოთვლილია ის უმთავრესი მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილებაც მოუწევს ქვეყანას, რომელიც ალიანსში გაწევრიანებისაკენ მიისწრაფის (საქართველოსათვის მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანა აკმაყოფილებს ამ უმთავრეს მოთხოვნებს). ალიანსში გაწევრიანების მოსურნე ქვეყანა:

უნდა ეთანხმებოდეს და ხელს უწყობდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებსა და პრინციპების განხორციელებას, თავისუფლების დაცვას, ალიანსის ყველა წევრისა და მათი ხალხის საერთო მემკვიდრეობასა და ცივილიზაციას, დამყარებულს დემოკრატიის პრინციპებზე, პირად თავისუფლებასა და კანონის უზენაესობაზე. წევრობის მსურველებს სჭირდებათ შესაბამისობაში მოსვლა ამ ძირითად პრინციპებთან.

გადაწყვეტილება ქვეყნის ალიანსში მიღების თაობაზე სრულად უნდა შეესაბამებოდეს ვაშინგტონის ხელშეკრულების მეათე მუხლს.

ვინაიდან ახალი წევრები ისარგებლებენ წევრობის ყველა უფლებით და აიღებენ ყველა ვალდებულებას ვაშინგტონის ხელშეკრულების თანახმად, ქვეყანა უნდა შეუერთდეს იმ კურსს, პრინციპებსა და მეთოდებს, რომლებიც მიღებულია ალიანსის ყველა წევრის მიერ ახალი წევრის მიღების მომენტში.



ქვეყანამ უნდა გააძლიეროს ალიანსის ეფექტიანობა და ერთიანობა, ხელი შეუწყოს ალიანსის პოლიტიკური და სამხედრო შესაძლებლობების შენარჩუნებას, ჩაერთოს ერთობლივ თავდაცვით ძირითად ფუნქციებში და განახორციელოს სამშვიდობო და სხვა ახალი მისიები.

იყოს ფართო ევროპული უშიშროების არქიტექტურის ნაწილი, დაფუძნებული ნამდვილ თანამშრომლობაზე მთელს ევროპაში. არავის უნდა შეუქმნას საფრთხე და გაზარდოს სტაბილურობა და უსაფრთხოება მთელი ევროპისათვის.

ქვეყანამ უნდა გაითვალისწინოს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის (PfP) მნიშვნელოვანი როლი, რომელიც დაეხმარება პარტნიორებს PfP-ის საშუალებით მიაღწიონ იმ სარგებელსა და პასუხისმგებლობას, რომელიც წევრობას მოაქვს. ემსახურებოდეს პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობის განმტკიცებას, რომლებიც შეიძლება, უახლოეს დროში ან საერთოდ, არ შეუერთდნენ ალიანსს. „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში აქტიური მონაწილეობა მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ნატოს გაფართოების პროცესში.

ქვეყანამ უნდა შეავსოს ევროკავშირის გაფართოების – პარალელური პროცესი, რომელსაც ასევე, თავის მხრივ, შესამჩნევი წვლილი შეაქვს აღმოსავლეთის ახალი დემოკრატიების უსაფრთხოებასა და სტაბილურობის განვრცობაში.

ახალმა წევრმა, მიერთების დროისათვის, ვაშინგტონის ხელშეკრულების საფუძველზე, ვალდებულება უნდა აიღოს, რომ ჩაერთვება ალიანსთან ერთად კოლექტიური თავდაცვის, მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისთვის გაწეულ ქმედებებში. ნებისმიერ საერთაშორისო უთანხმოებას, რომლებშიც შეიძლება ისინი აღმოჩნდნენ ჩარეულნი, მოაგვარებენ მშვიდობიანი გზით – ისე, რომ არ დადგნენ საფრთხის ქვეშ; თავს შეიკავებენ საერთაშორისო ურთიერთობების ჭრილში ძალის

გამოყენების მუქარისა ან უშუალოდ გამოყენებისაგან ნებისმიერი სახით, რომელიც შეუსაბამოა გაეროს მიზნებთან.

წვლილს შეიტანს მშვიდობიანი და მეგობრული საერთაშორისო ურთიერთობების შემდგომ განვითარებაში, მათივე თავისუფალი ინსტიტუტების გაძლიერებით; იმ პრინციპების უკეთესი გააზრებით, რომლებსაც ეს ინსტიტუტები ეფუძნება და, ასევე, სტაბილურობისა და კეთილდღეობის პირობების ხელშეწყობით.

შეინარჩუნებს ალიანსის ეფექტიანობას იმ როლების, რისკების, პასუხისმგებლობის, ხარჯებისა და სარგებლის გაზიარების გზით, რომლებიც უზრუნველყოფენ საერთო უსაფრთხოების მიზნების მიღწევასა და ამოცანების შესრულებას.

## **6.2. პოლიტიკური პრობლემები, რომლებიც, შესაძლოა, ხელს უშლის საქართველოს ალიანსში ინტეგრაციის პროცესს**

უმთავრეს დაბრკოლებად, რუსეთის გარდა (რომლის კვლევასაც ემსახურება ეს თეზისი), სხვადასხვა პერიოდში საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების გზაზე სახელდებოდა სხვადასხვა პოლიტიკური ბარიერები. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დაბრკოლებად, საქართველოსაგან გამოყოფილი ტერიტორიების აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარდა, სხვა შემაფერხებელ შიდა ფაქტორებად მოიაზრებოდა კორუფცია, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების კუთხით ქვეყანაში არსებული ვითარება, მედიის დამოუკიდებლობა, ქვეყნის დემოკრატიზაციის პროგრესი. საგარეო პოლიტიკური ბარიერებად პირველ რიგში მოიაზრება ქვეყნისათვის მაპის მინიჭებასთან დაკავშირებით ალიანსის წამყვანი ქვეყნების (გერმანია, საფრანგეთი და სხვები) ფრთხილი მიდგომა და გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით ალიანსის წევრებს შორის არსებული უთანხმოება და თავად ალიანსის წინაშე არსებული გამოწვევები.

როგორც ნიკოლი (2009) აღნიშნავს, როდესაც 2007 წელს საქართველოს სამთავრობო ძალებმა დაარბიეს მშვიდობიანი დემონსტრაცია, დაიხურა ზოგიერთი მედიასაშუალება, ალიანსის ზოგიერთმა წევრმა გამოთქვა აზრი, რომ დემოკრატიის კუთხით ქვეყანაში არსებული ვითარების გათვალისწინებით, ქვეყანა არ იყო მზად მომავალ 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე მაპის მისაღებად. ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს და საქართველოს მთავრობის მოქმედებებს ნატოს მაშინდელმა გენერალურმა მდივანმა იაკ დე ჰოოპ სხეფერმა ევროატლანტიკური ღირებულებების საპირისპირო უწოდა. ამასთან, ნიკოლი მიუთითებს, რომ საშინაო და საგარეო კრიტიკის შედეგი იყო ის, რომ საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტი სააკაშვილი გადადგა, დანიშნა რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები და რეფორმების განხორციელების პირობაც დადო. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი ხელისუფლების მიერ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში რეალური პროგრესი აშკარა იყო, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, კორუფციის დასაძლევად მაინც სერიოზული სამუშაოები იყო ჩასატარებელი. ამასთან, კვლავ ისმოდა კრიტიკა აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის არაადეკვატურობასთან დაკავშირებით. თუმცა, ნიკოლი (2009) იმასაც აღნიშნავს, რომ 2008 წლის დასაწყისში ალიანსმა დადებითად შეაფასა IPAP-ის (ნატოსთან ინდივიდუალური თანამშრომლობის სამოქმედო გეგმა) პროგრამის ფარგლებში საქართველოს მიერ გატარებული გარკვეული რეფორმები.

ნიკოლს (2009) მოჰყავს პოლონელი ანალიტიკოსების (მადეი, 2009) მოსაზრება, რამდენად შეანელა აგვისტოს ომმა საქართველოს ნატოსაკენ მიმავალი გზა და გამოიკვეთა მთელი რიგი პრობლემები, მათ შორის: საქართველოს დეგრადირებული შეიარაღებული ძალები, საქართველოს ხელისუფლების სანდოობა, ქვეყნის გადაუჭრელი კონფლიქტებიდან მომდინარე მზარდი საფრთხე.

ნიკოლის მსგავსად მადეიც (2009) მიიჩნევს, რომ ოსეთთან დაკავშირებული კონფლიქტი საქართველოსა და უკრაინის ნატოში ინტეგრაციის

პროცესის საგრძნობლად შენელების ერთ-ერთი (თუმცა არა ერთადერთი) მიზეზი გახდა და საქართველო-რუსეთის ომმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ზოგადად ნატოს გაფართოების პოლიტიკაზე, განსაკუთრებით კი ზემოთ მოხსენიებული ორი ქვეყნის ნატოში ინტეგრაციის პერსპექტივებზე.

როგორც გერმანი (2015) წერს, 2014 წლის ნატოს სამიტზე ალიანსის გადაწყვეტილება, არ მიენიჭებინათ მაპი საქართველოსათვის, მოხდა იმის გამო, რომ ალიანსისათვის ამ ეტაპზე პრიორიტეტს წარმოადგენს რუსეთთან ურთიერთობა, თუმცა ეს გადაწყვეტილება საფრთხეს უქმნის თბილისის და ასევე, მთლიანად რეგიონის მასშტაბით რეფორმების განხორციელებას, მაშინ, როცა ამხნევებს რუსეთს განაგრძოს იძულების პოლიტიკა (სტრატეგია) მეზობლებთან ურთიერთობაში. გერმანი აღნიშნავს, რომ წლების განმავლობაში საქართველოს ძლიერ მონდომებას, გახდეს ალიანსის წევრი, სერიოზულად უთხრის ძირს ის ფაქტორი, რომ სამხრეთ კავკასიისა და უფრო ფართოდ პოსტსაბჭოთა სივრცეში ქვეყნების ევროატლანტიკურ მისწრაფებებს წინ ეღობება რუსეთის ძლიერი გავლენა და ასევე თავად ალიანსში არ არსებობს კონსენსუსი და მტკიცე გრძელვადიანი სტრატეგია იმასთან დაკავშირებით, თუ რა წვლილი უნდა შეიტანოს ალიანსმა რეგიონის უსაფრთხოებაში. გერმანიის აზრით, მართალია, ალიანსის წევრები აცხადებენ რომ ამ დრომდე ძალაშია 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე გაცხადებული აზრი, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ალიანსის წევრი, თუმცა 2008 წლის აგვისტოს ომმა გამოავლინა, რომ ალიანსს ნაკლებად სურს ურთიერთობა „რუსეთის პრივილეგირებული ინტერესების ზონის“ ქვეყანასთან, ასევე გამოჩნდა, რომ არ არსებობს საკმარისი ერთიანობა ალიანსის შიგნით იმასთან დაკავშირებით, თუ რა ტიპის ურთიერთობაა საჭირო მოსკოვთან.

კრონიგი (2015) კი აღნიშნავდა, რომ ამ ეტაპზე ალიანსმა უნდა შეაჩეროს გაფართოების პოლიტიკა, რასაც გარკვეულწილად უკავშირებს უკრაინასა და საქართველოში რუსეთის მოქმედებებს, რამაც, მისი აზრით, აჩვენა ნატოს პასიური დამოკიდებულება ალიანსის შესაძლო წევრების

დაცვასთან დაკავშირებით. ამასთან, კრონიგი დასძენს, რომ შესაძლოა, კიევი და თბილისი საერთოდ არ ყოფილიყვნენ რუსეთის თავდასხმის პირველი სამიზნეები, ეს ორი ქვეყანა უკვე რომ ყოფილიყო ალიანსის წევრი. კრონიგს მიაჩნია, რომ ნატომ ახალ წევრებს კვლავ უნდა გაუხსნას კარი, თუმცა მას შემდეგ, რაც ალიანსი მოახერხებს უკვე არსებული წევრების დაცვის საჭირო დონეზე გაძლიერებას.

## თავი 7. პრობლემის კვლევა და კვლევის შედეგების შეჯამება

თუ არ იქნა გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ საქართველოს ბოლო წლების განმავლობაში არ განუახლებია კონკრეტული დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავს გამოკვეთილ საფრთხეებსა, თუ ალიანსთან ურთიერთობის შემდგომ ფორმებსა და ნაბიჯებს, ცალსახად არ შეიძლება იმის თქმა, რომ ქვეყანას აქვს კონკრეტული დაბრკოლება, რომლის გადალახვაც მას არ შეუძლია და რომელიც შეიძლება დასახელდეს ალიანსში ინტეგრაციის შემაფერხებელ ფაქტორად – იქნება ეს ოკუპირებული ტერიტორიები თუ ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხი.

როგორც წინა თავებში იქნა განხილული, არ არსებობს რაიმე ტიპის იურიდიული ბარიერი – როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ, რომელიც ეწინააღმდეგება ქვეყნის ორგანიზაციაში გაწევრიანებას. ეს ეხება, როგორც ქვეყნის შიდა კანონმდებლობას და თავად ალიანსის იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტებს, ასევე ალიანსისა და მესამე ქვეყნებს შორის დადებულ შეთანხმებებსაც. როგორც აღმოჩნდა, მიუხედავად რუსეთის დაჟინებული მტკიცებისა, რომ მას ალიანსი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ შეჰპირდა, რომ აღმოსავლეთით გაფართოება აღარ მოხდება, ამ ყველაფრის უკან არ დგას რაიმე იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს, რომ მსგავსი შეთანხმება მართლაც მოხდა და საკითხის სიღრმისეული კვლევა ცხადყოფს, რომ ალიანსს აღმოსავლეთით გაფართოებით დანაპირები ან რაიმე ტიპის შეთანხმება არ დაურღვევია.

უდავო ფაქტი არის ის, რომ, დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოყოლებული, საქართველო ადგას ალიანსთან დაახლოების გზას, რასაც კარგად ასახავს საქართველო-ნატოსთან დაახლოების ქრონოლოგია, ალიანსის სპეციალური პროგრამები და პარტნიორობის მექანიზმები – რომელიც აჩვენებს ქვეყნის ფაქტობრივად წლიდან-წლამდე გადადგმულ კონკრეტულ ნაბიჯებს.

იმ ფაქტს, რომ საქართველოს წინაშე არ დგას დღის შუქზე გამოტანილი რაიმე კონკრეტული დაბრკოლება, რაც ნატოს სრულუფლებიან წევრობაში შეუშლიდა ხელს და თავად ალიანსიც მიიჩნევს, რომ საქართველო აუცილებლად უნდა გახდეს ალიანსის წევრი, 2011 წლის გადაწყვეტილებაც ადასტურებს, როდესაც მინისტერიალზე ნატოს წევრების მიერ შემუშავებულ კომუნიკეში საქართველო – მაკედონიასთან<sup>29</sup>, მონტენეგროსთან და ბოსნია და ჰერცეგოვინასთან ერთად ფორმალურად დასახელდა ალიანსის ასპირანტ ქვეყნად. საინტერესოა რომ ამ ეტაპისათვის ოთხი ასპირანტი ქვეყნიდან ორი – მონტენეგრო და ჩრდილოეთ მაკედონია – უკვე ალიანსის სრულუფლებიანი წევრები არიან.

როდესაც საუბარია ნატო-საქართველოს პარტნიორობის მექანიზმებზე (პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ (PFP)/ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭო) და ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებზე ერთი შეხედვით ნატოს პარტნიორობა უშუალოდ არ გულისხმობს და არ წარმოადგენს ალიანსში გაწევრიანების გარანტს, თუმცა აღსანიშნავია რომ 1999 წელს ნატოს წევრი გახდა სამი პარტნიორი ქვეყანა ჩეხეთი, უნგრეთი და პოლონეთი; 2004 წელს კი ალიანსის რიგებს კიდევ შვიდი პარტნიორი ქვეყანა უერთდება: ბულგარეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა, რუმინეთი, სლოვენია და სლოვაკეთი.

მართალია, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შექმნის უმთავრეს მიზანს საბჭოთა კავშირის შეკავება წარმოადგენდა, თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ალიანსი არ წყვეტს განვითარებაზე, ახალი წევრების მიღებაზე ფიქრს და 1999 წელს აყალიბებს წევრობის სამოქმედო გეგმას, მაჰს. აღნიშნული პროგრამის მეშვეობით ალიანსი მომავალში რჩევებითა და პრაქტიკული მხარდაჭერით უნდა დახმარებოდა იმ ინდივიდუალურ ქვეყნებს, რომელთა სურვილსაც ალიანსში გაწევრიანება

---

<sup>29</sup> 2019 წლამდე ჩრდილოეთ მაკედონია მაკედონიად იწოდებოდა.

წარმოადგენდა. ვაშინგტონის 1999 სამიტზე მაპის პროგრამის საფუძველის ჩაყრა უკვე ნიშნავდა რეალური ნაბიჯის გადადგმას იმის დასადასტურებლად, რომ ალიანსი არ წარმოადგენდა „დახურულ მაღაზიას“, იგი ღია რჩებოდა და კვლავ აპირებდა საკუთარი რიგების ახალი წევრებით შევსებას. ცხადია, მაპი არ არის ალიანსის გაწევრიანების „ავტომატური ბილეთი“, თუმცა ეს პროგრამა რეალურად ეხმარება ასპირანტ ქვეყნებს, მოემზადონ წევრობისათვის.

მნიშვნელოვანი იყო რეალურად ალიანსის 1999 წლის გაფართოება, როდესაც ნატოს რიგებს სამი ქვეყანა: პოლონეთი, უნგრეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა უერთდებოდა. იმ პერიოდის მიმოხილვა ცხადყოფს რუსეთის არაერთგვაროვან, შეიძლება ითქვას, შედარებით სუსტ რეაქციას ამ გაფართოების მიმართ – სიტყვიერი წინააღმდეგობა ნამდვილად იყო – რუსეთი აფიქსირებს საკუთარ უკმაყოფილებას, თუმცა მისი ქმედებები მხოლოდ ამით შემოიფარგლება. და ეს ასე მოხდა, იმისდა მიუხედავად, რომ მართალია, რამდენიმე წლით ადრე შეიმჩნეოდა ნატო-რუსეთის დაახლოების გარკვეული ნიშნები – რუსი და ნატოელი ჯარისკაცები ერთობლივ სამშვიდობო მისიებში იღებენ მონაწილეობას, 1996-1997 წლებში კი ბოსნიაში ჰუმანიტარულ საკითხებშიც ცდილობენ თანამშრომლობას – თუმცა 1999 წლის გაფართოება ემთხვევა სერბეთში ნატოს მიერ წარმოებულ კამპანიას და ეს არის პერიოდი, როდესაც ნატო-რუსეთის ურთიერთობები კვლავ უმცირეს ნიშნულს უახლოვდება. შეჯამებისთვის ეს არის პერიოდი, როდესაც რუსეთი უკვე არც ისე „დაკარგულია“ როგორც ეს საბჭოთა კავშირის დაშლის პირველ წლებში იყო, თუმცა არც ისე მოძლიერებული, როგორც ეს პუტინის გაპრეზიდენტების შემდგომ მოხდა. გამომდინარე აქედან, რუსეთის დამოკიდებულება, მისი რეაქციები ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებასთან მიმართებაში, შეიძლება ითქვას, პირდაპირ-პროპორციულია მის თავდაჯერებულობასთან.

2004 წელი ალიანსისთვის „დიდი გაფართოებით“ არის ცნობილი, როდესაც ნატოს რიგებს შეუერთდნენ: ბულგარეთი, სლოვენია, სლოვაკეთი,



ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი და რუმინეთი. შეიძლება იმის თქმა, რომ ამ შემთხვევაში რუსეთი უფრო მეტად იმაღლებს ხმას, ბოლოს და ბოლოს ალიანსის რიგებს ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრი სამი ქვეყანა უერთდება. მიუხედავად იმისა, რომ 2001 წლის შემდგომ პერიოდს ერთგვარ დათბობის პერიოდსაც უწოდებენ ნატო-რუსეთის ურთიერთობებში (როგორც ცნობილია 9/11-ის შემდგომ რუსეთი ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლაში ერთგვარ დახმარების ხელს უწყდის ალიანსს) რუსეთი მტრულ ნაბიჯად აფასებს ნატოს ამ გაფართოებას. რუსი მაღალჩინოსნები ღიად აცხადებენ, რომ ეს ნატოს „ექსპანსიას“ წარმოდგენს აღმოსავლეთით და ბალტიის ქვეყნებში ნატოს თვითმფრინავების გამოჩენისთანავე რუსეთში გაკეთდა განცხადებები, რომ რუსეთი გეგმავდა ბელორუსში (სრულიად უფასოდ) საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის განლაგებას. გარდა ამისა, რუსეთის სათათბირო იღებს სპეციალურ რეზოლუციას, სადაც გმობს ამ გაფართოებას. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, მაინც გასათვალისწინებელი იყო ის ფაქტი, რომ სულ რაღაც ორიოდ წლის წინ იქმნება ნატო-რუსეთის საბჭო, რომლის ფარგლებში მხარეებს მთელ რიგი გამოწვევების გასამკლავებლად უნდა ეთანამშრომლათ ერთმანეთთან.

2008 წლის სამიტზე იმის თქმა შეიძლება, რომ ალიანსი კვლავ განაგრძობს ნატოს გაფართოების პოლიტიკისადმი ერთგულებას, სამიტზე ხორვატიასა და ალბანეთს წევრობის მოწვევა ეგზავნებათ და ეს ორი ქვეყანა ერთ წელიწადში ალიანსის სრულუფლებიანი წევრები ხდებიან. თუმცა, მოვლენები არცთუ ისე სახარბიელოდ განვითარდა საქართველოსა და უკრაინის შემთხვევაში. გაზვიადებული, თუ ობიექტური მოლოდინების მიუხედავად, საქართველო მაპის მიღმა დარჩა, თუმცა ბუქარესტის სამიტის კომუნიკეში საქართველოს ტრადიციული მეგობრების თავდაუზოგავი შრომით გაკეთდა ერთი მნიშვნელოვანი ჩანაწერი, რომ უკრაინა და საქართველო აუცილებლად გახდებოდნენ ალიანსის წევრები.

ბუქარესტის სამიტს ნატოს ერთ-ერთი ყველაზე დამაბული სამიტის კი უწოდეს და ეს დამაბულობა სწორედ ზემოთ მოხსენიებული ქვეყნებისათვის მაპის მინიჭების საკითხს უკავშირდებოდა. წევრები ფაქტობრივად ორ ბანაკად დაიყვნენ: აშშ და საქართველოს ძველი მეგობარი ქვეყნები: ბალტიის, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნები, მეორე ბანაკში თავი მოიყარეს: გერმანია-საფრანგეთის ირგვლივ გაერთიანებულმა ქვეყნებმა, რომლებიც ქვეყანას დემოკრატიულ მაჩვენებლებს უწუნებდნენ. ამ სამიტში უშუალოდ მონაწილე პირების თქმით, მართალია, საბოლოო შედეგი რუსეთის გამარჯვებად შეიძლება ჩათვლილიყო, თუმცა კმაყოფილების ნაცვლად ზემონახსენებმა ჩანაწერმა რუსეთი უფრო გააღიზიანა, რის კულმინაციაც საერთაშორისო საზოგადოებამ სულ რამდენიმე თვეში 2008 წლის აგვისტოში იხილა. ფაქტია, რომ რუსეთი ნამდვილად წააქეზა 2008 წლის ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებამ საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის განხორციელებაში, უგულბელყო კომუნიკეს დაჟინებული ჩანაწერი, რომ უკრაინა და საქართველო ალიანსის წევრები აუცილებლად უნდა გამხდარიყვნენ, იფიქრა, რომ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებაში მას არავინ გადაეღობებოდა წინ და მართალიც აღმოჩნდა. აქ უკვე საკუთარ თავში დარწმუნებული, წინა წლებთან შედარებით (მითუმეტეს ათწლეულთან) წელში მეტისმეტად გამართული რუსეთი აკეთებს იმას, რაც სურს – აგრესიულად იცავს „საკუთარ უკანა ეზოს“ ნატოს „ექსპანსიისაგან“.

2009 წელს ალიანსში ალბანეთისა და ხორვატიის მიღების შემდეგ ნატო ახალ წევრს კარს მხოლოდ 2017 წელს უხსნის – როდესაც ალიანსის რიგებს მონტენეგრო უერთდება. პატარა ქვეყანას გაწევრიანების გზაზე მოუწია მთელი რიგი დაბრკოლებების გადალახვა, ერთ-ერთი მათგანი უკავშირდებოდა რუსეთისაგან უსაფრთხოდ თავის დაღწევას, რომელთანაც საკმაოდ სერიოზული კავშირები ჰქონდა. თავად ალიანსისათვის გამოკვეთილად მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ მონტენეგროს გაწევრიანებით, ალიანსი საკუთარი ქოლგის ქვეშ აქცევს მთელ ადრიატიკის სანაპიროს და

საკუთარ თავს იცავს ადრიატიკის ზღვაზე რუსეთისაგან მომდინარე ნებისმიერი საფრთხისაგან. მონტენეგროს ალიანსში მიღება ნიშნავდა, რომ ნატოს აღარ დაემუქრებოდა ხმელთაშუა ზღვაში ახალი კალინინგრადის შექმნა. როგორც უკვე აღინიშნა, თავიდანვე იყო მოლოდინი, რომ რუსეთს ამ ყველაფერზე მწვავე რეაქცია უნდა ჰქონოდა და ამ რეაქციამაც არ დაახანა – რუსული ოფიციალური ღიად უწოდებდა ამ ფაქტს შეცდომას და პროვოკაციას. მკაცრ რეაქციას, ცხადია, ჰქონდა საკუთარი მიზეზი – მონტენეგროს ნატოს 29-ე წევრად გახდომის შემდეგ რუსეთმა საბოლოოდ დაკარგა შესაძლებლობა, ადრიატიკის ზღვის გავლით გასასვლელი ჰქონოდა ხმელთაშუა ზღვაზე. რუსეთის „სანქციაც“ ადეკვატური აღმოჩნდა – მონტენეგროში გადატრიალების მოწყობა იგეგმება (რაც პრემიერის ლიკვიდაციასაც ითვალისწინებდა), თუმცა უშედეგოდ.

ნატოს გაფართოების კრიტიკოსებს ერთ-ერთ არგუმენტად მოჰყავთ ის ფაქტი, რომ ახალ წევრებს ალიანსის განვითარებაში, მის უსაფრთხოებაში არ შეაქვთ საჭირო კონტრიბუცია და მათ „უბილეთო მეზავრების“ იარლიყსაც აკრავენ. თუმცა, მთელ რიგ შემთხვევებში მოცემული ნარატივი სიმართლეს არ შეესაბამება და ალიანსის ახალი წევრები რეალურად მონდომებით ცდილობენ, მაქსიმალურად დაუახლოვდნენ ალიანსის სტანდარტებს და მათი სამხედრო ხარჯები არათუ ჩამორჩება, ძირითადად აღემატება კიდევ ნატოს ძირძველი წევრების დანახარჯებს. იმავეს თქმა შეიძლება ნატოს არაწევრ პარტნიორ ქვეყნებზე, რომლებიც სტატუსის, თუ სამხედრო მასშტაბების მიუხედავად, არცთუ უმნიშვნელო როლს ასრულებდნენ ნატოს მისიებში, ეს ყველაფერი კი, ცხადია, ნატოს გაფართოების, ახალი წევრების მიღების საჭიროების სასარგებლოდ მეტყველებს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გამოითქვა კიდევ ერთგვარი ვარაუდი, ნატოს რიგებში თავად რუსეთი ყოფილიყო გაწევრებული, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1994 წლის ივნისში რუსეთი გახდა პირველი ქვეყანა, რომელიც შეუერთდა ნატოს პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისათვის“. ათწლეულების განმავლობაში დაგროვებული წინააღმდეგობების

მიუხედავად, 1990-იანი წლებიდან მოყოლებული ნატო-რუსეთის ურთიერთობაში ჩნდება ერთგვარი დათბობის პერიოდები. ყოველ შემთხვევაში, იდგმება რეალური ნაბიჯები, რომ ალიანსსა და ყოფილ ზესახელმწიფოს შორის კონსტრუქციული ურთიერთობა ჩამოყალიბებულიყო, იქნებოდა ეს 1997 წლის ნატო-რუსეთის დამფუძნებელი აქტი, თუ 2002 წელს ნატო-რუსეთის საბჭოს შექმნა. სხვა საკითხებთან ერთად მხარეები 1997 წლის აქტით შეთანხმდნენ, რომ მათი თანამშრომლობა დაეფუძნებოდა ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლების დაცვის პრინციპებს, თავს შეიკავებდნენ მუქარისაგან და ერთმანეთის ან სხვა ქვეყნის წინააღმდეგ ძალის გამოყენებისაგან; საქართველოს პერსპექტივიდან – დაახლოებით ათი წლის შემდეგ რუსეთი ღიად არღვევს ამ შეთანხმებას 2008 წელს საქართველოს რეგიონების ოკუპაციით. 2002 წლის ნატო-რუსეთის საბჭოს შექმნას კი ზოგიერთი თავიდანვე განწირულ იდეად მიიჩნევდა, მართალია საბჭოს ფარგლებში რუსეთი და ნატოს წევრი ყველა ქვეყანა უსაფრთხოების სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტაში თანასწორ პარტნიორებს წარმოადგენდნენ, თუმცა ცხადი იყო ყველასთვის, რომ ვერცერთი მხარე ვერ შეძლებდა საბჭოს მეშვეობით ერთმანეთის თავისუფალი მოქმედებების შეჩერებას, თუ გაკონტროლებას.

ამრიგად, თუ 2000-იანი წლების დასაწყისში დასავლეთში ჯერ კიდევ იყო საუბარი იმაზე, რომ რუსეთი შეიძლება ალიანსის წევრიც კი გამხდარიყო, საქართველოსა და უკრაინაში ვარდებისა და ნარინჯისფერი რევოლუციების, 2008 წლის საქართველოს და 2014 წელს კი უკრაინის რეგიონების მიტაცების შემდეგ ამის ალბათობა უკვე აღარავის სჯეროდა. მიუხედავად ამისა, ურთიერთობის დათბობის ერთგვარ მცდელობად მოიაზრება 2009 წელს აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის მიერ წამოწყებული ე. წ. „გადატვირთვის“ პოლიტიკა, რამაც წინა დათბობების მცდელობების მსგავსად, ასევე მცირე ხანს გასტანა, ამ მცდელობას, ფაქტობრივად, წერტილი დაესვა 2012 წელს, როდესაც ახლადარჩეული პრეზიდენტი პუტინი არ ჩქარობს ნატოში ახალი ელჩის დასახელებას და იგი არც 2012

წლის ნატოს ჩიკაგოს სამიტში იღებს მონაწილეობას. როგორც სამართლიანად აღნიშნავენ მკვლევრები, ჭეშმარიტ „გადატვირთვამდე“ რუსეთის პოლიტიკური და სტრატეგიული პრიორიტეტების „გადატვირთვა“ იყო აუცილებელი.

ნატოს მიმართ რუსეთის მტრულ დამოკიდებულებას, ერთი შეხედვით, ამძაფრებს და აძლიერებს ის ფაქტი, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით კონსენსუსი აქვთ მიღწეული სხვადასხვა იდეოლოგიურ ბანაკში მყოფ რუსული ელიტის წარმომადგენლებს, მეორე მხრივ, კი რუსეთი ნატოს გაფართოებას აღიქვამს მისთვის უაღრესად საფრთხის შემცველ მოვლენად საშინაო, რეგიონალურ და საერთაშორისო ასპარეზზე. ამ ერთიანობიდან და მრავალმხრივობიდან გამომდინარე, ძალიან გასაკვირი აღარ არის ის აგრესიული მოქმედებები, რომლებსაც რუსეთი მიმართავს ამ პროცესის შესაჩერებლად და მთლიანად აღმოსაფხვრელად. განსაკუთრებით შეუვალი რუსეთი არის მისი ყოფილი კოლონიების მტრულ ბანაკში მოხვედრასთან მიმართებით, რომელიც მიუღებლად მიაჩნია და სადაც კი სუსტ წერტილს პოულობს, არ უშვებს შესაძლებლობას, თავი შეიკავოს აგრესიული მოქმედებებისაგან. 2008 წლის საქართველოსთან ომის შემდეგ, ცხადია, დაუსჯელობის სინდრომიც უფრო გაუმძაფრდა, რასაც რამდენიმე წელიწადში ყირიმის ანექსია მოჰყვა, მოვლენა, რომელსაც კარგად გრძნობდა ამერიკის ყოფილი ელჩი ნატოში, კურტ ვოლკერი, რომელიც 2008 წლით დათარიღებულ ტელეგრამაში წერს, რომ დაუსჯელობის ფაქტორი, რუსეთის რეპუტაციის ხელშეუხებლობა 2008 წლის საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის მიმართ, აუცილებლად წააქეზებს რუსეთს, იგივე გაიმეოროს უკრაინის და სხვა მეზობლების მისამართითაც.

საკუთარი აგრესიული მოქმედებების და მისი დამოკიდებულების ერთგვარი გამართლებისათვის რუსეთი ხშირად იყენებს ნარატივს, რომლის მიხედვითაც, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ნატო თითქოს დაჰპირდა რუსეთს, რომ აღმოსავლეთით ბაზების განლაგებაზე და გაფართოებაზე ხელს აიღებდა და ამის დასასაბუთებლად იშველიებს 1997

წლის ნატო-რუსეთის დამფუძნებელ აქტსაც, თუმცა რეალობა განსხვავებულია, დასავლეთს რუსეთისათვის არ მიუცია პირობა, რომ ყოფილი ვარშავის პაქტის ქვეყნებში მუდმივ სამხედრო ბაზებს არასოდეს განლაგებდა და 1997 წლის ნატო-რუსეთის დამფუძნებელი აქტი, ისევე როგორც 1990 წელს გერმანიის გაერთიანებასთან დაკავშირებული შეთანხმება, აღმოსავლეთ ევროპაში ბაზების განლაგებას არ კრძალავს, რის დამტკიცებასაც ცდილობს რუსეთი. და თუ მაინც ამ ხელშეკრულების შესრულებაზე და მისი პირობების დაცვაზე მიდგა საქმე, სწორედ რუსეთი არის ის, ვინც ძირი გამოუთხარა ამ შეთანხმებას და მისი მთავარი ჩანაწერები დაარღვია, იქნება ეს ბაზების განლაგება, თუ მეზობელ, ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალ ქვეყნებზე კიბერ და შეიარაღებული თავდასხმების განხორციელება.

ფაქტია ის, რომ (რასაც არც მალავს რუსეთი), რომ იგი საქართველოს საკუთარ, „უკანა ეზოდ“ აღიქვამს, სწორედ ამიტომაც განსაკუთრებული აგრესია გამოიწვია 2008 წლის ბუქარესტის სამიტის დაპირებამ, რომ საქართველო და უკრაინა აუცილებლად უნდა გახდნენ ალიანსის წევრები. რუსი მაღალჩინოსნები ღიად ასახელებენ საქართველოს ტერიტორიას „რუსეთის პრივილეგირებულ ინტერესთა ზონად“, სადაც შესვლის საშუალება არავის აქვს და რომლის ხელიდან გაშვებასაც არ შეეგუებიან. რუსეთის მიერ საკუთარი მიზნების მიღწევას გარკვეულწილად ხელს უწყობს ნატოს შიგნით არსებული განხეთქილება საქართველოსა და უკრაინასთან მიმართებაში და ალიანსის პრაგმატული მიზნებიც, რომელსაც გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით ესაჭიროება რუსეთთან კონსტრუქციული ურთიერთობის შენარჩუნება და მეტ-ნაკლებად ერიდება მის გაღიზიანებას ზემოთ ნახსენები ქვეყნების ალიანსში გაწევრიანების გამო, ეს ყველაფერი კი, უდავოა, რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს, რომელიც არც ცდილობს (შეიძლება ამბაფრებს კიდევ) იმის დამალვას, რომ ამ ორი ქვეყნის ალიანსში მიღების შემთხვევაში იგი ყველაფერზეა წამსვლელი, სხვა სიტყვებით, მიმართავს ერთგვარ დაშინების პოლიტიკას,

რათა დაარწმუნოს საქართველოს(უკრაინის) ალიანსში მიღების ტრადიციული მოწინააღმდეგე ქვეყნები, რომ მათი წინააღმდეგობა საფუძველს მოკლებული არ არის.

რუს ოფიციალურ პირებს საქართველოსა და უკრაინის ალიანსში მიღებასთან დაკავშირებულ რადიკალიზმში არ ჩამოუვარდებიან რუსი მეტ-ნაკლებად ობიექტური ანალიტიკოსებიც, რომლებიც ასევე აფიქსირებენ, რომ რუსეთის პრიზმიდან ყოვლად მიუღებელია საქართველოსათვის თუნდაც მაპის მინიჭება და რუსეთის მიერ გადადგმული აგრესიული, თუ სხვა ნაბიჯები ამ მიმართულებით მიაჩნიათ სრულიად ბუნებრივ მოვლენად. ანალიტიკოსები ღიად ამბობენ, რომ რუსეთისათვის ნამდვილად რთულია იმის აღიარება, რომ ერთ დროს მის დაქვემდებარებაში მყოფ პატარა ქვეყნებს შეიძლება ჰქონდეთ საკუთარი ინტერესები და რუსეთისგან დამოუკიდებელი პოლიტიკა. როგორც თავად აღნიშნავენ, რუსეთმა შეიძლება, საერთაშორისო საზოგადოებას თავი მოაჩვენოს, თუმცა სინამდვილეში რუსეთი ნატოს გაფართოებას არასოდეს შეეგუება.

ისინი რუსეთის პატარა მეზობელ ქვეყნებს, ფაქტობრივად, ადანაშაულებენ იმაში, რომ მათ ოცნებად დაისახეს ალიანსის წევრობა ისე, რომ არც კი დაფიქრებულან, რა გავლენა ექნებოდა ამ ყველაფერს, ერთი მხრივ, მეზობელ ზესახელმწიფოსთან ურთიერთობებზე, მეორე მხრივ, საერთო სტაბილურობაზე. ანალიტიკოსები რუსეთისა და აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან არსებულ დამოკიდებულებაზე საუბრისას ხშირად იშველიებენ დასავლეთის მიერ კოსოვოს აღიარების შემთხვევას, რაც მათი აზრით, საერთაშორისო სამართლის ფეხქვეშ გათელვა იყო და მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს არ სურდა, იგივე განმეორებულიყო (თუმცა სამართლიანი კი იქნებოდა) აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში, მას მოუწია მაინც ამის გაკეთება, მოუწია, ვინაიდან მათი აზრით, გარდა იმისა, რომ ძნელია, უარი თქვა მათზე „ვინც უკვე მოიშინაურე“, ასევე საქართველოს რუსეთისთვის არასახარბიელო სტრატეგია ჰქონდა ამ რეგიონებთან დაკავშირებით, მათი აზრით, საქართველო კარგად ხვდებოდა, რომ აფხაზეთისა და

სამხრეთ ოსეთის დაბრუნება ხდებოდა სულ უფრო და უფრო არარეალური და ისინი ამ მიზნის მიღწევის ერთადერთ გზად ალიანსში გაწევრიანებას მიიჩნევდნენ, რაც მათ უკვე მისცემდა საშუალებას, თუნდაც სამხედრო გზით დაებრუნებინათ ეს ტერიტორიები, სწორედ ამან უბიძგა რუსეთს 2008 წელს განვითარებული მოვლენების დროს მოქმედებებისას. ფრიად საინტერესოდ ხსნიან ანალიტიკოსები 2008 წლის ომამდე პერიოდში რუსული სამხედრო ვერტმფრენების მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევის შემთხვევებს, რომ ამით რუსეთი ღიად უგზავნიდა შეტყობინებას დასავლეთის ქვეყნებს, რომ საქართველოსთან დაახლოების, მისი ალიანსში მიღების შემთხვევაში, ისინი რეგიონალურ კონფლიქტებში ჩათრეული აღმოჩნდებოდნენ, სადაც შეიარაღებული დაპირისპირებაც არ გამოირიცხებოდა.

როგორც ამ თავის დასაწყისში აღინიშნა, არ არსებობს რაიმე ტიპის იურიდიული ბარიერი, რომელიც საქართველოს ალიანსში გაწევრიანებაში შეუშლიდა ხელს, ამას, ერთი მხრივ, ადასტურებენ ალიანსის რიგებში უკვე მყოფი შედარებით ახალი წევრები (წარსულში საქართველოს მსგავსს ხვედრს რომ იზიარებდნენ), მეორე მხრივ კი, ნატოს ის უმთავრესი დოკუმენტები, რომლებშიც ალიანსში ახალი წევრების მიღებაზეა საუბარი, მათ შორის არის – 1995 წლის „კვლევა ნატოს გაფართოების შესახებ“ და 1949 წლის ვაშინგტონის ხელშეკრულება. ამ უკანასკნელში პირდაპირ არის მითითებული, რომ მესამე სახელმწიფო ვერ გადაწყვეტს ალიანსის გაფართოების საკითხს, ამ პროცესში მხოლოდ ალიანსის წევრი ქვეყნები იღებენ მონაწილეობას. რაც შეეხება „კვლევას ნატოს გაფართოების შესახებ“, აქ ჩამოთვლილია ის მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი ქვეყანა და შეიძლება იმის თქმა, რომ თუ მოინდომებს, საქართველოს ჩამოთვლილი მთავარი კრიტერიუმების რეალურად დაკმაყოფილება ძალუძს.

რაც შეეხება პოლიტიკურ ბარიერებს, შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ საქართველოში ამ მხრივ ყველაფერი წესრიგშია და ფაქტია, ქვეყანას



ბევრი რამ ჰქონდა და დღესაც აქვს გასაკეთებელი ამ კუთხით, იქნება ეს ქვეყნის საარჩევნო სისტემასთან, თუ კანონის უზენაესობასთან დაკავშირებული სერიოზული გამოწვევები. თუმცა, რეალობა და შედარებითი ანალიზიც (შემდგომ თავებშია მოცემული) აჩვენებს, რომ ამ კუთხითაც ქვეყანაში არსებული ვითარების გამოსწორება შესაძლებელია (თუ ამის მცდელობა იქნება) და საქართველო სხვა ქვეყნებს (რომლებმაც უკვე გაიარეს ნატოს წევრობისკენ მიმავალი გზა) ბევრად არ ჩამორჩება ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით, რაც იძლევა იმ დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, რომ ეს კრიტერიუმიც დამაკმაყოფილებლად იქნეს მიჩნეული და ნატოს წევრობის გზაზე სერიოზულ, გადამწყვეტ დაბრკოლებათა სიიდან ამოიშალოს.

## თავი 8. ჰიპოთეზების გაზომვა

პირველი და მეორე ჰიპოთეზებისათვის, სადაც საუბარია ამერიკისა და რუსეთის სიძლიერესა და სისუსტეზე, წარმოდგენილია ამ ორი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ცხრილი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის იმავე მონაცემთან ერთად, გამომდინარე იქიდან, რომ, როგორც ქვემოთ არის ნახსენები, მაკდონალდ-პარენტის გაზომვით, აშშ-ს ე. წ. ჩელენჯერად ჩინეთი ითვლება და ჩელენჯერის გამოჩენა და დიდი სახელმწიფოების ჩანაცვლების (უკანდახევის) ერთ-ერთ ინდიკატორად კი მოიაზრება სწორედ მშპ-ს კლება.

*ცხრილი №1 – აშშ-ს, რუსეთისა და ჩინეთის მთლიანი შიდა პროდუქტი*

წელი	GDP per capita, current ppp \$ აშშ	GDP per capita growth, % აშშ	ჩინეთი	ჩინეთი	რუსეთი	რუსეთი
			-	-	-	-
1990	23,913.8	0,8				
1991	24,365.6	-1,4				
1992	25,466.8	2,2	3,66.4	12,8	11,482.0	
1993	26,441.6	1,4	3,77.3	12,5	10,724.3	-8,8
1994	27,755.8	2,8	4,73.4	11,7	9,562.8	-12,7
1995	28,762.7	1,5	6,09.6	9,7	9,369.7	-4.0
1996	30,047.3	2,6	7,09.4	8,7	9,209.9	-3,5
1997	31,553.6	3,2	7,81.7	8,11	9,516.6	1,6
1998	32,929.0	3,2	8,28.5	6,8	9,129.6	-5,1
1999	34,601.7	3,5	8,73.2	6,7	9,889.0	6,7
2000	36,432.5	2,9	9,59.3	7,6	11,169.8	10,4
2001	37,241.3	-0,1	10,53.1	7,5	12,053.9	5,5
2002	38,113.9	0,8	11,48.5	8,4	12,874.6	5,2

2003	39,591.9	1,8	12,88.6	9,3	14,156.0	7,8
2004	41,838.5	2,8	15,08.6	9,4	15,647.4	7,6
2005	44,218.3	2,4	17,53.4	10,7	17,231.5	6,7
2006	46,351.7	1,7	20,99.4	12,09	19,248.7	8,4
2007	47,954.5	0,8	26,93.9	13,6	21,473.4	8,7
2008	48,302.3	-1,2	34,68.3	9,09	23,054.4	5,3
2009	46,909.4	-3,6	38,32.2	8,85	21,411.3	-7,8
2010	48,311.4	1,7	45,50.4	10,10	22,639.3	4,5
2011	49,736.4	0,9	56,18.1	9,02	24,258.6	5,0
2012	51,404.0	1,5	63,16.9	7,3	25,591.5	3,6
2013	52,737.1	1,0	70,50.6	7,2	26,440.4	1,7
2014	54,637.1	1,8	76,51.3	6,7	27,072.5	0,6
2015	56,411.4	2,1	80,33.3	6,3	26,658.3	-2,6
2016	57,558.9	0,7	80,78.7	6,1	26,930.0	-2,3
2017	59,501.1	1,5	87,59.0	6,1	27,834.1	1,5
2018	62,868.92	2,6	97,70.8	6,1	28,957.6	1,7
2019	65,111.6	1,8	100, 26.6	5,7	30.039.1	1,5

რუსეთის შემთხვევაში – საგულისხმოა, რომ მთელი 1990 წლების მანძილზე რუსეთის ფედერაციის მშპ-ს უწყვეტი ზრდა მხოლოდ 1999 წელს დაფიქსირდა, როდესაც მშპ წინა წელთან შედარებით 6,7%-ით გაიზარდა, მომდევნო წელს კი 10,4%-ით, რაც, სულ მცირე, ოცი წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აღმოჩნდა. 2007 წელს კი 2000-იანი წლიდან მოყოლებული ყველაზე მაღალი ზრდა დაფიქსირდა – 8,7%-ით. უდავო ფაქტია, რომ 2000-იანი წლების დასაწყისში 1990-იან წლებთან შედარებით რუსეთი

აშკარად წელგამართულია, რაც დაეტყო კიდევ მის მოქმედებებს, თუ მაგალითად, 1990-იანი წლების ნატოს გაფართოებებს ის (ზომიერ) სიტყვიერ წინააღმდეგობას უწევდა, 2008 წელს უკვე (და შემდგომში 2014-ში) მოქმედებაზე და რეალური ნაბიჯების გადადგმაზე გადავიდა.

აღნიშნულ ცხრილზე დაკვირვებით აშშ-ის მშპ-ს კლება დაფიქსირდა 2008 წელს, როდესაც წინა წელთან შედარებით შემცირება მოხდა -1,2%-ით, მომდევნო წელს ასევე მცირდება -3,6%-ით. საგულისხმო შეიძლება იყოს, რომ სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა საქართველოსათვის მაკის მინიჭება-არმინიჭების შესახებ გადაწყვეტილება. ასევე, დაახლოებით ამ პერიოდს ემთხვევა აშშ-ს ჩელენჯერის ჩინეთის მშპ-ს ზრდაც.

მართალია, ამ თეზისის უშუალო კვლევის საგანს არ წარმოადგენს ჩინეთის მშპ-ს და ზოგადად ჩინეთის გავლენის ზრდა, თუმცა ზემოთ მოყვანილი მონაცემები ადასტურებს, როგორ განუხრელად იზრდება ჩინეთის მშპ წლიდან წლამდე, რაც, ცხადია, ადრე თუ გვიან, ეს ყველაფერი ასახვას ჰპოვებს ქვეყნის სამომავლო ნაბიჯებში, რის ნიშნებიც უკვე აშკარაა და აშშ-იც (ნატოც) ცდილობს ახალი ფრთხილი მიდგომების შემუშავებას ამ ქვეყანასთან მიმართებაში.

მეორე ჰიპოთეზასთან (გარკვეული მახასიათებლებით პირველ ჰიპოთეზასთანაც) მიმართებაში, სადაც საუბარია „ცივი ომისდროინდელი“ შესახელმწიფოების გაძლიერებასა და დაზუსტებაზე და ამ ყველაფრის გავლენაზე კონკრეტული ქვეყნის ინტეგრაციის პროცესზე სამხედრო ალიანსში, გამოყენებული იქნება მაკდონალდ-პარენტის (2011) მეთოდი, სადაც წარმოდგენილია და რომელიც ზომავს დიდი სახელმწიფოების მიერ უკანსვლის პერიოდებს (1 ან 5 წლიან პერიოდებში) და მიღებულ გადაწყვეტილებებს, თუ როგორ იმოქმედონ საშინაო თუ საგარეო ასპარეზზე.

რას წარმოადგენს retrenchment-ის (უკანდახევის) პოლიტიკა? – ეს არის დიდი სტრატეგიის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შემცირება, რაც წარმოადგენს პასუხს ფარდობითი ძალის კლებაზე. აბსტრაქტულად,

ეს ნიშნავს საგარეო პოლიტიკის დანახარჯების შეკვეცას და რესურსების გადატანას პერიფერიიდან უფრო მნიშვნელოვან რეგიონებში. კონკრეტულად კი უკუმსვლელი ქვეყნები არჩევენს აკეთებენ პოლიტიკის ვარიანტების ფართო მენიუდან, თუმცა, ეს ვარიანტები შეიძლება დაიყოს როგორც დანახარჯების ეკონომია, რისკების შემცირება და ტვირთის გადაცემა. რესურსების შემცირების კომპენსაციის მიზნით, სახელმწიფოების შეუძლიათ ეკონომიის გაწევა, მათ შორის, სამხედრო დანახარჯებისა და პერსონალის შემცირებით. ასევე, უკუმსვლელ სახელმწიფოებს შეუძლიათ რისკების შემცირება მათი საგარეო პოლიტიკის ვალდებულებების (ვალების) გადაჭრით, ზოგიერთ გეოგრაფიულ რაიონში მათი საგარეო პოლიტიკური მიზნების შერბილებით, ასევე კონკრეტული საკითხების როგორც ნაკლებად კრიტიკულ საკითხებად შეფასებით. ექსტრემალურ ვითარებებში კი სახელმწიფოებს შეუძლიათ უარი თქვან აღებულ ვალდებულებებზე – ყველაზე ერთად. ასევე, უკუსვლის დროს სახელმწიფოებს შეუძლიათ ტვირთის მოხსნა, პასუხისმგებლობის გადაცემა ალიანსის პარტნიორებზე. ეს ყველაფერი კი იძლევა საშუალებას, რომ მოხდეს რესურსების მობილიზება პერიფერიიდან ძირითად ინტერესებზე.

### **გაზომვა (მაკდონალდ-პარენტის მაგალითზე)**

ამ შემთხვევაში აღებულია ქვეყნები 1870 წლიდან-2001 წლამდე პერიოდში, რაც ხასიათდება ორი მნიშვნელოვანი მახასიათებლით:

პირველი, როდესაც დიდი სახელმწიფო განიცდის ფარდობითი ძალის დაცემას (შემცირებას), რაც დიდ ქვეყნებს შორის მის რიგით განლაგებას ამცირებს.

მეორე, ფარდობითი ძალის შემცირება ნათელი ხდება სულ მცირე 5-წლიან პერიოდში. ამ არგუმენტების მოშველიებით, შესაძლოა საუბარი იმაზე, რომ ქვეყნები ხარჯების შემცირებაზე მიდიან მაშინ, როდესაც ისინი კარგავენ წამყვან პოზიციებს და ეს დანაკარგი დროებითი არ შეიძლება რომ იყოს.

რაც შეეხება ფარდობითი ძალის გაზომვას, ეს ხდება დიდი ქვეყნების მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) ქვეყნის წილის მიხედვით. თუ მთლიან შიდა პროდუქტში ქვეყნის წილის რიგითობა იკლებს და რჩება ამ ადგილზე 5-წლიან პერიოდში, ეს პერიოდი ხასიათდება „სწრაფი ფარდობითი კლების“ პერიოდად. კვლევაში შესვლისათვის ქვეყანას დიდი ქვეყნების ერთიან მთლიან შიდა პროდუქტში მინიმუმ 10%-იანი წილი მაინც უნდა ჰქონდეს. ამასთან, ფარდობითი უკუსვლის სიმკაცრის კლასიფიცირება ხდება 5-წლიან პერიოდში მთლიანი შიდა პროდუქტის წილში დიდი ქვეყნის მთლიანი უკუსვლის გამოთვლით, რასაც მოჰყვება გადანაცვლება რიგით პოზიციებშიც. ამ შემთხვევაში ცნობილი მაგალითია, როდესაც 1908 წელს გერმანიამ, რომლის წილიც მთლიან შიდა პროდუქტში გახდა 15,69 პროცენტი, გერმანიის ისტორიაში პირველად გადაუსწრო დიდ ბრიტანეთს. მომდევნო 5 წლის განმავლობაში დიდი ბრიტანეთი აგრძელებდა უკუსვლას გერმანიასთან მიმართებაში, მისი წილი კი დიდი ქვეყნების მთლიან შიდა პროდუქტში 1,41 პროცენტით შემცირდა.

უკუსვლის ქვეყნის ფორმები იზომება სამი ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით. ეს ინდიკატორები გამოიყენება ხარჯების შემცირების ნეორეალისტური თეორიის ალბათობის გამოკვლევისათვის:

1. სამხედრო დანახარჯებისა და სამხედრო პერსონალის საშუალო ყოველწლიური ცვლილება 5-წლიან პერიოდში, რასაც მოჰყვება დიდი ქვეყნის უკუსვლა რიგში. შენაძენების, წვრთნების, განლაგებების, დოქტრინების თვისობრივ ანალიზთან ერთად. ეს ზომა საშუალებას იძლევა უკუსვლასთან მიმართებით სამხედრო პასუხის გაზომვისა. სავარაუდოდ, ქვეყნები ფარდობითი უკუსვლას როდესაც განიცდიან, ამცირებენ ზრდას ან ამცირებენ მათ სამხედრო პერსონალს. ისინი, ვინც დიდ უკუსვლას განიცდიან, მათი დანახარჯების შემცირება უფრო აგრესიულად ხდება.

2. დიპლომატიურ ვალდებულებების განსაზღვრისათვის უნდა იქნეს გამოკვლეული დიდი სახელმწიფოსათვის 5-წლიან პერიოდში ახალი ალიანსების შეკვრისათვის დადებული შეთანხმებების რაოდენობა, რომელიც მოჰყვამ რიგითობის შკალაზე ამ ქვეყნის ადგილის შემცირებას. თავდაცვითი ალიანსები და შემცირებული ვალდებულებები, ფრთხილად გაზომვის შემთხვევაში, წარმოადგენს ტვირთის გადაცემის სწორ ინდიკატორს. როდესაც დიდი ქვეყანა იღებს მისი პარტნიორის დაცვის ვალდებულებას, ალიანსის შეთანხმებები, უფრო მეტად წარმოადგენს საგარეო პოლიტიკის ვალდებულებების გაზრდას, ვიდრე – მის შემცირებას. თავდაცვითი ალიანსებიც შესაძლებელია, გამოყენებული იქნეს, ექსპანსიისათვის საჭირო საშუალებების გამოთავისუფლების საშუალებად სხვა ადგილებში (სფეროებში), პოლიტიკა, რომელიც არ წარმოადგენს პროპორციულს ხარჯების შემცირების დიდი სტრატეგიისა. შესაძლოა, იმის მტკიცება, რომ დიპლომატიური ნაბიჯები პროპორციული უნდა იყოს უკუსვლის ზომასთან. სხვა სიტყვებით, რაც უფრო სწრაფად იხევს უკან ქვეყანა, მით უფრო აქტიურად ცდილობს მეგობრების ძიებას.
3. სამხედრო დავებში უკუმსვლელი ქვეყნის ქცევის შესწავლა – იმ ხუთწლიან პერიოდში, როდესაც ხდება ქვეყნის რანგის კლება, უფრო მეტად ერთვება თუ არა ქვეყანა სამხედრო კონფლიქტებში. კვლევის მოლოდინით, ქვეყანა, რომელიც განიცდის სწრაფ ფარდობით უკუსვლას, ცდილობს თავი აარიდოს სამხედრო კონფლიქტების ინიცირებას და ესკალაციას, რაც საფრთხეს შეუქმნის ძვირფასი რესურსების ხარჯვას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება უმნიშვნელოვანესი ინტერესების დაცვას.

## ემპირიული შედეგები

როგორც აღინიშნა, მონაცემების ამოღება იწყება 1870 წლიდან, ამ დროიდან უკვე არის შესაძლებელი დიდი ქვეყნების მშპ-ს შესახებ შედარებით სანდო ინფორმაციის მოპოვება. ამ პერიოდიდან მოყოლებული აღებულია 18 ქვეყანა მკვეთრი ფარდობითი უკუსვლის შემთხვევის ანალიზისთვის. ეფექტური შედარებისათვის ხდება ამ მკვეთრი ფარდობითი კლების შემთხვევების სამ კატეგორიად დაყოფა: მცირე, როდესაც უკუსვლა 2 პროცენტზე ნაკლებია; საშუალო – 2-დან 4 პროცენტამდე და დიდი როდესაც კლება 4 პროცენტს აღემატება.

აღებული ნიმუშებიდან დიდი ქვეყნები ხარჯების დაზოგვას იწყებენ რიგში მათი ადგილის გადანაცვლებიდან ხუთი წლის განმავლობაში, რაც მიუთითებს, რომ გარე იძულებასა და შიდა ამბოხზე მეტად ეს საპასუხო ქმედება უკავშირდება დროულ (დროის) მოქმედებებს. ამასთან, სავარაუდოდ, არ იკვეთება კავშირი ხარჯების შეკვეცასა და რეჟიმის ტიპებს შორის. ოდნავ თუ უსწრებს დემოკრატიულ ქვეყნებში ხარჯების შეკვეცა არადემოკრატიულისას. ეს ყველაფერი კი ამყარებს (ზემოთ წამოყენებულ) ნეორეალისტურ მიდგომას, რომ მკვეთრი ფარდობითი უკუსვლის დროს, დიდი ქვეყნები, რეჟიმის ტიპის მიუხედავად, ირჩევენ ხარჯების შეკვეცის პოლიტიკას.

ასევე, იკვეთება, რომ უკუსვლის პერიოდში ომები, პრევენციული თუ სხვა ტიპის, არ წარმოადგენს გარდაუვალ მოვლენას და არსებობს შემთხვევებიც (თან არაერთი) რომ დიდ სახელმწიფოს დაუბრუნებია ძველი ადგილი.

ნეორეალისტური მიდგომა ასევე ცდილობს ხარჯების შეკვეცის ფორმის განსაზღვრასაც, სადაც გათვალისწინებულია უკუსვლის დროს დიდი ქვეყნების სამხედრო ძალების ზომა. როგორც ნავარაუდები იყო, ის დიდი ქვეყნები რომლებიც, განიცდიან უკუსვლას ხუთწლიან პერიოდში, საკუთარ სამხედრო პერსონალს ამცირებენ საშუალოდ 0,8 პროცენტით.



შედარებისათვის – ის ქვეყნები რომლებიც არ განიცდიან უკუსვლას – საკუთარ ძალებს ზრდიან საშუალოდ 2,1 პროცენტით. ამასთანავე, უკუსვლის დროს დიდი ქვეყნები უფრო ნაკლებ აგრესიულად ხარჯავენ თავდაცვაზე, ვიდრე საშუალო დონის დიდი ქვეყნები. რიგითობის გადანაცვლების დროს, 5-წლიან პერიოდში უკუმსვლელმა დიდმა ქვეყნებმა თავდაცვის ხარჯები საშუალოდ მხოლოდ 2,14 პროცენტით გაზარდეს, მაშინ როდესაც იმ ქვეყნებმა, რომლებიც არ განიცდიდნენ უკუსვლას, ეს ხარჯები გაზარდეს 8,38 პროცენტით.

ამასთან, დიდი ქვეყნის მიერ სამხედრო პერსონალის რაოდენობის შემცირებაც უკავშირდება ფარდობითი უკუსვლის სიმძლავრეს. ქვეყნებში, რომლებიც განიცდიან დიდ უკუსვლას სამხედრო პერსონალის რაოდენობის კუთხით, ცვლილება 3,03 პროცენტია, ხოლო ქვეყნებში, რომლებიც საშუალო ან მცირე უკუსვლას განიცდიან, ეს მაჩვენებელი შეადგენს 1,37 და 1,53 პროცენტს. ეს მაჩვენებლები მოწმობს, რომ დიდი ქვეყნები მგრძობიარენი არიან უკუსვლის სიღრმესთან მიმართებაში.

საგარეო უკუსვლასთან მიმართებაში, ეს თეორია გარკვეულ მხარდაჭერას იღებს შემდეგი პირობებიდან გამომდინარე, რომ უკუსვლის დროს დიდი ქვეყნები 5-წლიან პერიოდში საშუალოდ 1,75 ახალ ალიანსებს ქმნიან, სხვა დანარჩენი დიდი ქვეყნები კი იმავე პერიოდში 1,68 ახალ ალიანსებს აყალიბებენ.

მონაცემების უფრო დეტალური დამუშავება შემდეგ საინტერესო შედეგს იძლევა: მაშინ, როდესაც მცირე ან საშუალო უკუსვლის დროს დიდი ქვეყნები დიდად არ არიან დაინტერესებული ახალი ალიანსების შექმნით, დიდი უკუსვლის დროს ქვეყნები ამას მიმართავენ აგრესიულად. ეს კი ამყარებს ნეორეალისტურ მიდგომას, რომ ქვეყნები საგარეო ბალანსზე უპირატესობას საშინაო წონასწორობას ანიჭებენ.

თუმცა, დიდი ქვეყნები, რომლებიც დიდ ფარდობით უკუსვლას განიცდიან, დებენ საშუალოდ 3.6 ახალ შეთანხმებებს, რაც საშუალოდ დიდი

ქვეყნების მიერ დადებულ შეთანხმებებს აღემატება სამჯერ. ეს კი მიუთითებს, რომ სასოწარკვეთა აიძულებს ქვეყნებს, უარი თქვან ტრადიციულ თვით დახმარებაზე, მაგრამ ეს ხდება მაშინ, როდესაც საქმე ეხება უკიდურეს საგარეო ზეწოლას.

რაც შეეხება სამხედრო დავებს, უკუმსვლელი დიდი ქვეყანა ამჟღავნებს უდიდეს სიფრთხილეს და წინდახედულობას ძალის გამოყენების საჭიროებისას: რიგითობის დაცემის შემდგომ ხუთწლიან პერიოდში დიდი ქვეყნები 1,75-ით ნაკლებ სამხედრო დავებში აღმოჩნდნენ ჩართულნი, ვიდრე – იმავე პერიოდში სხვა დიდი სახელმწიფოები. ასევე, დაბალი რანგის ქვეყნები უფრო ნაკლებად არიან ახალი დავების ინიციატორები. ეს არგუმენტები კი ომისაკენ მიდრეკილ პესიმისტთა არგუმენტების გადახედვის საჭიროებაზე მიუთითებს. გარდა იმისა, რომ უკუმსვლელი დიდი ქვეყნები ძალიან შორს აღმოჩნდნენ აგრესიული მოქმედებებისაგან, ისინი თავს იკავებენ ახალი კონფლიქტების ინიცირებისა და ესკალაციისაგანაც. ამასთან, ამ ტიპის ქვეყნები ნაკლებად მოწყვლადი აღმოჩნდნენ საგარეო მტაცებლებისაგან, ვიდრე – სხვა ქვეყნები. შესაძლოა, ეს იმიტომ ხდება, რომ გარე მტაცებლებს ძალიან უჭირთ პოტენციური მსხვერპლის მტკიცებულ ადგილებამდე შეღწევა, ან იმის გამო, რომ ხარჯების შეკვეცა საშუალებას აძლევს მოწყვლად ქვეყნებს, ეფექტიანად მოახდინონ გამოსვლა უკუსვლის პერიოდიდან და შეაკავონ პოტენციური ჩელენჯერი.

გარდა ამისა, ფარდობითი კლების ზომა დაკავშირებულია სამხედრო დავებს შორის საომარი მოქმედებების სხვადასხვა დონეებთან. მაგალითად, ის დიდი სახელმწიფოები, რომლებიც განიცდიან მცირე ან საშუალო უკუსვლას, უფრო ნაკლებად ცდილობენ დავებისას მაღალი დონის საომარი მოქმედებების წარმოებას. აღნიშნული შედეგები კი მიუთითებს, რომ დიპლომატიური შუამავლობა და კომპრომისი საშუალო უკუსვლის მართვის ეფექტიან და მიმზიდველ სტრატეგიად ითვლება.

შეჯამებისათვის, ნეორეალისტური მიდგომა ხარჯების შეკვეცის ფორმების დიდ ნაწილს ხსნის. დიდი ქვეყნები, რომლებიც სწრაფ უკუსვლას განიცდიან, მიდრეკილნი არიან, შეკვეცონ ან შეამცირონ საკუთარი სამხედრო ძალების ზრდა, ასევე, თავი აარიდონ მეტოქე ქვეყანასთან სამხედრო დავებში ჩართვას. ამასთან, ფარდობითი კლების სიღრმე დაკავშირებულია სამხედრო დანახარჯების, სამხედრო დავების და ალიანსების ვარიაციებთან. ყველა ქვეყანა რომელიც ხარჯების შეკვეცას ახდენს, ამცირებს სამხედროების რაოდენობას, თუმცა ისინი, ვინც დიდ უკუსვლას განიცდიან, ამას უფრო აგრესიულად აკეთებენ. მათ მსგავსად ის დიდი ქვეყნები, რომლებიც დიდ უკუსვლას განიცდიან, ხარჯების შეკვეცის პოლიტიკის იმპლემენტაციისას უფრო მეტად ეყრდნობიან ალიანსის პარტნიორებს, ვიდრე – მცირე ან საშუალო უკუსვლის მქონე სახელმწიფოები.

მართალია, კლასიკური გაგებით, შეიძლება ითქვას, რომ ადგილი არ ჰქონია აშშ-ს უკუსვლას (ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპისათვის), თუმცა გარკვეული მახასიათებლებით შეიძლება ეს პერიოდი მიეკუთვნოს აშშ-ს უკანდახევას (მცირე ფორმებში), რაზეც მეტყველებს ის ინდიკატორები, რომლებიც უკანსვლას განსაზღვრავს.

პარენტი-მაკდონალდის აღნიშნულ კვლევაში, უკანსვლა იზომება შემდეგი შვიდი ძირითადი (რაოდენობრივი) ინდიკატორის დახმარებით:

1. სამხედრო დანახარჯები
2. სამხედრო პერსონალი
3. ალიანსები
4. MID (სამხედრო სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტი) ჯამი
5. ინიცირებული MID (სამხედრო სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტი)
6. მთლიანი MID (სამხედრო სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტი)-ის საომარი მოქმედებების დონე
7. Polity2 -ს მაჩვენებელი.


თუმცა, როგორ უკვე ითქვა, უპირველესი ინდიკატორი დიდი ქვეყნის უკუსვლისა ეს არის მთლიანი შიდა პროდუქტის ოდენობით ქვეყნის უკან დახევა.

### 1. სამხედრო დანახარჯები

*ცხრილი №2 – ქვეყნის სამხედრო დანახარჯები მთლიანი შიდა პროდუქტის პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით.*

წელი	აშშ	ჩინეთი	რუსეთი
1999	2,9%	1,9%	3,3%
2000	2,9%	1,8%	3,6%
2001	2,9%	2,0%	3,8%
2002	3,2%	2,1%	4,1%
2003	3,6%	2,1%	3,9%
2004	3,8%	2,0%	3,6%
2005	3,8%	2,1%	3,6%
2006	3,8%	2,0%	3,5%
2007	3,8%	1,9%	3,4%
2008	4,2%	1,9%	3,3%
2009	4,6%	2,1%	4,1%
2010	4,7%	1,9%	3,8%
2011	4,6%	1,8%	3,7%
2012	4,2%	1,8%	4,0%
2013	3,8%	1,8%	4,2%
2014	3,5%	1,9%	4,5%
2015	3,3%	1,9%	4,9%
2016	3,3%	1,9%	5,3%

## გრაფიკი №1



როგორც მაკდონალდ-პარენტის კვლევაშია მითითებული, თუ აღებული იქნა 5-წლიანი პერიოდი აშშ-სათვის და ეს იქნება 2009-2013 წლები – ამ ხუთ-წლიანი პერიოდის საშუალო ანუ სამხედრო ხარჯები უტოლდება 4,4%-ს, ამასთან ამ 5-წლიან პერიოდში მოხვდა ის წელი (2011 წელი იგულისხმება), როდესაც 1999 წლიდან მოყოლებული, პირველად დაფიქსირდა შემცირება სამხედრო დანახარჯებში, რის შემდეგაც მრუდი გახდა დაღმავალი. რუსეთის საშუალო ამავე პერიოდში არის 4%, თუმცა, თუ შედარებას დავიწყებთ 2011 წლიდან, რუსეთის შემთხვევაში პირიქით, მრუდი ხდება აღმავალი – სამხედრო ხარჯები განუხრელად იზრდება. ჩინეთის საშუალო გამოვიდა – 1,8%, ჩინეთის მრუდი ამ ორ ქვეყანასთან შედარებით ცალსახად არის სტაბილური.


## 2. სამხედრო პერსონალი

ცხრილი №3

წელი	რუსეთი სამხედრო პერსონალი (ათასი)	აშშ სამხედრო პერსონალი (ათასი)	ჩინეთი სამხედრო პერსონალი (ათასი)
1999	1482	1575	3820
2000	1427	1454	3910
2001	1386	1420	3810
2002	1397	1467	3770
2003	1369	1480	3750
2004	1452	1473	3755
2005	1452	1546	3755
2006	1446	1498	3605
2007	1476	1555	2885
2008	1476	1540	2885
2009	1495	1563	2945
2010	1430	1569	2945
2011	1364	1520	2945
2012	1364	1492	2993
2013	1260	1433	2993
2014	1287	1381	2993
2015	1490	1347	2843
2016	1454	1348	2695
2017	1454	1359	2695
2018	1454	1379	2695

გამოვიდა, რომ 2009-დან 2013 წლების პერიოდში აშშ-ის სამხედრო პერსონალი შემცირდა 1,4%-ით, რუსეთის- 3,06%-ით, ჩინეთის კი იზრდება – 0,7%-ით.

## გრაფიკი №2



## 3. ალიანსები

აღნიშნულ პერიოდში იკვეთება ორი მთავარი ალიანსი, ამერიკის მონაწილეობით, ესენია: აშშ-ს ალიანსი სამხრეთ კორეასთან (2007 სავაჭრო კავშირი), ასევე, ზოგადად აქ შეიძლება, მოაზრებულ იქნეს 2011 წლიდან დაწყებული „Asia Pivot“, რეგიონული სტრატეგია, რომლის მოქმედების მთავარი არეალიც არის ორმხრივი უსაფრთხოების ალიანსების გაძლიერება, განვითარებად ქვეყნებთან სამუშაო ურთიერთობის გაღრმავება, რეგიონში სავაჭრო, თუ სამხედრო კავშირების გაძლიერება-გაღრმავება.

რამდენ ახალ თავდაცვით შეთანხმებას მოაწერა ხელი აშშ-მა ამ პერიოდში – (ობამას პრეზიდენტობისას): 2014 წელს ფილიპინებთან ხელმოწერილი იქნა ათწლიანი თავდაცვითი ხასიათის შეთანხმება, რომელიც ამერიკას ამ ქვეყანაში ათი წლის განმავლობაში სამხედრო ყოფნის შესაძ-

ლებლობას აძლევდა. ასევე, 2010 წელს ობამა-მედვედევი ხელს აწერენ ბირთვული შეიარაღების შესახებ უმსხვილეს შეთანხმებას – ახალი „START“ – “ბირთვული შეტევითი იარაღის შეზღუდვის შესახებ ხელშეკრულება”.

4. მთლიანი MID-ები (სამხედრო სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტები)

2011 წელი – ლიბია, 2014 წელი – სირია, მთლიანობაში – ორი.

5. ინიცირებული MID-ები – სამხედრო სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტები – ორი

6. მთლიანი MID-ების -სამხედრო სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების საომარი მოქმედებების დონე:

სავარაუდოდ 8; 4 და 4. ოთხი უდრის ძალის გამოყენებას. საომარი მოქმედებების რანჟირება ხდება 1-დან (როდესაც არ ხდება სამხედრო მოქმედება) 5-მდე (ომი). (მაკდონალდი და პარენტი (2018, გვ. 62)).

7. Polity 2-ს მაჩვენებელი – ეს არის სახელმწიფოს მმართველობის ფორმის ინდექსი – ავტოკრატია-დემოკრატიის ინდექსი – რომელიც მერყეობს – -10-დან 10-მდე – 2010 აშშ – 10, არ შეცვლილა 2009 წელსაც იყო -10.

ცხრილი №4

წელი	ქვეყანა	უკანსვლის სიღრმე	რიგითობის კლება	ჩელენჯერი	უკანსვლის სიდიდე
2008-2012	აშშ	0,7		ჩინეთი	დაბალი

ცხრილის პირველ სვეტში მოცემულია უკანმსვლელი ქვეყანა და რიგის ცვლის წელი. მეორე სვეტში ასახულია კლების სიღრმე, რაც გაზომილია რიგში გადასვლიდან ხუთი წლის შემდგომ მთლიანი პროცენტის კლება დიდი ქვეყნის მშპ-ს წილში; მესამე სვეტი წარმოადგენს დაკარგული რიგის მაჩვენებელს; მეოთხე სვეტი არის რიგში ჩელენჯერი და მეხუთე სვეტი კი ასახავს უკანსვლის სიდიდეს, ზომას.



## მესამე ჰიპოთეზა

მესამე ჰიპოთეზაში საუბარია რუსეთისათვის საქართველოს განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე, რომ რუსეთი არ ეგუება საქართველოს მოსალოდნელ გაწევრიანებას ალიანსში და ამას აღიქვამს საფრთხედ საკუთარი ეროვნული ინტერესებისათვის, რასაც ასევე აფიქსირებს არაერთ ოფიციალურ დოკტრინაშიც.

საფრთხის აღქმის გასაზომად სტეფან უოლტმა (1990, გვ. 22) ოთხ უმთავრეს კრიტერიუმზე გაამახვილა ყურადღება, ესენია: ძალთა გაერთიანება (თავმოყრა), გეოგრაფიული სიახლოვე, თავდამსხმელი ძალა, აგრესიული განზრახვები. ამ კონკრეტული შემთხვევისათვის გამოყენებული იქნება ერთ-ერთი ფაქტორი, გეოგრაფიული სიახლოვე, რომელიც, თავის მხრივ, არ არის იოლი გასაზომი და მოიცავს სხვა ბევრ ფაქტორს, რომლებიც გავლენას ახდენენ ამავე ფაქტორის მიერ საფრთხეზე განხორციელებულ ზემოქმედებაზე. გეოგრაფიული სიახლოვის უფრო დაწვრილებითი, ამომწურავი ანალიზისათვის, შემდეგი ასპექტები უნდა გაიზომოს: საზღვრების სიგრძე, სასაზღვრო რეგიონებში ტერიტორიის დაბრკოლება (სირთულე); საზღვრიდან მნიშვნელოვანი ობიექტების მდებარეობის მანძილი (სამხედრო ნაგებობები, კრიტიკული ინფრასტრუქტურა). (სალუმი, 2015, გვ. 267).

სამხედრო საფრთხის აღქმის არსი შესაძლოა, აიხსნას შემდეგ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ნატოს ახალ წევრებს აქვთ თუ არა საერთო საზღვარი რუსეთთან? გეოგრაფიულ სიახლოვეს საფრთხის აღქმაზე სერიოზული გავლენა აქვს.
- ახალი წევრები ხომ არ შედიოდნენ ადრე ან საბჭოთა კავშირში, ან ვარშავის პაქტში? ამ ტიპის ქვეყნებს რუსეთი უფრო დეტალურად ჰყავთ შესწავლილი და რუსეთთან (საბჭოთა კავშირთან) ურთიერთობების უფრო დიდი გამოცდილებაც აქვთ, განსაკუთრებით, ეს ეხება სამხედრო და სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებთან ურთიერთობას. როცა ეს ქვეყნები წარსულში მტრულ ალიანსთან ერთიანდებიან,

ეს, გარკვეულწილად, წარმოადგენს ფსიქოლოგიურად “გრეთ ფოვერ” (დიდი ქვეყნები) სტატუსის დაკარგვას.

- ჰქონდათ თუ არ ამ ქვეყნებს ნატოს წევრად გახდომამდე რუსეთთან ორმხრივი ურთიერთობა? თუ ეს ურთიერთობა იყო მჭიდრო, მაშინ მოსალოდნელია, რუსეთმა ეს აღიქვას ნატოსთან მისი ორმხრივი ურთიერთობის გაუარესებად, განსაკუთრებით, როცა მოხდება ამ ქვეყნის სრული ინტეგრირება ალიანსის მართვისა და კონტროლის სტრუქტურაში, და პოტენციურად შეეძლება ანტი-რუსული პროპაგანდის განხორციელება, რის საშუალებითაც პოტენციურად შეეძლება გავლენის მოხდენა ალიანსის მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე.
- გაფართოებისას რუსეთის ან ნატოს მიერ სხვა ცალმხრივ მოქმედებას ხომ არ აქვს ადგილი? ეს გვეხმარება სხვა ფაქტორების განსაზღვრაში, რაც შეიძლება დამატებით აუარესებდეს ნატო-რუსეთის ურთიერთობებს, მაგალითისთვის, რუსეთთან ურთიერთობა კოსოვოს კრიზისის დროს (1999).
- განალაგა თუ არა ნატომ ჯარისკაცების ან სამხედრო ტექნიკის (განსაკუთრებით ბირთვული იარაღი) დიდი რაოდენობა ახალი წევრების ტერიტორიაზე გაფართოების შემდეგ? ამას ექნება შედეგები წარმატებულ გაფართოებებზე, ვინაიდან მსგავსი განლაგებები, სარწმუნოა, რომ გაზრდის რუსეთის მიერ საფრთხის აღქმას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს რუსეთის მიერ კონტრ-განლაგებები.
- ჩაატარა თუ არა ნატომ გაფართოების შემდეგ ახალი წევრის ტერიტორიაზე მსხვილმასშტაბიანი წვრთნები? ცხადია, ეს არის ლოგიკური ნაბიჯი, რომ გაფართოების შემდეგ ნატომ ჩაატაროს ახალი წევრის ტერიტორიაზე წვრთნები, მიუხედავად ამისა, ეს დაძაბავს ურთიერთობას რუსეთთან, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, როდესაც წევრ ქვეყანას ისტორიულად მჭიდრო ორმხრივი ურთიერთობები ჰქონდა რუსეთთან.

ასევე, აქ ჩამოთვლილ ფაქტორებს ემატება რუსეთის თავდაჯერებულობა და საკუთარ თავში დარწმუნებულობა, რაც უკავშირდება უკანასკნელი წლების განმავლობაში გაზისა და ნავთობისაგან გაზრდილ შემოსავლებს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე საქართველო არ არის ალიანსის წევრი, ზემოთ ჩამოთვლილ რამდენიმე კრიტერიუმს რეალურად აკმაყოფილებს, რაც მიანიშნებს (და გარკვეულწილად ხსნის კიდეც) და ადასტურებს კიდეც ერთხელ რუსეთის გამორჩეულ დამოკიდებულებას მის „უკანა ეზოსთან“ მიმართებაში.

#### ცხრილი №5

ქვეყანა	მთლიანი საზღვრის სიგრძე	ტერიტორიის დაბრკოლება	მნიშვნელოვანი ობიექტების მდებარეობა (სამხედრო ნაგებობები, კრიტიკული ინფრასტრუქტურა)
საქართველო	825,4 კმ.	მალაღმთიანი არის 775 კმ.	გიუმრის სამხედრო ბაზა-40-კმ-ში. ოკუპირებული ოჩამჩირიდან 5 კმ-ში რუსეთის სამხედრო ბაზები. (სხვა ბაზებიც აფხაზეთში.) სომხეთ-რუსეთის კრიტიკული გაზსადენი, (რკინიგზა?)
უკრაინა	2,295 კმ. აქედან 321 კმ საზღვაოა	დაბრკოლება თითქმის არაა	ყირიმის შავი ზღვის ფლოტი თავად უკრაინის შიგნით, რუსეთისათვის უმნიშვნელოვანესი ობიექტი.
ლატვია	283,6 კმ	133,6 კმ. გადის მდინარეებზე. 6,1 კმ-ტბებზე.	355კმ-ში მდებარეობს კალინინგრადი. 575 კმ-ში სანქტ-პეტერბურგი
ესტონეთი	135,6 კმ	უდიდესი ნაწილი გადის ჭაობზე	587 კმ. კალინინგრადიდან. 338 კმ სანქტ-პეტერბურგიდან.
ლიეტუვა	294,4 კმ	18,5 გადის ყურეზე, 22,2 – ბალტიის ზღვაზე.	ვილნიუსი-კალინინგრადს შორის მანძილი 311 კმ. სანქტ-პეტერბურგთან კი 516 კმ.
პოლონეთი	232 კმ	210 კმ გადის ხმელეთზე, 22 კმ-საზღვაო	ვარშავიდან კალინინგრადამდე 277კმ. 1175 კმ სანქტ-პეტერბურგი
ფინეთი	1340 კმ	გადის ტაიგაზე ძირითადად	818 კმ-ში კოლის ნახევარკუნძულიდან. 390 კმ. სანქტ-პეტერბურგი.

ცხრილში საქართველოს, უკრაინისა და ფინეთის გარდა, რომლებიც არ არიან ამ ნაშრომზე მუშაობის დაწყების პროცესში ალიანსის წევრები, მოყვანილია ნატოს წევრი რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნები და გამოთვლილია მათი სიახლოვე, საზღვრები და კრიტიკული ინფრასტრუქტურის მდებარეობა რუსეთის ფედერაციასთან (მიმართებაში).

როგორ ჩანს, პირველი ორი გაფართოებისას ნატო მიუახლოვდა რუსეთისათვის უაღრესად ფასეულ ტერიტორიას – რუსეთის სამხედრო ოლქს: პირველი გაფართოებისას კალინინგრადს (პოლონეთი) და მეორე გაფართოებისას სანქტ-პეტერბურგს, ასევე კალინინგრადს. ფინეთისა და შვედეთის <sup>30</sup> ნატოს წევრად გახდომის შემთხვევაში, ფინეთი ასევე ახლოს არის სანქტ-პეტერბურგთან, თუმცა რუსეთისათვის მთავარი შემფოთების საგანი იქნება კოლის ნახევარკუნძული, იქ განლაგებული ყველა სტრატეგიული პუნქტით, მაგალითად, ბირთვული წყალქვეშა ნავების ბაზები. (სალუმი, 2015, გვ. 267).

შეიძლება იმის თქმა, რომ ამ ქვეყნებიდან 2004 წელს ბალტიის ქვეყნები, ფაქტობრივად, დაუსხლტნენ რუსეთს და გახდნენ ალიანსის წევრები, ამ პერიოდში რუსეთის ეკონომიკა არ იყო ისე ძლიერი, და მაინც ძალის მოკრების პროცესში იყო და გარკვეული წინააღმდეგობის მიუხედავად, უპრობლემოდ გახდნენ ეს ქვეყნები ნატოს სრულუფლებიანი წევრები. აღსანიშნავია, რომ სიტყვიერი წინააღმდეგობა რუსეთს ჰქონდა 1999 წლის სამიტზეც, ვარშავის პაქტის ქვეყნების ალიანსში გაწევრიანებისას. თუმცა, 2008 წელს, როგორც უკვე აღინიშნა, რუსეთი უკვე საკმაოდ ძლიერად იდგა ფეხზე და გააკეთა ყველაფერი, რომ მისთვის უმნიშვნელოვანესი ქვეყნის ნატოსთან დაახლოება აეცილებინა თავიდან. იგულისხმება აგვისტოს ომი. იმავეს იმეორებს სულ რამდენიმე წელიწადში უკრაინასთან მიმართებაში (ამ შემთხვევაში, არ უშვებს ამ ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოებას და

---

<sup>30</sup> ორივე ქვეყანამ ალიანსში გაწევრიანების შესახებ განაცხადი გააკეთა 2022 წლის მაისში.

ერევა სამხედრო მეთოდებით.) აქ ნათლად გამოჩნდა უკვე არაერთგზის თქმული, რომ რუსეთი განსაკუთრებით მგრძობიარე ხდება მაშინ, როდესაც საქმე ეხება ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს, განსაკუთრებით კი მის უშუალო მეზობლებს – ბუფერულ ზონებს.

*საქართველოს შემთხვევა* – რუსეთისათვის ეს ქვეყანა თამაშობს მნიშვნელოვან როლს მთლიანად სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის რეგიონში მისი მთლიანი სტრატეგიული მიზნების გათვალისწინებით. საქართველო წარმოადგენს დამაკავშირებელს სომხეთთან და აზერბაიჯანთან, ასევე ზეწოლის განხორციელების ადგილს თურქეთზე, რომელთან დაკავშირებითაც რუსეთი დაინტერესებულია, რომ თურქეთი მოქცეული ჰყავდეს ყურეში, დაშორებული ჰყავდეს ნატოს ალიანსისაგან და გაძლიერებული ჰქონდეს მასზე კონტროლი. ამასთან, საქართველო წარმოადგენს სარკინიგზო დამაკავშირებელ რგოლს აფხაზეთთან, ასევე სომხეთთან, რომლის აღდგენით რუსეთი ძალიან არის დაინტერესებული.

ასევე (კოგანის მიხედვით 2017) რუსეთისათვის საქართველოს მნიშვნელობა ამ დრომდე საკმაოდ დიდია შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით – რუსი სამხედროები კვლავ აღიქვამენ საქართველოს, როგორც ცენტრალურ სატრანზიტო ქვეყანას ნავთობისა და გაზის მილსადენებისათვის და სარკინიგზო ხაზისათვის აზერბაიჯანიდან თურქეთში (ბაქო-თბილისი-ყარსი). ამასთან, საქართველოს ეკისრება პასუხისმგებლობა აფხაზეთთან და სომხეთთან (რუსეთის ერთგული მოკავშირე ამ ეტაპზე) დამაკავშირებელი რკინიგზის დაკარგვაში. საქართველო აგრეთვე წარმოადგენს უმთავრეს სატრანსპორტო გზასა და ენერჯის სატრანზიტო ქვეყანას რუსეთიდან სომხეთში. ამიტომ რუსეთი აღიქვამს საქართველოს თავისი გავლენის სფეროს ნაწილად, სადაც ყველა საჭირო კავშირია თავმოყრილი, მსგავსად რეგიონალური სტრატეგიული ცენტრისა. ამასთან, საქართველოს აღიქვამს, როგორც პოტენციურ პუნქტს თურქეთზე (ნატოს წევრ ქვეყანაზე) ზეწოლის განსახორციელებლად.

ამასთან, საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში (აფხაზეთსა და ცხინვალში) რუსეთს აქვს სამხედრო ბაზები, გაერთიანებული ოპერატიულ-ტაქტიკური ჯგუფები; ასევე სამხედრო ბაზები და გაერთიანებული ოპერატიულ-ტაქტიკური ჯგუფები (MJTF – რუსულ-სომხური სამხედრო გაერთიანებული ოპერატიულ-ტაქტიკური ჯგუფი) რუსეთს აქვს სომხეთშიც და სწორედ ამ გზით იგი ცდილობს საქართველოს გარშემორტყმას. და სანამ საქართველოს არ ექნება სერიოზული საზღვაო და საჰაერო შესაძლებლობები, რუსეთი გააგრძელებს საჰაერო და საზღვაო დომინანტობას საქართველოზე შავი ზღვაზე.

ყველაფერი ზემოთქმული კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საქართველოს განსაკუთრებულ ადგილს და როლს რუსეთის სამხედრო გათვლებში. როგორც რუსი გენერალ-ლეიტენანტი იური ნეტკაჩევი ამბობს: ”საქართველოს სწრაფვა, გაწევრიანდეს ნატოსა და ევროკავშირში, წარმოადგენს საფრთხეს რუსეთის მეგობარი ქვეყნებისათვის (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისათვის). ეს არის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რის გამოც რუსეთი აძლიერებს რეგიონში თავის პოზიციებს.“ ეს ციტატაც მოწმობს, რომ საქართველოს რუსეთი აღიქვამს სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენების მთავარ დამაკავშირებლად რეგიონში და საკუთარი ყოფნის გაძლიერებასაც ამით ამართლებს.

როგორც გრინი (2012) წერს, გორბაჩოვიდან დაწყებული მედვედევამდე დამთავრებული, რუსი ლიდერები „დიდ ევროპას“ ორმაგი სისტემის ჭრილში განიხილავდნენ, დასავლეთ ევროპითა და რუსეთით, სადაც თითოეული მათგანი ცდილობს გავლენის სფეროების შენარჩუნებას და ერთად მოქმედებენ მთლიან კონტინენტზე მნიშვნელოვანი საკითხების გადასაჭრელად, თანაც არბიტრების რანგში – „თანამედროვე ევროპის კონცერტი“.

ამ ხედვის მხარდასაჭერად რუსეთი მტკიცედ ცდილობს საკუთარი გავლენისა და მოქმედების თავისუფლების შენარჩუნებას იმ არეალში,

რომელიც მისთვის არის პრივილეგირებული ან აქვს ისტორიული ინტერესი: ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა, ბალკანეთი და ყოფილი საბჭოთა სივრცე. გეოგრაფიული სიახლოვის არეალში კი, გავლენის სფეროს მნიშვნელობა ორმაგდება ბუფერული ზონიდან გამომდინარე, რაც უზრუნველყოფს რუსეთის საფუძვლიან დაცვას გარე სამყაროსაგან, რომელსაც რუსეთი თანდაყოლილად მტრულად აღიქვამს. (გრინი, 2012, გვ. 3).

სზაინას აზრით, რუსი ოფიციალური პირები განაგრძობენ ნატოს შემდგომი გაფართობის მიმართ წინააღმდეგობას. ამასთან, რუსეთის რეაქციები შეიძლება განსხვავდებოდეს ქვეყნების მიხედვითაც. ზოგადი მიდგომა კი ასეთია: რაც უფრო ახლოს მდებარეობს ქვეყანა რუსეთთან, რაც უფრო დიდია მისი სამხედრო პოტენციალი და საბჭოთა პერიოდში, რაც უფრო დიდი იყო ამ ქვეყნის ინტეგრაციის დონე საბჭოთა კავშირთან, მით უფრო დიდია ალბათობა, რომ ამ ქვეყნის ნატოში ინტეგრაციამ გამოიწვიოს რუსეთის უარყოფითი რეაქციები, რაც თავის მხრივ გავლენას მოახდენს ევროპის მთლიან უსაფრთხო გარემოზე. (სზაინა, ნატოს გაფართოება, 35 გვ.).

უკრაინის შემთხვევაში, ეს ქვეყანა მნიშვნელოვანია რუსეთისთვის, არა მხოლოდ ეკონომიკურად, არამედ გეოსტრატეგიულადაც. ასე, მაგალითად, რუსეთი პოლონეთის თუ ბალტიის ქვეყნების გარეშეც კი წარმოადგენს „ევრაზიულ იმპერიას“, მაგრამ უკრაინის, კერძოდ კი, ყირიმის გარეშე, შესაბამისად შავ ზღვასა და კავკასიაზე საზღვაო გავლენის დაკარგვით და ამ რეგიონში თურქეთის მოძლიერებით, რუსეთი წმინდა „აზიურ იმპერიად“ გადაიქცევა. ასეთ შემთხვევაში რუსეთი სულ უფრო მეტად იქნება ჩაბმული ხანგრძლივ ისლამურ კონფლიქტებში მთელი სამხრეთ საზღვრის გაყოლებაზე. ყოველ ჯერზე რუსეთი უფრო „აზიურ“ ქვეყნად გადაიქცევა არა მარტო სტრატეგიულად, არამედ ეთნიკურადაც. ზუსტად ამიტომ არის 50-მილიონიანი უკრაინა მნიშვნელოვანი მოსკოვისთვის. აგრეთვე, მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით რამდენიმე სლავური ქვეყანა უკვე არის შესული ევროკავშირსა და ნატოში, უკრაინის

გაწევრიანებაც ამ ალიანსებში მნიშვნელოვნად გამოუთხრის ძირს ე. წ. „სლავური კავშირის“ ცნებას, რის შედეგადაც რუსეთს მხოლოდ მოძმე ბელარუსიღა შერჩება გვერდით.

როგორც ერთ-ერთმა მიმომხილველმა აღნიშნა, შავი ზღვის ფლოტი სამხრეთის „თბილ ზღვებში“ მისი ერთადერთი საყრდენია, რომლის გარეშეც რუსეთი დიდი სახელმწიფოს სტატუსს გამოემშვიდობება.

დასკვნის სახით – უოლტის, სზაინას საფრთხის აღქმის კრიტერიუმების გათვალისწინებით, თუ სხვა მკვლევრების შეფასებით, საქართველოს ნატოში გაწევრიანება აკმაყოფილებს, ფაქტობრივად, ყველა კრიტერიუმს, რომ ეს პროცესი, რასაც ჰქვია ყოფილი მეზობლის დღემდე მისთვის მტრულ (ცხადია ამ შემთხვევაში იგულისხმება რუსეთის აღქმა, თორემ ნატო საბჭოთა კავშირის დაშლის დღიდან აცხადებს, რომ რუსეთთან მეგობრული, პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბება სურს და ამის დასადასტურებლად რეალური ნაბიჯებიც აქვს გადადგმული) ალიანსში გაწევრიანება რუსეთისათვის საფრთხის შემცველად აღიქმებოდეს. თუ სხვა მეზობელი ქვეყნების შემთხვევაში რუსეთმა (ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სამხედრო სისუსტის გათვალისწინებით) სიტყვიერი წინააღმდეგობის მიუხედავად, ვერ შეძლო, შეწინააღმდეგებოდა ამ პროცესს, რასაც წარსულში მის ორბიტაზე მყოფი ქვეყნების ნატოში გაწევრიანება ჰქვია, საქართველოს (ასევე უკრაინის) შემთხვევაში მას უკვე ეყო პოლიტიკური (და არამარტო პოლიტიკური) ძალა, რომ ეს პროცესი აღეკვეთა და საერთაშორისო საზოგადოებას მიეღო ის სურათი, რაც დღეს არის – ტერიტორიებწართმეული, რუსეთთან ნაომარი ქვეყანა. ანუ, ერთი შეხედვით, არცთუ ისე სახარბიელო და საიმედო პარტნიორი ალიანსისთვის, უფრო ტვირთი, ვიდრე სარგებლის მომტანი პარტნიორი.

მიღებული შედეგი, ალბათ, ძალიან გასაკვირიც არც არის, თუ გავითვალისწინებთ ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს, რუსეთი, უდავოდ, მთავარ საფრთხედ აღიქვამს საქართველოს ნატოში გაწევრიანებას



და ყველაფერს იღონებს (რაც კი შეეძლება და მოაფიქრდება), რომ ეს პროცესი არ დაუშვას, მით უფრო, საქართველომაც თუ შეუწყო ხელი ამ ყველაფერში თავისი უმოქმედობით, თუ მცდარი მოქმედებებით, მიზანი მიღწეული ექნება და ამ კონკრეტულ შემთხვევაში და დღეის მდგომარეობით აქვს კიდევ.

## მეოთხე ჰიპოთეზა

*აღნიშნული ჰიპოთეზის შემთხვევაში, საქართველოს მაჩვენებელი (დემოკრატიული კრიტერიუმები, ეკონომიკური მაჩვენებლები) შეუდარდება ისეთ ქვეყნებს, რომლებიც უკვე არიან ნატოს წევრები, ესენია: მონტენეგრო, ალბანეთი, ხორვატია, ჩრდილოეთ მაკედონია. აქ ხდება, ფაქტობრივად, უარყოფა ამ ჰიპოთეზის, მიუხედავად იმისა, რომ ამ მაჩვენებლებით საქართველო შეიძლება უსწრებდა ან უტოლდებოდა ამ ქვეყნებს, მაინც მაპისა და წევრობის მიღმა დარჩა.*

2007-2011 წლებში ერთად არის გაზომილი საქართველოს, ალბანეთის, ხორვატიას (ამ 4 ქვეყნიდან მხოლოდ ხორვატიის მშპ აღემატებოდა საქართველოსას), მონტენეგროს, ჩრდილოეთ მაკედონიას მაჩვენებლები. ძირითადად ის ქვეყნები, რომლებიც 2008 წლის შემდეგ შეუერთდნენ ნატოს რიგებს. გაზომვა ხდება სზაინას მეთოდის მიხედვით.

როგორ ფასდება ნატოს პოლიტიკური კრიტერიუმების დაკმაყოფილება წევრობის მოსურნე ქვეყნისთვის – სზაინას კვლევაში (გვ. 68), მითითებულია, რომ პოლიტიკური კრიტერიუმების შეფასება ხდება ორი მაჩვენებლით: *Freedom House-ის რეიტინგები და ევროკავშირის შეფასებები*. ამასთან, ევროკავშირი შეფასებებისას დიდ ყურადღებას აქცევს დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ელემენტებსა და უმცირესობათა ჯგუფების უფლებებს, ამასთან, ნაკლებ ყურადღებას აქცევს სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობებს. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი – სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობები – არ წარმოადგენს პრობლემატურ საკითხს წევრობის მოსურნე ქვეყნების უმრავლესობისათვის, ვინაიდან ნატოს ის ზღვარი, რომელიც ითვალისწინებს ამ ურთიერთობებს, არის დაბალი.

ასევე, სამხედრო კრიტერიუმების შეფასება ხდება იმის მიხედვით, თავდაცვის ბიუჯეტის თუ რა ნაწილს ხარჯავენ ქვეყნები ერთ ჯარისკაცზე.

აქვე საქართველოსთან მიმართებაში მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტი – სზაინა (70 გვ.) აღნიშნავს, რომ მეზობელ ქვეყნებთან სადავო ვითარების გამოსწორება არ არის გათვალისწინებული კრიტერიუმებში. ეს ფასდება უბრალოდ „კი“ ან „არა“ კრიტერიუმით და ქვეყნებს, რომელთაც სურთ წევრობის მიღება ეს საკითხი თითქმის მოგვარებული აქვთ. ამასთან, სზაინა მიუთითებს, რომ ესტონეთსა და ლატვიას საზღვრებთან დაკავშირებით პრობლემა ჰქონდათ რუსეთთან. ორივე ქვეყანა თანახმა იყო, მოგვარებულიყო სასაზღვრო საკითხი, მაგრამ ამ ინტერესს არ გამოთქვამდა რუსეთი. თუმცა, ორივე ქვეყანა აკმაყოფილებდა კრიტერიუმს, რაც გულისხმობს იმას, რომ მოწადინებულები იყვნენ ამ საკითხის მხოლოდ მშვიდობიანი და იურიდიული (სამართლებრივი) გზებით მოგვარებაზე. რაც შეეხება ალბანეთსა და ჩრდილოეთ მაკედონიას, მათ ასევე სჭირდებოდათ ურთიერთობების დალაგება მეზობელ ქვეყნებთან.

*ცხრილი №6*

### Freedom House<sup>31</sup>-ის რეიტინგები: 2007–2017

ქვეყანა	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
მონტენეგრო	3,3 PF	3,3 PF	3,3 PF	3,2 F	3,2F	3,2 F	3,2 F	3,2 F	3,2 F	3,3 PF	3,3 PF
ხორვატია	2,2F	2,2 F	2,2 F	1,2 F	1,2 F	1,2 F	1,2 F	1,2 F	1,2 F	1,2 F	1,2 F
ალბანეთი	3,3PF	3,3PF	3,3PF	3,3PF	3,3PF	3,3PF	3,3PF	3,3PF	3,3PF	3,3PF	3,3PF
ჩრდ. მაკედონია	3,3 PF	3,3PF	3,3PF	3,3PF	3,3PF	3,3PF	3,3PF	3,3PF	4,3PF	4,3PF	4,3PF
საქართველო	3,3PF	4,4PF	4,4PF	4,4PF	4,3PF	4,3PF	3,3PF	3,3PF	3,3PF	3,3PF	3,3PF

*შენიშვნა: თითოეულ სვეტში პირველი ნომერი არის პოლიტიკური უფლებების ინდექსი, ხოლო მეორე ნომერი არის სამოქალაქო თავისუფლებების ინდექსი. ორივე დაფუძნებულია 1-დან 7-მდე შკალაზე, სადაც 1 წარმოადგენს თავისუფლების უმაღლეს ხარისხს და 7 ყველაზე დაბალს. მესამე კომპონენტი არის თავისუფლების სტატუსის კომბინირებული შეფასება, წარმოდგენილი როგორც F (თავისუფალი), PF (ნაწილობრივ თავისუფალი) და NF (არათავისუფალი). თუ*

<sup>31</sup> იხ. Freedom House-ის ვებგვერდი. <http://www.freedomhouse.org/ratings/> უკანასკნელად გადამოწმებული იქნა – 02.12.2018.

ქვეყნის პოლიტიკური უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლებების კომბინირებული საშუალო მაჩვენებლები 1.0-დან 2.5-მდეა, ის თავისუფლად ითვლება; 3.0-დან 5.5-მდე, ნაწილობრივ თავისუფლად; და 5.5-დან 7.0-მდე, არ არის თავისუფალი.

ცხრილი №7

## მაჰის ქვეყნების საერთო შეფასებები

### ნატოს გამოცხადებული კრიტერიუმები (ალიანსში გაწევრიანებამდე)

ქვეყანა	პოლიტიკური	ეკონომიკური	სამხედრო	მთლიანი <sup>ბ</sup>	საერთო შეფასება <sup>ა</sup>
მონტენეგრო 2015-2017	საშუალო-დაბალი(2)	საშუალო-მაღალი(3)	საშუალო-მაღალი(3)	8	6(საშუალო)
ხორვატია 2007-09	საშუალო-მაღლიდან მაღლამდე (3,5)	საშუალო-მაღალი(3)	საშუალო-მაღალი(3)	9,5	7(მაღალი)
ალბანეთი 2007-09	საშუალო-დაბალი(2)	დაბალი(1)	საშუალო-მაღალი(3)	6	3,3(საშუალო)
მაკედონია 2017-2019?	2,5(საშუალო)	საშუალო-დაბალი(2)	საშუალო-მაღალი(3)	7,5	5,5(საშუალო)
საქართველო 2007-2008-	საშუალო-დაბალი(2)	დაბალი(1)	მაღალი(4)	7	5(საშუალო)

ა – პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო კატეგორიებში: დაბალი = 1; საშუალო-დაბალი=2; საშუალო-მაღალი= 3; მაღალი = 4.

ბ – პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო კატეგორიების ქულები დამატებულია საერთო შესაძლო ჯამისთვის მინიმუმ 3-დან მაქსიმუმ 12-მდე. შედეგად მიღებული 9-ბალიანი შკალა გადაკეთდა 0-10 შკალაში.

გ – საერთო შეფასება მერყეობდა მინიმუმ 0-დან მაქსიმუმ 10-მდე; შედეგად მიღებული 11-ბალიანი შკალა დაყოფილი იყო სამ ნაწილად, სადაც შუა განყოფილება ყველაზე დიდია (განაწილება არის 30%, 40%, 30%). მთლიანი სეჟცია დაშიფრულია შემდეგნაირად: 0-3 = დაბალი; 3.1-6.9 = საშუალო; 7-10 = მაღალი.

(Freedom House-ის რეიტინგები) Free – თავისუფალი, Partly Free – ნაწილობრივ თავისუფალი, Not Free Status -არათავისუფალი სტატუსი – ქვეყნის ან ტერიტორიის პოლიტიკური უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლებების რეიტინგების საშუალოს ეწოდება თავისუფლების რეიტინგი და სწორედ ეს მაჩვენებელი განსაზღვრავს თავისუფალის (1.0-დან 2.5-მდე), ნაწილობრივ თავისუფალის (3.0-დან 5.0-მდე) ან არათავისუფლის (5.5-დან 7.0-მდე) სტატუსს.

## ცხრილი №8

## ზოგადი მახასიათებლები

N	ქვეყანა	მთლიანი მოსახლეობა	მშპ(PPP) მილიარდ დოლარში	მშპ ერთ სულზე, PPP	მშპ (მილიარდ დოლარში)	მშპ ერთ სულ მოსახლეზე
1	მონტენეგრო (2016)	622303(0,6)	10,55	17,5	4,3	7,1
2	ხორვატია (2008)	4,3	92,5	21,5	70,4	16,3
3	ალბანეთი (2008)	2,9	21,8	7,5	12,88	4,4
4	ჩრდ.მაკედონია (2018)	2,01	31,55	10,8	12,67	6,3
5	საქართველო (2007)	4,1	26,2	9,1	10,1	3,1

## ცხრილი №9

მშპ ერთ სულზე შედარება: (წარმოდგენილი) ქვეყნები და ნატოს „იატაკი“ (ძირი, მინიმალური დონე).

N	ქვეყანა	მშპ ერთ სულზე, 2009 (PPP)	მშპ ერთ სულზე, 2009 (PPP) როგორც ნატოს „ძირის“ ა%	მშპ ერთ სულზე, 2009(XR)	მშპ ერთ სულზე, 2009(XR), როგორც ნატოს „ძირის“ ა%	მთლიანი ქულა B
1	მონტენეგრო (2016)	17,5	150,8	7,1	182	166 (მაღალი)
2	ხორვატია (2008)	21,5	182,2	16,3	281	231,6 (მაღალი)
3	ალბანეთი (2008)	7,5	63,5	4,4	75,8	69,6 (საშუალო-მაღალი)
4	ჩრდ.მაკედონია (2018)	13,4	108,9	9,9	135,6	121 (მაღალი)
5	საქართველო (2007)	9,1	48,3	3,1	50	49,6 (საშუალო-დაბალი)

ა – ნატოს „ძირის“ (იატაკის) ქვეყნებად ამ შემთხვევისათვის აღებულია ბულგარეთი (ხორვატია, ალბანეთი, საქართველოსთვის) და ალბანეთი (მონტენეგრო, ჩრდ. მაკედონიისათვის).

ბ – საერთო ქულა არის მე-3 და მე-5 სვეტების პროცენტების მედიანა (მშპ ერთ სულ მოსახლეზე, გამოხატული PPP-ში და გაცვლითი კურსში [XR]). თითოეულ ქულას მიენიჭა ოთხი შეფასებიდან ერთი: მაღალი, საშუალო-მაღალი, საშუალო-დაბალი და დაბალი. მაღალი იყო ქულა „იატაკის“ დონეზე მაღლა; საშუალო-მაღალი იყო ქულა "ძირის" დონის 67-დან 100 პროცენტამდე; საშუალო-დაბალი იყო ქულა "ძირი" დონის 33-დან 66 პროცენტამდე; დაბალი იყო ქულა "ძირის" დონის 32 პროცენტზე დაბალი.

შეჯამებისთვის, როგორც აღმოჩნდა, ხდება ამ ჰიპოთეზის გარკვეულწილად გაბათილება, გამომდინარე იქიდან, რომ მოყვანილი ქვეყნების მაგალითმაც გვაჩვენა, რომ საქართველო ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნებიდან ზოგიერთს უსწრებდა კიდევ პოლიტიკური კრიტერიუმების თვალსაზრისით, თუმცა ეს ყველაფერი მაინც არ გახდა იმის საწინდარი, რომ ქვეყანას მაპი მიეღო. ეს კი მიუთითებს, რომ პოლიტიკურ მაჩვენებლებს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება ქვეყნის ალიანსში ინტეგრაციის პროცესში.

ზემოთ მოყვანილი ჰიპოთეზების გაბათილება/დადასტურება გვამლევს კიდევ ერთი დასკვნის გამოტანის საფუძველს, რომ საქართველოს ალიანსში არ მიღების მიზეზი შეიძლება გახდა არა რომელიმე კონკრეტული ფაქტორი, არამედ ცოტ-ცოტა ყველაფერმა იქონია ამაზე ნეგატიური ზემოქმედება, რაც ნიშნავს, რომ ერთ კონკრეტულ ფაქტორს არ გადაუწყვეტია ქვეყნის ბედი და ეს იყო კომპლექსური შედეგი იმ პერიოდში განვითარებულ ქვეყნის შიგნით, თუ მის გარეთ არსებულ არცთუ ისე სახარბიელო ვითარებისა, რამაც, სამწუხაროდ, წლების განმავლობაში განსაზღვრა ალიანსის რიგებში საქართველოს გაწევრიანების მიმართ დამოკიდებულება. აქ იგულისხმება შემდეგი მოცემულობა – იმის თქმა, რომ 2008 წლის შემდეგ ალიანსმა სრულად შეაჩერა საკუთარი რიგების გაფართოება, არ შეიძლება, რადგან 2008 წლის შემდეგ ალიანსის წევრები

გახდნენ, როგორც უკვე აღინიშნა, ის ქვეყნებიც კი, რომლებიც კონკრეტული კრიტერიუმებით უტოლდებიან ან ჩამორჩებიან საქართველოს. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ მყარად შეიქმნა 2008 წელს ალიანსში საქართველოსთან დაკავშირებული მიდგომა, რომ ქვეყანა წლების განმავლობაში ვერ გახდება ალიანსის წევრი, რაც, ფაქტობრივად, იგივეა, რაც ბუნდოვანი გამოთქმა „ერთ მშვენიერ დღეს“, რომლის დაფიქსირების წინააღმდეგაც ასე იბრძოლეს საქართველოს მეგობრებად აღიარებულმა ქვეყნებმა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ამ ეტაპზე უშედეგოდ და „ერთი მშვენიერი დღიდან“ საქართველოს ალიანსის რიგებში მოხვედრის კონკრეტულ თარიღად გადაქცევა კვლავ გადაულახავ ამოცანად და მიზნად რჩება ქვეყნისათვის.

## დასკვნა

ამრიგად, როდესაც საუბარია, რომ საქართველოსათვის მაპის მინიჭებაზე უარის თქმის მიზეზი გახდა იმ პერიოდისათვის უკვე მნიშვნელოვნად მოძლიერებული რუსეთის ფედერაცია და ამის დასასაბუთებლად მაგალითისთვის თუ ავიღებთ ამ ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტს – ამ ინდიკატორის ზრდა მართლაც რეალური იყო 2007 წელს, როდესაც მთელი 2000-იანი წლების განმავლობაში მშპ-ს ყველაზე მაღალი ზრდა ფიქსირდება – 8,7%. ამ რაოდენობრივ მახასიათებელს ემატება თვისობრივი ინდიკატორიც, როდესაც რუსეთი 1990-იანი წლების გაფართოებებთან შედარებით უფრო და უფრო იმაღლებს ხმას ნატოს გაფართოების წინააღმდეგ, მისი რიტორიკა ხდება უფრო ხისტ და მისი მოქმედება კი 2008 წელს საქართველოსთან მიმართებაში, შეიძლება ითქვას, უპრეცედენტო, როდესაც ბუქარესტის სამიტით ერთდროულად გაღიზიანებული, თან წაქეზებული რუსეთი შეიარაღებულ დაპირისპირებასაც არ ერიდება ქვეყნის წინააღმდეგ, რომელიც, მისი აღქმით, „საკუთარ უკანა ეზოს“ წარმოადგენს და მას ნატოში ინტეგრაციაზე ფიქრიც კი აკრძალული უნდა ჰქონოდა.

ამავე პერიოდს გარკვეულწილად უკავშირდება აშშ-ს დასუსტების (ცხადია შედარებით სისუსტეზეა საუბარი) ეტაპი. რუსეთის მსგავსად თუ ავიღებთ აშშ-ს მშპ-ს ამავე პერიოდში, ჩანს, რომ 2001 წლიდან მოყოლებული აშშ-ს მშპ-ს კლება ფიქსირდება 2008 წელს.

ამასთან, ე. წ. „ძველი ევროპის“ ქვეყნების მიერ აშშ-სათვის წინააღმდეგობის გაწევისა და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებში შეუთანხმებლობის დასაწყისად შეიძლება მიჩნეული იქნეს 2000-იანი წლების დასაწყისი – პერიოდი, როდესაც ევროპა აღმოჩნდა ორად გაყოფილი: ერაყის ომის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. ამ პერიოდს აშშ-ს, როგორც ზესახელმწიფოს, უკანსვლის დასაწყის პერიოდადაც მოიაზრებენ – ამრიგად, ბუქარესტის სამიტზე ძველი ევროპის ქვეყნების მიერ აშშ-სათვის გაწეული წინააღმდეგობა საქართველოსათვის მაპის მინიჭებასთან

დაკავშირებით ახალი მოვლენა არ ყოფილა. ერაყის კამპანიის დაწყების წინ ფრანკო-გერმანული ღერძის კიდევ უფრო გამყარების მოწმე გახდა მსოფლიო, რომლებსთვისაც უკვე მიუღებელი გახდა ბუშის ადმინისტრაციის უნილატერალიზმი (ცალმხრივობა). ზოგიერთი კი გერმანიის უარს ომის წამოწყებაზე ამ ქვეყნის მიერ აშშ-ს მეურვეობისაგან ერთგვარ გათავისუფლებადაც მიიჩნევს. მიუხედავად იმისა, რომ ძველი ერთსულოვნება აშშ-სთან მიმართებაში ზემოხსენებულ ქვეყნებს აღარ ჰქონდათ, ეს ამ ქვეყნებს შორის სერიოზულ დაპირისპირებაზე რეალურად მაინც არ მიუთითებს. თუმცა, ერთი რამ მაინც უდავო იყო – მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ევროპის ქვეყნებს ექვი ეპარებათ აშშ-ს სიძლიერესა და გლობალურ ლიდერობაში, რის შედეგიც რამდენიმე წელიწადში საქართველომ საკუთარ თავზე გამოსცადა, როდესაც ზუსტად ფრანკო-გერმანული ღერძის ირგვლივ შემოკრებილი ქვეყნები ამბობენ უარს საქართველოსა და უკრაინისათვის მაპის მინიჭების თაობაზე, მომხრეებად კი ძირითადად ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები არიან, აქედან ზოგიერთს 2001 წლის მოვლენების დროს მხოლოდ ნატოს კანდიდატი ქვეყნის სტატუსი ჰქონდა.

ამერიკის დასუსტების თეორიასთან მიმართებით, კონკრეტული ქვეყნის სამხედრო ალიანსში ინტეგრაციის პროცესზე ზემოჩამოთვლილი ფაქტორების გავლენასთან დაკავშირებით საინტერესო აღმოჩნდა მაკდონალდ-პარენტის (2011) მეთოდი, სადაც წარმოდგენილია და რომელიც ზომავს საშინაო თუ საგარეო ასპარეზზე დიდი სახელმწიფოების მიერ უკანსვლის პერიოდებსა (1- ან 5 წლიან ვადებში) და სავარაუდო გადაწყვეტილებებს.

აღნიშნული მეთოდის თანახმად, იმ კონკრეტული ინდიკატორების მიხედვით, რომელსაც ის იყენებს, აშშ ამ თეზისისათვის საინტერესო პერიოდში სულ უმნიშვნელო (დაბალ) უკანსვლას თუ განიცდის, თუმცა უკანდახევა მაინც ფიქსირდება, იქნება ეს – მშპ-ს, ალიანსების, სამხედრო



პერსონალისა თუ სამხედრო კონფლიქტებში ჩართულობის მახასიათებლების გათვალისწინებით. ასევე აშშ-ს მთავარ მეტოქედ მიიჩნევა ჩინეთი; ქვეყანა, რომელიც, მშპ-ს კრიტერიუმს თუ გავითვალისწინებთ, განუხრელად მიიწევს წინ, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულში (საუბარი აღარ არის ამ ქვეყნის სამხედრო პერსონალზე, რომელიც რიცხოვნებით „ცივი ომისდროინდელ“ ორსავე ზესახელმწიფოს სამხედროთა რაოდენობაზე მეტია).

რუსეთის ფედერაცია ღიად აცხადებს და ოფიციალურ დოკუმენტებშიც აფიქსირებს, რომ საქართველოს ალიანსში გაწევრიანება საკუთარი ეროვნული ინტერესებისათვის საფრთხის შემცველად მიაჩნია. მესამე ჰიპოთეზაში სწორედ საფრთხის აღქმის კრიტერიუმები იყო წარმოდგენილი. თუ გამოყენებული იქნება კარლ სალუმის მიერ ჩამოყალიბებული საფრთხის გაზომვის კრიტერიუმები, რომელიც აფასებს გეოგრაფიულ (და არა მარტო გეოგრაფიულ) სიახლოვეს რუსეთსა და ნატოს კანდიდატის ქვეყნებს შორის, შეიძლება იმის თქმა, რომ საქართველო თითქმის ბოლომდე აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს და სრულად ადასტურებს რუსეთის მიერ ამ ქვეყნის ალიანსში გაწევრიანების მოსალოდნელ შიშებს. ეს ეხება, როგორც რუსეთთან ტერიტორიულ (ახლო) მდებარეობას, ასევე წარსულში კონკრეტულ კავშირებში გაწევრიანებასა თუ ორმხრივ ურთიერთობებს.

გეოგრაფიული სიახლოვის უფრო ამომწურავი ანალიზისათვის სზაინა შემდეგ ასპექტებს ზომავს: საზღვრების სიგრძე, სასაზღვრო რეგიონებში ტერიტორიის დაბრკოლება (სირთულე), საზღვრიდან მნიშვნელოვანი ობიექტების მდებარეობის მანძილი (სამხედრო ნაგებობები, კრიტიკული ინფრასტრუქტურა). ამ კრიტერიუმების მიხედვით საქართველო, რუსეთის პრიზმიდან, ნათლად აკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს, იქნება ეს რუსეთისათვის მეტად მნიშვნელოვანი სამხედრო ბაზების მდებარეობა, თუ კრიტიკული ინფრასტრუქტურის განლაგება, რაც რუსეთისათვის არანაკლებ საყურადღებოა.

ალბათ, ამითაც აიხსნება (თუ არ იქნება გათვალისწინებული ბუნებრივი რესურსებიდან მიღებული დიდი შემოსავლებით განპირობებული რუსეთის მზარდი თავდაჯერებულობა და თავგასულობა) რუსეთის განსხვავებული რეაქციები სხვადასხვა ქვეყნებთან დაკავშირებით. ზოგადი მიდგომა რჩება უცვლელი: რაც უფრო ახლოს მდებარეობს ქვეყანა რუსეთთან და რაც უფრო დიდი იყო საბჭოთა პერიოდში ამ ქვეყნის ინტეგრაციის დონე, მით უფრო დიდია ალბათობა, რომ ამ ქვეყნის ახლა უკვე ნატოში ინტეგრაციამ გამოიწვიოს რუსეთის უარყოფითი რეაქციები. ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების გათვალისწინებით საქართველო მდებარეობს „რუსეთის პრივილეგირებულ ზონაში“, რომელზე გავლენის დაკარგვასაც იგი არ აპირებს შეეგუოს; ამასთან, გეოგრაფიული სიახლოვის არეალში გავლენის სფეროს მნიშვნელობა ორმაგდება ბუფერული ზონიდან გამომდინარე, რაც რუსეთს მიაჩნია გარე სამყაროსგან (რომელსაც ტრადიციულად მტრულად აღიქვამს) თავისი დაცვის გარანტად.

რაც შეეხება ჰიპოთეზას, რომ საქართველოსთვის მაპის მინიჭებაზე უარის თქმის მიზეზი გახდა საქართველოს ჩამორჩენა პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა მახასიათებლების მხრივ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქართველო შედარებულია ბოლო პერიოდში ნატოში გაწევრიანებულ ქვეყნებთან და აქ მოყვანილი საქართველოს მონაცემები (იქნება ეს Freedom House-ის რეიტინგები თუ ევროკავშირის შეფასებები), მნიშვნელოვნად არ ჩამორჩება უკვე ალიანსში გაწევრიანებული ქვეყნის მონაცემებს, ხოლო რიგ შემთხვევებში უსწრებს კიდევ მათ. კონკრეტულ შემთხვევაში ხდება ამ ჰიპოთეზის უარყოფა, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოზე რეიტინგით დაბლა მდგარი ქვეყნებიც გამხდარან ალიანსის წევრები; რაც აბათილებს თუნდაც ბუქარესტის სამიტის წინ გერმანიის „შიშებს“ საქართველოში დემოკრატიული განვითარების კუთხით არსებული ვითარების მიმართ. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოში ეკონომიკური თუ დემოკრატიული კრიტერიუმების გათვალისწინებით ვითარება

უმჯობესდება და ყველაფერი უკეთესობისაკენ და ალიანსთან თავსებადობისაკენ მიემართება; ეს იყო და არის რეალური გამოწვევები – საარჩევნო პროცესთან, კანონის უზენაესობასთან თუ ქვეყნის ეკონომიკის არასახარბიელო მდგომარეობასთან დაკავშირებით, მაგრამ სხვა ქვეყნების მაგალითი, მათთან შედარება, არ გვაძლევს იმის მტკიცების საშუალებას, რომ საქართველოსთვის უარის თქმის მიზეზი ეს კონკრეტული მახასიათებლები აღმოჩნდა.

დასასრულ, მოცემულ კვლევაში მოყვანილმა რაოდენობრივმა თუ თვისობრივმა მახასიათებლებმა ვერ მოგვცა იმის მტკიცების შესაძლებლობა, რომ საქართველოს ალიანსში გაწევრიანების პროცესზე რომელიმე ერთმა კონკრეტულმა ფაქტორმა მოახდინა ზეგავლენა. თუმცა, შედარებით ხელჩასაჭიდი მაინც გამოდგა პირველ სამ ჰიპოთეზაში წარმოდგენილი მოსაზრებები – რომ საქართველოსთვის უარის თქმაზე გავლენა მოახდინა იმ პერიოდისათვის მეტნაკლებად დასუსტებულმა აშშ-მა. ამ პერიოდში, როგორც აღინიშნა, ამერიკის პრესტიჟი გარკვეულწილად არის შელახული ერაყის კამპანიიდან გამომდინარე და ფრანკო-გერმანული ღერძიც აღარ მიჰყვება ბრმად ქვეყანას, რომლის პოლიტიკის მიმართაც ერაყში სერიოზული კითხვები გაუჩნდა საერთაშორისო საზოგადოებას. ასევე, მეტნაკლებად რაციონალურად მიზეზად შეიძლება იქნეს მიჩნეული იმ პერიოდისათვის ეკონომიკურად და ფსიქოლოგიურად გაძლიერებული რუსეთი, რომელიც აღარ არის ისეთი სუსტი, როგორც წინა ათწლეულში იყო და საკუთარი ადგილის დამკვიდრებას უკვე აგრესიულად ცდილობს და ისიც ფაქტია, რომ ხელისშემშლელიც არავინ, თუ ვერავინ არის, იქნება ეს აშშ, თუ ევროპა, რომელიც მხოლოდ მაშინ იმაღლებს ხმას და ფხიზლდება, როდესაც რუსეთი უკვე თავს ესხმის დამოუკიდებელ, სუვერენულ ქვეყანას (რამდენად იყო ეს გამოფხიზლება ბოლომდე გამოფხიზლება, სხვა საკითხია). ის რომ, სულ რამდენიმე წელიწადში რუსეთი ასეთსავე აგრესიას იჩენს ამჯერად უკვე უკრაინის მიმართ, ბადებს ლეგიტიმურ შეკითხვას, გაბედავდა კი რუსეთი ამას, საქართველოს

შემთხვევაში საერთაშორისო საზოგადოებისგან ადეკვატური პასუხი რომ მიეღო. დასავლეთში ეს სცენარი ძალიან რომ არ უნდა გაჰყვირებოდა არავის, ამას საქართველოსთან ომის შემდეგ დასავლელი დიპლომატების წერილებიც მოწმობს, რომლებიც, ფაქტობრივად, ასპროცენტიანი სიზუსტით პროგნოზირებენ იმას, თუ ვინ იქნებოდა საქართველოს შემდეგ რუსეთის მორიგი სამიზნე. ცხადია, ეს იყო უკრაინა.

ამრიგად, როგორც უკვე აღინიშნა, ვერ იქნება დასახელებული ერთი კონკრეტული მიზეზი, რომელმაც გამოიწვია ის შედეგი, რაც ქვეყანამ 2008 წელს მიიღო. ეს ყველაფერი აღმოჩნდა კომპლექსურად რამდენიმე მიზეზის, ვითარებისა თუ გარემოებების თანხვედრა, რომლებიც ერთობლივად შავი ღრუბლის სახით მოგროვდა საქართველოს თავზე და დადგა ის შედეგი, რომელსაც უკვე წლებია ქვეყანა იმკის.

## გამოყენებული ლიტერატურა

### სტატიები/წიგნები

ასმუსი, დ. რონალდ (2010). მცირე ომი რომელმაც მსოფლიო შეძრა. თბილისი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ეიხმანისი, ი. მოთმინება ძალზე მნიშვნელოვანია. *24 საათი*, 2010, N 2552 (227). (თ. კახაძე, ინტერვიუერი).

კრამერი, დ. (2017). *შეკავების პოლიტიკის დაბრუნება – პუტინის რეჟიმთან გამკლავება*. თბილისი, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი.

Art, R. J. (2004). Europe Hedges its Security Bets in T.V. Paul et al (eds.). *Balance of Power: Theory and Practice in the 21st Century*. Stanford, CA.: Stanford University Press, pp. 184-85.

Asmus, D.R. (2002). *Opening NATO's Door: How the Alliance Remade Itself for a New Era*. New York: Columbia University Press.

Baker, J. (2002). Russia in NATO? *The Washington Quarterly*, 25 (Winter 2002), 95-103.

Bender, J. (2015, June 18). Russian ambasaador: If Sweden joins NATO, there will be “consequences”. *Business Insider*. Retrieved from <http://www.businessinsider.com>

Braun, A. (2009). NATO and Russia: Post-Georgia Threat Perceptions. *Ifri*, 40.

Carr, F. & Flenley, P. (1999). NATO and the Russian Federation in the New Europe: The Founding Act on Mutual Relations. *Journal of Communist Studies and Transition Politics*. 15:2, 88-110, DOI: 10.1080/13523279908415407

Cimbala, S. J., (2013). *The Russian Military into the 21st Century*. New York: Routledge.

Cleary, C. (2017). Idealism or Betrayal? : What Clinton –Yelstin Rhetoric about NATO Expansion tells us about Today’s U.S.-Russia Crisis. Center of Global Interests.

Coffey, L. and Kochis, D. (2016). The 1997 NATO–Russia Founding Act Does Not Prohibit Permanent NATO Bases in Eastern Europe. *The Heritage Foundation*. N 4555.

Croft, S. (2002). Guaranteeing Europe’s Security? Enlarging NATO Again. *International Affairs*, Vol. 78, No.1, pp.97-114.

Dannreuther, R. (1999-2000). Escaping the Enlargement Trap in NATO-Russian Relations. *Survival*, 41:4, pp-145-164.

Dettke, D. (2018). The 2003 Iraq War as a Turning Point in German–American Relations: Political Leadership and Alliance Cohesion. *German Politics*, 27:2,158-173, DOI: 10.1080/09644008.2018.1446082

W. C. Wohlforth, 'The Stability of a Unipolar World', *International Security*, Vol.24(1), 1999, pp. 5-41.

Fakiolas, T. & Fakiolas,E. (2006). Europe's ‘Division’ over the war in Iraq. *Perspectives on European Politics and Society*, 7:3, 298-311, DOI:10.1080/15705850601053410

Farkas, E. N. (2015). Montenegro Will Join NATO and That Matters. *Defense One*, [online] Available at: <http://www.defenseone.com/ideas/2015/12/montenegro-will-join-nato-and-matters/124733/> .Accessed 16 March 2016.

Fetweiss, J.C (2004). Evaluating IR's Crystal Balls: How Predictions of the Future Have Withstood Fourteen Years of Unipolarity. *International Studies Review*, Vol.6(1), pp. 90-92.

Forsberg. T and Herd. G. (2015). Russia and NATO: From Windows of Opportunities to Closed Doors. *Journal of Contemporary European Studies*. 23:1, 41-57. DOI: 10. 1080/ 14782804. 1001824.

Gallis, P. (2004). The NATO Summit at Istanbul, 2004. CRS Report for Congress.

Gardner, H. (2003). The Iraq crisis and its impact on the future of EU-US relations: an American view. [http://www.cicerofoundation.org/pdf/gardner\\_iraq.pdf](http://www.cicerofoundation.org/pdf/gardner_iraq.pdf).

Gardner, D. (2013). Iraq: a Display of Declining US power. Financial Times. <https://www.ft.com/content/1805afe2-869a-11e2-b907-00144feabdc0>

Gardner, H. (2014). NATO, the EU, Ukraine, Russia and Crimea: The “Reset” that was Never “Reset”. *Nato Watch*. No. 49.

German, T. (2015). Heading west? Georgia’s Euro-Atlantic path. *Chatham House*. Vol 91, N 3.

Gidathubli, R. (2004). Expansion of NATO: Russia’s Dilemma. *Economic and Political Weekly*. Vol.39, No. 19 (May 8-14). Stable URL: <http://www.jstor.org/stable/4414989>

Glaser, C. (2003). Structural Realism in a More Complex World. *Review of International Studies*. Vol.29(3), 2003, p. 409.

Gramer, R. (2015). The New Thorn in Russia’s Side. *Foreign affairs*, [online] Available at: <https://www.foreignaffairs.com/articles/yugoslaviamontenegro/2015-12-24/new-thorn-russias-side>. [Accessed 16 March 2016].

Hall, P. A. and Taylor, R.C.R. (1995). Political Science and the Three New Institutionalisms. *Political Studies*. Vol.44(5), 1996, pp. 944-946;

Hasenclever, A., Mayer, P. and Rittberger, V. et al., (1997). *Theories of International Regimes*. Cambridge etc.: Cambridge University Pres.

Hellmann, G and R. Wolf, R (1993). Neorealism, Neoliberal Institutionalism, and the Future of NATO. *Security Studies*. Vol.3(1)

Hicks, K., Samp, L. S., Oliker, O., Rathke, J., Mankoff, J., Bell, A., & Conley, H. A. (2017). NATO Enlargement-A Case Study. Centre for Strategic & International Studies.

Hillen, J., Noonan, M. P. (1998). The Geopolitics of NATO Enlargement. Parameters, [online] Available at: <http://www.bits.de/NRANEU/docs/hillennoonan.htm>. Accessed 16 March 2016.

Hillison, J. R. (2009). New NATO members: security consumers or producers?. Strategic Studies Institute.

Hurd, I. (1999). Legitimacy and Authority in International Politics. *International Organization*, Vol.53(2).

Indans, I. (2007). Relations of Russia and Georgia: Developments and Future Prospects. *Baltic Security & Defence Review*. Vol. 9.

Kagan, R. (2004). America's Crisis of Legitimacy. Foreign Affairs.

Karabeshkin, A. & Spechler, D. (2007). Enlargement: Russia's Expectations, Responses and Options for the Future. *European Security*. 16:3-4, 307-328. DOI: 10.1080/09662830701776056

Keohane, M. O and Martin, L. L (1995). The Promise of Institutional Theory. *International Security*. Vol.20(1), 1995, pp. 41-42.

Keohane, M. O. (2005). *After Hegemony: Cooperation and Discord in the World Political Economy* (second edition) (Princeton and Oxford: Princeton University Press, 2005), pp. 51-53;

Klaiber, k. (1999). The Membership Action Plan: Keeping NATO's Door Open. *NATO Review*, Vol 47. No.2, pp-23-25.

Korolev, A. (2015). Bringing Geopolitics Back In: Russia's Foreign Policy and Its Relations with the Post-Soviet Space. *International Studies Review* 17.2: 298-312.



Koremenos, B., Lipson, C. and Snidal, D. (2004). The Rational Design of International Institutions in B. Koremenos et al (eds.), *The Rational Design of International Institutions* -Cambridge etc.: Cambridge University Press.

Kremlin. (2015). *Russia's National Security Strategy* (Nº 683) Moscow. Retrieved from <http://www.en.kremlin.ru>

Kroenig, M. (2015) Facing Reality: Getting NATO Ready for a New Cold War. *Survival:*

*Global Politics and Strategy*, 57:1, 49-70, DOI: 10.1080/00396338.2015.1008295

Kulhanek, J. (2008). Putin's Foreign Policy and the Founding of the NATO-Russia Council.

McCalla, R. B. (1996). NATO's Persistence after the Cold War. *International Organization*, Vol.50(3).

Madej, M. (2009). NATO after the Georgian Conflict: A New Course or Business as Usual? *Polish Institute of International Affairs*.

Marklud, C. (2014). The Return of Geopolitics in the Era of Soft Power: Rereading Rudolf Kjellén on Geopolitical Imaginary and Competitive Identity. *Geopolitics*, 20(2), pp. 248-266.

Martin, L. L and Simmons, B. A. (1998). Theories and Empirical Studies of International Institutions. *International Organization*, Vol.52(4).

Mcdonald.P & Parent. J (2018). *Twilight of the Titans – Great Power Decline and Retrenchment*. Cornell University Press.

Mearsheimer, J (1990). Back to the future: instability in Europe after the Cold War. *International Security* 15(1), 5-56.

Mouritzen, H. and Wivel, A. (2012). *Explaining Foreign Policy: International Diplomacy and the Russo-Georgian War*. Boulder, CO: Lynne Rienner, 2012. 223 pp.

Mowle, T. S. and Sacko, D.H (2007). Global NATO: Bandwagoning in a Unipolar World. *Contemporary Security Policy*. Vol.28(3), 2007, p. 604.

Nič, M. (2015). Why Montenegro has decided to stand up to Russia. [online] Available at: <http://www.suedosteuropa.uni-graz.at/biepag/node/79>. Accessed 16 March 2016.

Nichol, J. (2009). Georgia (Republic) and NATO Enlargement: Issues and Implications. *Congressional Research Service*. 7-5700.

Ó Tuathail, Gearóid, and Agnew J. (1992) Geopolitics and Discourse, Practical Geopolitical Reasoning in American Foreign Policy. *Political Geography* 11:190-204.

Oatley, T. (2015). A Political Economy of American Hegemony. Cambridge University Press.

Oualaalou, D. (2015). NATO's Invitation of Montenegro Betrays Folly and Lack of Strategic Vision. Huffingtonpost.com, [blog] 14 December. Available at: [http://www.huffingtonpost.com/david-oualaalou/natos-invitation-of-monte\\_b\\_8801886.html](http://www.huffingtonpost.com/david-oualaalou/natos-invitation-of-monte_b_8801886.html) [Accessed 16 March 2016].

Perlez, J. (1999). Expanding Alliance: The Overview; Poland, Hungary and the Czechs Join NATO. The New York Times. <https://www.nytimes.com/1999/03/13/world/expanding-alliance-the-overview-poland-hungary-and-the-czechs-join-nato.html>

Press-Barnathan, G. (2006). Managing the Hegemon: NATO under Unipolarity. *Security Studies*. Vol.15(2).

Press-Barnathan, G. (2003). 'Managing the Hegemon', passim; T. Ohtomo, 'Bandwagoning to Dampen Suspicion: NATO and the US-Japan Alliance after the Cold War', *International Relations of the Asia-Pacific*, Vol.3(1).

Rachwald, A. (2011). A 'reset' of NATO–Russia relations: real or imaginary? *European Security*, 20(1), 117-126. DOI: 10.1080/09662839.2011. 557366

Ratti, L. (2013). 'Resetting' NATO–Russia Relations: A Realist Appraisal Two Decades after the USSR. *The Journal of Slavic Military Studies*, 26:2, 141-161. DOI:10.1080/13518046.2013.779845

Ruhle, M. (2014). NATO Enlargement and Russia: Die-Hard Myths and Real Dilemmas. *Research Division NATO Defence Collage*.

Salum, Karl (2015). Finland and Sweden in NATO: Implications on NATO-Russia relations. In: Robert Czulda; Marek Madej (Ed.). *Newcomers No More? Contemporary NATO and the Future of the Enlargement from the Perspective of "Post-Cold War" Members* (261–274). Warsaw: International Relations Research Institute.

Schweller, R. L. (1994). Bandwagoning for Profit: Bringing the Revisionist State Back In. *International Security*, Vol.19(1).

Simon, J. (2001). Roadmap to NATO Accession: Preparing for Membership. *Institute for National Strategic Studies*.

Snyder, G. H. (1990). Alliance Theory: A Neorealist First Cut. *Journal of International Affairs*, Vol.44(1).

Snyder, G. H. (1997). *Alliance Politics*. Ithaca, N.Y.: Cornell University Press.

Snyder, G. H. (1984). The Security Dilemma in Alliance Politics. *World Politics*, Vol.36(4)

Szayna, S. T. (2001). NATO Enlargement 2000-2015: Determinants and Implications for Defense Planning and Shaping. *RAND*. Project Air Force.

Tsygankov, A. (2003) Mastering Space in Eurasia: Russia's Geopolitical Thinking after the Soviet Break-up. *Communist and Post-Communist Studies* 36: 101-127.

Vershbow, A. (2014a). "NATO Official: Russia is now an Adversary." Associated Press, May 1.

Vershbow, A. (2014b). "Looking towards the Wales Summit." In Graduation speech at the NATO Defense College, Rome, June 13.

Volker, K. (2008). Ukraine, MAP and the Georgia-Russia Conflict. [https://wikileaks.org/plusd/cables/08USNATO290\\_a.html](https://wikileaks.org/plusd/cables/08USNATO290_a.html)

Vučković, V. Vučinić, B. & Đorđević, V. (2016). Partnership for a Secure Future: Montenegrin Road to NATO from 2006 to 2015. *The Journal of Slavic Military Studies*. 29:4, 602-625, DOI: 10.1080/13518046.2016.1232552

Walker, E. (2015). Between East & West: NATO Enlargement & the Geopolitics of the Ukraine Crisis. [online] Available at: <http://www.e-ir.info/2015/04/13/between-east-west-nato-enlargement-thegeopolitics-of-the-ukraine-crisis/>. [Accessed 16 March 2016].

Wallander, C. A. (1999). *Mortal Friends, Best Enemies: German-Russian Cooperation after the Cold War*. Ithaca, NY and London: Cornell University Press.

Wallander, C. A. (2000). Institutional Assets and Adaptability: NATO after the Cold War. *International Organization*, Vol.54(4).

Wallander, C. A and Keohane, R. O. (1999). Risk, Threat and Security Institutions, in H. Haftendorn, R.O. Keohane and C.A. Wallander (eds.), *Imperfect Unions: Security Institutions over Time and Space* Oxford etc.: Oxford University Press, pp. 40-47.

Walt, S. (1990). *The Origins of Alliances*. Cornell University Press: Ithaca.

Walt, S. (2000). NATO's Future (In Theory). In P. Martin, P., Brawley, M. (Ed.), *Alliance Politics, Kosovo and NATO's War: Allied Force or Forced Allies?* (pp.12-13). New York, NY: Palgrave.

Walt, S. (2011). When Did the American Empire Start to Decline?. *Foreign Policy*. <https://foreignpolicy.com/2011/08/02/when-did-the-american-empire-start-to-decline/>

Waltz, K. (1959). *Man, The State, and War; A Theoretical Analysis*. New York: Columbia University Press.

Waltz, K. (1979). *Theory of International Politics*. Reading, Mass: Addison-Wesley Publishing.

Waltz, K. (1993). The Emerging Structure of International Politics. *International Security* 18, no. 2: 44-79.

Waltz, K. (2000). Structural Realism after the Cold War. *International Security*, Vol.25(1), 2000, pp. 19-20.

Webber, M., Hallams, E. and Smith, M. (2014). Repairing NATO's Motors. *International Affairs*. 90:4.

Wohlforth, C. W (1999). The Stability of a Unipolar World, *International Security*, Vol.24(1), pp. 5-41.

Young, O. (1992). The Effectiveness of International Institutions: Hard Cases and Critical Variables, in J.N. Rosenau & E.-O. Czempiel (eds.). *Governance Without Government: Order and Change in World Politics*, Cambridge University Press, Cambridge, 160-194.

A full transcript of Obama's remarks on Russia, NSA at The Hague on March 25, 2014, available from Federal News Service at: [http://www.washingtonpost.com/world/national-security/transcript-obamas-remarks-on-russia-nsa-at-the-hague-on-march-25/2014/03/25/412950ca-b445-11e3-8cb6-284052554d74\\_story.html](http://www.washingtonpost.com/world/national-security/transcript-obamas-remarks-on-russia-nsa-at-the-hague-on-march-25/2014/03/25/412950ca-b445-11e3-8cb6-284052554d74_story.html).

Караганов. С., (2004а) Москва и Тбилиси: начать сначала. *Россия в глобальной политике*. [https://www.globalaffairs.ru/number/n\\_2469](https://www.globalaffairs.ru/number/n_2469)

Караганов. С., (2004б) Прощание с Грузией?. *Россия в глобальной политике*. [https://www.globalaffairs.ru/comment/n\\_3444](https://www.globalaffairs.ru/comment/n_3444)

Караганов. С., (2005) XXI век: контуры миропорядка. *Россия в глобальной политике* [https://www.globalaffairs.ru/number/n\\_5757](https://www.globalaffairs.ru/number/n_5757)

Караганов. С., (2007) Реальные договоры и пустые декларации. *Россия в глобальной политике*. [https://www.globalaffairs.ru/pubcol/n\\_8322](https://www.globalaffairs.ru/pubcol/n_8322)

Караганов. С., (2008а) О России-НАТО и большем. *Россия в глобальной политике*. [https://www.globalaffairs.ru/pubcol/n\\_10494](https://www.globalaffairs.ru/pubcol/n_10494)

Караганов. С., (2008б) Ловушки «холодной войны». *Россия в глобальной политике*. [https://www.globalaffairs.ru/pubcol/n\\_11421](https://www.globalaffairs.ru/pubcol/n_11421)

Караганов. С., (2008г) Новая холодная война. *Россия в глобальной политике*. [https://www.globalaffairs.ru/number/n\\_11639](https://www.globalaffairs.ru/number/n_11639)

Караганов. С., (2008д) Нужна ли нам НАТО?. *Россия в глобальной политике*. [https://www.globalaffairs.ru/pubcol/n\\_12035](https://www.globalaffairs.ru/pubcol/n_12035)

Караганов. С., (2008е) Россия улыбается и показывает кулаки. *Россия в глобальной политике*. [https://www.globalaffairs.ru/pubcol/n\\_12133](https://www.globalaffairs.ru/pubcol/n_12133)

Лукьянов. Ф., (2007а) Провинциальные страхи. *Россия в глобальной политике*. [https://www.globalaffairs.ru/redcol/n\\_8222](https://www.globalaffairs.ru/redcol/n_8222)

Лукьянов. Ф., (2007б) Дожить до нового витка. *Россия в глобальной политике*. [https://www.globalaffairs.ru/redcol/n\\_9355](https://www.globalaffairs.ru/redcol/n_9355)

Лукьянов. Ф., (2008а) Рамки возмездия. *Россия в глобальной политике*. [https://www.globalaffairs.ru/redcol/n\\_10192](https://www.globalaffairs.ru/redcol/n_10192)

Лукьянов. Ф., (2008б) Шизофрения по расчету. *Россия в глобальной политике*. [https://www.globalaffairs.ru/redcol/n\\_10666](https://www.globalaffairs.ru/redcol/n_10666)

Лукьянов. Ф., (2008г) Гонка на финише. *Россия в глобальной политике*. [https://www.globalaffairs.ru/redcol/n\\_11099](https://www.globalaffairs.ru/redcol/n_11099)

Лукьянов. Ф., (2008д) Мировое эхо в кавказских горах. *Россия в глобальной политике*. [https://www.globalaffairs.ru/redcol/n\\_11244](https://www.globalaffairs.ru/redcol/n_11244)

Лукьянов. Ф., (2008е) После Цхинвали. Россия в глобальной политике. [https://www.globalaffairs.ru/redcol/n\\_11292](https://www.globalaffairs.ru/redcol/n_11292)

Лукьянов. Ф., (2010а) Диалог собаки и хвоста. Россия в глобальной политике. [https://www.globalaffairs.ru/redcol/n\\_14502](https://www.globalaffairs.ru/redcol/n_14502)

Лукьянов. Ф., (2010б) Смятение после реванша. Россия в глобальной политике. <https://www.globalaffairs.ru/redcol/Smyatenie-posle-revansha-14969>

Лукьянов. Ф., (2013) Пять дней и пять лет. Россия в глобальной политике. <https://www.globalaffairs.ru/redcol/Pyat-dnei-i-pyat-let-16091>

Лукьянов. Ф., (2014) Крым на весь мир. Россия в глобальной политике. <https://www.globalaffairs.ru/redcol/Krym-na-ves-mir-16515>

### *აზღაიბ-წყაროები*

[https://www.armscontrol.org/act/1999\\_04-05/natam99](https://www.armscontrol.org/act/1999_04-05/natam99)

<http://blogs.lse.ac.uk/europpblog/2015/12/03/montenegros-chief-eu-negotiator-we-made-it-clear-to-russia-we-are-joining-nato-and-thiswill-not-affect-our-relations/>

<http://www.eu-nato.gov.ge/ge/nato/relations/summits>

<https://freedomhouse.org/report/freedom-world/2016/montenegro>

<http://globalinterests.org/2017/05/25/idealism-or-betrayal-what-clinton-yeltsin-rhetoric-about-nato-expansion-tells-us-about-todays-u-s-russia-crisis/>

<http://en.kremlin.ru/events/president/news/20603>

<https://medium.com/center-for-strategic-and-international-studies/nato-enlargement-a-case-study-c380545dd38d>

<https://www.mod.gov.ge/p/NATO-Georgia-partnership>

[https://www.nato.int/cps/em/natohq/topics\\_49212.htm?selectedLocale=en](https://www.nato.int/cps/em/natohq/topics_49212.htm?selectedLocale=en)

<https://www.nato.int/docu/comm/1999/9904-wsh/pres-eng/03acce.pdf>

[http://www.nato.int/cps/en/natolive/opinions\\_111056.htm](http://www.nato.int/cps/en/natolive/opinions_111056.htm)

[http://www.nato.int/cps/en/natohq/topics\\_50091.htm](http://www.nato.int/cps/en/natohq/topics_50091.htm)

[http://www.nato.int/cps/en/natolive/topics\\_50090.htm](http://www.nato.int/cps/en/natolive/topics_50090.htm)

[http://www.nato.int/cps/po/natohq/official\\_texts\\_24733.htm](http://www.nato.int/cps/po/natohq/official_texts_24733.htm)

[http://www.nato.int/cps/en/natohq/topics\\_67979.htm?selectedLocale=en](http://www.nato.int/cps/en/natohq/topics_67979.htm?selectedLocale=en)

[http://nato.int/nato\\_static\\_fl2014/assets/pdf/pdf\\_2016\\_06/20160614\\_1606-georgia-sngp-factsheet-ge.pdf](http://nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_2016_06/20160614_1606-georgia-sngp-factsheet-ge.pdf)

[https://www.nato.int/cps/en/natohq/topics\\_52044.htm?selectedLocale=en](https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_52044.htm?selectedLocale=en)

[http://www.nato.int/cps/en/natolive/topics\\_37356.htm](http://www.nato.int/cps/en/natolive/topics_37356.htm)

<http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/3587717.stm>

<http://www.newsru.com/world/29aug2017/sky2photo.html>

<http://www.newsru.com/world/13mar2017/chernogoriya.html>

<http://www.newsru.com/world/20feb2017/montekatni4.html>

<https://www.theguardian.com/world/2004/apr/02/nato?>

[https://www.washingtonpost.com/news/monkey-cage/wp/2015/10/15/heres-why-the-iraq-war-may-have-helped-trigger-the-financial-crisis/?noredirect=on&utm\\_term=.3fe066fd86da](https://www.washingtonpost.com/news/monkey-cage/wp/2015/10/15/heres-why-the-iraq-war-may-have-helped-trigger-the-financial-crisis/?noredirect=on&utm_term=.3fe066fd86da)

[https://www.washingtonpost.com/news/monkey-cage/wp/2015/10/15/heres-why-the-iraq-war-may-have-helped-trigger-the-financial-crisis/?noredirect=on&utm\\_term=.38129f2c7bc4](https://www.washingtonpost.com/news/monkey-cage/wp/2015/10/15/heres-why-the-iraq-war-may-have-helped-trigger-the-financial-crisis/?noredirect=on&utm_term=.38129f2c7bc4)

<https://watson.brown.edu/costsofwar/papers/2017/USBudgetaryCostsFY2018>

<http://pravo.gov.ru/proxy/ips/?docbody=&prevDoc=102067328&backlink=1&nd=102050562>

<http://kremlin.ru/acts/bank/29277/page/1>

<https://rg.ru/2015/12/31/nac-bezopasnost-site-dok.html>